# კვირის პალიტრა

აღმოაჩინე ყოველი კვირა

WWW.KVIRISPALITRA.GE

№30 (1513) ◆ 24 - 30 ივლისი, 2023 წ. ◆ ფასი 2 ლარი



სიახლე
პალიტრა L-ისგან
ყოველი **ორშაბათიდან**
ახალი წიგნი
**სპეციალურ ფასად**
▸ პრესის გარეშე

ჯეინ ოსტინი




წიგნის სპეციალური ფასი 16₾

ტომი 1
ამპარტავნობა და ამოჩემება
გონება და გრძნობა

**24 ივლისიდან 31 ივლისამდე**
იკითხეთ ბიბლუსის ფილიალებსა
და პრესის ჯიხურებში


## შიმშილით შანტაჟი

„რა გავლენა ექნება საქართველოზე რუსეთის გასვლას „მარცვლეულის შეთანხმებიდან“

გვ.25

## გიორგი ვაშაძე:

„უკვე შემახსენეს კეზერაშვილისა და მერაბიშვილის ფაქტორი“

გვ.6

## ალეკო ელისაშვილი:

„ვაშაძე ბარემ თვითგამოცხადებულ პრემიერად ალიაროს, ან „ნაციონალების“ გუნდების პრემიერად შერაცხონ“

გვ.7

## აკაკი ბობოხიძე:

„ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვების კი არა, დამარცხების ფორმულაა“

გვ.7

## რა თამაში დაიწყო რუსეთმა აფხაზეთში?!

გვ.8

## რას ნიშნავს რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო წვრთნები

გვ.27



# „დიახ, სააკაშვილი განიხილებოდა დაზვერვის თანამშრომლად“

**ექსკლუზიური ინტერვიუ**

**უკრაინის დაზვერვის ყოფილ შეფთან: უკრაინაში ომზე, პუტინზე, ქართულ-უკრაინულ პოლიტიკასა და კა-გე-ბეს აგენტებზე**




ნიკოლაი მალომუჟი: „ჩვენ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კადრების შერჩევა გვევალებოდა. ამ სიაში აღმოჩნდნენ მიხეილ სააკაშვილი და პეტრო პოროშენკო. მათთან უკრაინული სპეცსამსახურები მუშაობდნენ, რომლებიც კა-გე-ბეს ექვემდებარებოდნენ. საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, ამიტომაც ისინი უკრაინის უშიშროების სამსახურმა გადაიბარა. სააკაშვილმა გასაუბრება გაიარა, რეკომენდაციები მიიღო და საქართველოში გაემგზავრა... არსებობს საკითხები, რომლებსაც დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს და იურიდიულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ“

**„საქართველოში, დამოუკიდებლობის 30-წლიან ისტორიაში, ლუსტრაციის კანონი რომ მიეღოთ, კითხვაზე პასუხი თავადაც გექნებოდათ“**

„პუტინს თითქმის ყველა გეგმა ჩაუვარდა. ნდობა დაკარგა, „მეფემ“ თავისი სისუსტე აჩვენა; არმია დემორალიზებულია; ყველამ იცის, რომ შოიგუს შეპირებული ახალი არმია და სამხედრო კორპუსის მშენებლობა ზღაპარია. ეს ყველაფერი ხდება უდიდესი სამხედრო დანაკარგების ფონზე. მხოლოდ ბახმუტ-სოლედარში 22 ათასზე მეტი კონტრაქტორი, „ვაგნერელი“, მოხალისე პატიმარი დაიღუპა“

**„ვვარაუდობთ, რომ ჩვენ, უკრაინელები, მილიონიან არმიას შევკრებთ, ეს კი დიდი ძალაა“**

გვ.4,5

## კაბიანი „პაბლო ესკობარი“ ანუ ვინ არის ბორჯომელი ხათუნა?!





გვ.30




## სურინამული ალუბალი



გვ.15-18


სუპერკუპონი!
ამოჭერი, შეაგროვე, ააწყვე!
დაზოგე 30 ლარი
და მიიღე საოცნებო ფასდაკლება „ბიბლუსის“ წიგნის მაღაზიებში!
ააწყვე წიგნის 4 ნაწილად დაშლილი ყდა




მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის!


## დიდება უკრაინას!

კვირის თემა

# „მესმის, რომ ვაშაძეს ბავშვობიდან უნდა

*„სტრატეგია აღმაშენებელი“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, მიხეილ სააკაშვილის პარტიასა და ყველა თაობის პატრიოტ, პროფესიონალ პირებთან ერთად ვიწყებთ გამარჯვების, ცვლილებების და ივანიშვილის რუსული რეჟიმისგან გათავისუფლების მოძრაობას. ვქმნით გამარჯვების პლატფორმას, რომელსაც წლებია, ელოდებიან საქართველოს მოქალაქეები. მისი მთავარი საზრუნავი იქნება საქართველოს მოქალაქე, მისი პრობლემების მოგვარება, NATO-სა და ევროკავშირში გაწევრების დაჩქარება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა... დღეს საქართველოში ორი იდეა ებრძვის ერთმანეთს — ამბიციური, რეფორმებსა და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონის ლიდერი, ერთიანი, ძლიერი საქართველოს იდეა და რუსეთზე ორიენტირებული, მაჩანჩალა და ოლიგარქიულ ჭაობში ჩაძირული საქართველოს იდეა“, — განაცხადა გიორგი ვაშაძემ ლევან ხაბეიშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, სადაც ახალი პლატფორმის შექმნა ოფიციალურად დაადასტურეს. მათი თქმით, პროდასავლური ორიენტაციის პარტიებისთვის მათი კარი ღიაა, მაგრამ ფაქტია, რომ ჯერ მათთან გაერთიანებას არავინ აპირებს, მათ შორის არც ჯაფარიძე და ხოშტარია, რომლებიც ვაშაძის პარტნიორები იყვნენ. საინტერესო ის არის, რომ ვაშაძეს გაერთიანების წინა პირობად პრემიერობის კანდიდატად საკუთარი თავი ჰქონდა დასახელებული. მიიღო თუ არა მან ეს გარანტია, ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ სცემს, მაგრამ მეორე საკითხია, რის სანაცვლოდ დათმო მან საკუთარი პარტია, რადგან 2024 წლის არჩევნებისთვის ვინმესთან გაერთიანება მის პარტიაში ჩაწერას ნიშნავს. და, თუკი მას ეს მხოლოდ პარლამენტში გარანტირებულად მოხვედრისთვის სჭირდებოდა, რა თამაშს თამაშობს „ნაცმოძრაობა“, ერთი მხრივ, შიდაპარტიული თვალსაზრისით და მეორე მხრივ იბადება კითხვა, არის თუ არა ეს ორპოლუსიანობის განმტკიცებისთვის გადადგმული ნაბიჯი, რადგან პროდასავლური ოპოზიციური სპექტრის მხოლოდ „ნაციონალებთან“ გაერთიანება ზუსტად ამას ნიშნავს. ამ გაერთიანების ნარატივი, ფაქტობრივად, ეს იყო, ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერიაო. ეს არის ის საკითხები, რაზეც ბოლო დღეების პოლიტიკურ ხმაურიან თემებზე პოლიტიკის ანალიტიკოს გია ხუხაშვილთან ვსაუბრობთ.*



**„ვაშაძეც ძალიან ამბიციურია და „ნაცმოძრაობაც“, მაგრამ დღემდე მათგან რაღაც პოზიტიური არ გვიხილავს. ისინი მუდმივად ქმნიან რაღაც სუპერიმედს, რაც მუდმივად იმედგაცრუებით მთავრდება“**



— ვფიქრობ, ეს ყველაფერი სერიოზულს არაფერს ნიშნავს, რადგან ელექტორალური სურათი არ იცვლება — „ნაციონალურ მოძრაობას“ ამომრჩეველი არ ემატება. უბრალოდ, მათ პიარის საშუალება მიეცათ, რომ რაღაც გაერთიანებას აკეთებენ, რომ მარტო არ არიან. ცხადია, ეს მათთვის დივიდენდია, მაგრამ არცთუ ისე მნიშვნელოვანი. რაც შეეხება კონკრეტულ პირებს, შესაძლოა ვაშაძემ და კიდევ რამდენიმემ კონკრეტული სარგებელი მიიღონ, რადგან „სტრატეგია აღმაშენებლისთვის“ ბარიერის გადალახვა პრობლემატურია და ამ კოალიციაში შესვლით 2-3 კაცი მაინც იხეირებს. საერთო ლანდშაფტში, პოლიტიკურ მოზაიკაში ეს ბევრს არაფერს ცვლის, რადგან „ნაციონალურ მოძრაობას“ ელექტორალური ზრდის, განვითარების პოტენციალი არა აქვს, ერთგვარი ჩაკეტილი სისტემაა. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ეს ისეთი სერიოზული რამ არის, რაც პოლიტიკურ ბაზარზე ძვრებს მოახდენს.

**— ძალიან ამბიციური მიზანი დაასახელეს, რომ ქმნიან „გამარჯვების პლატფორმას“. ლოგიკურად ეს იმას გულისხმობს, რომ ყველა სხვა, ვინც მათ პლატფორმაზე არ იქნება, დამარცხებისთვის არის განწირული. ეს არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში რამდენად მომგებიანია და რაც მთავარია, ამის შესრულების შანსი რამდენად აქვთ? ფაქტია, რომ ამ პლატფორმაზე ჯერ მხოლოდ ხაბეიშვილი და ვაშაძე არიან.**

— ვაშაძეც ძალიან ამბიციურია და „ნაცმოძრაობაც“, მაგრამ დღემდე მათგან რაღაც პოზიტიური არ გვიხილავს. ისინი მუდმივად ქმნიან რაღაც სუპერიმედს, რაც მუდმივად იმედგაცრუებით მთავრდება. ახლაც იმის საფუძველი, რომ მათი ეს ულტრაოპტიმიზმი გამართლდება, ნამდვილად არა გვაქვს.

**— ცოტა ხნის წინ იყო ჯაფარიძე-ვაშაძე-ხოშტარიას სამეულის „ნაციონალებთან“ გაერთიანების მოლოდინი, მაგრამ ახლა ეს სამეული გაერთიანებაზე უარს ამბობს. თქვენი აზრით, რა მოხდა მათ შორის?**

— ვფიქრობ, ლოგიკურია მათი გადაწყვეტილება, რადგან „ნაციონალებთან“ გაერთიანება, გრძელვადიან პარტიულ პრიზმაში რომ გავხედოთ, დამაზიანებელია ნებისმიერი პარტიისთვის. რატომ? იმიტომ, რომ პარტია იდენტობას კარგავს. როდესაც შენ მიდიხარ ისეთ პარტიასთან, რომელიც შენზე განუზომლად ძლიერია და მისი მიზიდულობის არეალში ხვდები, ბუნებრივია, იდენტობას კარგავ და ამის შემდეგ შენი პარტია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ასე რომ, არაფერი კარგი ამაში არ არის. როგორც ჩანს, ჯაფარიძე და ხოშტარია ცდილობენ შეინარჩუნონ ინდივიდუალური სახე და, ბუნებრივია, ერიდებიან ასეთი ტიპის ალიანსებს.

**— ვაშაძის გადაწყვეტილება გასაგებია, ბოლოს და ბოლოს, პარლამენტში გარანტირებულად მოხვდება. „ნაცმოძრაობას“ რაში აწყობს, რომ დაუთმოს ადგილი, რას აძლევს ვაშაძე „ნაციონალებს“? მით უმეტეს, რომ პარტიაში მუდმივად უკმაყოფილებაა, პარტიის გარეშე ხალხი ჩასვეს სიაშიო, მათ კი, ვინც მუდმივად პარტიულ საქმიანობაშია ჩართული, სიის გარეთ ტოვებენ.**

— კი ბატონო, თვითონაც შევა და შესაძლოა 2-3 კაციც შეიყვანოს. ეს მოხდება, მეტი არაფერი. რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ ინტერესს, ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთიანობის დემონსტრირებაა. „ნაციონალური მოძრაობის“, ისევე როგორც „ქართული ოცნების“ ინტერესში, ორპოლუსიანობის შენარჩუნებაა. ორივე ამისგან იღებს სარგებელს, მათ ეს აერთიანებთ. ეს არის „ნაციონალების“ დივიდენდი, მეტი არაფერი. იმისთვის, რომ ორპოლუსიანობა შეინარჩუნონ, ოპოზიციის მხარეს არ უნდა იყოს სხვა ძალა და „ნაცმოძრაობა“ მზად არის, საკუთარი მანდატებიც კი მისცეს სხვა პარტიის ლიდერებს პარლამენტში მოსახვედრად, რათა სხვა არ გაძლიერდეს, რამე არ გააკეთოს.

**— მოახერხებს ამას ვაშაძის პარტიაში გაერთიანებით?**

— ეს უკვე დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებენ დიდ ბაზარზე გასვლას, რასაც ჰქვია ამომრჩეველი, რომელსაც არ უნდა არც წარსული, „ნაცმოძრაობის“ სახით, და არც აწმყო, „ოცნების“ სახით. ასეთი ძალიან ბევრია. ამიტომ პარტიულმა სპექტრმა შესაბამისი შეთავაზება უნდა გააკეთოს, რათა დაარწმუნოს ეს ხალხი, რომ აზრი აქვს მათზე არჩევანის გაკეთებას.

**— ოპოზიციური სპექტრის შეთავაზება ჯერ მხოლოდ ის არის, რომ არ აპირებენ „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებას. ეს საკმარისია თუნდაც იმისთვის, რომ საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ? გარდა იმისა, რომ ამბობენ, არ ვერთიანდებითო, მათი ნარატივი და მესიჯბოქსი „ნაცმოძრაობის“ იდენტურია. ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა აჩვენონ საზოგადოებას საკუთარი განსხვავებულობა?**

— „ნაციონალებთან“ გაერთიანებაზე უარი ნამდვილად სწორი პოლი-

კვირიდან კვირამდე

## უზბეკეთის პრემიერი საქართველოში

საქართველოს უზბეკეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აბდულა არიპოვი ეწვია, რომელსაც საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა უმასპინძლა. „მსურს კიდევ ერთხელ დავუდასტურო ჩემს ძვირფას კოლეგას, რომ ძალზე ვაფასებ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობას, რომელიც მუდმივად ვითარდება და უზბეკეთის პრემიერის დღევანდელი ვიზიტიც ამის დადასტურებაა“, — განაცხადა ღარიბაშვილმა შეხვედრის შემდეგ.

აბდულა არიპოვმა ქართველ პრემიერს გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა ლოგიკური გაგრძელება იყო ქვეყნებს შორის იმ დიალოგის, რომელიც შარშან დაიწყო



უზბეკეთში ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტისას. „საქართველოში ჩამოსვლის პირველივე წუთებიდან ვიგრძენით ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და გულწრფელი პატივისცემა“, — განაცხადა აბდულა არიპოვმა.

## პოლონეთის ელჩი დაიბარეს

17 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში კლინიკა „ვივამედში“ ინციდენტის გამო პოლონეთის ელჩი დაიბარეს. რადგან მარიუშ მაშკიევიჩი პოლონეთში იმყოფებოდა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ელჩის მოვალეობის შემსრულებელი მარიუშ პიეტრჟაკი მივიდა.

შეგახსენებთ, ქართული მხარის ინფორმაციით, პოლონელმა ექიმმა ქვეყნის მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისგან აღებული ნიმუშების გატანა მალულად სცადა. უწყებამ შესაბამისი ვიდეოკადრებიც გაავრცელა. სამინისტროს ინფორმაციით, ბატონ ჟაკთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ აღნიშნა, რომ პოლონელ მედიკოსთა მისიაში შემავალი ერთ-ერთი ექიმის საქციელი გაუგებრობას, შეშფოთებას იწვევს და მთელ პროცესს სანდოობას უკარგავს. სამინისტროსვე ცნობით, თავის მხრივ, პოლონელმა დიპლომატმა აღნიშნა, რომ იგი არ არის ინფორმირებული, თუ რამ გამოიწვია პოლონელი ექიმის საქციელი.

მოგვიანებით განცხადება გაავრცელა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელშიც უწყება იმედოვნებს, რომ თანამშრომლობა უცვლელად გაგრძელდება. „თბილისში, „ვივამედის“ კლინიკაში, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან პოლონელი ექიმების ვიზიტის დროს, რომლის მიზანი იყო ყოფილი პრეზიდენტის დახმარება, მოხდა შეთანხმებასთან შეუსაბამო, განუზრახველი და გაუთვალისწინებელი ინციდენტი, რაც დაუყოვნებლივ გაირკვა ადგილზევე და შემდეგ განიმარტა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას“, — წერია განცხადებაში.

# პრემიერობა, მაგრამ...“

> „ხალხს მხოლოდ ის კი არ აინტერესებს, რომ ხელისუფლება ცუდია. გავიგე, რომ ცუდია, და შენ რომ კარგი ხარ, ახლა ამაში დამარწმუნე – ანუ ნეგატივს უნდა დაამატო პოზიტიური დღის წესრიგი



ტიკაა და არც უნდა გაერთიანდნენ. ამით ვერაფერს იხეირებენ.

რაც შეეხება იმას, საკმარისია თუ არა, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. მათ საკუთარი იდენტობა აქვთ საპოვნელი, პოზიტიური დღის წესრიგი სჭირდებათ. ხალხს მხოლოდ ის კი არ აინტერესებს, რომ ხელისუფლება ცუდია. გავიგე, რომ ცუდია, და შენ რომ კარგი ხარ, ახლა ამაში დამარწმუნე — ანუ ნეგატივს უნდა დაამატო პოზიტიური დღის წესრიგი, რომელიც მომავალზე იქნება ორიენტირებული და უპასუხებს ხალხის პრობლემებს. გარდა იმისა, ხელისუფლება პრორუსია თუ არა, ხალხს აწუხებს ბევრი სხვა რამეც, სოციალური, ეკონომიკური პრობლემები და ა.შ. ასე რომ, ეს დღის წესრიგი უნდა შექმნან, ხალხს ეს ყოველივე აუხსნან. ტელევიზორებიდან კი არ უნდა დამოძღვრონ, არამედ ელაპარაკონ.

— **რამდენი ხანია, სულ ამაზეა ლაპარაკი და რატომ ვერ ახერხებენ ამის გაკეთებას?**

— არ ვიცი, რა გითხრათ. შესაძლოა კლიმატის ბრალია — ახლა ცხელა და ხომ უნდა დაისვენონ, ზღვაზე ხომ უნდა წავიდნენ. მერე შემოდგომაზე წვიმები დაიწყება და წვიმაში ხომ არ ივლიან გარეთ. მერე ზამთარი მოვა, ზამთარში ცივა, გაზაფხულზე სეტყვა იცის და ასე გრძელდება წლიდან წლამდე.

— **„ნაციონალების“ გარდა, ჩანს გახარიას გუნდი და „ლელო“. ითქვა, რომ გახარიასთან „ქართული ოცნებიდან“ წამოსულები გაერთიანდებიან. საუბარია იმაზეც, რომ „ლელოსთან“ მელია და „ნაციონალებიდან“ წამოსულები გაერთიანდებიან. ეს გაერთიანებები მართლა რომ შედგეს, შეძლებენ ე.წ. მესამე ცენტრის შექმნას, რათა ამ ორმა კონკურენცია გაუწიოს, ერთი მხრივ, „ოცნების“ პოლუსს და მეორე მხრივ, „ნაცებს“?**

— გახარიას სერიოზული გუნდი ჰყავს. მათ „ქოცებს“ ვერ დავუძახებთ, რადგან ესენი უფრო ფუნქციონერები იყვნენ. სახელმწიფო სამსახური თავისთავად პარტიულობას არ გულისხმობს. ამიტომ ვამბობ, რომ სერიოზული გუნდია, მაგრამ რამდენად მოახერხებს იმ ქრონიკული პრობლემების გადაწყვეტას, რაც გახარიას გადმოჰყვა თავისი წინა სტატუსიდან გამომდინარე და რაც ოპოზიციური ამომრჩევლის თვალში სერიოზულ ხარვეზად ითვლება, ეს მოგვიანებით გამოჩნდება. რაც შეეხება დასახელებულ პირებს, რომ გახარიასთან მიდიან, არა მგონია, ამან გახარიას გუნდს რამე ან მოუმატოს, ან დააკლოს. ვერ ვხედავ აქ ისეთ სუბიექტებს, ვისაც პულსი ესინჯება. არც ერთ გამოკითხვაში არ ჩანან.

— **იმისთვის, რომ გახარიამ შექმნას მესამე ცენტრი, რა სჭირდება?**

— გახარიამ შეიძლება შექმნას მესამე ცენტრი. როდესაც ჩვენ ალტერნატიულ ცენტრებზე ვლაპარაკობთ, ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ეგრევე ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ. ის ე.წ. მიზიდულობის ცენტრები, რომლებიც 5%-იან ბარიერს გადალახავენ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მომავალ პოლიტიკურ ბატალიებში და გახარიასთვის ამ ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რეალისტურია. რა თქმა უნდა, თუ ის სწორ გზას იპოვის ამ კამპანიის დროს. „ლელოსაც“ აქვს კოზირები, რადგან რესურსები პოლიტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. „ლელო“ კი, ბევრი სხვა პარტიისგან განსხვავებით, ამ რესურსებით უზრუნველყოფილია. აქედან გამომდინარე, „ლელოს“ აქვს ამის შანსი, მაგრამ შანსს გამოყენება სჭირდება. ასე რომ, ვნახოთ, ჯერ ყველაფერი წინ არის.

— **თუკი „ლელოსთან“ გაერთიანდებიან მელია, „ნაცმოძრაობიდან“ წასული ხალხი და პლუს ჯაფარიძე და ხოშტარია, ეს რამდენად მომგებიანი იქნება პოლიტიკური პროცესებისთვის?**

— პარტიების გაერთიანება პრობლემას ვერ გადაწყვეტს, რადგან საბოლოოდ ამომრჩეველი აკეთებს არჩევანს და, თუკი კომუნიკაცია არ დაიწყეს ხალხთან, პოლიტიკური ელიტა რაც არ უნდა გადაჯგუფდეს და გადმოჯგუფდეს, რა მნიშვნელობა აქვს? როგორც არ უნდა დაჯგუფდნენ პარტიები, მთავარია, რკინის ქალამნები ჩაიცვან, ხალხში გავიდნენ და დაარწმუნონ, რომ მათ ხმა მისცენ. ეს არის ფორმულა. ჩვენს პოლიტიკურ ელიტას აქვს ილუზია, რომ თუ იპოვიან, ასე ვთქვათ, ერთად დასხდომის ფორმულას, პრობლემას გადაწყვეტენ, მაგრამ ძალიან ცდებიან, არ არის ასე. 1%-იანი პარტიები რაც არ უნდა გაერთიანდნენ, ხალხთან გასასვლელი თუ ვერ იპოვეს, შედეგი რა იქნება? არაფერი. უნდა ჩავიდნენ რეგიონებში და ხალხს ელაპარაკონ, და არა სპორტულ დარბაზებში იარონ და სიმძიმეები ათრიონ.

— **თუ მართლა ვაშაძე დაასახელეს პრემიერობის კანდიდატად, ეს რისი მაჩვენებელი იქნება?**

— არ დაასახელებენ, ეს აბსურდია. მესმის, რომ ვაშაძეს ძალიან უნდა პრემიერობა და მხოლოდ დღეს კი არა, მგონი, ბავშვობიდან, მაგრამ ეს მხოლოდ მისი სურვილია. როდესაც პატარა პარტია დიდს უერთდება, დიდმა ამ პატარა პარტიის თავმჯდომარე ან ვინმე იქიდან, რატომ უნდა დაასახელოს? პოლიტიკაში ასეთი რალაცები არ ხდება, მაგრამ უნდა ამ კაცს და რა ქნას.

— **ამ გაერთიანებამდე გვარამია გამოჩნდა „ნაცმოძრაობის“ ლიდერობის ყველაზე პოტენციურ კანდიდატად. ვაშაძის გაერთიანება ხომ არ იყო გვარამიას წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი?**

— მეც ასე მგონია. ამ ყველაფერში გვარამია შემაკავებელი ფაქტორი ნამდვილად არის, რადგან თვითონ „ნაცმოძრაობის“ ინტერესებში, რა თქმა უნდა, იყო, რომ გვარამია გამხდარიყო პარტიის თავმჯდომარე. რატომ? იმიტომ, რომ გვარამიაა ერთადერთი ფიგურა, რომელსაც შეუძლია ამ ორად გაყოფილ პარტიაში კონსოლიდაციის ელემენტი დააბრუნოს. კი ბატონო, შესაძლოა სწორედ გვარამიაზე ეჭვიანობა იყო ამ პროცესების ფორსირების მიზეზი. შესაძლოა არც იყო, რადგან ზუსტად არ ვიცით. მე უბრალოდ იმას ვამბობ, ლოგიკურად რა ეჭვებიც ჩნდება.

— **ვაშაძემ ხაზგასმით თქვა, რომ მას კეზერაშვილთან დიდი ხანია ლაპარაკიც კი არ ჰქონია, მაგრამ „ნაცმოძრაობაში“ გაერთიანება შეათანხმა სააკაშვილთან.**

— არც ეს არის რამე ახალი. ახლა ვინც შეიკრიბა, სწორედ სააკაშვილზე პარაზიტირებაა, ხაბეიშვილი იქნება თუ ის ხალხი, ვინც მის გუნდს განეკუთვნება. მათ ხომ თავისი პოლიტიკური კაპიტალი არა აქვთ და პარაზიტირებენ სააკაშვილზე, ისევე როგორც მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა პარაზიტირებს ბიძინა ივანიშვილზე. ერთგვარი პოლიტიკური პარაზიტების კასკადი შეიქმნა ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც. რეალურად ამ ორ პოლუსზე ხომ ორი კაცია — მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. სხვა არავინ არ არის და არც არავის უშვებენ. აი, ნიკა გვარამია რომ გამოჩენილიყო, ის თავისთავად თვითმყოფადია, რაღაც წონაც აქვს და შეცვლიდა რეალობას. ზუსტად ამიტომ არ უშვებენ, ის არავის უნდა. მიშასაც კი. რად უნდა მეტ-ნაკლებად თანაზომადი პოლიტიკური ფიგურა გაჩნდეს მის პარტიაში? არ უნდა, ეჭვიანობს და ურჩევნია, ხაბეიშვილი ჰყავდეს, რომელიც ტრენაჟორზე დარბის, ნაცვლად იმისა, რომ წინ იაროს.

— **ბოლო დროს სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვას აანონსებდა. ახლა ისევ სამკურნალოდ გადაყვანის ვერსიაზეა გადასული. უკავშირდება ამ ყველაფერს ის, რაც „ნაცმოძრაობაში“ ხდება?**

— დაიბნა კაცი, აღარ იცის, რა ქნას. მისთვის მთავარია ციხიდან გაუშვან. ეს სურს ყველაზე მეტად. ადამიანურად მესმის მისი, ვის უნდა ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა, მით უმეტეს, ისეთ ადამიანს, როგორიც მიშა სააკაშვილია, რომელიც დღეში, მგონი, ას კილომეტრს გადიოდა ფეხით. მისთვის ძალიან რთულია ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა და ამიტომ ხან ასე მოსინჯავს, ხან ისე და ამ ამბავშია.

— **ეტყობა, გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ასეთი ქმედებები მის იმიჯზე უფრო ნეგატიურად აისახება? ცხადია, მის, ასე ვთქვათ, ფანებს არ ვგულისხმობ. რომც მოხდეს და გაუშვან, შეძლებს ქართულ პოლიტიკაში და თუნდაც საკუთარ პარტიაში ძველი გავლენის დაბრუნებას?**

— მას არ აინტერესებს საზოგადოების დამოკიდებულება. მან იცის, რომ ჰყავს თავისი მრევლი, რომელიც მისგან ყველაფერს აიტანს და ყველაფერზე ტაშს დაუკრავს. თანაც მან ხომ არ იცის, გარეთ რა ხდება და მასთან შესულები რას ეუბნებიან, ხომ წარმოგიდგენიათ?

— **ბოლო დღეებში აქტუალური იყო სააკაშვილთან შესული პოლონელი ექიმის სკანდალი. „ოცნება“ ამბობს, რომ ექიმებს სააკაშვილის მონაცემების გაყალბება უნდოდათ, „ნაცმოძრაობა“ კი ისევ იმაზე აპელირებს, რომ ამ ექიმს კანონი არ დაურღვევია და წინდების ჯიბეების ნაცვლად გამოყენება მისი ჩვევაა. თქვენ როგორ გგონიათ, რა მოხდა?**

— არ ვიცი. ძალიან უცნაური ამბავია. ვერც ვხვდები, რა ხდება. ბუნებრივია, ნიმუშების გაყალბებაზე ეჭვი ჩნდება. თუმცა ერთი რამის თქმა შემიძლია — თავად იმ ჩანაწერის გამოქვეყნება, როგორ ჩხრეკენ ექიმს, არ მოსულა. ასეთი რაღაცები, როგორც წესი, არ ხდება. ცხადია, ამ ჩანაწერის გამოქვეყნება ჩვენს საზოგადოებაზე ზემოქმედების ცდა იყო. ცხადია, „ოცნებას“ შეეძლო ყველაფერი ეთქვა, რაც ილაპარაკეს კიდეც, მაგრამ ჩანაწერის გამოქვეყნება არაეთიკური იყო. შესაძლოა ის ექიმი მართლა ძალიან ცუდად მოიქცა, მაგრამ როდესაც შენს მეგობარ ქვეყანასთან გაქვს საქმე, რომლის კეთილგანწყობაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, ასეთი ფორმით პასუხი, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია და ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამაზიანებელია. რაში სჭირდებოდათ გამოქვეყნება, ეთქვათ და ეგ იქნებოდა! თუ ამ ხელისუფლებას თავის თავში იმდენად ეპარება ეჭვი, რომ იფიქრა, არ დავიჯერებდით?

*რუსა მაჩაიძე*

> „1%-იანი პარტიები რაც არ უნდა გაერთიანდნენ, ხალხთან გასასვლელი თუ ვერ იპოვეს, შედეგი რა იქნება? არაფერი. უნდა ჩავიდნენ რეგიონებში და ხალხს ელაპარაკონ, და არა სპორტულ დარბაზებში იარონ და სიმძიმეები ათრიონ

## „შინ დაბრუნება“



სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო კომიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით ორმხრივი, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო მექანიზმის ეგიდით უგზო-უკვლოდ დაკარგული 13 იდენტიფიცირებული პირის გადმოსვენება მოხერხდა, მათგან 4 სამხედრო და 9 მშვიდობიანი მოქალაქეა. შეიარაღებული მოქმედებების დროს დაღუპულთა სამოქალაქო პანაშვიდი ორი დღის განმავლობაში სამების საკათედრო ტაძარში მიმდინარეობდა. მათგან 1 მებრძოლს დიდმის ძმათა სასაფლაოზე სამხედრო პატივით, დანარჩენები კი ოჯახების გადაწყვეტილებით სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის საგვარეულო სასაფლაოებზე დაკრძალეს. სამოქალაქო პანაშვიდზე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობის წევრები მივიდნენ და ოჯახებს მიუსამძიმრეს.

## ხაბეიშვილ-ვაშაძის „გამარჯვების პლატფორმა“

20 ივლისს „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ განაცხადეს. პარტიები 2024 წლის არჩევნებისთვის პოლიტიკური გაერთიანების საკითხზე კონსულტაციებს რამდენიმე კვირის განმავლობაში მართავდნენ. „დღეიდან „სტრატეგია აღმაშენებელთან“ ერთად გვექნება რუსული პარტიის, ბიძინა ივანიშვილის დამარცხების საერთო სტრატეგია... „ნაციონალური მოძრაობა“ არის ყველაზე დიდი ევროპული პარტია და ჩვენ, მივიღეთ კონკრეტული გადაწყვეტილება, რომ პროდასავლური პარტიების პლატფორმაზე გაკეთდეს გამარჯვების პლატფორმა“, — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე. „კარი ღიაა ყველასთვის გამარჯვების პლატფორმაში, რომელსაც ჩვენ ვქმნით, ღმერთი ჩვენკენ, დიდება საქართველოს“, — განაცხადა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერმა გიორგი ვაშაძემ. მისი თქმით, პლატფორმის მთავარი საზრუნავი იქნება ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრების დაჩქარება, საქართველოს მოქალაქეები და მათი პრობლემების მოგვარება.

## სახელმწიფო ყურძენს კვლავ დაასუბსიდირებს

მთავრობის ადმინისტრაციაში 2023 წლის რთვლის მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა და მისი ორგანიზებულად ჩატარებისთვის სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, აუცილებელია მევენახეებმა მოსავლის რეალიზაცია კარგ ფასად შეძლონ და კიდევ უფრო გაძლიერდეს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ბოლო წლების სტაბილური განვითარების დინამიკა. შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებით, რთვლის სუბსიდირება 2023 წელსაც გაგრძელდება, სახელმწიფო ყურძენს 20 თეთრით დაასუბსიდირებს და 1 კგ თეთრი ყურძნის ფასი მინიმუმ 90 თეთრი იქნება.

ექსკლუზივი

# სკანდალური ინტერვიუ უკრაინის დაზვერვის ყოფილ შეფთან





***უკრაინის საგარეო დაზვერვის სამსახურის ყოფილი თავმჯდომარე, არმიის გენერალი, ნიკოლაი მალომუჟი „კვირის პალიტრას“ უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიაზე, საბჭოთა კა-გე-ბეს მუშაობის პრინციპებსა და სხვა თემებზე ესაუბრა.***

— უკრაინის სამხედრო ძალებმა ბოლო 5-6 თვის განმავლობაში უდიდესი სამუშაო გასწიეს. ეს ეხება ტერიტორიების გათავისუფლებას, ასევე, მოწინააღმდეგის რეზერვების განადგურებას განსაკუთრებით, ბახმუტის, ავდეევკის, უჰლედარის, შახტარის, კრემენოეს, ზაპოროჟიეს, მელიტოპოლის, ტოკმაკის მიმართულებით. სწორედ ამგვარმა შედეგებმა გააჩინა კონტრშეტევის პერსპექტივა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბახმუტის ბრძოლებმა, სადაც „ვაგნერის“ ე.წ. დიდება, რომელიც რუსულმა პროპაგანდამ ცამდე აიყვანა, გაცამტვერდა. თუმცა ვერც სიმართლეს დავემალებით — საჰაერო მხარდაჭერა კონტრშეტევითი ომისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სამხედრო გამოცდილების მქონე გენერლებს, ბენ ჰოჯესსა და დეივიდ პეტრეუსს, რომელიც ერაყსა და სხვა ქვეყნებში ბრძოლებს მეთაურობდა, ესმით საჰაერო მხარდაჭერის მნიშვნელობა, ამიტომაც მხარს უჭერენ უკრაინისთვის F-16-ებისა და EF-18-ის გადმოცემას. უკრაინაში ომი სხვა მასშტაბისაა. ჩვენს არმიას კარგად შეიარაღებულ და რიცხვმრავალ მოწინააღმდეგესთან უწევს ბრძოლა. რამშტაინზე ონლაინშეფასებებისას ითქვა, რომ ამ ვითარებაში უკრაინელი ძალებისთვის წინსვლა მარტივი არ არის, თუმცა მაინც გვაქვს.

**ვილაცებს ეგონათ, კონტრშეტევა ელვისებრი იქნებოდა. სისულელეა, ასეთ ომში ასობითკილომეტრიანი წინსვლის გჯეროდეს, როდესაც შენი ქვეყნის ტერიტორიაზე 350-380-ათასიანი ძალაა კონცენტრირებული.**

მოკავშირეები ეფექტურ კონტრშეტევას ელოდებიან, მაგრამ ამისთვის სათანადო შეიარაღება, ტექნიკა, საბრძოლო მასალაა საჭირო. გათვლილზე 5-6-ჯერ მეტი, რათა შეტევა უწყვეტ რეჟიმში წარიმართოს და რამდენიმე მიმართულებით სტაბილურად წავიწიოთ წინ, ისე, რომ რუსულმა ძალებმა ერთი ადგილიდან მეორეზე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გადასროლა ვერ შეძლონ. ჩვენ კი კონტრშეტევის, მტრის ზურგის, ლოჯისტიკის განადგურების პარალელურად, დანაღმული ტერიტორიების გაწმენდასაც შევძლებთ. კრიტიკა, თითქოს რაღაცას არაეფექტურად ვაკეთებთ, არაკომპეტენტურობასა და უსამართლობასთან ერთად, პოლიტიკურად შეუსაბამოა.

**ისიც გასათვალისწინებელია, რომ რუსეთის ატომური იარაღით შანტაჟის გამო დასავლეთში ვილაცები გაუბედავად მოქმედებდნენ და ამ ბარიერსაც, ეტაპობრივად ვუმკლავდებით. ნატოს სამიტზე გადაწყდა, რომ საჰაერო მოიერიშეებსა და შორი დამიზნების საბრძოლო საშუალებებს უახლოეს ხანებში გადმოგვცემენ. საფრანგეთი გრძელ რადიუსზე მოქმედ ბალისტიკურ რაკეტებს დაგვპირდა, აშშ — „კასეტურ“ შეიარაღებას, რასაც რამდენიმე ევროპელი პარტნიორი უკმაყოფილოდ შეხვდა — ამ საბრძოლო მასალების გამოყენება აკრძალული აქვთ, თითქოს მათ არ იცოდნენ, რუსეთი ამ ბომბებს ჩვენს წინააღმდეგ თვეებია რომ იყენებს. გვაქვს ინფორმაცია, რომ აშშ გრძელ რადიუსზე მოქმედ არტილერიას, ATACMS-ს გადმოგვცემს, რაც ძალიან დაგვეხმარება.**

ჩვენები ახლა ბახმუტის მიმართულებით ცდილობენ გადაადგილებას. სამხრეთსა და ჩრდილოეთით რუსულ შეიარაღებულ ძალებზე იერიში ძალიან მნიშვნელოვანია. ბახმუტის აღებას პუტინისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მის დიდ ნაწილს აკონტროლებენ, თუმცა სრულად მაინც ვერ აიღეს. მისი დაკარგვა პუტინის რეჟიმისთვის უდიდესი დარტყმა იქნება, ისევე, როგორ ყირიმის ხიდზე დარტყმა... ამიტომაც გვჭირდება 300 კმ მანძილზე მოქმედი შორი რადიუსის რაკეტების მარაგი, რომლის მოწოდებაც უკვე დაიწყეს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა. თუ თუნდაც რამდენიმე თვეში F-16-ებიც დაგვემატება, სიტუაცია შეიცვლება.

**ვვარაუდობთ, რომ მილიონიან არმიას შევკრებთ — ამაში შედის შეიარაღებული ძალები, ეროვნული გვარდია, სპეცდანიშნულების რაზმები, რომლებიც ნატოს სტანდარტებით არიან მომზადებული და აღჭურვილი, ეს კი დიდი ძალაა.**

**— ფიქრობთ, რომ სამხედრო პროცესებს უკრაინული მხარე მართავს?**

— ასეა. ფრონტის ხაზი 1250 კილომეტრზეა გადაჭიმული, მაგრამ რუსები მის გაკონტროლებას ვერ ახერხებენ, ჩვენ ტერიტორია უკეთ ვიცით და სუსტი წერტილების პოვნასაც ვახერხებთ. საკმარისი სამხედრო რესურსის შემთხვევაში, გაგრძელდება ერთ წერტილში შეტევის იმიტაცია, მოქმედებას კი სხვა მიმართულებით დავიწყებთ. ასე თანდათან შევძლებთ სუსტი ადგილის პოვნას, კონტრშეტევისთვის. ბახმუტი იქნება თუ ავდეევკა, მას შემდეგ, რაც მოწინააღმდეგე ძალების კონცენტრაციას დაიწყებს, უკრაინული მხარე მათ ცოცხალ ძალას, სამხედრო ტექნიკასა და ლოჯისტიკაზე იერიშს მიიტანს. ამისთვის არის საჭირო საჰაერო ძალები, მაგრამ მანამდე გვაქვს ძლიერი ანტისაჰაერო თავდაცვა, „პატრიოტები“, „ისკანდერი“... თუმცა ამასობაში რუსეთის სარაკეტო თავდასხმებს, ყოველდღიურად ეწირებიან უდანაშაულო ადამიანები, ქალები, ბავშვები...

**2022 წლის 24 თებერვალს, როდესაც რუსეთი თავს დაგვესხა, მაშინვე ვიცოდი, რომ დამარცხებოდა. როცა ხალხი მტრის წინააღმდეგ ერთიანდება, მოძალადე ვერასდროს იმარჯვებს. საბჭოთა კავშირი დამარცხდა ავღანეთში, ფინეთში, აშშ-იც დამარცხდა ვიეტნამში. დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა, არ შეცვლილა მხოლოდ რუსული პროპაგანდის გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე — დერჟავისთვის ყველაფერი გამართლებულია.**

რუსეთის ხელისუფლება იყენებს მედიას, ინტერნეტრესურსებს... პროპაგანდა მუშაობს სკოლებში, სახელმწიფო სამსახურებში, საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ისე, როგორც ფაშისტურ გერმანიაში, მასებს სჯერათ, რომ ხელისუფლება მათი კეთილდღეობისთვის იბრძვის, ჩაგრულ ერებს ეხმარება, რომელთაც დასავლეთი განადგურებას უქადის, რომელიც დიდი საბჭოთა რუსეთის დასანგრევად ჯერ კიდევ საბჭოთა წლებიდან იყო ჩასაფრებული. რუსეთი კი საბჭოთა კავშირის ღირსეული სამართალმემკვიდრეა.

**ამ იდეოლოგიით გაამართლეს 2008 წელს საქართველოზე, შემდეგ კი უკრაინაზე დარტყმა — ხალხს ჩვენთან ყოფნა სურს, მათ პროდასავლურ ხელისუფლებებს კი რუსეთის დაშლა უნდათო. შოვინიზმი ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი. „ძლევამოსილ რუსეთს“ შვილებს, ძმებს სწირავდნენ... ეს არის პროპაგანდის ეფექტი. დონბასისა და ლუგანსკის რუსულენოვან მოსახლეობას ეუბნებოდნენ, კიევის ხელისუფლება უკრაინული ენის არცოდნის გამო დაგხოცავთო. რაც უფრო პრიმიტიულია პროპაგანდა, ადამიანების ნაწილი მით მარტივად იჯერებს. ჯერ პანიკა დათესეს, შემდეგ მის დასამუშავებლად მოსკოვსა და პეტერბურგიდან ოპერმუშაკები წარგზავნეს. 600 ათასამდე ეფ-ეს-ბეს თანამშრომელი ჰყავდათ ჩანერგილი.**

რუსეთის ხელისუფლება საბჭოთა სივრცეს თუ ვერ აღადგენს, ცდილობს ყოფილი რესპუბლიკები მასზე დამოკიდებული მაინც გახადოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობით, უსაფრთხოებით. როგორც კი საქართველომ დასავლური გეზი აიღო, 2006 წელს, ახალი წლის დღეებში, რუსეთმა გაზი გადაუკეტა, ასევე მოექცა შემდეგ უკრაინასა და ევროპის ქვეყნებსაც.

**პუტინი შეპყრობილია — რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნის ნატოს და დასავლეთთან თანამშრომლობა მის პირად თავმოყვარეობაზე გადის, იცის, რომ მოსახლეობის თვალში რეიტინგს დაკარგავს — ნატო ჩვენს საზღვრებთან ბალისტიკურ რაკეტებს, ატომურ ელექტროსადგურებს ან ბიოლოგიური იარაღს ათავსებს (რაც აბსურდია) და რას ვაკეთებთო, ჰკითხავენ. ასეთი განწყობები კი აგრესიის სტიმულს აძლევს. არაფრად აგდებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, მორალს. მოსახლეობა ხომ მხარს უჭერს.**

უკრაინაზე თავდასხმამდე კრემლში ეგონათ, რომ ევროპა დეზორიენტირებული და უუნაროა, უკრაინას ჯარი არა ჰყავს და რაც ჰყავს, 70-80% პუტინის მომხრეა, ისე, როგორც მოსახლეობაო. მათი გეგმის მიხედვით, კიევის აღების შემდეგ გაქცეული ოპოზიცია დაბრუნდებოდა და რუსეთთან ერთად ჩამოაყალიბებდა პარლამენტს.

**სპეცსამსახურები პუტინს იმ ინფორმაციას აწვდიდნენ, რისი მოსმენაც მას სურდა. როდესაც დასავლეთი ჩვენს მხარეს დადგა, ბაიდენი, შოლცი და სხვა მსოფლიო ლიდერები უკრაინის დახმარებაზე ალაპარაკდნენ, რუსული პოლიტელიტა მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო...**

**— ფიქრობთ, დასავლეთი გამოფხიზლდა?**

— უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპა არის ისეთი, როგორიც არის. თუმცა როგორც იქნა, გააცნობიერეს, რომ პუტინთან მხოლოდ ძალის ენით შეიძლება ლაპარაკი.

**ევროპელ კოლეგებს ვეუბნები, ორი არჩევანი გაქვთ — პუტინის ბანკროტი ან გაძლიერებული რუსეთი, რომელიც ატომური იარაღით მსოფლიოს აშანტაჟებს, აირჩიეთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ამერიკამ, ევროპულმა ქვეყნებმა, თურქეთმა, ინდოეთმა, ჩინეთმა, იაპონიამ გააცნობიერეს, რომ მსოფლიო მშვიდობის წინა პირობა რუსეთის დამარცხებაა, რაც განვითარების პერსპექტივებს გააჩენს საქართველოსთვის, მოლდავისა და უკრაინისთვის. თუ ომი გაიყინა, საფრთხეები მიძინებული დარჩება და რუსეთი, როცა მოუნდება, გაააღვიძებს.**

პუტინს ეს ყველაზე მეტად აწყობს. ცდილობს მოსახლეობა გატეხოს, დასავლეთი დააშანტაჟოს, დრო გაიყვანოს. ფრონტის ხაზზე მარცხის მისაჩქმალად მშვიდობიან მოსახლეობას ბომბავს, იერიში მიიტანა ოდესის პორტზე, საწვავის საწყობი ააფეთქა, ყველა გემს, რომლებიც შავი ზღვის აკვატორიაში უკრაინის პორტებისკენ გაემართებიან, სამხედრო ტვირთების პოტენციურ გადამტანებად აცხადებს; გააჩერა „მარცვლეულის შეთანხმება“, რომლის დახმარებითაც უკრაინამ ქვეყნის გარეთ მილიონობით ტონა მარცვალი და ხორბალი გაიტანა. ახლა გაერო მსოფლიოში საკვების ფასების ზრდას მოელის, აფრიკაში კი უფრო მეტი ადამიანი იშიმშილებს... ასეთი რუსეთი დასავლეთის ლოიალური პოლიტიკის შედეგად მივიღეთ. სხვანაირი არც არასდროს ყოფილა, მაგრამ ევროპა ცდილობდა მისთვის სახის შენარჩუნებას. საქართველოში, მოგვიანებით კი უკრაინაში დაღვრილი სისხლის შემდეგ არჩევანი არ დარჩათ. პუტინის რუსეთი ჰიტლერის გერმანიას ჰგავს როგორც საგარეო, ისე შიდა პოლიტიკით. პრიგოჟინის ბუნტი ჰიტლერის წინააღმდეგ მოწყობილ უმაღლეს ოფიცერთა ამბოხს ჰგავს. ახლა პუტინს ორი საყრდენი ჰყავს: — შოიგუ და გერასიმოვი, რომლებიც მედიაში კრემლის პოლიტიკას ახმოვანებენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თუ პუტინს დასჭირდება, ხვალ ისინი გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდებიან. როგორც ამბობენ, ამ გზას უკვე გაუყენეს საჰაერო-კოსმოსური ძალების მეთაური, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე სუროვიკინი, მისი მოადგილე იუდინი, სამხედრო დაზვერვის უფროსის მოადგილე ალექსეევი, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი მიზინცევი. პუტინის გარემოცვაში არიან ისეთები, ვინც ომის გაგრძელების მომხრეა, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც მიიჩნევს, რომ რუსეთის გადარჩენისთვის მშვიდობა აუცილებელია. მათ არ იციან, ომის დასრულების მერე რა ბედი ეწევათ. პუტინის საფლავში ჩაყოლა არავის უნდა. ძალაუფლების შესანარჩუნებლად დასავლეთთან კომუნიკაციაა საჭირო. რუს ოპოზიციას ამ ეტაპზე არა აქვს მხარდაჭერა, რომ მართვის სადავეები ხელში აიღოს. ეს იციან პატრუშევმა,

**„საბჭოთა სისტემას თავისი კადრების სრული ნდობა უნდა ჰქონოდა, ძალიან დიდი შრომას დებდა მათში. მხოლოდ ინფორმაციის მოგროვება კი არა, უფრო მნიშვნელოვანი დავალებებიც ჰქონდათ, მაგალითად, თავიანთ ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები, ლიდერობა და სხვ... ამიტომ კადრი სისტემაზე სრულად იყო დამოკიდებული. ჩვენ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კადრების შერჩევა გვევალებოდა. ამ სიაში აღმოჩნდნენ მიხეილ სააკაშვილი და პეტრო პოროშენკო... არსებობს საკითხები, რომლებსაც დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს და იურიდიულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. თუკი ამას სამართლებრივი სახე მიეცემა, აუცილებლად ვისაუბრებ... საქართველოში, დამოუკიდებლობის 30-წლიან ისტორიაში, ლუსტრაციის კანონი რომ მიეღოთ, კითხვაზე პასუხი თავადაც გექნებოდათ...**

**„სააკაშვილმა გასაუბრება გაიარა, რეკომენდაციები მიიღო და საქართველოში გაემგზავრა, თუმცა იქ უკვე არეულობა იყო, ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდნენ...“**

ბორტნიკოვმა, მიშუსტინმა და სხვა ოლიგარქებმა და ალტერნატიული გუნდის შექმნას ცდილობენ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ქვეყანაში სტაბილურობას შეინარჩუნებს. შესაძლოა დასავლეთი გარანტიებსაც შეჰპირდეს. არც მას უნდა ზედმეტი თავსატეხი, ბირთვული იარაღით შანტაჟი და მსგავსი „სიურპრიზები“. ატომური იარაღით მანიპულირება გაგრძელდება უკრაინის ომის დასრულებამდე. იქნება პროვოკაციები, თითქოს უკრაინა აპირებს პროვოკაციას ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურზე, თუმცა დასავლეთი ფლობს ინფორმაციას, ვის შეუძლია მისი დანაღმვა.

— **პრიგოჟინი ცალკე თავსატეხია თუ მისი ბელარუსში გადასვლით პუტინმა ორი საქმე ერთად გააკეთა?**

— პრიგოჟინი მიხვდა, რომ ხელისუფლება „ვაგნერიდან“ მის განდევნას აპირებს. იცის, რომ გაყიდეს. ყველამ ზურგი შეაქცია, იმ გენერლებმაც, რომლებიც მხარს უჭერდნენ და ამბობდნენ, პუტინის უგუნური პოლიტიკით დავიღალეთო. პრიგოჟინის საპროტესტო მარშის დროს ყველა ბუჩქებში შეიმალა. რუს გენერლებს ასე სჩვევიათ, როგორც კი საფრთხეს იგრძნობენ, ნეიტრალურ პოზიციას იჭერენ. ნაწილმა ეფ-ეს-ბეს წნეხს ვერ გაუძლო. მიხვდა, რომ პრიგოჟინს არ ჰქონდა ისეთი მხარდაჭერა, სიტუაცია ემართა... მოკლედ, შოიგუმ აჯობა. სპეცსამსახურებმა იმ „ვაგნერელებზე“, რომლებიც რუსეთში დარჩნენ და ხელისუფლების პირობებს დათანხმდნენ, სრული კონტროლი აიღო. თუმცა ბელარუსის მიმართულებით რეგულარულად დაფრინავს პრიგოჟინის კუთვნილი თვითმფრინავი, რომელსაც „ვაგნერელები“ ბელარუსში მიჰყავს. 2500-მდე უკვე გადაიყვანეს...

პუტინს თითქმის ყველა გეგმა ჩაუვარდა. ნდობა დაკარგა, „მეფემ“ თავისი სისუსტე აჩვენა; არმია დემორალიზებულია; ყველამ იცის, რომ შოიგუს შეპირებული ახალი არმია და სამხედრო კორპუსის მშენებლობა ზღაპარია. ეს ყველაფერი ხდება უდიდესი სამხედრო დანაკარგების ფონზე. მხოლოდ ბახმუტ-სოლედარში 22 ათასზე მეტი კონტრაქტორი, „ვაგნერელი“, მოხალისე პატიმარი დაიღუპა. ასე რომ, სამხედრო ტექნიკის მიღების შემთხვევაში, რამდენიმე თვეში ომში მნიშვნელოვანი გარდატეხა გარდაუვალია.

— **სხვა თემაზეც გკითხავთ — 1980-იანი წლებიდან მუშაობდით სსრკ-ისა და უკრაინის სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანოებში, 1997-1998 წლებში იყავით უკრაინის უშიშროების სამსახურის ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაცვის განყოფილების უფროსი. 80-იანი წლების მიწურულს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სწავლობდა, უშიშროების სამსახურის კურატორი იყავით და პერსპექტიული კადრების შერჩევაზე მუშაობდით. თქვენს სიაში ის რა კრიტერიუმებით მოხვდა?**

— მხოლოდ კიევში არა, მაშინ წამყვან უნივერსიტეტებში ყოველთვის იყო უშიშროების წარმომადგენლობა ახალი კადრების შესარჩევად. ტარას შევჩენკოს სახელობის უნივერსიტეტი საბჭოთა სივრცეში ძალიან მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა. რადგან საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა ფაკულტეტები ჰქონდა, იქ 102 ქვეყნის წარმომადგენელი ირიცხებოდა, მხოლოდ სოციალისტური რესპუბლიკებიდან კი არა, ამერიკის, ევროპის, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, მთლიანობაში, 2500-მდე სტუდენტი, მაგისტრანტი და ასპირანტი, რაც ძალიან კარგი ბაზა იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კადრების შესარჩევად. მათ უნდა ჰქონოდათ გამორჩეული, მრავალმხრივი უნარები, ორატორული ნიჭი, სიტუაციის სწრაფად შეფასების, გადაწყვეტილების მიღების უნარი. სრულყოფილად სცოდნოდათ საერთაშორისო სამართალი, აუცილებელი იყო, სულ ცოტა, ორი ენის ფლობა, რათა უცხოეთში მივლინების შემთხვევაში თავისუფლად ემოქმედათ. თუმცა მანამდე მრავალმხრივ შემოწმებას გადიოდნენ, სამედიცინოს, ფსიქოლოგიურს და ა.შ. საბჭოთა სისტემას თავისი კადრების სრული ნდობა უნდა ჰქონოდა, ძალიან დიდ შრომას დებდა მათში. მხოლოდ ინფორმაციის მოგროვება ან სხვა მსგავსი დავალება კი არა, უფრო მნიშვნელოვანი დავალებებიც ჰქონდათ, მაგალითად, თავიანთ ქვეყნებში პოლიტიკური ცვლილებები, ლიდერობა და სხვ... ამიტომ კადრი სისტემაზე სრულად იყო დამოკიდებული. ჩვენ დაზვერვისა და კონტრდაზვერვის კადრების შერჩევა გვევალებოდა. ამ სიაში აღმოჩნდნენ მიხეილ სააკაშვილი და პეტრო პოროშენკო.

სიმართლე გითხრათ, საბჭოთა ქვეყნებიდან დიდი არჩევანი არ იყო, განსხვავებით, უცხოეთის ქვეყნებიდან, არადა, დაზვერვის კადრები რესპუბლიკებშიც საჭირო იყო. იმ ეტაპზე ისინი დაზვერვის მეთოდოლოგიას, სპეციფიკას სწავლობდნენ. მაღალი განათლება მთავარი მოთხოვნა იყო. ყველა მზვერავი ვერ ხდებოდა, ანუ ამ უნარებს ყველა ვერ ავითარებდა. ამიტომ კადრების შერჩევა, შესაძლებლობების მიხედვით ხდებოდა. საბჭოთა წლებში ყველა სტუდენტს ვსწავლობდით, ნაწილი ვერ გახდა მზვერავი, ამიტომაც სხვადასხვა მიმართულებით წავიდნენ, ზოგი შეიხი გახდა, ზოგიც პრემიერ-მინისტრი, ან პრეზიდენტი...

— **მაგალითად, სააკაშვილი და პოროშენკო?**

— სააკაშვილს სხვა მოცემულობა ჰქონდა, საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა შეუშალა ხელი, თან სააკაშვილი და პეტრო პოროშენკო იმ პერიოდში სწავლობდნენ, როდესაც უკვე საბჭოთა სისტემა მორყეული იყო, გორბაჩოვმა პერესტროიკა გამოაცხადა, რასაც რესპუბლიკებში წლების განმავლობაში დაგროვილი თავისუფლების სურვილის ამოხეთქა მოჰყვა... თუმცა, დიახ, სააკაშვილი განიხილებოდა დაზვერვის მომავალ თანამშრომლად. მასა და პოროშენკოსთან უკრაინული სპეცსამსახურები მუშაობდნენ, რომლებიც კა-გე-ბეს ექვემდებარებოდნენ. ეს იყო საბაზისო ეტაპი. როგორც ვთქვი, საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, ამიტომაც ისინი უკრაინის უშიშროების სამსახურმა გადაიბარა. სააკაშვილმა გასაუბრება გაიარა, რეკომენდაციები მიიღო და საქართველოში გაემგზავრა, თუმცა იქ უკვე არეულობა იყო დაწყებული. ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები ხელისუფლებაში მოსასვლელად ემზადებოდნენ.

— **ვინ უნდა დახვედროდა სააკაშვილს?**

— არავინ დახვედრია, რადგან ქვეყანაში უკვე არეულობა იყო და ეს ადგილობრივ სისტემაზეც აისახა, ფუნქცია თითქმის დაკარგული ჰქონდა. დაბნეული იყვნენ, არ იცოდნენ და რა როგორ შეიცვლებოდა, მათ რა ბედი ეწეოდათ, ვის მხარეს დადგებოდნენ... ამ სიტუაციაში სააკაშვილს ვისთვის უნდა ეჩვენებინა რეკომენდაცია? უკრაინული მხრიდან ყველამ მიიღო რეკომენდაციები იმ ვარაუდით, რომ იქ დახვდებოდნენ კოლეგები, მაგრამ საქართველოში ეროვნული მოძრაობა გუგუნებდა და არავინ იყო, ვინც მიიღებდა...

თუმცა ამ კითხვას ჩემს ქვეყანაში, ადგილობრივი ჟურნალისტი რომ მისვამდეს პოროშენკოზე ან სხვა პირზე, ვინც კიევის უნივერსიტეტის სიაში იყო, ვერც მაშინ ვუპასუხებდი, რადგან არსებობს საკითხები, რომლებსაც დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს და იურიდიულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ. თუკი ამას სამართლებრივი სახე მიეცემა და სასამართლოს გადაწყვეტილება იქნება, აუცილებლად ვისაუბრებ. სხვა შემთხვევაში, ამის პუბლიკაცია არაკორექტული და არაკომპეტენტური იქნება, განსაკუთრებით, როდესაც დამოუკიდებელ სახელმწიფოზე, ამ შემთხვევაში, საქართველოზე ვსაუბრობთ, რომელმაც რამდენჯერმე გადაიტანა რუსეთის სამხედრო აგრესია. თუმცა დარწმუნებული ვარ, საყრდენი მაინც ჰყავს, რომელიც ბოლო ძალებით იბრძვის ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური მომავლის ჩასაშლელად. სამაგიეროდ, საქართველოს ჰყავს ახალი თაობა, რომელმაც საგარეო კურსზე მკაფიო პოზიცია დააფიქსირა. მოკლედ, საქართველო ახლა გარდამავალ პერიოდს გადის. ქვეყნის საზოგადოება ძალზე პოლარიზებულია და ეს მის ევროპისკენ სწრაფვას აზიანებს. ამიტომ ამ ვითარებაში სიტუაციის გამწვავება, კორექტულად რომ ვთქვათ, არამეგობრული იქნება. საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას საერთო მტერი ჰყავთ.

საქართველოში, დამოუკიდებლობის 30-წლიან ისტორიაში, ლუსტრაციის კანონი რომ მიეღოთ, რომელიც საბჭოთა წარსულის ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, კითხვაზე პასუხი თავადაც გექნებოდათ. დაზვერვის კადრების მომზადებაში ყველა ქვეყანაში დიდი ფული იხარჯებოდა. თითოეულს 4-5 წლის განმავლობაში ამზადებენ.

ხშირად ურევენ ერთმანეთში აგენტებსა და „გავლენის პირებს“, რაც სხვადასხვა რამეა. აგენტი ვალდებულია ნებისმიერ ფასად შეასრულოს უწყების დავალება, უნდა ეს თუ არა, მისი პირადი ინტერესები იკვეთება თუ არა. ის სრულად კონტროლდებოდა, დაზვერვას ეკუთვნოდა და მორჩა. არსებობდნენ ორმაგი აგენტებიც, ისინი, ვინც რუსეთისა და აშშ-ის დავალებებს ასრულებდნენ. დაზვერვის აგენტურა ძალიან რთული და ჩახლართული თემაა და შეიძლება სრულიად მოულოდნელ, წარმოუდგენელ პერსონებს გადააწყდე. აგენტები მხოლოდ პოლიტიკაში, შსს-ში ან თავდაცვაში კი არა, ყველგან იყვნენ (და არიან): კულტურის, განათლების, ხელოვნების, ლიტერატურის, სამედიცინო სფეროში. ისეთი პირები, ვის სიტყვასაც პატივს სცემენ, ასევე, საზოგადოებისთვის თითქმის შეუმჩნეველი ადამიანებიც. ზოგ შემთხვევაში ცალკეულ პერსონებს ძალიან მარტივი დავალება ჰქონდათ — ვინმეს „გაშავება“. თუმცა მე მაინც საერთაშორისო იურისტები და ადამიანის უფლებათა დამცველები მაოცებდნენ, რომლებიც რუსული (შესაძლოა აშშ-ისიც) სპეცსამსახურების საფარქვეშ ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობდნენ, პარალელურად კი, სხვადასხვა პირზე ინფორმაციას აგროვებდნენ. შემდეგ მათთან მუშაობას სპეცსამსახურები იწყებდნენ... ეს ძალიან დიდი ჯაჭვური სისტემა იყო. „გავლენის პირებს“ ჰქონდათ არჩევანის უფლება. ზოგ შემთხვევაში, მათი გვარებიც კი არ ვიცოდით, კოდური სახელები ჰქონდათ. ზოგჯერ რუსულ სპეცსამსახურებთან ისინი უფრო აქტიურობდნენ, ვიდრე ოფიციალური აგენტები. ზოგს მართლა სჯეროდა, რომ სასარგებლო საქმეს ემსახურებოდა, მისი ქვეყნისთვის ასე ჯობდა და ანგარების ან სარგებლის გარეშე ჯაშუშობდა.

აგენტის დავალება და საქმიანობა ძალზე მრავალფეროვანია — თუ აგენტი ვერ ასრულებს პოლიტიკურ დავალებას, ის მუშაობს სავაჭრო, ეკონომიკური, საზოგადოებრივი მიმართულებით. მაგალითად, თუ პოლიტიკური ბმა, კავშირი ვერ ხერხდება, ანუ რუსეთს გავლენის ქვეყანაში პოლიტიკური შესაძლებლობები ამოწურული აქვს, ის ცდილობს ეკონომიკური, სავაჭრო არხები გაჭრას, ოღონდ ეს სწორად უნდა შეფუთოს, თუ საჭიროა მუშაობას გუნდური ფორმა მისცეს, ანუ სანდო კადრებით საზოგადოებრივი აზრი შექმნას. თუ ერთი მიმართულება არ გაამართლებს, ყოვნდება და საჭირო მომენტს ელოდება, რათა სხვაგვარად იმოქმედოს. უამრავი დეტალია. ერთი სიტყვით, სპეციფიკა არ შეცვლილა — ისინი ცდილობენ ხელმძღვანელი პირების გარემოცვაში მოხვდნენ და შიგნიდან იმუშაონ, ლობირებენ რუსეთისთვის სასარგებლო საკითხებს. არის სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი თემები, რომლებიც არ უნდა გავიდეს, საზოგადოებას ისე უნდა მიაწოდონ, რომ ჩაიშალოს. აუცილებელი არ არის, მხარედ იყვნენ წარმოდგენილი, სპეციფიკურად მუშაობენ, ნეიტრალური პოზიცია უჭირავთ. მომხრეებს პოულობენ აზრის გასავრცობად. ამ ყველაფერს დიდი ფინანსები სჭირდება, რაც ჰქონდათ კიდეც. პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, უკრაინაში, დეპუტატებსა და მინისტრებში, ასევე, უშიშროების სამსახურებში, მათ შორის ხელმძღვანელ პოზიციებზე, რუსეთის არაერთი აგენტი იყო.

— **გამოდის, ექსპრეზიდენტის გარდა, სხვა ქართული გვარებიც შეგხვედრიათ.**

— სისტემა ისე იყო შექმნილი, რომ შესაძლოა ერთ ოჯახში რამდენიმე წევრი ყოფილიყო აგენტი, ისე, რომ ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ. ეს მათი არჩევანი არ ყოფილა. თუმცა ზოგი აგენტის საქმიანობას წინსვლისთვის იყენებდნენ... ჩემი თაობის მკითხველი კარგად გაიგებს. ვიღაცები ახლა რეჟიმის რომანტიზებასაც ცდილობენ, რაც საშინელებაა... დროთა განმავლობაში აგენტები იცვლიან მუშაობის მეთოდებს. უკრაინის მაგალითზე შეიძლება ვისაუბროთ. რუსეთის სპეცსამსახურების გადაბირებული აგენტები ცდილობდნენ გავლენა ჰქონოდათ ქვეყნის პოლიტიკურ, სავაჭრო, ეკონომიკურ საკითხებზე, საგარეო კურსზე. მოგვიანებით ეს შეეხო ევროპულ და ევროატლანტიკურ მომავალს, საზოგადოებაში უნდა დაენერგათ ნიჰილიზმი, თითქოს იქ არავინ გველოდება, არ ვჭირდებით, ამასობაში კი რუსეთი, რომელიც გვინდა თუ არა, ჩვენი მეზობელია, გადავიმტერეთ და ამან კარგი არაფერი მოგვიტანა. ეს მეთოდი ახლაც კარგად მუშაობს.

*ლალი პაპასკირი*



**„დიახ, სააკაშვილი განიხილებოდა დაზვერვის მომავალ თანამშრომლად, მასა და პოროშენკოსთან უკრაინული სპეცსამსახურები მუშაობდნენ, რომლებიც კა-გე-ბეს ექვემდებარებოდნენ“**

პოლიტიკურ ლაბირინთში

# „გვარამიას თემა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაშიფრული. ის, ალბათ, ელოდება, ბაზალეთის ტბიდან როდის ამოიტანენ აკვანს“



*ვაშაძე-ჯაფარიძე-ხოშტარიას სამეულიდან, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ დიდი მიზნები ჰქონდა, ვაშაძემ ისე გადაინაცვლა „დიდ ავიაციაში“, უფრო სწორად, დაუბრუნდა, რომ ეს მიზნები არც გახსენებია. სხვათა შორის, არც ის, რასაც ის და სააკაშვილი ამ წლების განმავლობაში ერთმანეთზე ამბობდნენ. სამაგიეროდ, ხაზეიშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე ახალ მიზანზე ილაპარაკეს და თქვეს, რომ პროდასავლური პარტიების ფლანგზე ქმნიან „გამარჯვების პლატფორმას“ და მისი კარი ღიაა ყველასთვის. თუმცა ამ „ღია კარში“ მისი სამეულის წევრებიც კი არ შედიან. გასაგებია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ბარიერს გადალახავს და მათთან გაერთიანებულ ვაშაძეს პარლამენტში ადგილი გარანტირებულად ექნება, თუმცა ამ გაერთიანებამდე წინა პირობად თავად მისი პრემიერობის კანდიდატობას ასახელებდა. რამდენად შესრულდება მისი ეს სურვილი, ერთი მხრივ, და ეს „ნაცმოძრაობისთვის“ რისი მომტანი იქნება, მეორე მხრივ კი, გაერთიანების შექმნა იმ ძალასთან, რომელსაც ბარიერის გადალახვის პრობლემა არა აქვს, რას აძლევს დანარჩენ ოპოზიციურ სპექტრს, ამ საკითხებზე პოლიტიკის ანალიტიკოს* ***რამაზ საყვარელიძეს*** *ვესაუბრეთ.*

— საკმარისი რეიტინგი საიმისოდ, რასაც თვითონ ტრაბახობენ, არიქა, გავიმარჯვებთო, არც ერთს არა აქვს. რომ გაერთიანდებიან, კიდევ უფრო დააკლდებათ, იმიტომ, რომ ერთის გულშემატკივარი შეიძლება მეორის გულშემატკივარი არ იყოს. ოპოზიციურ სპექტრშიც ყველა არ დაუდგა გვერდით, ხოშტარიამაც კი უარი განაცხადა ამათთან გაერთიანებაზე და საეჭვოა, ამომრჩევლები გაერთიანდნენ. ამიტომ შეიძლება მხარდაჭერის თვალსაზრისით კიდევ უარესი სურათი მიიღონ, მაგრამ, ალბათ, კეზერაშვილის მხარდაჭერა უფრო მეტად აქვთ.

**— ვაშაძემ თქვა, რომ მას კეზერაშვილთან არც ულაპარაკია, სამაგიეროდ, სააკაშვილთან ჰქონია საუბარი და ის ერთიანობას მხარს უჭერს. არ არის ეს ნათქვამი დამაჯერებელი?**

— ადამიანი რომ გაიძახის, მე აქლემი არა ვარო, უნდა დაეჭვდე, რომ არის...

**— ხაზეიშვილის თავმჯდომარეობაში წამყვანი როლი კეზერაშვილ-მერაბიშვილმა შეასრულეს და ამას არც მალავდნენ, რასაც „ნაციონალებისა“ და მათი მომხრეების ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია. ვაშაძის მათთან გაერთიანება, რომელიც აქცენტს სააკაშვილზე აკეთებს, „ნაცმოძრაობაში“ რეალობას შეცვლის?**

— მათ ამომრჩევლის განწყობა რომ აინტერესებდეთ, მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისევ ამგვარი ლოზუნგებით, გადავაგდოთ ივანიშვილიო, მხარდამჭერებს დიდად ვერ მოიპოვებენ. ერთი მხრივ, ყველა არჩევნებმა, მეორე მხრივ, სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ „ოცნება“ ლიდერობს. და მესამე — ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომ პროსახელისუფლებო ტელევიზიებს უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს და ეს ნიშნავს, რომ „ოცნებას“ მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ამის შემდეგ იძახო, ჩემი მიზანია, ივანიშვილი გადავაგდოო, ეს ხომ ნიშნავს, ამომრჩეველს უთხრა, არ მაინტერესებს, თქვენ რა გინდათ, მე ჩემსას მივერეკებიო. შედეგად კი ამომრჩეველი მობილიზდება, რათა ხელისუფლებაში ისევ „ნაცმოძრაობა“ არ მოვიდეს. ამის მიხვედრას დიდი ჭკუა არ უნდა, ამიტომ ვვარაუდობ, რომ მათ ამომრჩეველი არ აინტერესებთ. აინტერესებთ ის, ვინც მათ ფულს გადაუხდის ამ ლოზუნგის გამოყენებაში.

**— გვარამია ციხიდან რაც გამოვიდა, იყო მოლოდინი, რომ ის გახდებოდა „ნაცმოძრაობის“ ლიდერი. ვაშაძის მათთან გაერთიანების წინ ითქვა, რომ პრემიერობის კანდიდატი ის იქნება. ახლა ამბობენ, რომ ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ითქვა და ხომ არ ნიშნავს, რომ ეს გარკვეულწილად გვარამიას გასანეიტრალებლად გადადგმული ნაბიჯია?**

— ერთი ახლობელი მყავს, პოლიტიკა ძალიან აინტერესებს, თან გურულია, და იმან თქვა, ვაშაძე ხაზეიშვილის მაგივრად ხომ არ შემოჰყავს კეზერაშვილსო. თუკი პრემიერად ვაშაძეს აპირებენ, მაშინ ამ ერთიანი პარტიის თავმჯდომარეც ვაშაძე უნდა იყოს. ესე იგი, ხაზეიშვილის უფროსობა ჩაჰბარდება ისტორიას.

**— რა შანსია, რომ მათთან ერთად იყოს გვარამია, თუ ამის შემდეგ ის ახალი ძალის შექმნას შეეცდება, თუნდაც მელიას ფრთასთან, „ნაციონალებიდან“ უკვე წასულებთან, თუნდაც ჯაფარიძე-ხოშტარიასთან ერთად?**

— არ ვიცი, საამისოდ არც თვითონ გაუკეთებია რამე და არც ამათ. ამიტომ მგონია, რომ გვარამიას თემა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის გაშიფრული. ის, ალბათ, ელოდება, ბაზალეთის ტბიდან როდის ამოიტანენ აკვანს.

**— ოპოზიციის დანარჩენ ნაწილში რა არის მოსალოდნელი? მესამე ძალის შექმნის პრეტენზია „ლელოს“ ისევ აქვს, ძვრებია გახარიას ფლანგზეც და ამ ფლანგზე თუნდაც კიდევ ერთი გაერთინების შექმნის რა შანსია?**

**„ხოშტარიამაც კი უარი განაცხადა ამათთან გაერთიანებაზე და საეჭვოა, ამომრჩევლები გაერთიანდნენ“**

— პოლიტიკაში თავისებური კანონებია. ადამიანთა ფსიქოლოგიას ეყრდნობა, რომ ერთხელ დამარცხებული მეორედ იშვიათად გაიმარჯვებს. ამიტომ ყველა პოლიტიკოსი ერიდება მარცხს, რათა დამარცხებულის იარლიყი არ მიეწებოს. ოპოზიციურ ჯგუფებს, მათ შორის „ლელოს“, გახარიას, მელიას და ა.შ., დამარცხებულის იარლიყი უკვე აქვთ. ამიტომ საეჭვოა, რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი მიიღონ 2024 წლის არჩევნებში, მით უმეტეს, არაფერს განსხვავებულს არ ეუბნებიან ამომრჩეველს.

**— ამ სიტუაციაში, როდესაც ბარიერი 5%-იანია და ხელისუფლებას სჭირდება ვიღაცასთან კოალიციის შექმნა, ხელს შეუწყობს თავისი სატელიტების მიერ ამ ბარიერის გადალახვას ხომ? ასეთ ვითარებაში კი ოპოზიციის საერთო გაერთიანებაზე ან თუნდაც ფორმალურ ბლოკებზე კონცენტრირება რამდენად სწორია, ოპოზიციისთვის უფრო შედეგიანი ბარიერის დაწევა არ იქნებოდა? გასაგებია, რომ ხელისუფლება არ აკეთებს, მაგრამ არც ოპოზიცია იღებს ხმას. ამ თემაზე უფრო კონცენტრირებას ხომ შეიძლებოდა მეტი შედეგი ჰქონოდა?**

— აბსოლუტურად გეთანხმებით. ეს ოპოზიციისთვისაც უფრო კარგი იქნებოდა და საზოგადოდ, ქართული პოლიტიკისთვისაც. მე კი გეთანხმებით, მაგრამ ჩვენი ერთმანეთში თანხმობა არ შველის ამას. მაგრამ მართლა სურთ კი მრავალპარტიული პარლამენტი გვყავდეს? მგონი, არა. შესაძლოა, ერთი მხრივ, პარლამენტში მოხვედრა სურთ ლიდერებს და ისე ერთიანდებიან, რომ ლიდერების მეტი ვერც ვერავინ მოხვდეს. მეორე მხრივ კი შესაძლოა ის აინტერესებთ, ვინც ფულს იხდის რადიკალური ოპოზიციური განცხადებების გაკეთებაში.

**— დანარჩენ ოპოზიციას რა შანსი აქვს და როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?**

— მე როგორც ვიცი, რამდენიმე ჯგუფი ემზადება პოლიტიკაში აქტიურად შემოსასვლელად და დიდი შანსია, ამ ახალმა სახეებმა უფრო მეტი წარმატება მოიპოვონ.

**— ვის გულისხმობთ?**

— იმათ, ვინც თავს კონსერვატორებს ეძახიან.

**— ანუ ისევ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები? ფიქრობთ, რომ მმართველი პარტია რეალურად მუშაობს არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობის შექმნაზე?**

— კი, „ოცნების“ მხარდამჭერები უფრო არიან, ვიდრე „ნაციონალების“. 30 აპრილს რომ დიდი მიტინგი იყო, იმ შემადგენლობიდან გადადგეს პარტიისკენ ნაბიჯი და ისინი „ნაციონალების“ მხარდამჭერები ნამდვილად არ არიან. დანარჩენი ვნახოთ.

***რუსა მაჩაიძე***

# „მთავარია, ჩვენ წინ ვიაროთ, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“



*„ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობაა გამარჯვების პლატფორმა“, — ასე გამოეხმაურა „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე მასა და ლევან ხაბეიშვილს შორის გაფორმებული შეთანხმების შედეგად გამოწვეულ რეაქციას. შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური გაერთიანების შესახებ განცხადება პარტიების ლიდერებმა ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგალითად, კახა კალაძემ, ახალი პოლიტიკური ერთობა ორი ლუზერის გაერთიანებად შეაფასა. ამ ფაქტს არც ოპოზიცია შეხვედრია აღფრთოვანებით, ზოგიერთმა, მაგალითად, ხატია დეკანოიძემ ისიც კი განაცხადა, რომ თუ ამ ერთობამ არჩევნებამდე მიაღწია, მხოლოდ ის მოხდება, რომ „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრები „ნაციონალური მოძრაობის“ სიაში აღმოჩნდებიან, ეს არის და ესო. რას ფიქრობს თავად გიორგი ვაშაძე კოლეგების დამოკიდებულებასა და ერთობის გეგმებზე, ამას მასთან საუბრისას შევიტყობთ.*

## „ჩვენი და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობა სხვებისთვისაც მაგალითი უნდა იყოს“

— მე არავის უსამართლო კრიტიკას არ ვუსმენ და არც ვპასუხობ. სიმართლე ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ პოლიტიკური ერთობა გაარღვევს დღევანდელ მძიმე მოცემულობას. 2024 წლის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ მძლავრ პოლიტიკურ ორგანიზმს დამატებული ჩვენი სისტემურობა, გამარჯვების ქვაკუთხედი გახდება. მე ყველას წარმატებას ვუსურვებ და იმედია, სხვა კონსოლიდაციებიც მოხდება ოპოზიციურ ფლანგზე. ჩვენი ამოცანაა ახალ პირებს გავუხსნათ გზა პოლიტიკისკენ და გავიდეთ პირველ ადგილზე. 2024 წლის არჩევნებში მეორე ტური არ იქნება, ერთტურიანი არჩევნებია. ამასთან, შეგახსენებთ, რომ 2018 წელს ჩვენ საკმაოდ კარგი შედეგი მივიღეთ. ამჯერად უკეთესი იქნება.

**— შედგებოდა თუ არა ეს ერთობა, პარტიის თავმჯდომარე ისევ ნიკა მელია რომ ყოფილიყო?**

— ამის თქმა ახლა ძნელია. მთავარია, დღეს ეს ერთობა შედგა. ლევანთან ძალიან კარგი, სინერგიული ურთიერთობა მაქვს. თქვენ ძალიან მალე დაინახავთ, რომ საინტერესო და აქტიურ პროცესს შემოგთავაზებთ, ზუსტად ის იქნება, რასაც საზოგადოება ამდენ ხანს ელოდა.

**— რას გულისხმობთ?**

— დაუღალავ, მუშა პროცესს. ახლაც, როდესაც თქვენ გესაუბრებით, სამტრედიაში მივდივართ ერთად ამომრჩეველთან შესახვედრად.

**— ალბათ, უკვე შეგახსენეს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ კულუარებიდან მართავენ დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი.**

— კი, უკვე შემახსენეს! მე ერთი რამ ვიცი, ეს არის მიშა სააკაშვილის პარტია. მან უკვე გააკეთა განცხადება ამ ერთობის შესახებ, თქვა რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, მხარი დაგვიჭირა და ამით ყველა ეჭვი გაფანტა. მთავარია, ჩვენ წინ ვიაროთ, „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

**— თქვენ „ნაციონალური მოძრაობა“ არაერთხელ დაადანაშაულეთ შეთანხმების დარღვევაში, მახსოვს, მატყუარებიც უწოდეთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ეს თქვენი გულისწყრომა სააკაშვილს არ უკავშირდებოდა?**

— მაშინ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ბევრი შიდა დინება იყო. ამასთან, დღეს სხვა პოლიტიკური ვითარებაა ქვეყანასა და საზოგადოდ, რეგიონში. ძალიან რთული გეოპოლიტიკური არჩევანის წინაშე ვდგავართ. ასეთ ვითარებაში წარსულის აჩრდილებმა გონება არ უნდა დაგვიბნელოს და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს. ამას გარდა, „ნაციონალური მოძრაობის“ ახალ მენეჯმენტს უფრო ვენდობი, ძალიან ბევრ საკითხზე შევთანხმდით.

**— მათ შორის პრემიერობის კანდიდატის საკითხზეც?**

— როგორც პრემიერ-მინისტრის, ასევე სხვა საკვანძო თანამდებობების კანდიდატებს წინასაარჩევნოდ დავასახელებთ. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის მიმართ გამოხატავს ხალხი ნდობას. ყველაფერს სოციალური კვლევებისა და გამოკითხვის შედეგების მიხედვით გადავწყვეტთ. სხვათა შორის,

„ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთობის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებაც კვლევების შედეგად მივიღე. „სტრატეგია აღმაშენებლის“ ელექტორატისთვის სავსებით მისაღებია ეს გადაწყვეტილება.

**— ოპოზიციის ერთმა ნაწილმა უკვე შეიტანა ეჭვი თქვენს სანდოობაში, „ლელოს“ ერთ-ერთმა წევრმა, მაგალითად, ირაკლი კუპრავამ თქვა, რომ თქვენ მათ ერთობის შექმნას სთავაზობდით, მაგრამ იქ ახლა თავად აღარ ხართ.**

— „ლელოს“ წარმატებას ვუსურვებ. ერთი წლის განმავლობაში ველაპარაკებოდი „ლელოს“, ისევე როგორც სხვა პოლიტიკურ ძალებს. მე არ მიყვარს საქმის გაწელვა. მინდა ჩვენი და „ნაციონალური მოძრაობის“ ერთობა სხვებისთვისაც მაგალითი იყოს და დროულად მიიღონ გადაწყვეტილება.

**— „ლელოსთან“ რაზე ვერ შეთანხმდით?**

— ზოგადი საუბრების გარდა, არაფერი გვქონია.

**„ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამბიცია, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ და პოსტსაარჩევნო პერიოდში ვითანამშრომლოთ მათთან, ვინც ასევე მოიპოვებს ხალხის ნდობას“**

**— ანალიტიკოსები ხშირად ამბობენ, რომ ორპოლუსიანობა „ოცნების“ კოზირია, ვინაიდან ხალხს არჩევანის გაკეთება „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის უწევს, გადაწყვეტილებას ყოველთვის „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ იღებს. ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენ ხელი შეუწყვეთ ორპოლუსიანობის გაღრმავებას და შესაბამისად, არჩევნებში მმართველ გუნდს ფორა მიეცით?**

— არა! დღეს ჩვენი და „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორობა ორპოლუსიანობას კიდევ მეტად არ გააღრმავებს. დღევანდელი რეალობა სხვაგვარია. „ქართული ოცნება“ რუსეთის მხარესაა, ხოლო ჩვენ ცივილიზებული სამყაროს მხარეს ვართ და გვინდა საქართველო ცივილიზებული სამყაროს ნაწილი იყოს. მიხეილ სააკაშვილს აქვს ძალიან მნიშვნელოვანი როლი იმისთვის, რომ დასავლურმა ცივილიზაციამ გაიმარჯვოს. დარწმუნებული ვარ, ის ამ როლს შეასრულებს. მთავარი რამ, რაც „სტრატეგია აღმაშენებლისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ალიანსს „ძალა ერთობაშიას“ გაერთიანებისგან განასხვავებს, არის გარემო, რომელშიც ქვეყანა იმყოფება, რადგან ბრძოლა არა „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“, არამედ რუსულ და პროდასავლურ პოლუსებს შორისაა. „დღეს ერთმანეთს „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ კი არა, რუსული და პროდასავლური პოლუსები უპირისპირდებიან. რაც შეეხება იმას, თუ ვინ იქნება ჩვენ გვერდით, ჩვენი მიზანია პოლიტიკაში ბევრი ახალი და საინტერესო ადამიანი შემოვიყვანოთ. თუ პროდასავლურ ფლანგზე სხვა მიზიდულობის ცენტრებიც იქნება, ძალიან კარგია. ჩვენ ნამდვილად გვაქვს ამბიცია, რომ პირველ ადგილზე გავიდეთ და პოსტსაარჩევნო პერიოდში ვითანამშრომლოთ მათთან, ვინც ასევე მოიპოვებს ხალხის ნდობას.

***ხათუნა ბახტურიძე***

# „ვაშაძე ბარემ თვითგამოცხადებულ პრემიერად აღიარონ, ან „ნაციონალების“ გულების პრემიერად შერაცხონ“

***გიორგი ვაშაძე ცდება, სინამდვილეში „ნაციონალური მოძრაობა“ არის მარცხის ფორმულა, ვინც არ უნდა შეირთოს, ან ვისაც არ უნდა შეუერთდეს“, — ამბობს პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი.***

— ის პლატფორმა, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „სტრატეგია აღმაშენებელმა“ შექმნეს, „ქართული ოცნების“ გამარჯვებას შეუწყობს ხელს, „მოქალაქეებს“ კი მართლა გულწრფელად გვინდა, რომ 2024 წლის არჩევნებს რეალური ცვლილებებით შევხვდეთ. შესაბამისად, ხაზეიშვილის და ვაშაძის შემოთავაზებულ პლატფორმაზე ყოფნას არ ვაპირებთ. არც განვიხილავთ ამ საკითხს. ამ ფლანგზე ძალიან ბევრი გაურკვევლობა და უცნაურობა ხდება. მე, მაგალითად, დღემდე ვერ გავიგე, რატომ გაუშვეს მელია და რატომ მოიყვანეს ხაზეიშვილი. ისე კი ეს ძალიანაც კარგია, მას შემდეგ, რაც ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერი ლევან ხაზეიშვილია, „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან კომიკური გახდა. როგორც ჩანს, გრძელვადიანი გეგმებიც აქვთ, თუ როგორ უნდა გახდნენ უფრო სასაცილონი. არჩევნებამდე ჯერ კიდევ წელიწად-ნახევარია და უკვე შემოაგდეს თემა, რომ შეიძლება „ნაციონალური მოძრაობის“ პრემიერობის კანდიდატი გიორგი ვაშაძე იყოს. რა პრემიერი, რის პრემიერი?! ბარემ თვითგამოცხადებულ პრემიერად აღიარონ, ან „ნაციონალების“ გულების პრემიერად შერაცხონ.

აბსურდია, არაფერში წერია ის, რასაც ახლა „ნაციონალები“ აკეთებენ. კარგია, ასე გააგრძელონ!

**რაც ნაკლები ადამიანი მისცემს „ნაციონალებს“ ხმას და რაც მეტი სხვა ოპოზიციურ პარტიებს, მით უკეთესი იქნება ქვეყნისთვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი რეალური ცვლილებები, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გავუშვებთ „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებიდან.**

სანამ ხალხს „ნაციონალური მოძრაობა“ მიაჩნია მთავარ ოპოზიციურ ძალად და ჯიუტად აძლევს ხმას, მანამდე ვიქნებით ამ დღეში. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ამ პარტიაში სასაცილო და არასერიოზული ხალხია. შეიძლება ახლა ვინც ჩემს სიტყვებს წაიკითხავს, შემომიკურთხოს კიდეც, ერთი შენ ვის დაჰკარგვიხარ და ვისზე უკეთესი ხარო, მაგრამ არ დავეძებ, საკუთარ გონებაში გაიაზრონ, დაფიქრდნენ, ვინ არიან ამ პარტიაში მყოფი პირები.

**„ქართული ოცნების“ შეცვლის ერთადერთი შანსი „ნაციონალების“ ელექტორატის სხვა ოპოზიციურ პარტიებზე გადანაწილებაა.**

— **თქვენ როგორ ახსნით „ნაციონალების“ ელექტორატის სიჯიუტეს?**

— მე მაინც მგონია, რომ ხალხი ალტერნატივის მოლოდინშია და იმედიც მაქვს, რომ ეს ალტერნატივაც მალე გამოჩნდება.

— **რას გულისხმობთ, საიდან უნდა გამოჩნდეს?**

— ძალიანაც არ მეხალისება ამის თქმა, მაგრამ უნდა ვთქვა და მინდა იმ პოლიტიკური პარტიების ლიდერებმაც გაიგონ, ვისაც დღეს კუდი ყავარზე აქვთ გადებული. მე ვიცი, ეს მათაც კარგად იციან, უბრალოდ, არ ამბობენ. საქმე ის არის, რომ ჩვენ თუ ნამდვილად გვინდა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვება, ალტერნატიული ძალა უნდა შევქმნათ. ვგულისხმობ პროდასავლურ, ოღონდ მხოლოდ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც არც „ნაცები“ არიან და არც „ქოცები“.

**ქართველ საზოგადოებას რეალურად უნდა დავანახოთ, რა მოხდება, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებიდან წავა, რა შეიცვლება განათლების, ჯანდაცვის სისტემებში, ეკონომიკაში, თავდაცვაში, სოფლის მეურნეობაში... იცით, დღეს ხალხი ალტერნატივას რატომ ვერ ხედავს? იმიტომ, რომ ამ საკითხებზე არც ხალხს ველაპარაკებით და არც ერთმანეთს.**

ჩვენ ნამდვილად გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ალტერნატიული ძალა შევქმნათ, მთავარია, მოვინდომოთ.

**„ფეხქვეშ ვერავის გავეგები, მაგრამ დაველაპარაკები მათაც, ვისთანაც ნაჩხუბარი ვარ“**



**„ქართული ოცნების“ შეცვლის ერთადერთი შანსი „ნაციონალების“ ელექტორატის სხვა ოპოზიციურ პარტიებზე გადანაწილებაა“**

— **რა არის ამ ამბავში ხელის შემშლელი ფაქტორი?**

— ყველა პატარა ოპოზიციური პარტიის ლიდერმა იცის, რომ დაბალი რეიტინგი აქვს, მაგრამ ჰგონია, ხვალ ხალხი რომ გაიღვიძებს, თავისით შეიცვლის აზრს და მოწმენდილ ცაზე მას დაუჭერს მხარს. ეს რომ ასე არ არის, მე ვიცი, მე მგონია, სხვებმაც იციან, მაგრამ არ ვიცი, რატომ არ აღიარებენ.

— **გასაგებია, რომ „ნაცმოძრაობას“ და „ოცნებას“ გამორიცხავთ, დანარჩენი ოპოზიციიდან ვისთან ერთად შეგიძლიათ ალტერნატიული ძალის შექმნა?**

— არჩევნებამდე წელიწადზე მეტია დარჩენილი. ჩვენი საზრუნავი ჯერ არ არის გაერთიანება, მთავარია, ერთმანეთთან ლაპარაკი დავიწყოთ და ხალხი დავარწმუნოთ, რომ მხარდაჭერას ვიმსახურებთ. ძალიან მნიშვნელოვანია ბარიერის გადალახვა შევძლოთ. ჯერ არ ვიცით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მმართველი გუნდი ამ საკითხზე. ქვეყნის კეთილდღეობისთვის, რა თქმა უნდა, დაბალი ბარიერი ჯობს, პარლამენტი უფრო მრავალპარტიული იქნება და შესაბამისად, ხალხის ინტერესებიც მეტად იქნება გათვალისწინებული. თუმცა „ოცნების“ კეთილი ნების იმედად ვერ ვიქნებით! ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ მზადყოფნას ლაპარაკის დასაწყებად. უნდა ითქვას ისიც, რომ ძალიან მწარე გამოცდილება მივიღეთ ფანჩატურებსა და პოლიტიკურ აჯაფსანდალში მონაწილეობით. ამიტომ ახლა მხოლოდ იმ პარტიებთან ვილაპარაკებთ, რომლებთანაც ღირებულებითი ერთობა გვაქვს.

— **იქნებ დააკონკრეტოთ, ვინ არის ასეთი ძალა?**

— ვაშაძეს რაღა უნდა ველაპარაკოთ, „ნაციონალებს“ გაუერთიანდა და ღმერთმა ხელი მოუმართოს. რაც შეეხება სხვებს, იცით, მთავარი პრობლემა რა არის? ყველას დალანძღული გვყავს ერთმანეთი! რა ვიცი, პოლიტიკა საბავშვო ბაღი ხომ არ არის?! ალბათ, აჯობებს, პირადი წყენა და დამოკიდებულება გვერდზე გადავდოთ, რადგან ქვეყნის ბედი გვაქვს გადასაწყვეტი. მე ვამბობ, ფეხქვეშ ვერავის გავეგები, მაგრამ დაველაპარაკები მათაც, ვისთანაც ნაჩხუბარი ვარ.

— **ე.ი. მამუკა ხაზარაძეს გულისხმობთ?**

— მარტო მამუკა რატომ ახსენეთ, სხვებიც ბევრი მყავს ნალანძღი. არა მაქვს პრობლემა, დაველაპარაკები ყველას, ვინც ამისთვის მზად არის.

# „ნაციონალური მოძრაობა“ გამარჯვების კი არა, დამარცხების ფორმულაა“

**„ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ ამომრჩეველზეც, რომელიც წარსულში „ქართულ ოცნებას“ აძლევდა ხმას და უნდა დავარწმუნოთ, ის არ იყო სწორი არჩევანი“**

***„მე პირადად მიმაჩნია, რომ პარტიები შეიძლება საერთო ფასეულობებისთვისაც ერთიანდებოდნენ და კონკრეტული ამოცანებისთვისაც. დღეს ეს კონკრეტული ამოცანა ბიძინა ივანიშვილის დამარცხებაა. თუმცა მიმაჩნია, რომ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანება არც ერთი და არც მეორე მიზნისთვის არ ღირს“, — ამბობს „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი კაკო ბობოხიძე.***

***რატომ არ ღირს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანება და როგორია „ევროპული საქართველოს“ წინასაარჩევნო სტრატეგია, ამის შესახებ ბობოხიძე ვრცლად გვესაუბრება.***



— „ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანება იმიტომ არ ღირს, რომ არანაირი ღირებულება არ გააჩნია. ეს არის ძალაუფლებისთვის მებრძოლი პარტია. მისი ლიდერები ძალიან ხშირად უშვებენ საზოგადოებაში ერთმანეთის საწინააღმდეგო მესიჯებს ამომრჩევლის შესანარჩუნებლად. მათი უპასუხისმგებლო მოქმედება გაგრძელდება მანამ, ვიდრე ერთ დღეს ამომრჩეველი პასუხს არ აგებინებს.

**„ნაციონალური მოძრაობის“ არასწორი მესიჯები და ამ პოლიტიკური ჯგუფის მართული ტელევიზიები ქვეყანაში არაჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს ქმნიან“**

რაც შეეხება მეორე მიზეზს, მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება „ნაციონალური მოძრაობის“ გარეშე უბრალოდ შეუძლებელია, ოღონდ სწორად გამიგეთ — მე არ ვამბობ, რომ ივანიშვილის დამარცხება მხოლოდ „ნაციონალებს“ შეუძლიათ. ამ კაცის დამარცხება ცალ-ცალკე არავის არ შეუძლია. თითოეული ოპოზიციური ხმის მობილიზებაა საჭირო მის დასამარცხებლად. ე.ი.

**„ნაციონალური მოძრაობის“ ხმები საჭიროა ივანიშვილის დასამარცხებლად, მაგრამ ამ ამოცანის შესასრულებლად ამ პოლიტიკურ ჯგუფთან გაერთიანება არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს.**

უფრო მეტიც, ორიგინალური არ ვიქნები თუ ვიტყვი, რომ „ქართული ოცნება“ ყოველთვის საფრთხობელად იყენებს „ნაციონალებს“ და ამბობს, რომ თუ ის დამარცხდება, ხელისუფლებაში ისევ ისინი დაბრუნდებიან.

**„მხოლოდ ლეგენდაა და მეტი არაფერი, რომ „ნაციონალების“ მთავრობა ამერიკელებმა მოიყვანეს, ის მთავრობა კი რუსებმაო და ა.შ. ხალხის ნების გარეშე არაფერი არ ხდება!“**

სიმართლე ვთქვათ, ჩვენ გავერთიანდებით თუ არა, მმართველი გუნდი მაინც „ნაციონალებად“ მოგვნათლავს. თუმცა ერთია, როდესაც ხელისუფლება ცრუპროპაგანდას იყენებს და ჩვენ ხელს ვუშლით, და მეორე, როდესაც ჩვენც ვეხმარებით.

**ყველა კვლევა გვეუბნება, რომ საერთო ჯამში ოპოზიციას უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე მმართველ გუნდს, მაგრამ თუ ხალხს „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის არჩევანის გაკეთებას ვთხოვთ, მაშინ უპირატეს მდგომარეობაში „ქართული ოცნება“ აღმოჩნდება.**

გაიხსენეთ ბოლოდროინდელი არჩევნები, „ქართულ ოცნებას“ ყველა პირველი ტური ოპოზიციამ მოუგო, მაგრამ მეორე ტურში ვერც ერთხელ ვერ კონცენტრირდა საზოგადოება „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო. შესაბამისად, შემიძლია ვთქვა, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფი გამარჯვების კი არა, დამარცხების ფორმულაა. „ნაციონალური მოძრაობა“ ჩვენს ხმებს ვერ შეკრებს და ჩვენს გასაკეთებელს ვერ გააკეთებს, ჩვენ თავად უნდა შევკრიბოთ ჩვენ-ჩვენი ელექტორატი.

— **როგორ აპირებთ ამას?**

— ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ ამომრჩეველზეც, რომელიც წარსულში „ქართულ ოცნებას“ აძლევდა ხმას და უნდა დავარწმუნოთ, ის არ იყო სწორი არჩევანი. უნდა ვიმუშაოთ იმ ამომრჩეველზეც, რომელიც ადრე არც ინტერესდებოდა არჩევნებით. „ლელოს“ ან „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლის მოზიდვას არავითარი აზრი არა აქვს. ეს იგივეა, „თხა გავყიდე, თხა ვიყიდეო“. აი, ასეთია ჩვენი სტრატეგია.

ვფიქრობთ, რამდენიმე მიზიდულობის ცენტრი უნდა შეიქმნას და ხალხს ფართო არჩევანის საშუალება მივცეთ. ეს იქნება ნამდვილი გამარჯვების ფორმულა. „ნაციონალური მოძრაობის“ არასწორი მესიჯები და ამ პოლიტიკური ჯგუფის მართული ტელევიზიები ქვეყანაში არაჯანსაღ პოლიტიკურ გარემოს ქმნიან. არაჯანსაღ გარემოში ამოცანების არასწორად დასახვით ფონს ვერ გავალთ. ამ შემთხვევაში ძალიან გაგვიჭირდება ივანიშვილის დამარცხება.

**მარტო მმართველი გუნდი კი არ ამბობს, ჩვენ თუ დავმარცხდებით, „ნაციონალები“ მოვლენო, სააკაშვილიც იმავე აზრს ავითარებს, ხშირად უყვარს თქმა, ქართული პოლიტიკა მე და ბიძინა ვართო. სინამდვილეში, მომავალი არჩევნები „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ ან მიშასა და ბიძინა დაპირისპირების ასპარეზი არ უნდა იყოს.**

რა გამოდის, ხალხი რას აკეთებს, ჩვენ მხოლოდ სტატისტის როლში ვართ?! ამერიკელები და ევროპელები აქ ვერაფერს ვერ შეგვიცვლიან, თუ ჩვენ, თავად ხალხი არ მოვინდომებთ ცვლილებებს. მხოლოდ ლეგენდაა და მეტი არაფერი, რომ „ნაციონალების“ მთავრობა ამერიკელებმა მოიყვანეს, ის მთავრობა კი რუსებმაო და ა.შ. ხალხის ნების გარეშე არაფერი არ ხდება!

> **ჩვენ უნდა ვიმუშაოთ იმ ამომრჩეველზეც, რომელიც წარსულში „ქართულ ოცნებას“ აძლევდა ხმას და უნდა დავარწმუნოთ, ის არ იყო სწორი არჩევანი. უნდა ვიმუშაოთ იმ ამომრჩეველზეც, რომელიც ადრე არც ინტერესდებოდა არჩევნებით. „ლელოს“ ან „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლის მოზიდვას არავითარი აზრი არა აქვს. ეს იგივეა, „თხა გავყიდე, თხა ვიყიდეო“. აი, ასეთია ჩვენი სტრატეგია**

*მოამზადა ხათუნა ბახტურიძემ*

თვალსაზრისი

# რა თამაში დაიწყო რუსეთმა აფხაზეთში?!

*„აფხაზეთში ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ხდება, ყველაფერს ვერ ვიტყვი, მაგრამ მთავარ სათქმელს შეძლებისდაგვარად გადმოგცემთ“, — ამბობს უსაფრთხოების საკითხების ექსპერტი მამუკა არეშიძე. მისი ინფორმაციით, რუსული ოპოზიციის, კერძოდ, კონსერვატიული პარტიის წევრების აზრით, ბოლო 30 წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში, რუსეთის პოლიტიკა დამღუპველია. არეშიძის თქმით, რუსები მტკივნეულად განიცდიან საქართველო-თურქეთის ურთიერთობის გამყარებას, განსაკუთრებით ღელავენ აფხაზეთში თურქული ინვესტიციების გამო და გამორიცხული არ არის, კრემლმა ისეთი სვლები გააკეთოს, რომ აფხაზეთის მიწის ნაწილი ქართველების საკუთრებაში აღმოჩნდეს... ვინ შეიძლება იყვნენ ის ქართველები, რომელთა საკუთრებაში აფხაზეთის მიწები აღმოჩნდეს, ან რას მოითხოვს რუსეთი სანაცვლოდ, უსაფრთხოების ექსპერტი* **მამუკა არეშიძე** *უფრო ვრცლად გვესაუბრება.*







— დღეს მოსკოვში უკვე აქტიურად ლაპარაკობენ, რომ მათი პოლიტიკა საქართველოში იყო არაპროდუქტიული და დამღუპველი, რომ ქართველებთან მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკამ არ გაამართლა.

რუსი კონსერვატორული პარტიის წევრების თქმით, საქართველოსთან არასწორი მიდგომების, ანუ აფხაზეთისა და ცხინვალის დაკავების გამო დაკარგეს პლაცდარმი სამხრეთ კავკასიაში და თურქეთს რეგიონში აქტიურად დაბრუნების საშუალება მისცეს. რუსებს ძალიან აშფოთებთ სამხრეთ კავკასიასა და საერთოდ, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში თურქეთის ჰიპერააქტიურობა.

თურქეთი ისეთს არაფერს აკეთებს, რაც სხვებს არ გაუკეთებიათ. დასავლეთი, რუსეთი თუ ჩინეთი, ყველა ცდილობს ეკონომიკურ ექსპანსიას. დასავლეთი ამას ეფექტურად აკეთებს, ჩინეთიც ამ გზას დაადგა, რუსეთიც ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის, ფულის გაცემა არ უყვარს, მხოლოდ თუ მოჰპარავ. ამ საუკუნეში ექსპანსია მაინცდამაინც სამხედრო ინტერვენცია ხომ არაა? დიდი ქვეყნების მსგავსად, თურქეთიც ცდილობს ინტერესების გატარებას კავკასიაში და მათ შორის აფხაზეთშიც. სხვათა შორის, ერდოღანი ძალიან ჭკვიანურად მოქმედებს.

რაც შეეხება აფხაზეთში განვითარებულ ამბებს, იგეგმება კანონპროექტის მიღება, რომელიც აფხაზეთში 10 წლის განმავლობაში 30 000 ბინის აშენებას და უცხოელებზე მიყიდვას ითვალისწინებს. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ბიჭვინთის 180 ჰექტარი ტყის მასივიდან 120 უკვე წაიღეს რუსებმა და პროტესტის მიუხედავად აფხაზები ვერაფერს გახდნენ, ახალი პროექტები აფხაზი მოსახლეობის უკიდურეს შეშფოთებას იწვევს. ე.წ. პრეზიდენტი ბჟანია ამ ამბავს ასე ხსნის, აფხაზეთი დიდი ხანია ჩამოკიდებულია რუსულ ტრანშებზე, ბიუჯეტის დიდი ნაწილი მოსკოვიდან ივსება. ამიტომ ეს პროექტი ეკონომიკის განვითარებისთვის ულტერნატივო შესაძლებლობააო. აი, ამას ამბობენ ბჟანია და ე.წ. ხელისუფლების სხვა წევრები საჯაროდ, კულუარებში კი ამბობენ, რომ მოსკოვს ისინი ხელოვნურად ჰყავს ტრანშებზე ჩამოკიდებული და ეკონომიკის განვითარებაში მიზანმიმართულად არ დებს ფულს (ასეც არის). მათ ისიც იციან, რომ მათი ეკონომიკის განვითარება გამორიცხულია, რადგან რუსების გარდა, ფულს არავინ მისცემს, რუსეთი კი ფულს აძლევს, მაგრამ იმდენს არა, რომ ეკონომიკა განავითარონ და დამოუკიდებლად არსებობა შეძლონ. ამიტომ ამ პროექტს აფხაზები უყურებენ როგორც შემოსავლის წყაროს. აი, სწორედ აქ ჩნდება ძალიან საინტერესო დეტალი — ე.წ. პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული საზოგადოებრივი საბჭო ძალიან გააქტიურდა და ბჟანიას ოპოზიციაში ჩაუდგა. ამ საბჭოს წევრები ძალიან საინტერესო საკითხებზე ლაპარაკობენ. სხვათა შორის, იქ სამი თუ ოთხი კაცია და ყველა მათგანს მეგრული გვარი აქვს, ოღონდ ბევრ აფხაზზე უფრო აფხაზები არიან. მათ შორის ერთმა, ილია გუნიამ, საბჭოს სხდომაზე თქვა, რომ მოსკოველი ქართველები ვიღაცის დავალებით (ოღონდ ვისი, არ ამბობს) აპირებენ შეიძინონ ეს აპარტამენტები, აფხაზური მიწა და ამ ფორმით დაბრუნდნენ აფხაზეთშიო.

**„მოსკოველი ქართველები ვიღაცის დავალებით აპირებენ შეიძინონ აპარტამენტები, აფხაზური მიწა და ამ ფორმით დაბრუნდნენ აფხაზეთშიო“**

**— ეს სცენარი რეალურად მიგაჩნიათ?**

— რთული სათქმელია, მაგრამ ლოგიკას ნამდვილად ვხედავ. 2017-2018 წლებში ქართულ პრესაში, სახელდობრ რამდენჯერმე დაიბეჭდა სტატია, რომლებშიც საუბარი იყო იმის შესახებ, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაფანტული მდიდარი ქართველები, განსაკუთრებით ისინი, ვინც აფხაზეთიდან არიან, სიამოვნებით მიიღებდნენ მსგავს აქტივობაში მონაწილეობას. ეს კიდევ არ არის მთავარი, ბჟანია, რომელსაც ამ საკითხის გამო საკუთარ გუნდშიც კი გააფთრებული წინააღმდეგობა ხვდება, თავგამოდებით იცავს ამ პროექტის რეალიზების იდეას. აქტიურობს ინალ არძინბაც, რომელსაც, როგორც ჩანს, მოსკოვიდან აქვს დავალებული, რომ ეს პროექტი გაიტანოს. ჩნდება კითხვა, რა დროს ასეთი პროექტებია, როდესაც რუსეთი ერთ მილიარდ დოლარს ვერ შოულობს სამხედრო საჭიროებისთვის? მოსკოვში ახლა მართლა სერიოზულად დგას ეს პრობლემა. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ აქ რაღაც დიდი თამაში მიმდინარეობდეს. რუსეთმა აქტიურად დაიწყო საუბარი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე. ქართული მხარე ამის კატეგორიული წინააღმდეგია, მაგრამ საჯაროდ ჯერ არაფერს ამბობენ. ძალიან მნიშვნელოვან ამბავს გეტყვით — ჩემი ინფორმაციით, რუსი არაოფიციალური, მაგრამ ძალიან გავლენიანი პირებისგან არის წინადადებები, რომლებიც ქართული მხარისგან ჯერაც პასუხგაუცემელია. ეს მოცემულობა შეიძლება ვაჭრობადაც შეფასდეს, ვაჭრობა კი პოლიტიკაში ჩვეულებრივი ამბავია. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, თუ რაიმე დათმობაზე წავა აფხაზეთსა და ცხინვალთან დაკავშირებულ საკითხებზე, (რკინიგზის აღდგენა იქნება თუ გზის გახსნა) ისე, რომ საქართველომ დივიდენდები არ მიიღოს. ჩანს, რუსულ პოლიტიკურ ელიტაში ეს საკითხი კარგად ესმით და ლავირებენ.

რუსეთის ასეთი აქტიურობა მოწმობს, რომ ამჟამად საქართველოში „თაფლაკვერის“ პოლიტიკას უფრო აქტიურად იყენებენ, ვიდრე „მათრახის“ პოლიტიკას.

**— ე.ი. ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა დაიჯეროს, რომ რუსეთი საქართველოს სუვერენიტეტს აღიარებს?**

— გარწმუნებთ, რომ ამ თემაზე საუბრები ნამდვილად არის. ისიც შეიძლება ეს საუბრები, საუბრებად დარჩეს, ვინაიდან რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პუტინის მეთაურობით, ისეთ ჩარჩოებშია მოქცეული, რომ ახლებურ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს.

**„რუსული პოლიტიკური ელიტის ერთმა ჯგუფმა აქტიურად დაიწყო საუბარი, რომ რუსეთის საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკა მცდარია“**

**— მაშინ რისთვის არიან მზად რუსები, რა დონეზე გაუშვებენ ხელს აფხაზეთს?**

— რუსები საერთოდ არ არიან მზად იმისათვის, რომ აფხაზეთს გაუშვან ხელი. ჩვენ უნდა მოვემზადოთ. ისინი ახლა ბჭობენ, ფიქრობენ, ვერსიებს განიხილავენ. ხომ გითხარით, რუსული პოლიტიკური ელიტის ერთმა ჯგუფმა აქტიურად დაიწყო საუბარი, რომ რუსეთის საქართველოსთან დაკავშირებული პოლიტიკა მცდარია. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, რომ მთელი პოლიტიკური სპექტრი ასე ფიქრობდეს. ჩვენ უნდა მივიყვანოთ საქმე ამ კონდიციამდე სხვადასხვა ხერხით. რეგიონშიც უნდა ვიმუშაოთ და რეგიონს მიღმაც.

**— შესაძლებლად მიიჩნევთ, რომ თურქეთის გაზრდილი ინტერესები ჩვენს რეგიონში, მათ შორის აფხაზეთში, ქართულმა მხარემ სავაჭროდ გამოიყენოს?**

— ჯერ კარგად უნდა დავფიქრდეთ, გვაწყობს თუ არა რუსეთთან ვაჭრობა.

**— ანუ ვაჭრობა ჯერ არ არის დაწყებული?**

— ვფიქრობ, ვაჭრობა დაწყებულია, მაგრამ მე ანალიზს გთავაზობთ. პირველი ეტაპია იმის განხილვა, გვაწყობს თუ არა რუსეთთან ვაჭრობა. ამის მერე უნდა მოვემზადოთ და შევიარაღდეთ არგუმენტებით. დიახ, პოლიტიკურ ვაჭრობაში ყველა არგუმენტი უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის თურქეთის გაზრდილი ინტერესები რეგიონში. მერე უნდა დავაკვირდეთ, იქნება თუ არა მზად რუსეთი იმისთვის, რომ საქართველოს მიმართ რეალურად შეცვალოს დამოკიდებულება. თუმცა ამ საკითხის განხილვისას ერთი მნიშვნელოვანი რამ უნდა გავითვალისწინოთ — რუსებს, მათ შორის კონსერვატიულ ძალებსაც, ძალიან ეშინიათ, რომ საქართველოს შესახებ პოლიტიკას შეცვლიან, რომ ჩრდილოკავკასიელები ამას მათ სისუსტედ არ შეაფასებენ. ე.ი. იქაც სამუშაოა. ასე მარტივად არ არის საქმე, თქვენ აფხაზეთიდან გადით და ჩვენ დაგვიბრუნეთო, არ გამოვა. ძალიან ბევრი სამუშაოა რუსებთანაც, ჩრდილოეთ კავკასიაშიც, საზოგადოდ, რეგიონში.

**— აფხაზი ხალხის განწყობა როგორია?**

— ჯერ ლაპარაკს ვერ ბედავენ, მაგრამ აფხაზ საზოგადოებაში ქართველებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა.

უკვე გაჩნდა მთავარი კითხვა, თუ უფროსი ძმა ჩვენი ეთნოსის გადაგვარებაზეა გადასული, მაშინ ქართველებს რას ვერჩოდითო? სათათბიროს სხდომებს რომ მოუსმინოთ, ნახავთ, რომ აფხაზები მთავარ მტრებად ისევ ქართველებს მიიჩნევენ. დღემდე ამბობენ, რომ ქართველებმა აფხაზებს გვარები გადაუკეთეს. მაგალითად, დავით ფილია ამბობს, რომ ათას სამასი გალელის განცხადება აქვთ, რომლებიც აფხაზური გვარების დაბრუნებას ითხოვენ და ა.შ. არაერთხელ მითქვამს, რომ აფხაზეთში დექართველიზაცია მიმდინარეობს, ჯერ ქართული ენის მოსპობა უნდათ და მერე გვარების. რაც ყველაზე ცუდია, ამაზე ქართულ მხარეს რეაქცია არა აქვს. დიახ, ასეთი რამეები ხდება პოლიტიკურ არენაზე და კამერების წინ, მაგრამ საზოგადოებაში უკვე მნიშვნელოვნად შეცვლილია განწყობა. ზოგიერთ აფხაზს უკვე გაახსენდა, რომ ენგურს გაღმა ბიძაშვილი ჰყავს, ზოგს მეგობარი და სხვა მოკეთე და არის გაუთავებელი რეკვა. ერთმა პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ (მის გვარს ვერ გავასაჯაროებ) თბილისში ნათესავი ჩამოიყვანა სამკურნალოდ, ოღონდ მერე აქედან აღარ წავიდა. არადა, სეპარატისტული პარლამენტის წარმომადგენელია.

**— უშიშროებამ მაინც თუ იცის ეს?**

— ზუსტად ვიცი, რომ იცის.

**— ალბათ, ყველაფერი, მათ შორის, აფხაზეთის საკითხი და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაც რუსეთ-უკრაინის ფრონტის ხაზზე განვითარებულ მოვლენებზეა დამოკიდებული.**

— რა თქმა უნდა. შესაბამისად, რამდენიმე ვარიანტი უნდა განვიხილოთ: თუ უკრაინამ გაიმარჯვა, მაშინ ყველა მიმართულებით გვაქვს ხელი გახსნილი. თუ რუსეთმა გაიმარჯვა, ამ შემთხვევაში სტატუს-კვო შენარჩუნდება და მოსკოვურ ელიტაში ისევე იქნება დაპირისპირების საგანი რუსული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში. თუ ომი დიდხანს გაგრძელდება, მაშინ ჩვენ მანევრირების მეტი საშუალება გვექნება. სამწუხაროდ, პოლიტიკაში ასეა — შეიძლება სხვისი უბედურება საკუთარი ინტერესებისთვის კარგად გამოიყენო.

*ხათუნა ბახტურიძე*

**არ გამოვრიცხავ, რომ აქ რაღაც დიდი თამაში მიმდინარეობდეს. რუსეთმა აქტიურად დაიწყო საუბარი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენაზე. ქართული მხარე ამის კატეგორიული წინააღმდეგია, მაგრამ საჯაროდ ჯერ არაფერს ამბობენ. ძალიან მნიშვნელოვან ამბავს გეტყვით – ჩემი ინფორმაციით, რუსი არაოფიციალური, მაგრამ ძალიან გავლენიანი პირებისგან არის წინადადებები, რომლებიც ქართული მხარისგან ჯერაც პასუხგაუცემელია. ეს მოცემულობა შეიძლება ვაჭრობადაც შეფასდეს, ვაჭრობა კი პოლიტიკაში ჩვეულებრივი ამბავია. უნდა ითქვას, რომ საქართველოს ვერც ერთი პოლიტიკური ძალა ვერ შეინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას, თუ რაიმე დათმობაზე წავა, აფხაზეთსა და ცხინვალთან დაკავშირებულ საკითხებზე (რკინიგზის აღდგენა იქნება თუ გზის გახსნა) ისე, რომ საქართველომ დივიდენდები არ მიიღოს...**

# „არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან შეუძლია მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად“



***გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გრძელდება სამოქალაქო საკითხებზე კითხვების გამოგზავნა. ჩვენი ერთგული მკითხველების შეკითხვებს უპასუხებს საადვოკატო ფირმის დამფუძნებელი პარტნიორი, თსუ-ის სისხლის სამართლის მიმართულების დოქტორანტი, იურისტი გვანცა გურგენიძე:***

**— ბავშვი ოჯახის სხვა წევრებთან ერთად არის ბინის მესაკუთრე, ვაპირებთ გაყიდვას და სხვა ბინის შეძენას. მითხრეს, რომ ამას ვერ გავაკეთებ სასამართლოს გარეშე, იქნებ ამიხსნათ, შემიძლია თუ არა განვკარგო არასრულწლოვნის ქონება და საერთოდ რა უფლებები აქვთ არასრულწლოვნებს?**

— ბავშვებს, ისევე როგორც სრულწლოვნებს, აქვთ საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. თავდაპირველად აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანი პირების კანონიერი წარმომადგენლები არიან მშობლები. ისინი განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდიან ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. 2019 წლის 20 სექტემბერს მიღებულია ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომლის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. კანონის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, ბავშვს უფლება აქვს მშობლისგან მიიღოს ნაღდი ფული ან პლასტიკური ბარათი ლიმიტის შესაბამისი თანხით სარგებლობისთვის, მისი თავისუფალი დროისა და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველდღიური გამოყენებისთვის. თანხის ოდენობა ინდივიდუალურად, ბავშვის ასაკის შესაბამისად, მშობლების კეთილი ნების საფუძველზე განისაზღვრება. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა დათქმა, რომლის თანახმადაც, ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. აქ შეიძლება გაგვიჩნდეს რამდენიმე კითხვა. კერძოდ, რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი, ვინ უნდა დაადგინოს და რა მოიაზრება ქონების განკარგვაში. ბავშვთა უფლებათა კოდექსის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესი არის ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.

მიუხედავად აღნიშნულისა, აუცილებელია მოვიხმოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დანაწესი, რომელიც აკონკრეტებს, რომ ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის და 1.000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, ბავშვის ქონების განკარგვისას საკმარისი არ არის მხოლოდ მშობლის მიერ შეფასება და აუცილებელია სასამართლოს თანხმობა. რაც შეეხება განკარგვას, განკარგვა გულისხმობს ნივთის გასხვისებას. მაგალითად, ბავშვის საკუთრებაში არსებული სახლის გაქირავებისათვის მშობელს სასამართლოს ნებართვა არ სჭირდება. მოქალაქეებისათვის მარტივი შესაფასებელი იქნება, თუ მარტივად განვსაზღვრავთ, რომ განკარგვა არის ისეთი ქმედება, რომლის შედეგადაც ბავშვი კარგავს ქონებაზე საკუთრების უფლებას. მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რა შემთხვევაში სჭირდება პირს მოსამართლის თანხმობა, განვიხილოთ, თუ როგორ უნდა მოვიპოვოთ იგი. ყველაზე მარტივი და სწორი გზა არის შესაბამისი კომპეტენციის იურისტისთვის მიმართვა. თუმცა, თუ პირი მაინც თავად გადაწყვეტს დასახელებული თანხმობის მოპოვებას, მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასამართლოსათვის მისაწოდებელ ინფორმაციას. მოქმედი კანონმდებლობით, არ არის შემუშავებული სპეციალური ფორმა, რის მიხედვითაც უნდა მოხდეს სასამართლოსთვის მიმართვა ქონების გასხვისებაზე სასამართლოს თანხმობის მოპოვების თაობაზე. შესაბამისად, პირს შეუძლია მიმართვა განცხადების ფორმით. განცხადებაში პირმა ტექნიკური დეტალების გარდა, უნდა აღწეროს ბავშვის ქონება და დაასაბუთოს მისი განკარგვის აუცილებლობა და ასევე ბავშვის საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებასაც მოხმარდება მიღებული სარგებელი. დასახელებული საკითხი წარმოადგენს განცხადების რთულ ნაწილს და კვლავ გავიმეორებ, რომ უმჯობესია, მაინც უზრუნველვყოთ ადვოკატის ჩართულობა. სასამართლოს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა ქონება აქვს ბავშვს, ქონების რა ნაწილის განკარგვა სურს მშობელს და რაც მთავარია, რატომ არის აუცილებელი და მიზანშეწონილი აღნიშნული ქონების განკარგვა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დასაცავად. მსგავსი საფუძველი შესაძლოა იყოს, მაგალითად, ბავშვისთვის ახალი, უკეთესი ბინის ყიდვა, ან ბავშვის აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილება, რასაც მშობელი ქონების გაყიდვის გარეშე ვერ ახერხებს. აუცილებელია, განცხადებას თან დავურთოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სასამართლო სწორედ მითითებული გარემოებებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგად დაადგენს, ქონების გასხვისება შეესაბამება თუ არა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს და აღნიშნულზე განაცხადებს თანხმობას, ან უარს.

**— როცა ბავშვი არის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, როგორ უნდა დავიცვათ არასრულწლოვანი მოძალადე მშობლისგან?**

*— ასეთ დროს აუცილებელია სასწრაფოდ დარეკოთ 112-ში და აცნობოთ ფაქტი. არასრულწლოვანზე ძალადობის კვალის არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია დროებითი ღონისძიების სახით მოძალადე მშობლისაგან არასრულწლოვანი გააცალკეოს. არასრულწლოვნის წარმომადგენლის უფლების საკითხის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ მოძალადე მშობლისათვის წარმომადგენლის უფლების დატოვება საზიანოა არასრულწლოვნის ინტერესებისათვის. დაუშვებელია მშობლებისათვის არასრულწლოვანზე ერთობლივი მეურვეობის დატოვება, თუ არსებობს მასზე ერთ-ერთი მშობლის ძალადობის საფუძვლიანი ვარაუდი. არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა, ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე; ასევე, მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების გაცნობა ან გადაცემა. არასრულწლოვანზე ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენის და მასზე რეაგირების მიზნით შესაბამისი ორგანოებისათვის მიმართვის ვალდებულება აკისრია ყველას: სამედიცინო დაწესებულებას, სასწავლო და სააღმზრდელო დაწესებულებებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართულ სხვა შესაბამის დაწესებულებებს და მათ უფლებამოსილ თანამშრომლებს.*



*თეა ხურცილავა*



მედიცინა

# სანამ სტომატოლოგთან დაჯდებით

*„ჩემს სფეროსთან დაკავშირებულ წუხილზე მინდა გავამახვილო ყურადღება. არაერთი რუსი პაციენტი მიყვება (ქალიც და კაციც), რომ ჰყავს ქართველი სქესობრივი პარტნიორები (და არაერთი). მოგეხსენებათ, რუსეთში ძალიან გავრცელებულია აივ-ინფექცია/შიდსი. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ამ ინფექციის საქართველოში სწრაფად გავრცელების რისკი. ცხადია, ქვეყნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მესვეურებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და ზომები მიიღონ, მაგრამ ცალკეულ ადამიანებს რაც შეგვიძლია, მაქსიმალურად გავაფრთხილოთ ირგვლივ მყოფები, აარიდონ თავი საეჭვო კავშირებს და არ დაივიწყონ შიდსის (და არა მარტო, ბევრი სხვა ინფექციისაც) სქესობრივი გზით გადაცემის მაღალი რისკის შესახებ“, — ამბობს ინფექციონისტი მაია ბუწაშვილი. თუ ცნობილ ბრიტანულ სამედიცინო ჟურნალ „ლანცეტის“ ინფორმაციასაც მოვიშველიებთ, მდგომარეობა ნამდვილად არასახარბიელოა, რადგან „ლანცეტის“ თანახმად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აივ-ის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია უკრაინაში, რუსეთის ფედერაციაში, ბელარუსსა და მოლდოვაში. აივ-ი ნაკლებად გავრცელებულია ბალტიისპირეთსა და ცენტრალურ აზიაში, თუმცა ბოლოდროინდელი ეპიდემიები ესტონეთში, ლიტვაში, ყაზახეთსა და უზბეკეთშიც მიუთითებს პრობლემის ზრდაზე. საქართველო კვლავ რომ არ შეუერთდეს გადამდები ინფექციების მატარებელ ყველაზე მაღალი რისკის ქვეყნებს, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმაციული უზრუნველყოფა, გამუდმებით შეხსენება, რომ სქესობრივი ურთიერთობის გზით არა მარტო შიდსი, C-ჰეპატიტი და სხვა მძიმე ინფექციებიც გადადის. ამასთან, ამ დაავადებების გავრცელების რისკი განსაკუთრებით მაღალია სტომატოლოგიურ კლინიკებში, სადაც სახელმწიფოს კონტროლი ჯერ კიდევ წლების წინ გამკაცრდა, C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამით ეფექტური შედეგების მისაღებად. რა ხდება სტომატოლოგიურ კლინიკებში, რა მაკონტროლებელი ბერკეტები არსებობს, რამდენად რეგულარულად ამოწმებენ მათ, ამ და სხვა კითხვებზე გვიპასუხა ჯანდაცვის განვითარებისა და უფლებათა დაცვის ლიგის პრეზიდენტმა ირინა ბერკაცაშვილმა:*

**პირის ღრუში გამოყენებული ყველა ინსტრუმენტი არის მაღალი საფრთხის მქონე, შესაბამისად, ყველა მათგანი ექვემდებარება ავტოკლავირებას ან მაღალი დონის სტერილიზაციას, ხოლო ის, რაც არის ერთჯერადი, აუცილებლად იყრება პაციენტის თვალწინ**



**პაციენტებს ვურჩევთ, მიუხედავად იმისა, რომ სასტერილიზაციოში შესვლა უცხო პირთათვის აკრძალულია, მაინც მიაქციონ ყურადღება, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ზომები. ყველა ინსტრუმენტი პაციენტის თვალწინ უნდა გაიხსნას, სტომატოლოგიური სავარძელი, ყველა ზედაპირი უნდა დამუშავდეს თითოეული პაციენტის მომსახურების შემდეგ...**

— სტომატოლოგიური კლინიკის გაუმართაობა ძალიან სახიფათოა, რადგან პირის ღრუ ორგანიზმის ღია კარიბჭეა და ნებისმიერი ვირუსი და ბაქტერია სწორედ მისი გავლით ხვდება ორგანიზმში. მდგომარეობას ართულებს საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა სტომატოლოგიური პროცედურების მიმართ. არ იციან და არ ესმით, რომ კბილის ექსტრაქცია (ამოღება) ან იმპლანტაცია ზუსტად იმავე რისკეს შეიცავს, რასაც სხვა ნებისმიერი ოპერაცია.

სტერილიზაცია-დეზინფექციის მაღალი ხარისხის დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტომატოლოგიურ კლინიკაში, რომელიც მიეკუთვნება მაღალი საფრთხის შემცველ საქმიანობას. სწორედ ამიტომ თითოეული კლინიკა ვალდებულია ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შეატყობინოს, რომ მაღალი რისკის შემცველ საქმიანობას ეწევა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში უამრავი კლინიკა ასეთი შეტყობინების გარეშე, სრულიად უკონტროლოდ მუშაობს და სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო მათ შესახებ მხოლოდ საჩივრის საფუძველზე შეიტყობს, ანუ მაშინ, როდესაც ურემი გადაბრუნდება, პაციენტი დაზარალდება, იჩივლებს, შველა კი გვიანია.

შეტყობინების გარეშე სამედიცინო საქმიანობა 1.000 ლარით ჯარიმდება. თუმცა რეალურად გაცილებით მეტი დარღვევა აღმოჩნდება ხოლმე და ჯარიმაც მასშტაბური ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში სერტიფიკატსაც უუქმებენ და საქმიანობასაც უკრძალავენ.

გეგმური შემოწმება წელიწადში ერთხელ, შერჩევის პრინციპით ხდება. სხვაგვარად რეგულირების სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფი ვერ შეძლებს სრულყოფილად შეამოწმოს 2000-მდე რეგისტრირებული, უამრავი არარეგისტრირებული კლინიკა და პაციენტთან სამედიცინო განათლების გარეშე, იატაკქვეშ მომუშავე ტექნიკოსები. სწორედ ეს იყო ჩვენი ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი მიზეზი, რომ დავხმარებოდით კლინიკებს რეგულაციებისა და კანონმდებლობის გაცნობაში და პროფესიონალებთან ერთად დაგვეცვა ჩვენი პროფესია, კოლეგები იმიჯის შელახვისა და პაციენტები ჯანმრთელობის დაზიანებისგან. აუცილებელია ხელი შევუწყოთ კლინიკებს, კოლეგებს, რომლებიც უდიდეს რესურსს ხარჯავენ პროფესიულ განვითარებასა და მაღალი სტანდარტის დანერგვაზე. უნდა აღმოიფხვრას არაჯანსაღი კონკურენცია. საზოგადოების ნაწილს ჰგონია, რომ სოციალური ფონის გამო გამართლებულია იატაკქვეშა სტომატოლოგიური კლინიკების არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასს გაზრდის სტომატოლოგიურ მკურნალობაზეო. ეს სიცრუე და ბოროტებაა.

**„თუ საზოგადოება ისწავლის სტომატოლოგიური კლინიკების გაკონტროლებას, მარეგულირებელი სააგენტოს მონიტორინგი აღარ დასჭირდება კლინიკების სრულფასოვნად მუშაობას. როდესაც მომხმარებელი მოითხოვს წესრიგს, ნებისმიერი ბიზნესი იძულებული ხდება მასობრივ მოთხოვნებს დაემორჩილოს“**

**— სტომატოლოგიური კლინიკების უსაფრთხოების საკითხი როგორ არის მოგვარებული განვითარებულ ქვეყნებში.**

— ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში სტერილიზაცია-დეზინფექციის პრობლემა, თითქმის იმავე სტანდარტით რეგულირდება, როგორითაც საქართველოში. იმავე მასალასა და სადეზინფექციო საშუალებებს ვიყენებთ, რასაც ევროპა, ამერიკა და აზიის სამედიცინო სფეროში წამყვანი ქვეყნები. ნებისმიერ აპარატურასა და მასალაზე გვაქვს წვდომა, პროფესიონალი სამედიცინო საზოგადოება მუდმივად იმაღლებს კვალიფიკაციას სხვადასხვა ქვეყანაში, ვესწრებით კონფერენციებს, ონლაინსემინარებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეგულაციები და დადგენილებებიც მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით იქმნება. განსხვავდება კლინიკების დამფუძნებელთა ინფორმირებულობა და საჯარიმო სანქციებიც გაცილებით დიდია. ამასთან, ევროპასა და ამერიკაში მეტად კანონმორჩილია საზოგადოება და ვერავინ გაბედავს სტერილიზაცია-დეზინფექციის სტანდარტის უგულებელყოფას.

**— პაციენტებმა როგორ შეძლონ სტომატოლოგიურ კლინიკაში თავდაცვა? ფაქტია, კლინიკა პროდუქტი არ არის, ეტიკეტზე რომ დახედო და დეტალური ინფორმაცია მიიღო. რა უნდა ვიცოდეთ, რა უნდა მოვითხოვოთ, რომ მომსახურება უსაფრთხოდ მივიღოთ?**

— პაციენტებს ვურჩევთ, მიუხედავად იმისა, რომ სასტერილიზაციოში შესვლა უცხო პირთათვის აკრძალულია, მაინც მიაქციონ ყურადღება, რამდენად დაცულია უსაფრთხოების ზომები. ყველა ინსტრუმენტი პაციენტის თვალწინ უნდა გაიხსნას, სტომატოლოგიური სავარძელი, ყველა ზედაპირი უნდა დამუშავდეს თითოეული პაციენტის მომსახურების შემდეგ და ამას აუცილებლად შეამჩნევთ. არ უნდა იყოს დარჩენილი კბილის ნაქლიბი ან სისხლის წვეთი, სანერწყვებელში არ იყოს ჩაფენილი პარკი და ირეცხებოდეს წყლით. როგორც ყველა სხვა ზედაპირი, სამედიცინო დანიშნულების აპარატი თუ საგანი ექვემდებარება დეზინფექციას. ერთჯერადი ინსტრუმენტი პაციენტის თვალწინ შესაბამის ურნაში უნდა გადაიყაროს. ექიმი უნდა იყენებდეს ახალ პირბადეს, ახალ ქუდს, არ უჩანდეს თმა, არ ჰქონდეს სამკაულები, რადგან შეიძლება სწორედ მათზე მოხვდეს ინფექციის გადამტანი. სათვალე ან ფარი, რომელსაც ექიმი იყენებს, უნდა იყოს დეზინფიცირებული (მარტივი მისახვედრია პაციენტის თვალისთვის, რადგან ნაქლიბი, წყლის ან სხვა სითხეები ბურღით მუშაობის დროს გაიფრქვევა და პირველ რიგში ექიმის სათვალესა და ფარზე ილექება). ფოტოპოლიმერიზატორი (რომელსაც იყენებენ ჰელიობჟენის გასაშრობად და აქვს ლურჯი სხივი) ასევე ექვემდებარება დეზინფექციას. ბორები აუცილებლად უნდა იყოს სტერილური და არ ეყაროს ერთად პეტრის ფინჯანში (ეს ბოლო დროს ყველაზე გავრცელებული შეცდომაა). ბორი, მცირე მბრუნავი ინსტრუმენტი, რითაც კბილს ვბურღავთ, ეხება კბილის ქსოვილებს, ნერვს, სისხლძარღვებს და აუცილებელ სტერილიზაციას ექვემდებარება. პირის ღრუში გამოყენებული ყველა ინსტრუმენტი არის მაღალი საფრთხის მქონე, შესაბამისად, ყველა მათგანი ექვემდებარება ავტოკლავირებას ან მაღალი დონის სტერილიზაციას, ხოლო ის, რაც არის ერთჯერადი, აუცილებლად იყრება პაციენტის თვალწინ! თუ საზოგადოება ისწავლის სტომატოლოგიური კლინიკების გაკონტროლებას, მერწმუნეთ, მარეგულირებელი სააგენტოს მონიტორინგი აღარ დასჭირდება კლინიკების სრულფასოვნად მუშაობას. როდესაც მომხმარებელი მოითხოვს წესრიგს, ნებისმიერი ბიზნესი და მათ შორის, სტომატოლოგიურიც, იძულებული ხდება მასობრივ მოთხოვნებს დაემორჩილოს.

**საზოგადოების ნაწილს ჰგონია, რომ სოციალური ფონის გამო გამართლებულია იატაკქვეშა სტომატოლოგიური კლინიკების არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფასს გაზრდის სტომატოლოგიურ მკურნალობაზეო. ეს სიცრუე და ბოროტებაა**

# რას გვაფრთხილებს შუქნიშნის ფერები საკვების ეტიკეტზე

*გიცდიათ საკვებ პროდუქტებზე დატანილი, უწვრილესი შრიფტით და რთული ენით დაწერილი ეტიკეტების კითხვა? დიდი ალბათობით, მომხმარებელთა უმრავლესობას გამადიდებელი მინის გარეშე, ეტიკეტების წაკითხვა არ შეუძლია. ამიტომაც მას თითქმის აღარავინ კითხულობს. არადა, პროდუქციის ხარისხის შესახებ ინფორმაცია შეგვიძლია უმარტივესად მივიღოთ, თუ საერთაშორისო პრაქტიკას გავითვალისწინებთ, თუნდაც ისე, როგორც ეს ბრიტანეთშია, სადაც ეტიკეტი პროდუქტის წინა მხარეს არის დატანილი, ე.წ. შუქნიშნის ფერის კოდირების თანხლებით. საერთაშორისო პრაქტიკით, საკვები პროდუქტების ზოგიერთ ეტიკეტზე გამოყენებულია წითელი, ნარინჯისფერი და მწვანე ფერის კოდირება, რომლის მიზანია, მომხმარებელმა, სწრაფად და მარტივად შეიტყოს, საკვები რა რაოდენობით შეიცავს ცხიმს, ნაჯერ ცხიმს, შაქარს და მარილს. წითელი ნიშნავს მაღალს, ნარინჯისფერი საშუალოს, მწვანე დაბალს. შესაბამისად, ეტიკეტზე რაც მეტი მწვანე შუქი იქნება, მით უფრო ჯანსაღი გამოვა მომხმარებლის არჩევანი. სიფრთხილე გმართებთ წითელ ფერზე, რაც ნიშნავს, რომ საკვები შეიცავს ბევრ ცხიმს, ნაჯერ ცხიმს, მარილს ან შაქარს და ეს ის საკვებია, რომელიც შეიძლება არ ამოვიღოთ მენიუდან, მაგრამ მათი მოხმარება შევამციროთ. ნუტრიციოლოგი რუსუდან ღვამიჩავა, რომელიც შესაბამის სამსახურებთან ერთად საქართველოში ახალი ტიპის ეტიკეტირების საკითხებზე მუშაობს, განმარტავს, რატომ არის მნიშვნელოვანი ეტიკეტის იოლად წასაკითხად, პროდუქციის წინა გვერდზე განთავსება.*



— ეტიკეტის აუცილებლობა გამომდინარეობს ადამიანის უფლებიდან, იცოდეს რას მიირთმევს, ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა. ეტიკეტი არის მოკლე და მარტივად გასაგები ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რომლის შეძენასაც გეგმავთ. ხშირად ქართული თარგმანი არც შინაარსობრივად გამართულია და შრიფტიც არ იკითხება. არადა, სწორი და ამომწურავი ინფორმაცია მომხმარებელს დაეხმარება არჩევანის და შესაბამისად რაციონის გაუმჯობესებაში, რაც პრევენციული იქნება მისი ჯანმრთელობისათვის. რატომ უნდა იყოს ეტიკეტი წინა გვერდზე? იმიტომ, რომ მომხმარებელს სულ ეჩქარება და თითქმის არ ნახულობს პროდუქტის შეფუთვას მეორე მხარეს. რა უნდა იკითხებოდეს მარტივად? ცხიმების, ნაჯერი ცხიმების, შაქრის და მარილის რაოდენობა, რომელთა ჭარბი ოდენობით მოხმარება არაგადამდებ დაავადებათა ერთ-ერთი მთავარი გამომწვევია. მარილის თემა აქტუალურია პურში, რომლის შემადგენლობასაც თითქმის არ ვაკვირდებით და როდესაც ფერებით კოდირებული ეტიკეტი ჩვენს ყურადღებას მიიპყრობს, შევეცდებით პურიც შემცველობის მიხედვით შევარჩიოთ. ასეთი, პატარ-პატარა ნაბიჯებით, საბოლოო ჯამში სერიოზულ შედეგს მივაღწევთ საზოგადოების ჯანმრთელობის გაჯანსაღების კუთხით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც იმედია განხორციელდება.

*მოამზადა ეკა ლომიძე*

# რა შეიძლება მოჰყვეს მზისგან დამწვრობას

*გასულ საუკუნეებში გარუჯული კანი არ ასოცირდებოდა სილამაზესთან, ვინაიდან ელიტური ფენისადმი კუთვნილების ნიშნად არისტოკრატიული სიფერმკრთალე მიიჩნეოდა. XX საუკუნის დამდეგს მოდის ფუძემდებელმა კოკო შანელმა მოახდინა გარდატეხა. „არაფერია უფრო საშინელი, ვიდრე ასპირინისფერი კანი“, — ამ ლეგენდარული ფრაზის შემდეგ მსოფლიოში ახალი ერა დაიწყო და ნამზეური მოდური გახდა. ეს რაც შეეხება მოდას... როგორც ჩვენი რესპონდენტი დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი **გუგა ქაშიბაძე** ამბობს, მედიცინაში ცნება „ჯანსაღი ნამზეური“ არ არსებობს. ჩვენს რუბრიკაში ის უსაფრთხო გარუჯვასა და დამწვრობის შემთხვევაში თავის მოვლის შესახებ გვესაუბრება:*



— ამწუთას 7 პაციენტი მიწევს დამწვრობის ცენტრში მზისგან დამწვარი. აქედან 5 მოზრდილია, 2 კი ბავშვი.

როდესაც მშობლები ირუჯებიან, პატარები თვალსა და ხელს შუა დამწვრობას იღებენ.

საქართველოში კი ამბობენ, D ვიტამინს ვიღებო, მაგრამ ჩვენ ისეთ კლიმატურ სარტყელში ვცხოვრობთ, სპეციალურად წამოწოლა და მზის სხივების მიღება D ვიტამინის გამოსამუშავებლად არ გვჭირდება. მზე რომ სასარგებლოა, არასწორი აზრია.

— **მაშინ D ვიტამინის ნაკლებობა რატომ აქვს ბევრს?**

— ამას სხვადასხვა დაავადება იწვევს და არა მზის სხივების ნაკლებობა. მესმის, ნამზეური სილუეტს უფრო ლამაზს აჩენს, უფრო გამხდარსაც, პატარ-პატარა ნაკლს ფარავს, ლამაზ თვალებს კვეთს... დიახ, ნამზეური მოდურია, ამას ვერ გავექცევით, გოგონებს გარუჯული მამაკაცები მოსწონთ, მამაკაცებს — გარუჯული გოგონები.

— **რა უფრო უსაფრთხოა, მზეზე წოლა თუ სოლარიუმში გარუჯვა?**

— სოლარიუმი ძალიან ბევრ ქვეყანაში აკრძალულია. ბევრგან არასრულწლოვნები არ დაიშვებიან, ჩვენთან კი აკრძალული არაა. მე არ მიმაჩნია სწორად სოლარიუმში გარუჯვა. მნიშვნელობა არა აქვს, კვირაში ერთხელაც რომ მივიდეთ არასასიკეთო გავლენას მაინც ახდენს ჩვენს ორგანიზმზე. მართალია, შედარებით ნაკლებად იწვებიან სოლარიუმში, ვიდრე მზეზე, მაგრამ დამწვრობის შემთხვევები მაინც გვაქვს.

უცხოეთში პლაჟზე ვერ ნახავთ ვერავის მზისგან დამცავი კრემის გარეშე. სასურველია ორ საათში ერთხელ მთელ სხეულზე წასმა, მით უმეტეს, თუ წყალში ხშირად ჩავდივართ. უცხოეთში მზისგულზე ბავშვს ვერ დაინახავთ, თუ ქუდი არ ახურავს და მაქსიმალურად დახურული საცურაო კოსტიუმი არ აცვია, ჩვენთან კი პირიქით არის. ნაცვლად იმისა, მაქსიმალურად დაიცვან ბავშვის კანი მზისგან, შიშვლებს ატანტალებენ.

**მზით დამწვრობისას დისკომფორტი უფრო საღამო ხანს იჩენს თავს. იწყება კანის გაწითლება, ტკივილი, შეშუპება, მოქმედების შეზღუდვა. ამას თან ერთვის სისუსტე, გონების დაბინდვა, დაკარგვაც კი, ღებინება, მაღალი ტემპერატურა... თუ გონების დაკარგვამდე მიდის საქმე, ან გაქვთ ღებინება, საჭიროა ექიმის კონსულტაცია. თუ მსუბუქი სიმპტომები გვაქვს, ბლომად სითხის სმაა საჭირო, აუცილებელია ტკივილგამაყუჩებელი, რათა დისკომფორტი მოვიხსნათ...**

— **ვთქვათ, ისეთი სირთულის დამწვრობა მივიღეთ, ექიმთან წასვლა და „სასწრაფოს“ გამოძახება არ გვჭირდება, როგორ ვუვლით თავს?**

— თავიდათავი ის არის, რომ მზით დამწვრობას იმწუთას ვერ ვგრძნობთ, დისკომფორტი უფრო საღამო ხანს იჩენს თავს. დისკომფორტი გამოიხატება სხვადასხვა სიმპტომით, როგორიცაა: კანის გაწითლება, ტკივილი, შეშუპება, მოქმედების შეზღუდვა, რადგან კანი დაჭიმული გვაქვს, ელასტიკურობას კარგავს. ამას თან ერთვის ზოგადი სისუსტე, გონების დაბინდვა, დაკარგვაც კი, ღებინება, მაღალი ტემპერატურა, კანკალი და ა.შ. თუ გონების დაკარგვამდე მიდის საქმე, ან გაქვთ ღებინება, ძალიან შენელებულია მოქმედება, საჭიროა ექიმის კონსულტაცია. თუ მსუბუქი სიმპტომები გვაქვს, ბლომად სითხის სმაა საჭირო, აუცილებელია ტკივილგამაყუჩებელი, რათა დისკომფორტი მოვიხსნათ. დამწვარ კანზე ჯობია აფთიაქში შეძენილი პრეპარატები და სხვადასხვა კრემი გამოვიყენოთ. რაც მთავარია, ჯობს ერთხანს მზეზე აღარ გავიდეთ. ხშირად დამწვრობის მეორე დღესვე მაინც მზეზე წვებიან, ამის ბრალია პიგმენტური ლაქების გაჩენა, რომელთა მოცილებაც რთული და ხანდახან შეუძლებელია.

— **ზოგი დამწვრობისას სხვადასხვა შინაურ საშუალებას მიმართავს.**

— მზეზე დამწვრობა ისეთი დაზიანებაა, არაფერიც რომ არ წავისვათ, ორგანიზმს აქვს იმის რესურსი, რომ (თუ არ მოხდა დაინფიცირება) თავისით შეხორცდეს. ამიტომ საერთოდ რომ არაფერი წაგვესვა, თავისითაც მოშუშდებოდა დამწვრობა. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება, მზეზე დამწვრობას ახლავს ზემოჩამოთვლილი გართულებები, ინფექციები...

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ძალიან ბევრი დაავადების დროს მზეზე გასვლა აკრძალულია. გარდა ამისა, ხშირად გარუჯვა იწვევს ნაადრევ დაბერებას, ნაოჭების წარმოშობას, კანის გამოშრობას და ა.შ. ერთ კონფერენციაზე გვაჩვენეს ცხელ ქვეყანაში მცხოვრები მძღოლის სახის ის ნახევარი, რომელიც ხშირად ხვდებოდა მზეზე, როგორ განსხვავდებოდა მეორე ნახევრისგან, ნაადრევად ჰქონდა დაბერებული. ისეთი შთამბეჭდავი ფოტო იყო, ახლაც თვალწინ მიდგას.

— **ზოგი დამწვრობისას ალკოჰოლს ისვამს, ზოგი კბილის პასტას, ზოგი მაწონს, ზეთს...**

— რასაც სიგრილე მოაქვს, გვსიამოვნებს. მაგალითად, მაწონი დიდი რაოდენობით წყალს შეიცავს, ის არ ორთქლდება, სითბოს აცლის ჩვენს კანს და გვსიამოვნებს. ალკოჰოლსაც გაგრილების ეფექტი აქვს, მაგრამ მათ დამწვრობის სამკურნალო თვისებები არა აქვს. ვერ ნახავთ ინგრედიენტს, რომელსაც არ მოიხმარენ დამწვრობისას — ზეთს, კარაქს, მაიონეზს... მანქანის ზეთწასმული გამომცხადებია პაციენტი. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცოლის შარდით დამუშავებული დამწვრობით მომიყვანეს მამაკაცი. შეუგროვებიათ და აბაზანები გაუკეთეს... რა გითხრათ, ადამიანის ფანტაზიას საზღვრები არ აქვს.

**„ადამიანის ფანტაზიას საზღვრები არ აქვს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ცოლის შარდით დამუშავებული დამწვრობით მომიყვანეს მამაკაცი. შეუგროვებიათ და აბაზანები გაუკეთეს“**

— **ყველამ ვიცით, რომ არ უნდა დავიწვათ, მაგრამ ვერასდროს ვაკონტროლებთ მზეზე ყოფნის დროს.**

— 5 საათის შემდეგ მზე შედარებით უსაფრთხოა, დილით კი 11 საათამდე უნდა გავიდეთ. თვალებიც ხშირად ზიანდება მზეზე ყოფნისას და კარგი იქნება ხარისხიანი სათვალე მოიხმაროთ. ბევრს ჰგონია, ქოლგის ქვეშ არ ირუჯება, მაგრამ ასე არაა. თუ მაინცდამაინც საფუძვლიანად გარუჯვა გვინდა, პირველი 2 გასვლაა საფრთხილო. ამ დროს მცირე დოზით უნდა ვიყოთ მზეზე და მხარი ხშირად ვიცვალოთ.

მზეზე ყოფნისას ორგანიზმში ენდორფინი გამოიყოფა და ამიტომაც გარუჯვის პროცესი სიამოვნებასთან არის დაკავშირებული. მყავს ნაცნობები რომლებიც ზამთარ-ზაფხულ გარუჯული არიან. კვირაში ერთხელ სოლარიუმში დადიან. დამოკიდებული არიან გარუჯვაზე. ნამზეურის შესანარჩუნებლად კი სხვადასხვა შინაურ საშუალებას იყენებენ.

— **გვითხარით ფორმულა, რომელიც სულ უნდა გვახსოვდეს, თუ გარუჯვას ვაპირებთ და თავიც გვიყვარს.**

— ქუდი, სათვალე და დამცავი კრემი, შეიძლება ამას დავუმატოთ კარგი წიგნი, ოღონდ აუცილებლად ქოლგის ქვეშ წასაკითხად.

— **არის თუ არა განსხვავება ზღვასა და მთაში მიღებულ დამწვრობას შორის?**

— მაღალმთიან ადგილებში დამწვრობის განვითარებისთვის საჭირო დრო უფრო ნაკლებია, მზის გამოსხივების ინტენსივობა კი მეტი. ამიტომაა ალპინისტები 38-39 გრადუსზეც კი იცვამენ ხელთათმანებს და სამოსით მაქსიმალურად იფარებიან. გუდაურში დამწვრობის მიღება ზამთარშიც შეიძლება. ასე რომ, ყველგან უნდა დავიცვათ თავი მზის მავნე ზემოქმედებისგან.

***ეკა სალაღაია***

საზაფხულო საკითხავი პატარა მკითხველისთვის

29.95₾
19.95₾
11.95₾




წიგნის შეძენა შესაძლებელია ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში, ან ეწვიეთ საიტს:
www.palitral.ge და ისარგებლეთ საკურიერო მომსახურებით.
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: 322 47 00 45

პალიტრა L გამომცემლობა

ხელოვნება

# თვითნასწავლი მხატვარი შიომღვიმის მონასტრიდან



**არაერთხელ უკითხავთ, რატომ მაინცდამაინც ცნობილი მსახიობების პორტრეტებიო... ამის ახსნა რთულია, ზოგჯერ მგონია, რომ მე მათი მონათესავე სული ვარ! ყველაზე დიდ დროს მათი თვალების ხატვას ვანდომებ და როცა ამბობენ, რომ ჩემს ნახატებში თვალები ყოველთვის მეტყველი და ლამაზია, მაშინ ვხვდები, რომ ტყუილად არ მიწვალია**









***„მათი თვალების ხატვა ყველაზე მეტად მიყვარს და როცა ვხედავ, რომ ნახატი კარგი გამოდის, უზომოდ ბედნიერი ვარ!“ — ამბობს 26 წლის ლუკა ორჯონიკიძე, რომელიც გატაცებით ხატავს ცნობილი ადამიანების პორტრეტებს... ლუკამ ექვსი წელი მონასტერში გაატარა, მაგრამ ახლა საერო ცხოვრებით ცხოვრობს. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თვითნასწავლი მხატვრის შემოქმედებაში დიდი ქართველი მსახიობების პორტრეტებს განსაკუთრებული ადგილი უკავია:***

— ჩემთვის არაერთხელ უკითხავთ, რატომ მაინცდამაინც ცნობილი მსახიობების პორტრეტებიო... ამის ახსნა რთულია, ზოგჯერ მგონია, რომ მე მათი მონათესავე სული ვარ! ყველაზე დიდ დროს მათი თვალების ხატვას ვანდომებ და როცა ამბობენ, რომ ჩემს ნახატებში თვალები ყოველთვის მეტყველი და ლამაზია, მაშინ ვხვდები, რომ ტყუილად არ მიწვალია. როდესაც ხატვას ვიწყებ, მთელი დღეები ამაზე ვფიქრობ, მესიზმრება კიდეც, რა და როგორ უნდა დავხატო! თუ ხმამაღალი ნათქვამი არ გამომივა, ვიტყვი, რომ საქართველოში მე ვიქნები პირველი თვითნასწავლი მხატვარი, რომელმაც ჩვენი საამაყო არტისტების პოტრეტები შექმნა. ჩემი დიდი ნატვრაა, გამოფენები თეატრებში გაიმართოს.

— **ხატვა როდის დაიწყეთ?**

— ბავშვობიდანვე ვხატავ. მახსოვს, როგორ ვთამაშობდი დედაჩემის ფუნჯებითა და საღებავებით. ჩემი პირველი ნახატი იყო ღვთისმშობლის ხატი „შენ ხარ ვენახი“, რომელიც 7 წლის ასაკში დავხატე ფანქრებით. 12-13 წლიდან უკვე ზეთის საღებავებით დავიწყე ხატვა. ხატვის პროცესი ძალიან მსიამოვნებს: მარტოყოფნა მიყვარს და თუ გარეთ წვიმს ან მოღრუბლული ამინდია, მაშინვე ხატვის ხასიათზე ვდგები! ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა და ჯაზი: ბეთჰოვენი, ერიკ სატი, ემი უაინჰაუსი, ბილი ჰოლიდეი, ფრენკ სინატრა ჩემი საყვარელი მუსიკოსები არიან. ოპერაც მიყვარს, შემიძლია უსასრულოდ ვუსმინო მარია კალასის შეუდარებელ ხმას... შეიძლება ითქვას, მუსიკის გარეშე არასდროს დამიხატავს. ხატვა საუკეთესო გზაა, რომ უარყოფითი განცდებისგან გათავისუფლდე, ქაღალდზე გადმოიტანო ის მწუხარება და სიხარული, სილამაზე და ბოროტება, რაც ადამიანს ცხოვრების გზაზე ხვდება.

— **ბავშვობაში, ალბათ, სხვა გატაცებებიც გქონდათ...**

— ჩემს მშობლებს სურდათ ქართული ხალხურა სიმღერა მესწავლა, თუმცა, მე ვყოყმანობდი. ახლა ძალიან ვნანობ, რომ მათ არ დავუჯერე. კიდევ ერთი გატაცება მაქვს — კულინარია: 14 წლის ასაკიდან მზარეულობა დავიწყე — ვცდილობდი შემექმნა ახალ-ახალი კერძები და სასმელები, მერე ჩემს ახლობლებს ვპატიჟებდი, ეს გატაცება დღემდე გამომყვა.

— **როგორც ვიცი, 6 წელი მონასტერში გაატარეთ, ის წლები როგორ გახსენდებათ?**

— ის 6 წელი, რაც შიომღვიმეში ვიყავი, ყველაზე ძვირფასია ჩემთვის! იქაც ვხატავდი, თუმცა ამას ინტენსიურად ვერ ვახერხებდი, რადგან მონასტერში ცხოვრება არ არის ადვილი. ხშირად მეკითხებიან, რატომ გადაწყვიტე მონასტერში წასვლაო. წითელი პარასკევი იყო, საღამო, უეცრად ძლიერი სურვილი გამიჩნდა, ამქვეყნიურ ქაოსს გავცლოდი და ჩემი ცხოვრება მონასტერში გამეტარებინა. გავბედე და ჩემი მოძღვრის კურთხევით შიომღვიმის მონასტერში წავედი. მაშინ 17 წლის ვიყავი, მაგრამ ეს ნაბიჯი გააზრებულად, გულისა და გონების კარნახით გადავდგი. მონასტერში ხატების წერა დავიწყე. ახლა ჩემს ცხოვრებაში ხატწერას ძალიან დიდი ადგილი უკავია, ისევე როგორც დედაჩემის ცხოვრებაში, რომელიც ძალიან კარგი ფერმწერი და ხატმწერია. ხატწერა ორივემ მისი ძმის — დეკანოზ დავით მაისურაძის კურთხევით დავიწყეთ. ისე გავიდა ექვსი წელი, ერში წამოსვლაზე არც მიფიქრია. თითქოს ძნელია იმის ახსნა, რომ ამდენი ხნის შემდეგ რატომ წამოვედი, მაგრამ ეს საბოლოო გადაწყვეტილება არ არის...

— **რა არის ყველაზე სასიამოვნო ამბავი თქვენი ცხოვრებიდან და როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი მომავალი წლების შემდეგ?**

— ყველაზე სასიამოვნო ამბავი ჩემი წიგნია „და ბოლოს წვიმაც შეწყდა“, რომელიც ერთი წლის წინ დავასრულე. ჯერ არავისთვის მიჩვენებია. დიდი იმედი მაქვს, რომ მის გამოქვეყნებას შევძლებ.

როგორ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება წლების შემდეგ? — ისეთი, როგორიც ყოველთვის მინდოდა — მშვიდი და აუღელვებელი. როგორც გითხარით, მონასტერში შეიძლება დავბრუნდე, ყველაფერი ღვთის ნებაა! მანამდე კი მინდა ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები შევქმნა და გავხდე ცნობილი. შემიძლია ჩემი ცხოვრება ბევრნაირად წარმოვიდგინო, მაგრამ ყველაფერი მაინც ჩემზეა დამოკიდებული — ადამიანები ჩვენს მომავალს თავად ვირჩევთ.

***ხათუნა ჩიგოგიძე***

XXI საუკუნის ოჯახს ახალი ბიბლიოთეკა სჭირდება!
31 ივლისიდან
თაფლი
ორტომეული
1 მეფუტკრის ცნობარი


სპეციალური ფასი: 16₾
როგორ მივიღოთ მაღალი ხარისხის სამკურნალო თაფლი?
როგორ დავიცვათ ფუტკარი?
როგორ გავზარდოთ ოჯახების რაოდენობა ზაფხულში?
როგორ გამოვიყენოთ ფუტკრის პროდუქტები?
ორტომეულის შესაკვეთად დაგვიკავშირდით
ნომერზე: 322 47 00 45
პალიტრა L

# „ᲛᲘᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲜ“

***Ევა, სესილი, ჯერი და სემი ჩემი ნაწილები არიან. მათ რომ ვუყურებ, საკუთარი თავი მახსენდება, ხან ერთში ვიჭერ ჩემს გამოხედვას, ქცევის მანერას, ხასიათის შტრიხებს, ხან მეორეში, ხან მესამეში და ხანაც მეოთხეში. მე რომ წავალ, მათში დავრჩები, — ამბობს მსახიობი ᲘᲚᲝ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც დღეს რუბრიკა „მამების“ სტუმარია.***



**„14 წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, 4 შვილის მამა იქნებიო, ვერაფრით დავიჯერებდი. ახლა ეს რეალობაა. უმცროსი უკვე 6 თვის მყავს, უფროსი 13-ის ხდება, უკვე თინეიჯერია. პირველი შვილი რომ მეყოლა, 27 წლის ვიყავი, ახლა 41-ის ვარ. ამასობაში ბევრი რამ მოხდა. დროთა განმავლობაში ადამიანები იცვლებიან, მეც გამოვიცვალე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი, რაღაც-რაღაცები გადავაფასე. ახლა უფრო მეტი ვიცი ბავშვების შესახებ, მეტი გამოცდილება მაქვს, მეტად ვერკვევი ბავშვების ფსიქოლოგიაში. ახლა უკეთ ვიცი, რა ვუთხრა, როგორ გავუგო, საიდან მოვუარო...“**

— 14 წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, 4 შვილის მამა იქნებიო, ვერაფრით დავიჯერებდი. ახლა ეს რეალობაა. უმცროსი უკვე 6 თვის მყავს, უფროსი 13-ის ხდება, უკვე თინეიჯერია. პირველი შვილი რომ მეყოლა, 27 წლის ვიყავი, ახლა 41-ის ვარ. ამასობაში ბევრი რამ მოხდა. დროთა განმავლობაში ადამიანები იცვლებიან, მეც გამოვიცვალე, გავიზარდე, ჩამოვყალიბდი, რაღაც-რაღაცები გადავაფასე. ახლა უფრო მეტი ვიცი ბავშვების შესახებ, მეტი გამოცდილება მაქვს, მეტად ვერკვევი ბავშვების ფსიქოლოგიაში. ახლა უკეთ ვიცი, რა ვუთხრა, როგორ გავუგო, საიდან მოვუარო... შვილების ცხოვრებაში ჩართული მაშინაც ვიყავი და ახლაც, მსოფლმხედველობაც ისეთივე მაქვს, როგორიც მქონდა. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ამ აზრის ვარ, რომ

ᲛᲐᲛᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲐᲨᲘ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲐᲛᲞᲔᲠᲡᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ, ᲤᲐᲤᲘᲡ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲕᲐ ᲗᲣ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ, ᲓᲐᲕᲚᲔᲕᲘᲜᲓᲘ... ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲐᲤᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲚᲥᲛᲘᲗ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ.

გოგოები უკვე დიდები არიან, იპრანჭებიან, განსაკუთრებით უფროსი. თითქოს ურთიერთობაც შეგვეცვალა, სამივე დიდები გავხდით და დიდური დიალოგები გვაქვს ხოლმე.

— **გოგოების გაზრდა უფრო რთულია თუ ბიჭების?**

— არის რაღაცები, რაშიც გოგოს უნდა მიაქციო მეტი ყურადღება, რაღაცებში ბიჭებს, პასუხისმგებლობა კი ერთნაირია ორივე შემთხვევაში.

— **როგორი მამა ხართ?**

— რა ვიცი, დღეს ვეუბნებოდი მეუღლეს, იმხელა თამასა გვაქვს ჩვენი თავისთვის მიცემული, რომ... უფრო შვილების შესაფასებელია. მნიშვნელოვანია, რამდენად გულწრფელი ვარ მათთან ურთიერთობაში, დეტალებს როგორ ყურადღებას ვაქცევ, მათ ფსიქიკაზე როგორ ვფიქრობ. ალბათ, კარგი მამა ვარ... მინდა კარგი ვიყო, თუმცა, მეორე მხრივ, არ არსებობს მიღწეულით კმაყოფილი იყოს ადამიანი, სულ ფიქრობ, რომ მეტი შეიძლებოდა გაგეკეთებინა. მაგრამ ყოველთვის რაღაც-რაღაცის ფასად ხდება ყველაფერი. ახლა თუ არ მოაგვარე კარიერაში რაღაც საკითხები, მაშინ შესაძლოა სხვა პრობლემის წინაშე დადგე, იმიტომ, რომ გინდა მატერიალურად უზრუნველყოფილი იყვნენ შენი შვილები. ამიტომ ვამბობ, რომ რთულია მშობელმა თქვას, იდეალური ვარო.

— **ნაბოლარა გაგვაცანით.**

— ძალიან საყვარელია, უპრობლემო, ყველას უცინის. ალბათ, მშობლობა ყველაზე რთული გამოწვევაა, რაც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. არა მარტო იმაზე ფიქრობ, რომ შვილი შენი ფრთის ქვეშ იყოს კარგად, იმაზეც ფიქრობ, რომ გაიზრდება, როგორ დაიმკვიდრებს თავს ზრდასრულ ასაკში. სულ ხომ არ იქნები შენ? თუ იდეალური სამყარო შეუქმენი და სულ ასეთ სამყაროში აცხოვრე, მერე რეალურ ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი და გაუგებრობა შეხვდება, არ იქნება მზად გამოწვევებისათვის. ყველა დეტალს მნიშვნელობა აქვს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობაში.

**„როდესაც მშობელი ხარ, ბევრ ისეთ რაღაცაზე ფიქრობ, რაზეც მანამდე არ გიფიქრია. შენ მეორე ხდები, პირველ ადგილზე ყოველთვის შვილები არიან“**







— **ჯერი ატიკტიკდებოდა უკვე...**

— ჯერი სულ სიყვარულს გამოხატავდა. მე და მეუღლეს კი გვინდოდა მალე დაეწყო ლაპარაკი, თუმცა სულ გვესმოდა მისი, უსიტყვოდ. შვილთან ურთიერთობის ყველა ეტაპი ძვირფასია მშობლისთვის. მშობელსა და შვილს შორის უხილავი ძაფებია. პირველად რომ მამას დაგიძახებს, სხვანაირი ბედნიერებაა, მერე რომ ჩაგეხუტება, ეს საერთოდ თავბრუდამხვევია, რაღაც ეტაპზე კი ის დრო გენატრება, როცა გინდოდა, მაშინ რომ ჩაიხუტებდი... როცა მარტო საკუთარი თავი გაბარია, მეტი რაღაცის უფლებას აძლევ თავს, მეტი ლავირების საშუალება გაქვს, მაგრამ როცა პასუხისმგებლობა უკვე დიდია, მეტად დიპლომატიური ხარ. არის შემთხვევები, როცა რაღაცებზე თვალს ხუჭავ, ფიქრობ, რომ ახალი გამოწვევაა, შთაგონების წყარო, ესეც ერთ-ერთი პერიოდია შენი ცხოვრების ფაზლიდან. როდესაც მშობელი ხარ, ბევრ ისეთ რაღაცაზე ფიქრობ, რაზეც მანამდე არ გიფიქრია. შენ მეორე ხდები, პირველ ადგილზე ყოველთვის შვილები არიან.

**„შვილთან ურთიერთობის ყველა ეტაპი ძვირფასია მშობლისთვის. მშობელსა და შვილს შორის უხილავი ძაფებია. პირველად რომ მამას დაგიძახებს, სხვანაირი ბედნიერებაა, მერე რომ ჩაგეხუტება, ეს საერთოდ თავბრუდამხვევია“**

— **მშობლებისა და დებისგან განებივრებულ-ნაფერები ჯერი ხომ არ ეჭვიანობს ნაბოლარა ძმაზე?**

— არა და ამაზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ იქიდან მოყოლებული, როდესაც გავიგეთ, რომ ძმა ეყოლებოდა. ანი საოცარი მშობელია, რასაც ეგ აკეთებს, სამაგალითო მოტივატორი, საოცარი ადამიანია. ჯერი ისე ელოდა თავის ძმას, ისე ეფერებოდა ჯერ კიდევ დაბადებამდე. სამშობიაროდან რომ დაბრუნდა, ანი სიხარულით შეხვდა. 3-4 დღის შემდეგ შევატყვეთ, თითქოს ეჭვიანობა ეწყებოდა. მე და ანიმ ეს ჩვენს გადატვირთულობას დავაბრალეთ, უფრო მეტი სითბო და ყურადღება გამოვხატეთ. ვცდილობთ ახლავე ვაგრძნობინოთ, რომ ყველანი ერთნი ვართ და მას სიყვარული არ მოაკლდება. თუ აუხსნი, იგებენ ბავშვები, ყველა ფრაზას მნიშვნელობა აქვს. ახლა სულ ერთმანეთს ეფერებიან.

— **ეკრანზე რომ გხედავენ, რა ემოცია აქვთ?**

— ეკრანზე არც მხედავენ, ერთადერთი ის იციან, რომ მიკროფონი მიჭირავს, იმიტომ, რომ მეგობარმა მაჩუქა გაშარჟებული ნახატი, სადაც მიკროფონით ვარ.

— **ქუჩაში რომ გცნობენ და გამოგელაპარაკებიან?**

— ამას ვერ აღიქვამენ. არც ჩვენ ვუმახვილებთ ამაზე ყურადღებას.

— **სერიალშიც გამოჩნდით, ეს თქვენს მამობრივ გრაფიკს როგორ დაეტყო?**

— ეგ რთული ამბავია. ყოველთვის რაღაც რაღაცას ანაცვლებს, ცუდი არ იქნება, თუ მომიწევს რაღაც პროექტებში ყოფნა. ერთს ვიტყვი — შეიძლება მშობელმა შვილთან თვე-ნახევარი გაატაროს, მაგრამ საერთოდ არ იყოს პროდუქტიული მათი ურთიერთობა, ან შეიძლება 40 წუთი ისე გაატაროს, რომ ძალიან ბევრი მისცეს. ეს არ ნიშნავს, რომ 40 წუთი საკმარისია, მაგრამ არც ერთ მომენტს, როცა ერთად ყოფნის ფუფუნება გვაქვს, ხელიდან არ ვუშვებ — სულ ერთად ვართ, ვთამაშობთ, ვსეირნობთ. ვენატრები ხოლმე. მეუღლე მეუბნება, გკითხულობს ბავშვიო, მეც მიჭირს სესილის, ევას, ჯერისა და სემის გარეშე... გოგოები ადრე ბათუმში ცხოვრობდნენ, ისე ხშირად ვერ ვნახულობდი, როგორც გულს უნდოდა, ახლა თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და ეს მაბედნიერებს.

— **სერიალში ანი შემოერთებას აპირებს?**

— ჯერ არ დგას ეგ საკითხი და ვნახოთ. მთავარი ახლა ბავშვების აღზრდაა, რაშიც ანი აბსოლუტური აკადემიკოსია. მერე, რა თქმა უნდა, დაუბრუნდება დიდ ავიაციას.

— **როგორ საქართველოში გინდათ იცხოვრონ თქვენმა შვილებმა?**

— ისეთ ქვეყანაში, სადაც დაცულობის განცდა ექნებათ, სამართლიან, თავისუფალ ქვეყანაში, სადაც კანონი კანონობს, სადაც სიტყვის თავისუფლებაა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კარგი განათლების სისტემაა, ბევრი თავისუფალი ადამიანი ცხოვრობს. მინდა ფასდებოდეს საქმე, ადამიანის შრომა, არ იყოს პოლარიზება, ღვარძლი, სოციალურ ქსელში ერთმანეთის ლანძღვა... ეს შეიძლება იდეალურ სამყაროდ მოეჩვენოს ვიღაცას, მაგრამ სინამდვილეში ასეც უნდა იყოს. 90-იანი წლების გამოვლილებს, მინდა ჩვენმა შვილებმა კარგ ქვეყანაში იცხოვრონ და ეს ქვეყანა იყოს საქართველო.

*ეკა სალაღაია*

გვახსოვდეს აფხაზეთი!

# „ჟიული შარტავა მაშინ დაფასდება, როცა სოხუმში დავბრუნდებით“

*1994 წელი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სახელზე აფხაზეთიდან საიდუმლო წერილი მოვიდა. წერილის ავტორი აფხაზი გლეხი წერდა, რომ 2 სექტემბერს ტყიდან შეშა მოჰქონდა და ამ დროს დაინახა, ხიდის ქვეშ ადამიანებს რომ ხვრეტდნენ. „ერთს უყვიროდნენ, დაიჩოქეო, იმ უცნობმა კი არ დაიჩოქა და რამდენჯერმე ესროლეს. ძალიან გამაკვირვა მისმა საქციელმა, უცნაური სახელი ერქვა. რომ არ დამვიწყებოდა, ასანთს წავუკიდე დ ნამწვავით კოლოფზე დავწერე მისი სახელი — ჟიული“.*



*„სამშობლოსათვის ცხოვრებას ყოველთვის აქვს აზრი! ვიცი, რას ნიშნავს, როცა სამშობლოს უჭირს... ვიცი, რას ნიშნავს, როცა ქვეყანაში ერთიანობა არ არის... ვიცი, უთავო მეთაურობის ამბავიც... ვიცი, როგორ მივდიოდით აფხაზეთის ომისკენ... ვიცი, რატომ ვერ გავერთიანდით, როცა დაპირისპირების დროსაც კი, ვიცოდით, რომ ორივე მხარეს საქართველო იყო! ვიცი, ჩვენი თაობის ამბებიც... მათ ჩემსავით ატკინეს გული. ახალგაზრდობაში დიდობა არ აღირსეს და დიდობაში — ახალგაზრდობა. ყველაფერი მაინც დალაგდება... გამოცდილებას, აზროვნებას, წლებსა და კაცობას, ფასი მაინც დაედება“.*

**ჟიული შარტავა**

### „დამშვიდობებისას პირჯვარი გადაუსახავს, ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე და თუ საჭიროა, ჩემი სიცოცხლე შეიწირეო“

მეუფე დანიელი: — აფხაზეთში ძალიან მძიმე დრო იყო. ერთი წელი სრულდებოდა ომის დაწყებამდე. უკვე მომხდარი იყო ტრაგედია კომანში, მამა ანდრიასა და იური ანუას მკვლელობა. ჩვენ მაინც გვქონდა იმედი, რომ მშვიდობა გაიმარჯვებდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა... ამ დროს სოხუმში ჩამოვიდა პიროვნება, რომელსაც ღმერთმა და ადამიანებმა უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრეს — ეს გახლდათ ბატონი ჟიული შარტავა.

მახსოვს, ჩემთან როგორი მოწიწებით მოვიდა და გამეცნო. ბევრი რამ მსმენოდა მის შესახებ. ვიცოდი, რომ ეს იყო ეროვნული ფასეულობების მატარებელი ქართველი კაცი. ჩვენს რეზიდენციაში რამდენიმე ფანჯარაში მინა იყო ჩატეხილი და თანმხლებ პირებს სთხოვა, მინა მოიტანეთ და ჩასვითო. ვიღაცამ უთხრა, ძნელი საშოვნელიაო. არა უშავს, ჩვენი შენობიდან ამოიღეთ და აქ მოიტანეთო... ბატონი ჟიული ყველაფერს აკეთებდა, რომ აფხაზი და ქართველი ხალხის დაპირისპირება მალე დასრულებულიყო. მე მახსოვს, ის მწარე ბოლო დღეები... მან ბოლო წუთებამდე შეინარჩუნა სიმშვიდე და სულიერი მხნეობა.

ძალიან მნიშვნელოვანია ის მოგონება, რომელსაც გვიყვება ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე, რომელიც იმერეთის მხარის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილთან ერთად ჩამოვიდა ბოლო დღეებში სოხუმში. სახიფათო იყო მათი სტუმრობა, მაგრამ ძალიან დიდი გამხნევება ჩვენთვის. როგორც მეუფემ მიამბო, როდესაც ბოლოს ბატონ ჟიულისთან კაბინეტში შესულა, დამშვიდობებისას მას პირჯვარი გადაუსახავს და უთქვამს, ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე და თუ საჭიროა, ჩემი სიცოცხლე შეიწირეო.

**ჟიულის ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩატარებული ჰქონდა. ეტყობა, განბანეს, მოაწესრიგეს და ტანსაცმელიც ჩააცვეს. მაინც მიაქციეს ყურადღება და დაიცვეს აფხაზური წესები. ვერტმფრენი დაეშვა თუ არა, შუიკოვმა მთხოვა, დავხედავო. იქ ერთი ფოთელი კაცი იყო, ვთხოვე, თვითმფრინავში რამე არ ჩადონ, ყურადღება მიაქციე-მეთქი. ის ფოთელი კაცი ცოტა ხანში დაბრუნდა. მითხრა, შუიკოვმა ჟიულის ცხედრის წინ დაიჩოქა და მოუბოდიშა, ვერ შევძელი შენი დაცვაო...**

### „შუიკოვმა მითხრა, ჟიული ერთადერთი კაცია, ვინც მხოლოდ ქართული მხარის კი არა, აფხაზების ინტერესებსაც იცავდაო“

ბაკურ გულუა, *ყოფილი ვიცე-პრემიერი:* — როცა სოხუმი განუწყვეტლივ იბომბებოდა, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორმა რეზო სალუქვაძემ მთხოვა, ცოტა ბენზინს თუ გამომიყოფთ, ჭურვებსა და ქვემეხებს დავამზადებთო. მეომრები გვთხოვდნენ, იქნებ ცოლ-შვილი გაარიდოთ აქაურობას მეთევზეების გემითო. შევარდნაძესთან დავრეკე. მითხრა, ჟიული შარტავა სხდომას ატარებს, მოდი და გამოგიყოფთ ბენზინსო. მივედი. ამ დროს პატარა ინციდენტი მოხდა და ხმაურზე ჟიული გამოვიდა. დამინახა თუ არა, გადამეხვია და მითხრა, გენო ადამია დაუპირისპირდა ერთ გენერალს, ვინც იაქტიურა ქართული ჯარის განიარაღების საქმეში. უთხრა, ხომ გეუბნებოდით, ომი დაიწყება და ხელცარიელი დავრჩებითო, და მასზე გაიწია, მაგრამ გია ყარყარაშვილმა შეაჩერაო.

4 ტონა ბენზინი გამოგვიყვეს. ნავსადგურისკენ გავემართე. უშიშროების მინისტრმა შევარდნაძის თხოვნა გადმომცა, ოჩამჩირეში ჩადით და გაიგეთ, რა ვითარებააო. გემის კაპიტანს ნავსადგურში მოველაპარაკე. ამასობაში საწვავი ჩაგვისხეს. შუქურის ზონასთან დაჭრილები, მოხუცები, ქალები და ბავშვები მოიყვანეს. ყურეში გავედით თუ არა, მტერმა დაბომბვა დაგვიწყო, ჭურვები ახლომახლო ცვიოდა. საშინელების მოწმენი გავხდით — სოჭიდან სამგზავრო თვითმფრინავი მოფრინავდა. გუდაუთიდან მომავალმა კატერმა რაკეტა ესროლა და ჩვენ თვალწინ პირდაპირ ყურეში ჩამოაგდო. დაახლოებით 27 კაცი დაიღუპა, უმრავლესობა ჟურნალისტი იყო. ოჩამჩირეში ღამის პირველის ნახევარზე ჩავედით. იმის გახსენებაც არ მინდა, იქ რაც ვნახე...

თბილისში დაბრუნებული ჟიულის ძმის თხოვნით, ისევ სოხუმში დავბრუნდი, რომ ადლერიდან ჟიულის, უშიშროების პოლკოვნიკის მამია ალასანიასა და პირადი მცველის, ქათამაძის ცხედრები მოგვეძებნა.

ადლერის აეროპორტში რუსეთის სპეცსამსახურის პოლკოვნიკმა შუიკოვმა მითხრა, აფხაზური მხარე აჭიანურებს ცხედრების გადმოცემას, ისიც ვერ გავიგეთ, რა პირობებში დაიღუპა ჟიულიო. ლოდინში დაგვაღამდა. მერე გვერდით გამიყვანა და მითხრა: ჟიული ერთადერთი კაცია, ვინც მათ არ უნდა მოეკლათ, რადგან ის მხოლოდ ქართული მხარის კი არა, აფხაზების ინტერესებსაც იცავდა. ახლა პირადად ველაპარაკე არძინბას, რაღაცას ეშმაკობს, მითხრა, ვერ ვიპოვეთ ცხედარიო.

შუიკოვმა მერე სადღაც დარეკა, ბოლო ხმაზე ყვიროდა, მოსკოვიდან სპეცრაზმს გამოვიძახებ და იქ სამი კი არა, ძალიან ბევრი გვამი იქნებაო... ეტყობა, დაფრთხნენ და 2 საათში ჰაერში ვერტმფრენიც გამოჩნდა — მხოლოდ ჟიული შარტავას და ქათამაძის ცხედრები გადმოგვცეს. ცხედარს ექსპერტიზა უკვე ჩატარებული ჰქონდა. ეტყობა, განბანეს, მოაწესრიგეს და ტანსაცმელიც ჩააცვეს. მაინც მიაქციეს ყურადღება და დაიცვეს აფხაზური წესები. ვერტმფრენი დაეშვა თუ არა, შუიკოვმა მთხოვა, დავხედავო. იქ ერთი ფოთელი კაცი იყო, ვთხოვე, თვითმფრინავში რამე არ ჩადონ, ყურადღება მიაქციე-მეთქი. ის ფოთელი კაცი ცოტა ხანში დაბრუნდა. მითხრა, შუიკოვმა ჟიულის ცხედრის წინ დაიჩოქა და მოუბოდიშა, ვერ შევძელი შენი დაცვაო.

### „თვალები ცრემლიანი ჰქონდა, ხელი დამიქნია და წავიდა...“



ლია შარტავა-ჯალაღონია, *ჟიული შარტავას მეუღლე:* — როცა მისი სოხუმში სამუშაოდ გადასვლა გადაწყდა, აფორიაქებული შევხვდი ამ ამბავს, თუმცა არაფერი მითქვამს. აღელვება შემატყო და მითხრა, ლია, წაუსვლელობა არ შეიძლება, ჯობს ამ ომს შევეწიროთ და მომავალი თაობა გადავარჩინოთ, ჩვენი თაობა ისედაც ვალშია მათ წინაშეო.

სკოლის მერხიდან ვიცნობდით ერთმანეთს, და მოსაგონარი ბევრი მაქვს, მაგრამ მაინც ვერ ვივიწყებ მის ბოლო ჩამოსვლას სოხუმიდან თბილისში. 1993 წლის 15 სექტემბერს, შუაღამისას ჩამოფრინდა. აფორიაქებული მეჩვენა... დილის 10 საათზე სახლიდან გავიდა ედუარდ შევარდნაძესთან შესახვედრად. მთელ დღეს არ გამოჩენილა. იმ საბედისწერო ღამეს გვიან მოვიდა, ისეთი დაღლილი იყო, საუბრის თავიც არ ჰქონდა. ვიფიქრე, დილით დაველაპარაკები-მეთქი.

16 სექტემბრის დილის 5 საათის ზარს ვერ ამოვშლი მეხსიერებიდან. ყურმილი ავიღე, ჟიულის სოხუმიდან ურეკავდნენ. ყურმილი გადავეცი, თან ჟიულის შევცქეროდი, ის თანდათან გაფითრდა, სუნთქვა გაუხშირდა... მიუხედავად ამისა, მაინც საოცარი სიმშვიდით იძლეოდა განკარგულებებს. შემდეგ მითხრა, მგონი, ისევ დაიწყო ომი აფხაზეთშიო. სასწრაფოდ ჩაიცვა და წავიდა სახელმწიფო მეთაურთან შესახვედრად. შუადღისას დაბრუნდა, მითხრა, ლია, ჩვენ ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გამოვცადეთ და ახლა ესეც უნდა ვნახოთო. უკვე ვიცოდი, რომ სოხუმი იბომბებოდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ, გასვლის წინ მითხრა, ჩემი საბუთები და სურათები დიპლომატშია, თუ რაიმე მოხდა ღირსეულად მიტირეთო. გაცილება არ უყვარდა, აივნიდან გადავხედე, ჟიულიმ ამომხედა, შევატყვე, რომ თვალები ცრემლიანი ჰქონდა. ხელი დამიქნია და წავიდა... სულ მეკითხებიან, რატომ წავიდა სოხუმშიო. ამ კითხვას მისი სიტყვებით ვუპასუხებდი: „რაცა ვარ, ესა ვარ. დადებითით და უარყოფითით, ცოდვებითა და უცოდველობით. მე ვდგავარ ერთ პოზიციაზე — კონკრეტული სარგებლობა მოვუტანო ჩემს ერს“.

სოხუმის დაცემის დღეს ჟიული შარტავას კაბინეტში ოპერატიული თათბირი ჩატარდა. კაბინეტიდან სულ ბოლოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლორიკ მარშანია და აფხაზეთის მრეწველობის მინისტრი რაულ ეშბა გამოვიდნენ. ამ დროს გაისმა ეკლესიის ზარების რეკვა. ოთახიდან გასვლის წინ ჟიულიმ შეაჩერა ისინი, მოძებნა სამი სანთელი და თქვა: „მოდი, ვილოცოთ მომავალ დღეზე“. ლოცვის შემდეგ კი მან სამუდამოდ დატოვა თავისი კაბინეტი...

### „არ დაიჩოქა... ამის მერე მუხლებში ესროლეს და როცა დავარდნილა, საკონტროლო გასროლაც მიუყოლებიათ“



გიორგი შარტავა, *ჟიული შარტავას შვილიშვილი:* — 4 წლის წინ დავაპირე გამეკეთებინა ვიდეოკლიპი და მოვიძიე წიგნები ჟიული შარტავას შესახებ... მაშინ გავაცნობიერე, რომ ბაბუა მაკლია. ის პატიოსანი, საღად მოაზროვნე და ძალიან მზრუნველი კაცი იყო. გმირად არ იბადებიან, გმირები შემდეგ ხდებიან. სახელმწიფო სამსახურში 20 წელი იმსახურა და არ შეიცვალა, ძალაუფლებამ არ გარყვნა. როცა საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ისევ მის სამსახურში ჩადგა. სანამ სოხუმში წავიდოდა, თურმე ხშირად ამბობდა, მინდა შვილიშვილს მოვესწროო. ვერ მოესწრო და ეს ჩემთვის და ჩემი ძმისთვის, უმცროსი ჟიული შარტავასთვის, ძალიან რთულია... სულ იმაზე ვფიქრობ, როგორია როცა ალყაშემორტყმულ ქალაქში ხარ, შენი თანამებრძოლები, თანამემამულეები შენთან არიან და ვერაფერს ცვლი. ბაბუა ბოლო წუთამდე არ დანებდება და დღეს მის წინაშე ანგარიშვალდებული ჩვენ ვართ. ამბობენ, დრო ყველაფერს კურნავსო, მაგრამ რამდენჯერაც მის სახელს ახსენებენ, რამდენჯერაც საფლავზე ავდივართ, მაინც ტკივილიანი და სევდანარევია ყველაფერი. როცა ბაბუ სოხუმში მიდიოდა, ლია ბებოს დაუბარა, თუ არ დავბრუნდი, ღირსეულად დამიტირეთო. 27 სექტემბერს ქალაქი დაეცა, ბაბუს ამბავი გაურკვეველი იყო. ბოლო მონაცემებით, ცოცხალი ყოფილა და მოლაპარაკებაზე წაუყვანიათ. 28-ში, დილით, ჟიულის ძმა სოსო მივიდა სამთავრობო შენობაში, და იქ შეატყობინეს, რომ მისი ძმა ცოცხალი აღარ იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ბაბუა ნაწამები იყო. აიძულეს, დაჩოქილიყო, მან კი არ დაიჩოქა. ამის მერე მუხლებში ესროლეს და როცა დავარდნილა, საკონტროლო გასროლაც მიუყოლებიათ. ჟიული შარტავა მაშინ დაფასდება, როცა სოხუმში დავბრუნდებით. ის ერთიანი და დამოუკიდებელი საქართველოსათვის იბრძოდა და თავისი მსხვერპლშეწირვით მომავალ თაობას სოხუმში დაბრუნების უფლება დაგვიტოვა.

*რუსუდან შიშმილაშვილი*



# მამულ-დედული

ჩანართი გამოდის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის კურთხევით
№30 (496) 24 – 30 ივლისი, 2023 წელი

## ეგზოტიკური ხილის ლაგოდეხური ვერსიები



თამარიანი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში საზღვრისპირა სოფელია, აზერბაიჯანს ემიჯნება, მისგან მდინარე ყოფს. ამ ზონაში მეურნეობაში ფერმერებს პრობლემები არასდროს ჰქონიათ, კლიმატური პირობების წყალობით მოსავალს თითქმის არასდროს უჭირს. ამიტომ მეურნეები, გარდა ტრადიციული ხილ-ბოსტნეულისა, დაინტერესებული არიან ეგზოტიკური პროდუქტების მოყვანითაც. მაგალითად, ფერმერ **ლევან ქაჯაიას** იქ მოჰყავს იაპონური და კორეული ნესვი, ფერადი შიგთავსის საზამთრო, ფერადი პამიდორი, ფიზალისი... ბატონი ლევანი ჩვენი სტუმარია და თავის სამეურნეო გამოცდილებაზე მოგვითხრობს.

იხილეთ გვ. 16, 17

## „კარტოფილის დედოფლის“ საქსონიური ბაღი

*„ჩემი გადარჩენილი კაქტუსი მეორედ ამიყვავდა, დღეს დილით ყვავილი დამახვედრა, და კიდევ ერთი მალე აყვავდება! ასე მიხდის მადლობას გადარჩენისთვის და ყოველდღე მაბედნიერებს... თურმე რა არ შეუძლია სიყვარულს“, — ამბობს ნანა ანდრონიკაშვილი, რომელმაც გერმანიაში თავისი სახლის ტერასაზე პატარა საქართველო შექმნა...*

*ანდრონიკაშვილების შთამომავალი ნანა ანდრონიკაშვილი საქსონიის ჰერცოგს გაჰყვა ცოლად. მსახიობი, პროდიუსერი და ჟურნალისტი გერმანიაში, ჰანოვერში 2007 წლიდან მეუღლესთან ჰანს ფონ საქსენ-ალტენბურგსა და შვილთან, მარიამ, პრინცესა ფონ საქსენ-ალტენბურგთან ერთად ცხოვრობს. წლების წინ **ნანა ანდრონიკაშვილმა** ეს სახალისო ამბავი გვიამბო:*



იხილეთ გვ. 17

## ქარსაცავი ზოლების გარეშე სავარგულებს ეროზია მოსპობს



იხილეთ გვ. 16

*ჩვენში, ალბათ, ბევრმა არც იცის, რა მნიშვნელობა აქვს ქარსაცავ ზოლებს — ჩვენი ქვეყნის განადგურებული ქარსაცავი ზოლები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ადამიანმა მათი დანიშნულება სრულად გაისიგრძეგანოს. არადა, ზოლებად ანუ რიგში ჩამომწკრივებული ხეები სავარგულებსა და მოსავალს ეროზიისგან, უწყლობისა და განადგურებისგან იცავს. რა მდგომარეობაშია ჩვენს ქვეყანაში ქარსაცავი ზოლები და როგორ დაზიანდა მათი ნაკლებობის გამო გარემო, არსებობს თუ არა გეგმა მათ აღსადგენად, ამის შესახებ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი მიშელაძე** გვესაუბრება.*

# ეგზოტიკური ხილის ლაგოდეხური



**ძირითადად, ბაღჩეული კულტურები მოგვყავს, იაპონური, კორეული ნესვები – განსხვავებული გემოსი და ფორმის, განსხვავებული შიგთავსის საზამთროები – წითელი უკურკო, ყვითელი უკურკო, ნარინჯისფერი, თეთრი გულით, მანგოსა და ტროპიკული ხილის გემოებით, ნუშისა და ვანილის ნოტებით...**

*(დასაწყისი გვ. 15)*

ლევან ქაჯაია:

— ეს ადგილი ჩვენი დედულეთია, წლების შემდეგ აქ ოჯახი თბილისიდან საცხოვრებლად გადმოვედით. პროფესიით იურისტი ვარ, მაგრამ 40 წლის ასაკიდან მივხვდი, რომ მცენარეების მოშენება ჩემი საქმე იყო. ამიტომაც საჯარო სამსახურს თავი დავანებე და ფერმერულ მეურნეობას მივყავი ხელი.

მოკლედ, აქ ჩემი ბებია-ბაბუის სახლია, მამულები, სადაც ჩამოვდიოდით და ნახევარ არდადეგებს ვატარებდით. მოკლედ, ფერმერული მეურნეობა რომ დავიწყეთ, თამარიანში დავფუძნდით. მიწა საკუთრებაში დიდი არა გვაქვს, ქირაობა გვიწევს და მდებარეობაც სხვადასხვაგვარია. ასე გაშლილი ნაკვეთები გვეხმარება კიდეც, რომ თუნდაც სეტყვისგან დავიცვათ თავი. თუ ერთგან დაზიანდება მოსავალი, მეორეგან შეგვინარჩუნდება. რისკების შესამცირებლად ფერმერული მეურნეობა ასე გვაქვს გადანაწილებული.

— **თქვენთან ერთად ვინ ინაწილებს შრომას?**

— საქმე რამდენიმე წლის წინ მე და ჩემმა ძმამ დავიწყეთ. წლეულს ჩვენსავით თბილისიდან წამოსული ახლო მეგობარი შემოგვიერთდა და ახლა უფრო დიდ ფართობებს ვეჭიდავებით, დიდი გეგმებიც გვაქვს.

ძირითადად, ბაღჩეული კულტურები მოგვყავს, იაპონური, კორეული ნესვები — განსხვავებული გემოსი და ფორმის, განსხვავებული შიგთავსის საზამთროები — წითელი უკურკო, ყვითელი უკურკო, ნარინჯისფერი, თეთრი გულით, მანგოსა და ტროპიკული ხილის გემოებით, ნუშისა და ვანილის ნოტებით. ტკბილი სიმინდიც მოგვყავს, საქართველოში ერთ-ერთი პირველი ვართ, ვინც ამის წარმოება დაიწყო, ფიზალისიც ერთ-ერთმა პირველებმა ჩვენ მოვიყვანეთ.

მანამდე ბაზარი გამოვიკვლიეთ. ყურადღება იმან მიიქცია, რომ ხილ-ბოსტნეულის ზოგ სახეობას, რომელთა მოყვანა საქართველოში შეიძლებოდა, ჰიპერმარკეტები საზღვარგარეთ ყიდულობდნენ. ფასიც მაღალი ედო.

— **ლაგოდეხი კი ნახევრად სუბტროპიკული მხარეა და საშუალებას იძლევა ეგზოტიკური ხილი მოიისინჯოს...**

— ბევრი კულტურა წარმატებით დაინერგა და ჩვენს კლიმატს შეეგუა. ისეთი კულტურებიც იყო, რომელთა კულტივირებასაც აღარ ვფიქრობთ.

მუშაობას ზამთრიდან ვიწყებთ. მეგობარი რომ ვახსენე, დიდი ჩინური საჩითილე-სასათბურე მეურნეობა აქვს და ზამთარში ვიწყებთ ნერგის გამოყვანას. ადრე გაზაფხულზე ღია გრუნტში გადაგვაქვს.

— **გადარგვიდან რამდენ ხანში მოდის სრულყოფილი ნაყოფი?**

— გააჩნია კულტურას, საზამთროს გადარგვიდან 75-80 დღე სჭირდება. კლიმატზეც ვართ დამოკიდებული, თუ გრილი გაზაფხული შეხვდა, ხანგრძლივი წვიმები, ზრდა-განვითარება ფერხდება, მზიანი დღეები კი ამისთვის ხელსაყრელი პირობაა. 2,5 ჰექტარი ბაღჩეულ კულტურას, საზამთროსა და ნესვს უკავია, 1,5 ჰექტარი კი ტკბილ სიმინდს (თეთრსა და ყვითელს).



**როცა ამ პროდუქტების დანერგვა დავიწყეთ, იმდენად სიახლე იყო, საზოგადოებამ ვერ მიიღო. 2-3 წელიწადს ზარალზე ვმუშაობდით. ადრე კვირაში დაახლოებით 200 კილოგრამს ვყიდდით, ახლა ორი ტონა იყიდება. დღეს მას ჰყავს მომხმარებელი და მჯერა, რომ რენტაბელური და მომგებიანი იქნება**

— **რით გამოირჩევა ტკბილი სიმინდი?**

— სახამებელს არ შეიცავს, შეიძლება მოუხარშავადაც მოხმარება, ადვილი მოსანელებელია და ძალიან მდიდარია ვიტამინებით... სუპერმარკეტებსა და ჰიპერმარკეტებში ეს პროდუქტი

# ქარსაცავი ზოლების გარეშე სავარგულებს ეროზია მოსპობს

*(დასაწყისი გვ. 15)*

— **ბატონო გიორგი, საქართველოს არაერთ კუთხეში არათუ თავად ქარსაცავი ზოლებია გამქრალი, არამედ ბევრმა ტერმინ „ქარსაცავი ზოლების“ მნიშვნელობაც აღარ იცის. შესაბამისად ისიც, თუ რამდენად ვნებს გარემოს მათი არარსებობა. აქამდე როგორ მივედით?**

გიორგი მიშელაძე:

— ბოლოს მიწის ბალანსი ჩვენს ქვეყანაში 2004 წელს აღიწერა. ამ ბალანსით და ამ ეტაპისთვის, მართალია, ქარსაცავი ზოლების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე განადგურებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ გვქონდა შემორჩენილი მათი გარკვეული რაოდენობა. თუმცა, სამწუხაროდ, ქარსაცავი ზოლები ამის შემდეგაც განადგურდა, მათ შორის ზოგი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების, ზოგი მშენებლობების მფლობელების, ზოგიც მოსახლეობის მიერ. სხვათა შორის, ამ პერიოდში რამდენიმე ქარსაცავი ზოლი დონორმა ორგანიზაციებმა გააშენეს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი კვლავ განადგურდა. ქარსაფრების ყველაზე დიდი რაოდენობა მოისპო და გადაიწვა აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, სადაც გარემო ისედაც წყლის ყველაზე დიდ დეფიციტს განიცდის. სწორედ ქარსაფარი ზოლები ინარჩუნებენ ნიადაგის ტენიანობას. და არა მარტო ამას: სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მიხედვით, ქარსაცავი ზოლი მოსავლიანობას 35%-ით ზრდის. დასანანია, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ ესმის, ქარსაცავის ზოლების განადგურება როგორ უარყოფით როლს თამაშობს მიწის შენარჩუნების საქმეში, როგორ ფიტავს და აშრობს ნიადაგს. ქარსაფართა ნარგაობის ნაწილი თავისითაც გახმა, რადგან როდესაც პროექტი დასრულდა, ახალგაშენებული ზოლების პატრონი აღარავინ იყო. ძლიერი ქარი და ქარისმიერი ეროზია სახუმარო საქმე არ არის. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როდესაც ძლიერ ქარს ხორბლის ერთ ყანაში მოსავალი „მოუხსნია“ და მეორე ყანაში გადაუტანია.

— **თუ ადამიანი დაფიქრდება, როგორ ჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის, იქნებ ისეთ ბარბაროსობასაც შეეშვას, როგორიც ქარსაცავი ზოლების განადგურებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ფიქრობს...**



**2030 წლამდე ქარსაფარი ზოლები 1000 ჰექტარზე უნდა აღდგეს მთელ საქართველოში, ოღონდ თანადაფინანსების პრინციპით. სახელმწიფომ რაც არ უნდა სრულად აიღოს თავზე ეს ვალდებულება, თუ ნაკვეთების პატრონები არ იქნებიან დაინტერესებული ქარსაფრის მოვლა-პატრონობით, ისინი მომავალშიც გადაჩეხენ ქარსაფრის ხეებს ან დაწვავენ**

— დიახ, ასეა და ამიტომაც მივედით იმ დონემდე, რომ ქარსაცავი ზოლები აღარ გვაქვს. ამ მიზეზით თავადაც შეექმნა პრობლემები მოსახლეობას და ახლა შველას ითხოვენ. ქარსაცავების ნაწილი შედარებით კარგად არის შემორჩენილი თელავსა და საგარეჯოში. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქარსაფრების მომიჯნავე მოსახლეობა ან მესაკუთრეები შეგნებული ხალხი აღმოჩნდა და ესმოდათ მისი დანიშნულება. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი 2021 წლის კანონი „ქარსაფარი ზოლების შესახებ“, რომელმაც ქარსაცავი ზოლების გაშენება-აღდგენა სრულად უნდა მოაგვაროს. მიწის მართვის სახელმწიფო სააგენტოს უკვე დაწყებული აქვს ამ კანონით გათვალისწინებული სამუშაოები. მათ შორის პირველი ეტაპია საქართველოს ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია. ეს გულისხმობს, რომ ქვეყნის ყველა კუთხეში სრულად უნდა აღირიცხოს, რა დაგვრჩა ქარსაცავი ზოლებიდან, რა ასაკისა და ჯიშის ხეები; რა მდგომარეობაშია ის, რაც დაგვრჩა. ბევრი ქარსაფარია დაურეგისტრირებელი, რასაც პარალელურად აღვრიცხავთ. დაახლოებით 14 000 ჰექტარზე გვაქვს ქარსაცავების ინვენტარიზაცია გასაკეთებელი. აქედან 1 000 ჰექტარი გვაქვს ინვენტარიზებული ქართლსა და კახეთში. წარმოიდგინეთ, ახლაც ვაწყდებით ხეების გადაჩეხის ფაქტებს. ზოგი შემთხვევა ნაგებობების აშენებით არის გამოწვეული, ზოგ შემთხვევაშიც მერქნიან ხეებს ჭრიან მოხმარებისთვის.

— **დადგენილია როდის და რა ფართობი უნდა დაიფაროს სრულად ქარსაფრით?**

— სახელმწიფო დადგენილებით, 2030 წლამდე ქარსაფარი ზოლები 1000 ჰექტარზე უნდა აღდგეს მთელ საქართველოში, ოღონდ თანადაფინანსების პრინციპით. რატომ? სახელმწიფომ რაც არ უნდა სრულად აიღოს თავზე ეს ვალდებულება, თუ ნაკვეთების პატრონები არ იქნებიან დაინტერესებული ქარსაფრის მოვლა-პატრონობით, ისინი მომავალშიც იმავეს გააკეთებენ, რასაც აქამდე აკეთებდნენ, სრულად გადაჩეხენ ქარსაფრის ხეებს ან დაწვავენ. ამიტომ დაე თავად მოსახლეობამ იზრუნოს იმაზე, რაც მისთვისვეა ჰაერივით აუცილებელი. თვითდაფინანსების პროცენტი არ იქნება მაღალი, მაგრამ აღძრავს მოსახლეობის ნებას, რომ ქარსაცავი იყოს დაცული. მთავარი მისი მოვლაა, თორემ გაშენება აუცილებლად იქნება.

— **გეთანხმებით. რა ფართობზე უნდა გაშენდეს ქარსაფარი?**

— მიწის დაახლოებით 2%-ზე. თუმცა საჭიროა ამ რიცხვის დაზუსტება იმ კონკრეტული ტერიტორიების მიხედვით, სადაც ქარსაფარი გაშენდება. ასევე საჭიროა დაკონკრეტდეს ქარსაფრისთვის საჭირო ხეების ჯიშები. მნიშვნელოვანია, რომ პარალელურად მიდის სარწყავი სისტემის აღდგენის პროგრამაც და კიდევ ერთი: ამ სამუშაოში აუცილებლად გავითვალისწინებთ თაფლოვანი მცენარეების დარგვას, რაც ხელს შეუწყობს მეფუტკრეობის განვითარებას.

სოფიკო ახობაძე, *კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვის ცენტრი:* — ქარსაფარი ზოლების გაშენება ჩვენთან ძალიან რთული საქმე აღმოჩნდა, რადგან არ არსებობდა კანონი ქარსაფარი ზოლების განადგურებისთვის პასუხისმგებლობის შესახებ. დონორი ორგანიზაციის, გარემოს დაცვის გლობალური ფონდის დახმარებით გასულ წლებში ქარსაფარი ზოლი 55 კილომეტრზე გავაშენეთ. აქედან, მაგალითად, დედოფლისწყაროში 11 კილომეტრზე გაშენებული ქარსაფარი სულ რამდენიმე თვეში გაანადგურა მოსახლეობამ. არადა, დედოფლისწყაროში ურთულესი მდგომარეობაა ეროზიების თვალსაზრისით. დანარჩენი ქარსაფრის ზოლებიდანაც მხოლოდ 60% შენარჩუნდა. მიზეზი მათ შორის ისიც იყო, რომ სარწყავი სისტემები არ გვქონდა აღდგენილი. ამ პირობებში თუნდაც 60%-ის გადარჩენა დიდი საქმეა. ამისთვის გამოვიყენეთ წყალდამჭერი გრანულები და ძოვების საწინააღმდეგო ტუბები.

ამჟამად დონორების მუშაობა შეჩერებულია. ველოდებით სახელმწიფო დადგენილებას, რომელიც იწყებს სარწყავი არხების რეაბილიტაციას, რის შემდეგაც ქარსაფარი ზოლების გაშენება დონორი ორგანიზაციების დახმარებითაც განახლდება.

*ეთერ ერაძე*

# ვერსიები

## „ვფიქრობთ, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო გავაკეთოთ. ამით სხვებსაც დავეხმარებით... დავეხმარებით იმაშიც, რომ ახალი ტექნოლოგიები გავაცნოთ...“



ნელ-ნელა ინერგება.

— **ბიოპროდუქტს აწარმოებთ?**

— ბიოპროდუქტს თავისი სტანდარტები აქვს. ნაკვეთი რამდენიმე კილომეტრით უნდა იყოს ცენტრალური გზიდან დაშორებული, რამდენიმე კილომეტრში არ უნდა იყოს პესტიციდები ნიადაგში გამოყენებული. ფაქტობრივად, ასეთი ადგილი საქართველოში არ არის. ჩვენში რასაც ბიოპროდუქტს ეძახიან, ეს ნიშნავს, რომ შხამქიმიკატებით არ აქვს ფერმერს დამუშავებული.

ჩვენც ამ მიმართულებით მივდივართ, უარს ვამბობთ ჰიდროპონიკაზე, ჩვენი მიზანია, მომხმარებელს ქართულ მიწაზე მოყვანილი პროდუქტი შევთავაზოთ. როცა აუცილებელია, მხოლოდ ისეთი პრეპარატებით ვამუშავებთ, რომლებიც პროდუქტში მავნე ნივთიერებებს არ აგროვებს. არის ევროკავშირის სერტიფიცირებული ბიოსაშუალებაც. ეს სასუქი ქართულ ბაზარზე არა ჭარბად, მაგრამ არის და ეფექტურია. ის ხელს გვიწყობს მაქსიმალურად სუფთა პროდუქტის წარმოებაში. როცა პროდუქტი სავაჭრო ქსელში შეგვაქვს, ნიტრატების შემცველობას გვიმოწმებენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტესტი პროდუქტმა სრულად გაიაროს. თუ ვერ გაივლის, პროდუქტი დაგვრჩება, რაც ფერმერისთვის დიდი ზარალია. ამიტომ ნიტრატებს არ ვახმართ. ვცდილობთ მოსავლიანობა ნაკლები იყოს, სამაგიეროდ, გემოვანი თვისებებით გამორჩეული. პროდუქტი ზომით შეიძლება მცირე იყოს, მაგრამ ჯანსაღი. მეურნეობასა და აგრონომიაში არის ერთი ოქროს წესი — „რასაც შენ ჭამ, ის უნდა გაყიდო“ — ანუ პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთაა.

მოგვყავს შოკოლადისფერი, შავი, ვარდისფერი, წითელი, ყვითელი, თეთრი პამიდორი. მოდის ღია გრუნტზე, ეკოლოგიურად სუფთაა და გემრიელი, მოსავლიანობა კი ბევრად დაბალია, ვიდრე სასათბურე წარმოებაში, მაგრამ ჩვენი მიზანია ბაზარზე ადგილი ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი პროდუქტით დავიმკვიდროთ.

— **სათესლე მასალა სად მოიპოვეთ?**

— რაც ჩვენ გვჭირდება, ის მიმართულება საქართველოში არ არის. გვიწევს ახლობლების, მეგობრების უცხოეთში შეწუხება, მათ ვაგზავნინებთ, ზოგჯერ კომპანიას ვუკვეთთ. ზოგიერთი კულტურის სათესლე მასალის შემოტანა (ტკბილი სიმინდი, ფერადი საზამთროები) უკვე დაიწყეს. გვინდა ყოველ წელიწადს შევმატოთ მეურნეობას ახალ-ახალი პროდუქტი.

— **შრომა და დაკვირვება გამოცდილებასაც დაგიგროვებდათ...**



— როცა ამ პროდუქტების დანერგვა დავიწყეთ, იმდენად სიახლე იყო, საზოგადოებამ ვერც მიიღო და კომერციული ეფექტიც არ ჰქონდა. 2-3 წელიწადს ზარალზე ვმუშაობდით, მაგრამ მცენარისა და ჩემი საქმის სიყვარულმა უფრო გამაგრძელებინა ეს საქმე. მჯეროდა, რომ გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდებოდა და არ დავანებეთ თავი. ადრე კვირაში დაახლოებით 200 კილოგრამს ვყიდდით, ახლა კვირაში ორი ტონა იყიდება. წლები დასჭირდა ჩვენი პროდუქტის დანერგვას, მაგრამ დღეს მას ჰყავს მომხმარებელი და მჯერა, რომ რენტაბელური და მომგებიანი იქნება.

— **რა იყო მთავარი, რასაც წარმატებისკენ მიჰყავდით?**

— სანამ ამ ყველაფერს ჩავუღრმავდებოდი, წარმატებულ ფერმერებს ვეკითხებოდი. ნაწილი მეუბნებოდა, რომ საკუთრებაში უნდა გვქონოდა მიწის დიდი ფართობები. ზოგი მეუბნებოდა, რომ ამისთვის დიდი ფული იყო საჭირო. არც დიდი ნაკვეთები მქონია და არც დიდი ფული. წარმატებისკენ გზას ნაბიჯ-ნაბიჯ გავუყევი. რასაც აკეთებ, თუ არ გიყვარს და სიამოვნებას არ განიჭებს, ჯობს თავი დაანებო.

მეურნისთვის დღეს ყველაზე დიდი პრობლემა მუშახელის სიმცირეა. საზღვარგარეთ მიდიან სამუშაოდ, ბევრად რთულ ფიზიკურ საქმეზე იხარჯებიან, საბოლოოდ კი იმაზე მეტს არ იღებენ, რაც შეიძლება საკუთარ ქვეყანაში იშოვონ. არადა, ჩვენ ცუდად არ ვუხდით. შარშან მუშახელის გამო 5 ტონა ვარდისფერი პამიდორი მინდორში დავალპეთ, ვერ მოვერიეთ.

რატომ არ არის ქართული წარმოებაო, ჩივიან. იმიტომ, რომ სხვა ბევრ რამესთან ერთად, არ არის გადამამუშავებელი ქარხნები, თუნდაც მინისაკონსერვო საწარმო. ეს ინიციატივა არც ხელისუფლებამ აიტაცა და არც ბიზნესმა. ბევრი პროდუქტის წვენი, ჯემი გაკეთდებოდა... ამიტომ ახლა ვფიქრობთ, ხილ-ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო გავაკეთოთ. ამით სხვებსაც დავეხმარებით... დავეხმარებით იმაშიც, რომ ახალ ტექნოლოგიებში გავარკვიოთ და ახლოს გავაცნოთ.

*ლალი ფაცია*

# „კარტოფილის დედოფლის“ საქსონიური ბაღი







**„ნაძვიც და კაქტუსიც ტერასაზე დავრგე. კაქტუსს ვთხოვდი, რადგან გადაგარჩინე, მოდი, ნუ მოკვდები-მეთქი. ამას ძალიან დიდი სიყვარულით ვთხოვდი. საბედნიეროდ, ორივემ გაიხარა. ახლა ტერასაზე ნაძვის ხე და ის ერთ დროს მკვდარი კაქტუსი მაქვს, რომელიც მეორედ აყვავდა, ასე მიხდის მადლობას გადარჩენისთვის“**

*(დასაწყისი გვ. 15)*

ნანა ანდრონიკაშვილი: — ვერაზე, ხუთსართულიანი სახლის აივანზე, დედას ვარდები ჰქონდა. მოკლედ, ვარდი გადავჭერი და ინტერნეტში მითითებულ ინსტრუქციას მივყევი, უნდა ამეღო კარტოფილი, ვარდის ტოტი ნატურალურ თაფლში ამომევლო და კარტოფილში ჩამერჭო. მეც ამოვავლე აკაციის თაფლში ვარდის ტოტი, ჩავარჭვე კარტოფილში, ჩავდე საყვავილეში და მიწა დავაყარე. მეოთხე-მეხუთე დღეს ნიშანი უნდა მოეცა, მაგრამ დრო გადიოდა და... ცოტა გავნერვიულდი, მეხუთე დღეს დავინახე, რაღაც მწვანე ამოდიოდა, ივნისის ბოლოს კი ვარდების ნაცვლად... კარტოფილის მოსავალი ავიღე, თანაც რეკორდული, 200 ცალი! მას შემდეგ, „კარტოფილის დედოფალს“ მეძახიან. დღეს ჩემს ბაღში კარტოფილიც მაქვს, პამიდორიც, სტაფილოც და სხვა ბოსტნეულიც. ეზოში ვარდები და აუზი, სადაც ოქროს თევზები და წყლის ყვავილებია.

— **ტერასაზე უფრო მეტი მცენარე გაქვთ?**

— დიახ, ჩვენი ტერასა პატარა, მწვანე სილამაზეა. შარშან განსაკუთრებულად ვემზადებოდი, მინდოდა ჩემი ტერასის ბაღისთვის ბევრი მცენარე შემემატებინა. მცენარეებს სად არ ვეძებდი და ძალიან უცნაურ ადგილას ვიპოვე... გერმანიაში არსებობს კანონი, ბალახს, ხეს რომ მოჭრი, სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე უნდა წაიღო. იქ რაღაც დიდი კონტეინერი ტრიალებს და ყველაფერი გადამუშავებული, ეკოლოგიურად სუფთა გამოდის. მე და ჩემმა მეუღლემ ყველაფერი მოვაგროვეთ და ჩასაბარებლად წავიღეთ. ჩვენსავით ბევრ გერმანელს გადასაყრელად შეგროვებული მცენარეები ჰქონდათ მოტანილი... უკვე წამოსვლას ვაპირებდით და ჩემ წინ მანქანა გაჩერდა, ახალგაზრდა კაცმა მანქანა გამოაღო და გადასაყრელად ჩასაბარებელი მცენარეები გადმოიტანა. შევხედე, ქოთანში პატარა ნაძვი იყო ჩარგული, რომელიც ძალიან შემეცოდა. კაცს მაშინვე ვკითხე, უნდა გადააგდოთ-მეთქი? რასაკვირველია, ჩემგან უცნაური კითხვა იყო, რადგან იმ ადგილას ვიდექით, სადაც ყველა მცენარეების გადასაყრელად ვიყავით მისული. გაიღიმა და მითხრა, ესეც უნდა გადავაგდო და კიდევ ბევრი რამ, რადგან სადაც გადავდივართ, იქ ძალიან ბევრი ახალი ნარგავი გვაქვსო. ვთხოვე, მე მომეცით-მეთქი... ძალიან გაუხარდა, წაიღეთ, თუ ძალიან მოინდომებთ, გააცოცხლებთ, კარგი ჯიშის ნაძვიაო. დავინახე, რომ ძალიან ლამაზი საყვავილე ქოთანიც ჰქონდა, გულის ფორმის. ვუთხარი, მისი საყვავილეც რომ მომეწონა და მიპასუხა, ამაში კაქტუსია, რომელიც უკვე მკვდარია, მაგრამ ესეც გქონდეთო. ჩემი მეუღლე მერე ყველას უყვებოდა, ნაგავსაყრელიდან ჩემმა მეუღლემ ნაძვი და მკვდარი კაქტუსი წამოიღოო.

— **გადაარჩინეთ?**

— ნაძვიც, კაქტუსიც ჩემს ტერასაზე დავრგე. უბრალოდ, ყოველ დილით გავდიოდი და დილა მშვიდობისა, როგორ ხართ-მეთქი, ვეუბნებოდი. კაქტუსს ვთხოვდი, რადგან გადაგარჩინე, მოდი, ნუ მოკვდები-მეთქი. ამას გულწრფელად, ძალიან დიდი სიყვარულით ვთხოვდი. ჩემდა საბედნიეროდ, ორივემ გაიხარა. ახლა ტერასაზე ნაძვის ხე და ის ერთ დროს მკვდარი კაქტუსი მაქვს, რომელიც აყვავილდა. ჩემს მეგობრებს უკვირთ, ეს კაქტუსი ას წელიწადში ერთხელ ყვავისო. ჩემი გადარჩენილი კაქტუსი კი მეორედ აყვავდა, დღეს დილით ყვავილი დამახვედრა და კიდევ ერთიც მალე აყვავდება! ასე მიხდის მადლობას გადარჩენისთვის. პროფესიონალებმა მითხრეს, გინესის წიგნში ხარ შესაყვანი, რადგან ეს 100 წელიწადში ერთხელ ხდებაო! მართლაც რა არ შეუძლია სიყვარულს.

მინდა გაგანდოთ, ამ ყველაფრის ძალას რა მაძლევს — პანდემიისას დაწყებული ჰობი ცხოვრების ნორმად გადაიქცა. ყველაფერ ამას ოჯახისთვის ვაკეთებ, ოჯახზე ზრუნვა ჩემთვის ქვეყანაზე ზრუნვის პატარა ნაწილია. აქ არ არის მიღებული, რაც მე გავაკეთე, მწვანე ნაგავსაყრელზე უცნობ ადამიანს რომ დაველაპარაკე და მცენარეები გამოვართვი, რომ არ გადაეგდო. ეს შემაძლებინა იმან, რაც ჩემი მშობლებისგან ვისწავლე და რასაც მარიამს პატარაობიდან ვასწავლიდი: არასოდეს ჩაიქნიო ხელი შენი ოცნებებისთვის ბრძოლაში-მეთქი... მახსოვს, მარიამი მესამე კლასში იყო, სახლში მოვდიოდით და სადგურში ჩვენს ბაქანზე მისასვლელად მთელი სადგური უნდა გაგვევლო. მარიამს ვუთხარი, სამი წუთი გვაქვს და ვერ მივასწრებთ, შემდეგ მატარებელს დაველოდო-მეთქი და ამ პატარა გოგომ უცებ მითხრა, დედიკო, მთელი სამი წუთი გვაქვს, გავიქცეთ და აუცილებლად მოვასწრებთო. ამ სიტყვებმა ისეთი ძალა მომცა, გავიქეცით და მართლა მოვასწარით. დედიკო, ჩვენ ეს შევძელითო, გახარებულმა მითხრა. ამ სიტყვებმა გამაბედვინა მეთქვა, არ გადაეგდო იმ კაცს მცენარეები და გადამერჩინა.

— **ამბობთ, რომ თქვენს ტერასაზე პატარა საქართველოა...**

— ნამდვილად! ეს სიყვარული მარიამსაც ჩავუნერგე. დედა ნატრობდა ხოლმე, ნეტავ მიწა გვქონდესო. ახლა მგონია, რომ დედაჩემის ნატვრა ავასრულე. ვგრძნობ, რომ ხედავს, რომ ბუნების სიყვარულით ვცხოვრობ. მე გერმანიის მოქალაქე ვარ, მაგრამ ყველაფერს ქართულად ვაკეთებ და ამაყი ვარ. ხშირად ვამბობ, ეს და ეს მინდა კახეთში გავაკეთო-მეთქი. ჯერ კახეთში ვერა, მაგრამ გერმანიაში ხომ ავისრულე ოცნება — ანუ შემიძლია იქაც გავაკეთო.

გურჯაანში ჩემი წინაპრების სახლის ნანგრევები გვაქვს. მინდა სპონსორი მოვძებნო და მუზეუმი შევქმნა... გერმანიაში მეორე გრეტას მეძახიან. გრეტა ტუნბერგი შვედი ბუნების დამცველი გოგონაა, ახლა 18 წლისაა. მას 3 წლის წინ ნობელის პრემია მისცეს. მან ბუნებისდაცვითი მოძრაობა დაიწყო და მთელ მსოფლიოს მოსდო. ქურთუკი ვიყიდე, რომელიც ეკოლოგიური, ნატურალური მასალისგანაა შექმნილი და უკან, დიდი ასოებით აწერია: „დედამიწა“. ჩვენ მხოლოდ ერთი დედამიწა გვაქვს და ის უნდა გადავარჩინოთ. ამ ქურთუკით რომ დავდივარ და თან ჩემს გადარჩენილ მცენარეებს დავფოფინებ, ყველას ყურადღებას ვიქცევ. თურმე რა ადვილია რამე გააკეთო, თუ მთელი გულით მოინდომებ. გადამდებია მცენარეებზე ზრუნვა. გერმანელებს ამას ვერ დავუწუნებ, ეკოლოგიისთვის ძალიან ბევრს აკეთებენ. შენც რომ იმავეს ცდილობ, ამას ძალიან აფასებენ და ამას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ.

*მანანა გაბრიჭიძე*

# როგორ დავამარცხოთ „წაბლის ქერქის კიბო“

*წლებია, საქართველოში ულამაზესი წაბლის კორომები ხმება. წაბლის ხეებს დიდ საფრთხეს უქმნის წაბლის ქერქის კიბო — მომაკვდინებელი დაავადება, რომელსაც პათოგენური სოკო იწვევს. სპეციალისტები ამბობენ, რომ საქართველოში წაბლის ხმობის შემთხვევები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს გამოვლინდა, თუმცა ამ დაავადებამ მასობრივი ხასიათი თანამედროვე ეპოქაში მიიღო. ბუნების დამცველების ნაწილი ფიქრობს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზი გლობალური დათბობაა, რომელიც სხვადასხვა დაავადების პროვოცირებას უწყობს ხელს. როგორი დაავადებაა ეს და რა მეთოდებით შეიძლება მასთან ბრძოლა? — ამ შეკითხვით დავიწყეთ საუბარი სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკ* **აკაკი ღლონტთან.**

— წაბლის ქერქის კიბო ანუ Cryphonectria parasitica, ძალიან საშიში სოკოვანი დაავადებაა, რომელიც ბოლო წლებში მეტისმეტად მომძლავრდა. საქართველოში წაბლის ორი სახეობა გვხვდება: ტყის და ბაღის წაბლი და დაავადება ორივე სახეობისთვის ერთნაირად საშიშია — იმდენად საშიში, რომ ხალხმა მას წაბლის ქერქის კიბო უწოდა. წაბლი კარგად ხარობს ხარაგაულისა და საჩხერე-ჭიათურის ტერიტორიაზე, გურიასა და აჭარაში, ლეჩხუმში — ამ რეგიონებში ის ასეულობით ოჯახისთვის არის შემოსავლის წყარო. ცხადია, წაბლის ხეების განადგურება ამ ოჯახებისთვისაც დიდი დარტყმაა.

**— ბატონო აკაკი, როდის შემოვიდა ეს დაავადება საქართველოში?**

— ამის დადგენა რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში მასობრივად გავრცელდა. ჩემს ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ასეთი დაავადება არასდროს გამიგონია, მიუხედავად იმისა, რომ წაბლის ხეები ყოველთვის გვქონდა. გურიაში, ჩვენს ეზოში, 20-25 ძირი წაბლი ხარობდა და ახლაც ხარობს, მაგრამ არ მახსოვს, რომელიმე მათგანი გამხმარიყოს. სამაგიეროდ, წაბლნარები მასობრივად არის დაზიანებული იმერეთში. 2018 წელს ტყიბულში ვიყავი და გამხმარი წაბლის ხეები რომ დავინახე, გული დამწყდა. ძალიან რთული მდგომარეობაა საჩხერე-ჭიათურაშიც. აჭარასა და გურიაში ამ მასშტაბის დაზიანება არ მინახავს. ერთეული შემთხვევები არის, მაგრამ გადამხმარი კორომები არსად შემხვედრია.

ჩემს ეზოში ერთი ძველი წაბლის ხე მაქვს, დაახლოებით 70 წლისა, და ყოველ წელიწადს 200-300 კგ მოსავალს იძლევა. მას სოკოვანი დაავადება არასდროს ჰქონია, მაგრამ ახალგაზრდა ხეს, რომელიც რამდენიმე წლის წინ დავრგე, გაუჩნდა. ვფიქრობ, ეს სერიოზული კვლევის საგანი უნდა გახდეს, რატომ არ ჰქონია 70 წლის წინ დარგულ წაბლის ხეს დაავადება? საკითხი საფუძვლიანად შესწავლილი ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ ფაქტია, ბოლო წლებში რამდენიმე ახალგაზრდა წაბლის ხე დავრგე და ორი წლის წინ მხოლოდ ერთ ძირს შევნიშნე, რომ სოკო მორეოდა. დაავადებული ქერქი დანით ავაფხიკე, ნარჩენები ბაღიდან გამოვიტანე და ამის შემდეგ მცენარემ ზრდა-განვითარება განაგრძო. მცენარის იმუნიტეტზე, გამძლეობასა და ასაკზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.







*წაბლის ქერქის სოკოთი, იგივე „კიბოთი“ დაავადებული ხე ♦ მავნებლის გადიდებული გამოსახულება ♦ ხის ქერქის დაზიანების ადრეული სტადია*

**„სპეციალისტებმა ის ხეები უნდა გამოიკვლიონ, რომლებსაც წაბლის ქერქის სოკო არ გაუჩნდა, რათა დადგინდეს, რაშია საქმე. ფაქტია, ეს პრობლემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვაქვს, მაგრამ გურიასა და აჭარაში წაბლის ხეები ისე არ დაზიანებულა, როგორც იმერეთში. იქნებ ამის მიზეზი მაღალი ტენიანობა ან ნიადაგის მჟავიანობაა? – ამ საკითხებზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, ბიოლოგიურ მეთოდებზე, რაც ყველაზე უვნებელი გზაა**

**— ხომ შეიძლება ეს მეთოდი წაბლის კორომებშიც გამოიყენონ?**

— ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელია წაბლის ტყეებში, რომლებიც ხშირად მთაში მდებარეობს. იქ ათასობით წაბლის ხეა. ეს შეიძლება ფერმერმა მოახერხოს თავის ნაკვეთში, მაგრამ არა წაბლის ტყეში. იგივე უნდა ითქვას ე.წ. სანიტარიულ ჭრაზე, რომელიც ძალიან ბევრ ტყეში კარგა ხანია არ გაუკეთებიათ. პირად მეურნეობაში ფერმერი დაზიანებულ ხეს მოჭრის, მინდორში გამოიტანს და დაწვავს ან სხვა გზით გაანადგურებს, მაგრამ ტყეში ამას ვინ შეძლებს? ამას დიდი ფინანსები სჭირდება, საქართველოს წაბლის ტყეები მაღალ ფერდობებზეა შეფენილი და იქიდან მოჭრილი ხეების გამოტანა მხოლოდ ვერტმფრენებით შეიძლება.

**— რამდენად არის შესწავლილი ამ დაავადების სპეციფიკა?**

— ეს საკითხი ბუნდოვანი და შეუსწავლელია, ამიტომაც მოერია ჩვენს წაბლნარებს ეს საშიში დაავადება. ჩემი აზრით, სპეციალისტებმა ის ხეები უნდა გამოიკვლიონ, რომლებსაც წაბლის ქერქის სოკო არ გაუჩნდა, რათა დადგინდეს, რაშია საქმე. ფაქტია, ეს პრობლემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვაქვს, მაგრამ გურიასა და აჭარაში წაბლის ხეები ისე არ დაზიანებულა, როგორც იმერეთში. იქნებ ამის მიზეზი მაღალი ტენიანობა ან ნიადაგის მჟავიანობაა? — ამ საკითხებზე სპეციალისტებმა უნდა იმსჯელონ, ყველაფერი საფუძვლიანად შეისწავლონ და გამოიკვლიონ, მით უმეტეს, რომ სოკოვანი დაავადება ერთნაირად აზიანებს წაბლნარებს, ჩაის პლანტაციებსა და წიწვოვან ხეებს, იმდენად აზიანებს, რომ ადამიანებმა მას „კიბო“ შეარქვეს. ეს დიდი პრობლემაა არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მსგავსი პროცესი შეინიშნება.

**— თუ არსებობს მეთოდი, რომლითაც წაბლის ქერქის კიბოს დამარცხება შეიძლება?**

— ბევრ ქვეყანაში იყენებენ ქიმიურ პრეპარატებს, მაგრამ ეს სარისკო გზაა: ქართული კანონმდებლობით, ტყეებში ქიმიური პრეპარატების გამოყენება აკრძალულია, რადგან ამ დროს ტყეში ბევრი სასარგებლო არსება იღუპება, ზიანდებიან ადამიანები, ცხოველები, მწერები... ალბათ, ამიტომ საქართველოში დაიწყეს ზრუნვა ბიოლოგიურ მეთოდებზე, რაც ყველაზე უვნებელი გზაა. ითქვა, რომ ამის ინიციატორი ტყის ეროვნული სააგენტოა.

**— დიახ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ დაავადების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდის გამოცდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლევში 2021 წლიდან დაიწყო. პროცესში ქართველი და უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვნენ.**

— ეს ძალიან კარგი ინიციატივაა, მაგრამ საქართველო მარტო ერთი რეგიონი ან ერთი სოფელი ხომ არ არის? იმედია, კვლევა წარმატებით დასრულდება და სასურველ შედეგს მიიღებენ. მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური მტრების გამოყენება გამოცდილი და ძალზე ეფექტიანი გზაა. ამ შემთხვევაშიც ჰიპოვირულენტური შტამების გამოყენებას აპირებენ და ამის იმედი მეც მაქვს. ცნობილია, რომ ამ ტერიტორიაზე მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს და პირველადი შედეგების მიხედვით, საცდელ მონაკვეთებზე უკვე საიმედო შედეგია. ეს კარგია, რადგან მსგავსი დაავადებების წინააღმდეგ ყველაზე კარგი მეთოდი ბიოლოგიური კონტროლის მექანიზმია. ხშირად მავნებლებსა და დაავადებებთან ბრძოლაში ბუნებაც ერევა, მაგრამ ადამიანის გარეშე ასეთი სერიოზული პრობლემის გადაჭრა მაინც შეუძლებელია.

**— რას გულისხმობთ?**

— მარტივად რომ ავხსნათ, ფაროსანასთან ბრძოლას გავიხსენოთ: პირველ წლებში ის არნახულად გავრცელდა და მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო, მერე კი ბუნებაში დაუძინებელი მტრები გაუჩნდა. მაგალითად, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ შეჭამა პატარა ფრინველმა, ბოლოქანქარამ, ათეულობით ფაროსანა. იმის თქმა მსურს, რომ ბუნება ყველაფერს აკონტროლებს, თუნდაც მავნებლების წინააღმდეგ ქიმიური პრეპარატები არ გამოვიყენოთ. ფაროსანას საწინააღმდეგო წამალი, რომელსაც დღემდე ასხურებენ, მწერს 40 მეტრის რადიუსში კლავს, მაგრამ იმის იქით მავნებელი ცოცხალი რჩება. ამიტომ არის ბიოლოგიური მტრების გამოყენება ყოველთვის გაცილებით გონივრული და შედეგიანი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წაბლის კორომები ჩვენთან მაღალმთიანი სოფლების ირგვლივ მდებარეობს და იქ შესვლა რთულია.

**— გეთანხმებით, ძალიან ბევრი სოფელია საქართველოში წაბლნარით გარშემორტყმული და წაბლის ხეების გახმობით იქაური მოსახლეობა დიდ ფინანსურ დანაკარგსაც განიცდის.**

— ჯერ ამ დაავადებას უნდა მოვერიოთ, მერე კი სასურველია, საქართველოში წაბლის საადრეო ჯიშები მოვამრავლოთ, რატომ? — ეს ჯიშები მოსავალს ტურისტულ სეზონზე, ივლის-აგვისტოში მოგვცემს. ფერმერებისთვის ეს კარგი მოგება იქნება, მით უმეტეს, რომ ჩვენებური წაბლი არაერთ ქვეყანაში გააქვთ: ის დიდი მოწონებით სარგებლობს ევროპაში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში... როგორც მახსოვს, შარშან 1 კგ ქართული წაბლი 4-5 ლარი ღირდა, რაც ფერმერებისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა.

დასასრულ, აუცილებლად უნდა გავიმეორო ის, რაც მკითხველისთვის ბევრჯერ მითქვამს: ჩვენი აგრარული სექტორი სპეციალისტების ნაკლებობას განიცდის. საქართველოს განათლებული აგრონომები, ვეტერინარები, ენტომოლოგები სჭირდება... თუ ამ დარგში პროფესიონალი სპეციალისტები არ გვეყოლება, ჩვენი სოფლის მეურნეობა ერთ წერტილზე გაიყინება. მათ აღზრდაში სახელმწიფომ სერიოზული ინვესტიცია უნდა ჩადოს, სხვაგვარად სულ ამჟამინდელ დონეზე დავრჩებით.

***ხათუნა ჩიგოგიძე***

# სურინამული ალუბალი – პიტანგა

*სურინამული ალუბალი, იგივე ბრაზილიური ან კაიენის ალუბალი, ნანგაპირი, მონკიმონკი კერსი — ეს ყველაფერი ერთ პატარა ხილს ჰქვია, რომელსაც ყველაზე უკეთ პიტანგას სახელით იცნობენ. მისი სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკებია, თუმცა უკვე ყველა კონტინენტზეა გავრცელებული.*










*პიტანგა (Eugenia uniflora) დიდი ბუჩქი ან პატარა ხეა, რომელიც ნელა იზრდება მაქსიმუმ 8 მეტრამდე. დამტვრევის ან დაჭრის დროს ტოტები და ფოთლები მკვეთრ ფისოვან სურნელს გამოყოფს. კვერცხისებრ ფოთლებს პრიალა ზედაპირი აქვს, ზომით 4 სმ-მდეა და ზამთარში ისინი წითლდება.*

*ოთხფურცლიანი ყვავილები გადაიქცევა 2-დან 4 სმ-მდე ზომის ნაყოფებად ათამდე „ნეკნით“. ძირითადად, ისინი ჯერ მწვანეა, დამწიფებისას კი ნარინჯისფერი და ალისფერი ხდება. ბოტანიკური თვალსაზრისით ნაყოფი კენკრაა და მისი გემო ტკბილიდან მჟავემდე მერყეობს ჯიშისა და სიმწიფის მიხედვით: ალისფრიდან მუქ წითლამდე საკმაოდ ტკბილია, ხოლო მწვანიდან ნარინჯისფრამდე — საოცრად მჟავე. იჭმება ნედლადაც. არის კარგი არომატიზატორი, ურთავენ ღვეზელებში, ამზადებენ ჯემებსა და ჟელეებს, წვენს კი წიწვოვანთა მაცოცხლებელი არომატი დაჰკრავს. სურინამულ ალუბალში დიდი რაოდენობით არის C ვიტამინი. ფოთლებიდან ურუგვაიში ჩაის აყენებენ, ბრაზილიაში კი მათ აივნებზე შლიან, რადგან მკვეთრი სურნელით აბეზარ მწერებს კარგად აფრთხობს.*

*კენკრაში 2-3 ცალი მწარე თესლია, რომელიც არ იჭმება. თუმცა ის ხილის მჭამელ ფრინველებს გადააქვთ და ზოგ ადგილებში სარეველას მსგავსადაც კი ვრცელდება. ამ მცენარეს ხშირად ცოცხალ ღობედ იყენებენ, ასევე დეკორატიული მიზნით. ამისთვის ის ბერმუდის კუნძულებზე და ფლორიდაში შეიტანეს, თუმცა დღეს იქ პიტანგა უკვე ინვაზიური სახეობაა.*

# ვაშლოვნის სავანე

**ნაკრძალში გვერდიგვერდ იზრდება ალპური, ნახევარუდაბნოსა და ჭაობის მცენარეები. სწორედ ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ ტერიტორიას ბუნების ძეგლის სტატუსი მიანიჭა**



*თბილისიდან უკიდურეს აღმოსავლეთისკენ გზას თუ გაუყვებით, 200 კილომეტრში, შირაქის ზეგანთან, სადაც ამჟამად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტია, საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ტერიტორიას ნახავთ. მას ვაშლოვანს უწოდებენ, თუმცა იქ, ვაშლის ხე არასდროს მდგარა. დაცული ტერიტორიები, რომლის საერთო ფართობი 35 067 ჰექტარია, შედგება ნაკრძალის, მის გარშემო არსებული ეროვნული პარკისა და ცალკე მდებარე სამი ბუნების ძეგლისგან. თვალუწვდენელ ველებს ხევები და კლდეები ცვლის, დაბლობები კი წმინდა საკმლის ხის ტყეს უჭირავს. გადმოცემის მიხედვით, რადგან ტყე შორიდან ვაშლის ბაღს ჰგავს, მას ვაშლოვანი შეარქვეს. აქაური კლიმატი ცხელი და მშრალია. ჩვენი მეგზური ნაკრძალის დირექტორის ყოფილი მოადგილე, ამჟამად ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის თავმჯდომარე **ამირან კოდიაშვილია**. ჩვენ მის ინსტრუქციებს მივყევით და არწივის ხეობის აღმართიან საფეხმავლო გზას გავუყევით.*



*ტალახის ვულკანები ზღვის დონიდან 541 მ სიმაღლეზე, სერის თხემზე ამართულ რამდენიმემეტრიან სიმაღლის ბორცვს წარმოადგენს. ყველაზე დიდი ტალახის კრატერის დიამეტრი 3,5-4 მ-ია. ის, ისევე როგორც მის გარშემო განლაგებული მცირე ზომის სასულეები, მუდმივმოქმედია*

არწივის ხეობა ვაშლოვნის დაცული ტერიტორიების მარგალიტია. ხეობაში 78 სახეობის ფრინველი ბინადრობს. დროდადრო ვჩერდებით და ვცდილობთ ხეობის ბინადრებს შორიდან ვუჭვრიტოთ. სიცხეში გზა დამღლელია, თუმცა იქაური სილამაზის ნახვის შემდეგ აუცილებლად იტყვით, წვალებად ღირდაო. ფეხსადგამიანი მონოკლიდან ისე ახლოს ჩანს არწივის ხეობის ფლორა და ფაუნა, ასე მგონია, მეც იმ კლდის ძირში ვარ, სადაც ვეებერთელა ორბმა კამარა შეკრა და ჩამოსაჯდომად გაემზადა, მერე გადაიფიქრა და ისევ ცაში აიჭრა. ერთ-ერთ კლდეზე ბუდეში მჯდომი ყარყატი აშკარად თვალს თვალში მიყრის. „ნუთუ შემამჩნია, რომ ვუთვალთვალებ?“ — ხმამაღლა ვიწყებ ფიქრს. ბატონი ამირანი მიხსნის, რომ ამ კლდეებში მობინადრე ფრინველებს კარგი მხედველობა აქვთ, ისინი დიდი სიფრთხილით გამოირჩევიან და ყურადღებით აკვირდებიან ადამიანების გადაადგილებას, მიახლოების შემთხვევაში კი ბუდეს ტოვებენ. საოცარი სანახავია წითელნისკარტა და გრძელფეხება ყარყატი. ჭოგრიტს სხვა მხარეს ვაბრუნებ და კლდის ქიმზე ბუდეზე ფრთაგადაშლილ დედა ორბს ვხედავ, ცდილობს ბარტყები მზემ არ შეაწუხოს. ჩვენი ყოფნის დროს ფასკუნჯი არ გამოჩენილა, აი, არწივს კი არწივის ხეობაში თურმე ვერსად შეხვდები. ბატონი ამირანი მიყვება: „მე-18 საუკუნეში დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე რუსი ემიგრანტები დასახლდნენ. ხეობაში მათ უზარმაზარი ფრინველები შეუნიშნავთ და უფიქრიათ, რომ არწივები იყვნენ. ამიტომ ხეობას „არიოლ ბალკა“ შეარქვეს, შედეგად დღემდე შემორჩა ამ სახელწოდების ქართული თარგმანი, „არწივის ხეობა“. ხეობის კლდეებში მრავალი სახეობის მტაცებელი და ლეშიჭამია ფრინველი ბინადრობს: ორბი, ფასკუნჯი, შევარდენი, მიმინო, ქორი, კაკაჩა... ლეშიჭამია ფრინველებს მკვდარი ცხოველის პოვნის საოცარი უნარი აქვთ. მათ შეუძლიათ შორიდან ისიც გაარკვიონ, ცხოველი მკვდარია თუ ცოცხალი. ერთმა თუ იპოვა, მას ყველა მიჰყვება და ძალიან სწრაფად ლეშთან ბევრი ფრინველი იყრის თავს. შეიძლება 2 საათში მთელი ძროხაც შეჭამონ“.

პროფესიონალურ სათვალთვალო ჭოგრიტში სალ კლდეზე ამოსულ ხასხასა მწვანე მცენარეს ვხედავ და გაოცებული მეგზურს კითხვებით ვაბრუებ: „კლდეზე როგორ ხარობს? ფესვი არა აქვს? რა მცენარეა?“ — ჩემი გაოცების ობიექტი უიშვიათესი და ულამაზესი ყვავილოვანი მცენარე, „კახეთის მაჩიტა“ აღმოჩნდა. ფესვები კლდის უწვრილეს მილებში აქვს გადგმული და გვალვის დროს იქიდან იწოვს ნესტს. მთელ დედამიწაზე „კახეთის მაჩიტა“ მხოლოდ აქ ხარობს. როგორც ჩემი მეგზური მეუბნება მაჩიტების ბევრი სახეობა არსებობს, თუმცა „კახეთის მაჩიტა“ სხვებისგან გამორჩეულია. საუკუნეების წინ ამ ტერიტორიას ოკეანის წყალი ფარავდა. ხმელეთის გაჩენის შემდეგ პირველი მცენარე სწორედ „კახეთის მაჩიტა“ აღმოცენდა. ის ენდემია და განსაკუთრებულად ვიცავთო.

ვაშლოვანში გვერდიგვერდ იზრდება ალპური, ნახევარუდაბნოსა და ჭაობის მცენარეები. სწორედ ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ ტერიტორიას ბუნების ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

საკმლისხეებიანი დაბლობი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ვაშლის ბაღს, თუმცა ახლოს მისვლის შემდეგ ხვდები, რომ საკმლის ხეს ფოთოლიც და ვარჯიც განსხვავებული აქვს. მას ქალწულებრივ ტყესაც ეძახიან. პატრიარქის საკმლის ხე თითქმის 1000 წლისაა, ხეთა უმეტესობა კი 300-400 წელს ითვლის. თითო-ოროლა საკმლის ხე შეიძლება საქართველოს სხვა კუთხეებშიც შეგხვდეთ, მაგრამ ამ ხეების ტყეს ამხელა ფართობზე (თითქმის 2000 ჰექტარი) მსოფლიოში ვერსად იპოვით. როცა ჰაერის ტემპერატურა 40-50 გრადუსს აღწევს, საკმლის ხის ფოთლის ზედაპირი სკდება და იქიდან ნივთიერება ჰაერში გაიტყორცნება. ამ ნივთიერებით იქმნება ღრუბელი, რომელშიც მზის სხივი გრილდება. სიგრილის გამო, საკმლის ხის ძირას უამრავი მცენარე ხარობს.

ვაშლოვნის ხეობებს სხვადასხვა სახელი აქვს: მერცხლების ქალაქი, დათვისხევი, პანტიშარის ხეობა და ა.შ. ბატონი ამირანის ვარაუდით, პანტიშარის ხეობას ეს სახელი პანტის ხეების სიხშირის გამო შეარქვეს. მერცხლების ქალაქში კი იმდენი მერცხლის ბუდეა, დათვლა გაგვიჭირდა.

შეიძლება თვალებს არ დაუჯეროთ, როდესაც ამ ხეობის კლდეების ჩამონაშალში დიდ ნიჟარებს შენიშნავთ. „სად უდაბნოდ ქცეული ვაშლოვანი და სად ნიჟარები?“ — გაოცება არ დამიმალავს ჩემი მეგზურისთვის. ამირან კოდიაშვილი კიდევ ერთხელ დაუზარლად მიხსნის: „რამდენიმე მილიონი წლის დათვისხევის კლდეების შრეებში ჩალაგებული უდიდესი ნიჟარები იმის ნათელი მაგალითია, რომ აქ ოდესღაც წყალი იყო. კავკასიონის მთაგრეხილის აღმოცენებისა და წყლის ორად გაყოფის შემდეგ არწივის ხეობაში რიფები დაიპრესა და მივიღეთ უმშვენიერესი კლდეები, ხოლო დათვისხევსა და პანტიშარის ხეობაში დანალექ ქანებში ფენა-ფენა ჩალაგდა მილიონობით მოლუსკი. არწივის ხეობის მსგავსად, ბუნების ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული კაკლის ყურეს, იმავე ალაზნის ჭალას, და ტახტითეფას ტალახის ვულკანებს.

სიცხისგან გათანგულებს რეინჯერთა სადგურში ცივი ყავა მოგვართვეს. მოგვიანებით დაცული ტერიტორიების დირექტორი მერაბ ფიროსმანიშვილი შემოგვიერთდა. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ ნაკრძალში 250-კილომეტრიანი ბილიკი, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები მოუწყვიათ, ასე რომ, ვიზიტორების სტუმრობასღა ელიან.

*ნელი ვარდიაშვილი*

## ქურციკზე ნადირობა აკრძალულია!



***ამირან კოდიაშვილი** საქართველოში ქურციკების პოპულაციის აღდგენის მრავალწლიანი პროექტის აქტიური მონაწილეა: — სამუხის ველზე რამდენიმე ქურციკი ჩამოვიყვანეთ ბუხარის საჯეირნე საშენიდან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ მოსავლელად რესურსი აღარ გვქონდა, ვოლიერში მგლები გადახტნენ და ქურციკები დახოცეს. 2010 წლიდან დაცული ტერიტორიების სააგენტომ კვლავ დაიწყო ამ პროგრამაზე მუშაობა. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის დახმარებით ქურციკები თურქეთიდან შემოვიყვანეთ და დიდ ვოლიერში გავუშვით, მაგრამ ეს გზაც არ აღმოჩნდა მათი გამრავლებისთვის ხელსაყრელი. შემდეგ წლებში აზერბაიჯანიდან შემოყვანილი ქურციკები სამუხის ველზე, ველურ გარემოში გავუშვით. ქურციკების რაოდენობამ დღეისათვის 300 მიაღწია. ამ მნიშვნელოვანი პროექტის კონსულტანტი ვაჟიკო ყოჩიაშვილი თავაუღებლად შრომობს. ქურციკი სწრაფად მრავლდება, ერთ, ორ ან სამ ლიკლიკს შობს. ისინი გუნდურად ცხოვრობენ. სხეული ჩალისფერი აქვთ, კუდის მხარე კი — თეთრი. გუნდში ყოველთვის ჰყავთ ე.წ. დარაჯი ქურციკი, რომელიც საფრთხის შესახებ პირველი იგებს და დაახლოებით 8-მეტრიანი ნახტომებით იწყებს გაქცევას. მაღალი ნახტომების დროს სხეულის უკანა ნაწილში განლაგებული თეთრი ლაქები ადვილად შესამჩნევია, რაც სხვა ქურციკებისთვის საფრთხის მომასწავებელია და სხვებიც მიჰყვებიან სირბილით. ქურციკის ხორცი დელიკატესად ითვლება, მაგრამ მსოფლიოში მათი რაოდენობა იმდენად შემცირებულია, მასზე ნადირობა ყველა ქვეყანაში აკრძალულია. მიუხედავად ამისა, ბრაკონიერები არ ისვენებენ. ერთხელ მოკლეს ქურციკი, რომელსაც სატელიტური საყელო ეკეთა, და სატელიტის მიხედვით გახდა ცნობილი ბრაკონიერთა ვინაობა და ადგილსამყოფელი, მაგრამ ქურციკი ვერ ვიპოვეთ და ბრაკონიერობაც ვერ დავუმტკიცეთ.*

*ბოლო დროს ვაშლოვანს ბევრი ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორი ჰყავს. 20 წელიწადი ვაშლოვნის ნაკრძალში ვიმუშავე და ფოცხვერი სულ სამჯერ ვნახე, დათვი — ორჯერ, მგელი უფრო ხშირად... თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, ამ ტერიტორიაზე ვიზიტორისთვის გარეულ ცხოველს რაიმე დაეშავებინოს. ერთხელ მეცნიერ ბეჟან ლორთქიფანიძესა და ერთ-ერთ რეინჯერს ეჭვი გაუჩნდათ, რომ ტყეში ბრაკონიერები დადიოდნენ. გაეკიდნენ და უკან დაბრუნებულებს ლეოპარდმა გადაურბინათ. ლეოპარდის იქ არსებობის შესახებ მანამდე მხოლოდ ფოტოხაფანგებიდან ვიცოდით. ამით იმის თქმა მინდა, რომ მტაცებელთან შეხვედრა იშვიათობაა და წესების დაცვის შემთხვევაში სახიფათოც არ არის.*

ტურისტული სეზონი

# „რუსეთის მოქალაქეები ახლა ანაკლიის სახლებზე ნადირობენ“

***უამინდობის გამო წელს სამეგრელოს მუნიციპალიტეტში ზღვის სეზონი შედარებით გვიან დაიწყო. ხშირი წვიმები, წყალდიდობა, ქარი, შტორმი და გრილი ამინდები ივლისის შუა რიცხვებამდე გაგრძელდა, რაც უჩვეულოა, რადგან რეგიონში მაღალი ტემპერატურა ივნისის ბოლოდან იწყებოდა. ანაკლია-განმუხურში თვალში მოგხვდებათ ზღვის სანაპიროებზე დამსვენებლების სიმცირე და სიძვირე.***

**„ადვილი არაა იმ ხალხის განსჯა, ვინც რუსებს ემსახურება და სახლებს ყიდის. აქაურები დღედაღამ მუშაობენ, მაგრამ უკეთესობა არ არის... სამწუხაროდ, არიან ისეთები, ვინც რუსებს ეუბნება, არაფერში გვჭირდება „გარყვნილი ევროპა“, სიამოვნებით ვიქნებით რუსეთთან, საბჭოთა კავშირის დროს არავინ გვებრძოდაო. საბჭოთა ნოსტალგია უფროს თაობას აქვს, მაგრამ გოგო-ბიჭებიც აკრიტიკებენ ევროპას. თუმცა სამუშაოდ მაინც ევროპაში გარბიან“**

ემირ ცხადია: „დამსვენებლები გვებუზღუნებიან, სულ წვიმს, სამეგრელოა თუ შოტლანდიაო... უფროსი თაობა ამბობს, წელიწადზე მეტია მეზობლად ქვეყანა ინგრევა, ამდენი ბომბი, ამდენი აფეთქება კლიმატზე აისახაო... ალბათ, მართალიც არის. სადაც რუსმა ფეხი დადგა, ყველგან სიკვდილი და ნგრევა დატოვა და კიდევ მეუბნებიან, უბრალო ხალხმა რა დაგიშავაო. ესენი „უბრალო“ არც ერთი არაა, ყველა „ბრალიანია“. განმუხურში აკვაპარკის ახლოს სასტუმრო შენდებოდა და 2008 წლის ომის დროს მშენებარეს დაარტყეს. რუსები გვეკითხებიან — ამ შენობაში რა იყოო. როდესაც ვეუბნები, სასტუმრო იქნებოდა, 2008 წელს თქვენს ხელისუფლებას რომ არ დაებომბა ესეც და სხვა დანარჩენიც-მეთქი, არ მოსწონთ — პოლიტიკა არ გვაინტერესებსო.

განმუხური-ანაკლიის ხიდის საფარი ალაგ-ალაგ ისეთი ამოყრილია, ველოსიპედით მიმავლებს ზიგზაგებით უწევთ სიარული. მაღაზიებში შეხვდებით რუსულ პროდუქციასაც, რომლის წარმომავლობაზე მეპატრონეები გაურკვეველ პასუხს გაძლევენ, — დისტრიბუტორმა საიდან მოიტანა რა ვიცითო. ნაწილის თქმით, აფხაზეთიდან შემოიტანეს... სიძვირეს ხალხი არასტაბილური ამინდებით ხსნის, დამსვენებელი ცოტაა და „ხარჯის ამოღებას ცდილობენ...“

ორივე კურორტის სანაპიროზე თვალში მოგხვდებათ მოუწესრიგებელი პლაჟები, იქაურობა სუფთავდება, მაგრამ როგორც ჩანს, არც ადგილობრივები და არც ტურისტები წესრიგით დიდად არ გამოირჩევიან. სანაპიროზე მიმოფანტული ერთჯერადი შპრიცების გამო პლაჟზე ფეხშიშველი სიარული სახიფათოა. როგორც ადგილობრივები მიყვებიან, აფხაზეთიდან გადმოსულებისთვის „მეტადონის“ პროგრამა უფასოა. ისინი კი ამით სარგებლობენ, ამბობენ, არასტაბილური მდგომარეობის გამო შესაძლოა რამდენიმე დღე ვერ შევძლოთ გადმოსვლა და ამიტომ მეტი გვჭირდებაო, თუმცა შემდეგ ქალაქში ყიდიან.

რუსულენოვანი დამსვენებლები ჯერ კიდევ ცოტაა, მაგრამ როგორც ამბობენ, ისე ხმაურობენ, რომ ბევრი გეგონებათ...

„დილიდან საღამომდე პლაჟზე არიან. ხანდახან ვხუმრობთ, რომ ჩაუვლი, შემწვარი ხორცის სუნი აქვთო“, — მეუბნება ერთი მოსახლე. მისი თქმით, რუსეთის მოქალაქეებს ზოგი „არამეგობრულად“ ექცევა. ახსოვთ, როგორ ბომბავდა რუსეთის საოკუპაციო ჯარი განმუხურს, ურთას, კოდორის ხეობას, ფოთსა და დანარჩენს საქართველოს და არც არასდროს აპატიებენ. არიან ისეთებიც, ვინც ამბობს, რომ პუტინის გამო მათთან დაპირისპირება არ ღირს. ამის გამო, მოსახლეობამ ერთმანეთი „რუსთმოძულე“ და „რუსთმოყვარულად“ დაყო.

მოსახლეობის თქმით, ანაკლიას მეტი დამსვენებელი ჰყავს, განმუხურში კი ისინი ჩამოდიან, სუფთა ზღვა რომ სურთ.

„ზღვა სუფთა იმიტომ არის, რომ აფხაზეთთან უფრო ახლოა, იქაური ზღვა კი ყოველთვის გამორჩეული იყო. აქედან ხელის განწვდენაზეა, ფეხით, 15 წუთში „მელე“ გადახვალ (მელე — მეგრ, იქითა მხარე, ანუ გაღმა ნაპირი), მაგრამ სადაა ეს ბედნიერება. რამდენიმე წლის წინ გიორგი კეკელიძე შეგვპირდა, განმუხურის ზღვაში ძველ სეინერზე გემბიბლიოთეკას გავაკეთებთო, მაგრამ ის გემი ისევ ისე მარტო, დროისა და ადამიანისგან გაოხრებული ირწევა ზღვაში და მკითხველს კი არა, მხოლოდ ცნობისმოყვარე ტურისტებსა და დამთვალიერებლებს მასპინძლობს“, — ამბობს ანა დუნდუა.

რუსი ტურისტები ჟურნალისტებთან საუბარს თავს არიდებენ, პირად საუბარში კი ამბობენ, რომ თავს ცუდად არ გრძნობენ.



**ზოგ მეპატრონეს ტელეფონის ნომერი ჭიშკარზე უწერია, ან მეზობელს, მაღაზიის გამყიდველს დაუტოვა, თუ მყიდველი გამოჩნდეს, შემატყობინეო. რუსები კარ-მიდამოს უფრო ზღვის ახლოს ეძებენ, განაშენიანებულს, ხეხილით, თხილით. 5-6 კილომეტრის დაშორებითაც არ არის პრობლემაო. ზოგი ამბობს, ტურები და მგლები რომ კიოდნენ, იმას არ ჯობია, ადამიანები ცხოვრობდნენ და აქაურობა გამოცოცხლდებაო, მაგრამ არ ვეთანხმები, უთოფოდ აგვიღებენ. თუ ბევრი მოგროვდნენ, რუსულენოვან სკოლასაც მოითხოვენ...**



**„რამდენიმე წლის წინ გიორგი კეკელიძე შეგვპირდა, განმუხურის ზღვაში ძველ სეინერზე გემბიბლიოთეკას გავაკეთებთო, მაგრამ ის გემი ისევ მარტო, დროისა და ადამიანისგან გაოხრებული ირწევა ზღვაში...“**

„საქართველოში ადრეც გვინდოდა ჩამოსვლა, მაგრამ პანდემიამ შეგვიშალა ხელი. კარგი იქნებოდა, სანაპიროები უფრო მოწესრიგებული იყოს და მეტი გასართობი ადგილი გქონდეთ. ყველგან საზამთროს ქერქები, ერთჯერადი პარკები, პლასტმასის ბოთლები, შპრიცები ყრია. ზოგი რამ შედარებით ძვირია, თუმცა მთლიანობაში სტაბილური სიტუაციაა. მთავარია, ამინდი გამოვიდეს“, — ამბობს 37 წლის ალიონა.

კიდევ ერთის თქმით, რამდენიმე დღის წინ ის და მისი მეგობრები ადგილობრივებისგან პოლიციამ დაიცვა:

„ერთ კვირაში უკვე ორჯერ მოგვექცნენ აგრესიულად... იყო შემთხვევები, როდესაც თანხის გადახურდავებასა და პროდუქტის შეძენაზე უარი გვითხრეს — რუსებს არ ვემსახურებით, აქედან რამდენიმე კილომეტრში აფხაზეთია, რომელიც რუსეთს აქვს ოკუპირებული და შეგიძლიათ იქ მიბრძანდეთო. თუ არასასურველი ვიზიტორები ვართ, სახელმწიფომ გვითხრას უარი. ჩვენი ბიჭები უკრაინაში იხოცებიანო... ჩვენებიც იხოცებიან... არც ჩვენ გვინდა ომი, ამიტომ წამოვედით აქ. საქართველოშიც არიან ადამიანები, ვინც უკრაინის ხელისუფლებას აკრიტიკებს და პუტინის პოლიტიკის მომხრეა. თავად ვესაუბრე მათ“, — ამბობს 41 წლის ანასტასია.

არჩილ ხუფენია პატარა სასურსათო მაღაზიიდან მიღებული შემოსავლით ირჩენს თავს: „ადვილი არაა იმ ხალხის განსჯა, ვინც რუსებს ემსახურება და სახლებს ყიდის. აქაურები დღედაღამ მუშაობენ, მაგრამ უკეთესობა არ არის... ახლა ამბობენ, ანაკლიის პორტი აუცილებლად აშენდებაო. პროპაგანდა, რომ თუ რუსეთს დასჭირდა, საქართველოსთან ომზეც არ დაიხევს უკან, მუშაობს. ზოგს ეშინოდა, თუ პორტის მშენებლობას ამერიკელები დაიწყებენ, რუსეთი დაგვარტყამსო. ისინი, ვისი მიწის ნაკვეთებიც პორტის პროექტში მოხვდება, კომპენსაციასაც ელოდებიან, სხვები კი სამუშაოს, რომელიც აქ დარჩენის სტიმულს მისცემს. იმედია, პორტი მართლა აშენდება, თორემ ტურისტისა და თხილის იმედზე, რომელიც ჩამოკრეფამდე ლპება და თეთრებში უწევთ ჩაბარება, ჩემი მტერი იყოს“.

„ქართველი ყველაფერზე თითს იშვერს, ცხვირს იბზუებენ, რუსი შედარებით მომთმენია, მაგრამ მე სხვანაირად მგონია — ახლა ასე აწყობთ. როდესაც რამეს ეკითხებიან, ცდილობენ ნეიტრალური პოზიცია შეინარჩუნონ — პოლიტიკაში არ ვერევით, ვცდილობთ მშვიდად ვიცხოვროთ. საქართველოში აგრესია ნაკლებია, ამიტომ შედარებით უსაფრთხო ქვეყნად ვთვლითო, მითხრეს. ვუთხარი, საბჭოთა კავშირის დროს ჩემს მეზობლად რუსებმა რამდენიმე ათეული წელი იცხოვრეს და ერთი სიტყვა ქართული არ იცოდნენ-მეთქი. მაშინ რუსული საერთაშორისო ენა იყო და იმიტომ, ქართველებიც ხომ რუსულად იღებდნენ განათლებასო, მითხრეს. გავბრაზდი, დაპყრობილი ვყავდით რუსეთს, სხვა ალტერნატივა არ გვქონდა და იმიტომ-მეთქი, მაგრამ ელაპარაკე რამდენიც გინდა. ჩემი ემოციური საუბრის ფონზე ცხელ ხაჭაპურს მიირთმევდნენ და ცივ წვენს აყოლებდნენ, ზუგდიდში გასინჯულს ეს სჯობია, ფასიც უფრო დაბალიაო“, — გვითხრა ნანა ქვარცხავამ.

ანაკლიელი დაურ მეზონიას თქმით, დამსვენებლების გარდა, კვირაში რამდენჯერმე რუსეთის მოქალაქეები ავტომანქანით ჩამოივლიან და გასაყიდ სახლებს ეძებენ.

„ბოლო დღეში ათზე მეტმა კაცმა იკითხა, ვინმე სახლს ხომ არ ყიდისო. ბოლო წლებში უამრავი ოჯახი აიყარა და საცხოვრებლად თბილისში, ევროპაში ან ამერიკაში წავიდა. ზოგმა სახლი დაკეტა. თანდათან ზოგს სახურავი დაუზიანდა, ზოგს კარი, ქარმა ღრიჭო იპოვა და მოარყია, იქ საქონელმა ღობე და ჭიშკარი დააზიანა. იციან, ვატყობინებთ, დარდობენ, მაგრამ ვერ ჩამოდიან. სულ ჩამოქცევას, მირჩევნია, გავყიდო და ფული შვილებს მოვახმაროო, უთქვამთ. რუსეთის მოქალაქეები ახლა ასეთ სახლებზე ნადირობენ. ზოგ მეპატრონეს ტელეფონის ნომერი ჭიშკარზე უწერია, ან მეზობელს, მაღაზიის გამყიდველს დაუტოვა, თუ მყიდველი გამოჩნდეს, შემატყობინეო. რუსები კარ-მიდამოს უფრო ზღვის ახლოს ეძებენ, განაშენიანებულს, ხეხილით, თხილით. 5-6 კილომეტრის დაშორებითაც არ არის პრობლემაო. ზოგი ამბობს, ტურები და მგლები რომ კიოდნენ, იმას არ ჯობია, ადამიანები ცხოვრობდნენ და აქაურობა გამოცოცხლდებაო, მაგრამ არ ვეთანხმები, უთოფოდ აგვიღებენ. თუ ბევრი მოგროვდნენ, რუსულენოვან სკოლასაც მოითხოვენ... ჩვენი ხალხი გარბის, ისინი კი ჩამოდიან და ჩამოდიან. ბიზნესს გეგმავენ — თან ონლაინ ვიმუშავებთ, თან სოფლის მეურნეობას მივხედავთო. ერთმა მითხრა, სახლს რომ გავარემონტებ, გესტჰაუსს გავაკეთებ, შემდეგ კი ჩემი მინივენით რუსეთიდან და ბელარუსიდან დამსვენებლებს ჩამოვიყვან, ბევრი აქ ჩამოსვლისგან თავს იკავებს, არადა, ყირიმშიც არასტაბილური მდგომარეობაა, აფხაზეთში კი საშუალოზე დაბალი ფენა ჩადის, რადგან ადამიანის უფლებები დაცული არ არის, საქართველოში სიმშვიდეა, შედარებით განვითარებული ქვეყანაა, დაბალი ფასებია, რუსეთში წასვლის პრობლემაც არ არის და აქ გვირჩევნიაო... ზოგი უკმაყოფილოა, თქვენთან სიძვირეაო, ანუ თან გვიპყრობენ და თან გვაყვედრიან. სამწუხაროდ, არიან ისეთები, ვინც რუსებს ეუბნება, არაფერში გვჭირდება „გარყვნილი ევროპა“, სიამოვნებით ვიქნებით რუსეთთან, საბჭოთა კავშირის დროს არავინ გვებრძოდაო. საბჭოთა ნოსტალგია უფროს თაობას აქვს, მაგრამ გოგო-ბიჭებიც აკრიტიკებენ ევროპას. თუმცა სამუშაოდ მაინც ევროპაში გარბიან. ჩემს მეზობლებს ვეუბნები, აჭარაშიც უხაროდათ რუსების შემოსვლა, მაგრამ რუსებმა თავად იყიდეს ფართობები და აჭარლები ახლა რუსებს ემსახურებიან-მეთქი. ერთმა მითხრა, ვინც იყიდა, მისი სტუმრები და ახლობლები ხომ ჭამენ და სვამენ, ის ფული კი ბიუჯეტში არ გროვდებაო?! ისევ ერთსა და იმავე წრეზე ვტრიალებთ — მოსახლეობას განათლების პრობლემა აქვს.

**ერთმა მითხრა, სახლს რომ გავარემონტებ, გესტჰაუსს გავაკეთებ, შემდეგ კი ჩემი მინივენით რუსეთიდან და ბელარუსიდან დამსვენებლებს ჩამოვიყვან, ბევრი აქ ჩამოსვლისგან თავს იკავებს, არადა, ყირიმშიც არასტაბილური მდგომარეობაა, აფხაზეთში კი საშუალოზე დაბალი ფენა ჩადის, რადგან ადამიანის უფლებები დაცული არ არის, საქართველოში სიმშვიდეა, შედარებით განვითარებული ქვეყანაა, დაბალი ფასებია, რუსეთში წასვლის პრობლემაც არ არის და აქ გვირჩევნიაო... ზოგი უკმაყოფილოა, თქვენთან სიძვირეაო, ანუ თან გვიპყრობენ და თან გვაყვედრიან**

*ლალი პაპასკირი*

# ბაკურიანი – ქაოსური მშენებლობები და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა

**ერთადერთი, რაც ბაკურიანში დადის, მოხატული ღია საბავშვო ავტობუსია. კერძო პიროვნებას ეკუთვნის და რომელ გაჩერებაზეც არ უნდა ჩამოხვიდე, მგზავრობაში 2 ლარია გადასახდელი**

***ხელუხლებელი წიწვოვანი ტყე, მთის ჯანსაღი ჰაერი და ჯადოსნური ბუნება — ბაკურიანის მსგავსი კურორტით მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა მოიწონებდა თავს, რომ არა დისონანსი, რომელიც ამ ჰარმონიაში ჩვენვე შეგვაქვს ქაოსური მშენებლობით, ავტომანქანების გამონაბოლქვით და ბუნებისადმი უდიერი მოპყრობით. სეზონის მიუხედავად, აქ ავტომანქანების საცობი ხშირია, რასაც გაუმართავი ინფრასტრუქტურაც უწყობს ხელს. უკვე რამდენიმე წელია, ველარც ბორჯომის ხეობის მშვენებას, „კუკუშკას“ იხილავთ. როგორც ამბობენ, არა მარტო მატარებლის ვაგონები, არამედ ბორჯომიდან ბაკურიანისაკენ მიმავალი რკინიგზაც მწყობრიდან გამოსულია. ამის მიუხედავად, დამსვენებელი ტრადიციას არ ღალატობს და კურორტს როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის სეზონზე სტუმრობს.***

ზაფხულის სეზონზე ბაკურიანში დასაქირავებელი ბინის ფასი ივლისიდან აგვისტოს ჩათვლით იზრდება, ისევე, როგორც ბაკურიანის შემოგარენი — ქაოსური მშენებლობებით. 2017 წელს მიღებული და წლების წინ შესასრულებელი ბაკურიანის განაშენიანების გენერალური გეგმა გადადებულია. ბაკურიანის მართლაც გამორჩეულ მოედანზე, რომელზეც ცენტრალური პარკი უნდა გაშენებულიყო, მეორადი საბურავების „ქალაქი გაშენდა“. როგორც აღმოჩნდა, საბურავების ზღვა რაოდენობა კვადროციკლების მეპატრონეებს აქვთ მოზიდული თავიანთი კვადროციკლის რბოლის არეალის შემოსასაზღვრად. კვადროციკლთან ერთად, ბევრს ცხენიც ჰყავს. ეს მშვენიერი პირუტყვი კვადროციკლებს ამაყად უწევს კონკურენციას: აქ ცხენით ორწუთიან გასეირნებას ზუსტად ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ამავე დროით კვადროციკლებით გაქროლებას — 10 ლარი; არადა, ჯერ კიდევ შარშან 5 ლარს არ აღემატებოდა. სამაგიეროდ, ფასის გამო კვადროციკლიცა და ცხენიც ხშირად უქმად არიან ჩამომწკრივებულები: ორწუთიანი სეირნობის 100%-ით მომატებული თანხა ბევრისთვის ზედმეტად ძვირი აღმოჩნდა.

გაძვირებულია ცხვარიც, რომელიც ბაკურიანში იორმუღანლოელ აზერბაიჯანელ მწყემსებს შემოჰყავთ აქაურ სასტუმროებში ბატკნის ხორცზე მოთხოვნის გამო. როგორც მწყემსმა რომან მუსაევმა მითხრა, ცხვრის რეალიზაცია ბაკურიანში რთული არ არის, რადგან უამრავი კვების ობიექტია, სადაც ბატკნის ხორცი სურთ. ასე რომ, ბატკნის ფასი ბაკურიანში 300 ლარია. ორმაგია ბინის ქირა იმ სასტუმროებში, სადაც ტურისტს კვებითაც უმასპინძლდებიან. დღე-ღამე დაახლოებით 150 ლარი ღირს. 80 ლარამდეა კოტეჯებისა თუ მოსახლეობის გაქირავებული ოთახის ფასი, სადაც დამსვენებლები თავად იმზადებენ სადილს. ერთადერთი, რაც ბაკურიანში შესანიშნავად მუშაობს, მარკეტების ქსელია — მთელ საქართველოში განლაგებული მსხვილი სავაჭრო ობიექტები თავიანთი ფასდაკლებებით ბაკურიანშიც იზიდავენ კლიენტებს.

დღეს ბაკურიანში თითქმის ველარ ნახავთ ტრადიციულ ბაკურიანულ ხის სახლებს. მათ ნაცვლად მფლობელებმა მცირე საოჯახო სასტუმროები ააშენეს. იშვიათადღა შემორჩენილი ძველი ხის სახლები იმ მუზეუმებს მოგაგონებთ, რომლებიც თავაწყვეტილ მშენებლობას გადაურჩნენ. სწორი დაგეგმარების წყალობით ასეც უნდა ყოფილიყო — მუნიციპალიტეტს ისტორიული სახლების რესტავრაცია და მათი გალამაზება ტურიზმის გამრავლების გარდა არაფერს „დაუშავებდა“, რაც აქ, ალბათ, დიდხანს არ გამოვა. სამაგიეროდ, მშვენივრად გამოუყვანიათ ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ეზოში ჩილიმ-ბარი და საბავშვო ატრაქციონი ერთდროულად ფუნქციონირებს, ხოლო რამდენად კანონიერია ან ეთიკური ეს მომენტი, არავის აინტერესებს. ამასთან, ვერავინ ვერაფერი მოუხერხა იმ დანგრეულ ინფრასტრუქტურას, რომელიც ბაკურიანში ასევე ტრადიციულია, მათ შორის ვერც მუნიციპალიტეტის ფაციფუცმა, რომელიც ბაკურიანისათვის რატომღაც ტურისტული სეზონის დასაწყისში „იღვიძებს“ ტრაქტორებითა და მტვრის ბოლქვებით, ქუჩების თხრითა და ხმაურით, რაც ისედაც მოუწესრიგებელ დაბას შავ დღეში აგდებს.

ინა ბიგანიშვილი, *ადგილობრივი მცხოვრები:* — მაინცდამაინც ტურისტული სეზონის დასაწყისში ახსენდებათ, რომ ასფალტი აქვთ დასაგები. იმასაც ალაგ-ალაგ აგებენ. რა აზრი აქვს კაპიტალური გზის გაკეთებას, როდესაც მთელი ბაკურიანის ინფრასტრუქტურა ჩაოხრებულია, მიწის ქვეშ წყლისა და კანალიზაციების მილები ჩაშლილია. ასფალტის დაგებიდან სულ ცოტა ხანში რომელიმე მილი სკდება, წყალი ამოხეთქს და ასფალტი ასაყრელი და მერე ისევ დასაგები ხდება. მთელი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით ბაკურიანის ცენტრში, საშინელი ანტისანიტარიაა, მაგრამ მუნიციპალიტეტს ეს არ აინტერესებს, თორემ არსებობს სპეციალური სამსახური და მას დაავალებდნენ სასტუმროების მიერ ბაკურიანის დაბინძურების გამოკვლევას. ერთი სასტუმროს კანალიზაცია ბაკურიანის ცენტრის მიმდებარედ ისეა დაზიანებული, კანალიზაციის წყალი რუსავით ჩამოდის. რუს თვისება ისეთია, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ თავისთავად სუფთავდება. ამიტომ ტურისტებს სუფთა ჰგონიათ და შიგ ხელებს იბანენ. ერთს მივუსწარი და ვუთხარი, რას შვრები, წყალი ჭუჭყიანია-მეთქი, მაგრამ მთელი ბაკურიანის დამსვენებლებს მე ხომ ვერ გავაფრთხილებ.

— **ამას მშვიდად როგორ უცქერით?**

— ხალხი ბაკურიანში ტურიზმზეა ჩამოკიდებული და სულ არ აწყობთ სასტუმროს თუნდაც დროებით დახურვა. ამიტომ უმეტესობა მდგომარეობას ეგუება. ვინც ვერ ეგუება, იმასაც რა გამოსდის?! ცენტრალურ ბაკურიანში, მდინარე ბაკურიანულაზე წლებია უმოაჯირო ხიდია გადებული. დღეს იქნება თუ ხვალ ხომ გადავარდება ვიღაც?! წლებია ხელისუფლება გვპირდება, მოაჯირებს გავაკეთებთო, მაგრამ პირობის შესრულება არც უფიქრიათ.

— **ბაკურიანს საზოგადოებრივი ტრანსპორტი რატომ არ ჰყავს? არადა, სამგზავრო ტრაფარეტები კი არის გამოკრული.**

— სად გაგონილა ამხელა ტურისტულ დაბას ტრანსპორტი არ ჰყავდეს?! ბაკურიანი ძალიან დიდი დასახლებაა, მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებნი 2000 კაცზე მეტია. ამათ გარდა დამსვენებელსაც ხომ უნდა ტრანსპორტით გადაადგილება?! ერთადერთი, რაც ბაკურიანში დადის, მოხატული ღია საბავშვო ავტობუსია. კერძო პიროვნებას ეკუთვნის და ამიტომაც ძვირია, რომელ გაჩერებაზეც არ უნდა ჩამოხვიდე, მგზავრობაში 2 ლარია გადასახდელი.

— **ვიცი, რომ ბაკურიანის განვითარების გენერალური გეგმა არსებობს. რატომ გადაიდო მისი შესრულება?**

— ეგეც მუნიციპალიტეტს უნდა ჰკითხოთ. გეგმა რომ შესრულდეს, მაშინ ბაკურიანში ქაოსური მშენებლობები უნდა შეჩერდეს, და აწყობს კი ეს ადგილობრივ ხელისუფლებას?!

*ეთერ ერაძე*



*ბაკურიანის მართლაც გამორჩეულ მოედანზე, რომელზეც ცენტრალური პარკი უნდა გაშენებულიყო, მეორადი საბურავების „ქალაქი გაშენდა“. როგორც აღმოჩნდა, საბურავების ზღვა რაოდენობა კვადროციკლების მეპატრონეებს აქვთ მოზიდული თავიანთი კვადროციკლის რბოლის არეალის შემოსასაზღვრად. კვადროციკლთან ერთად, ბევრს ცხენიც ჰყავს. ეს მშვენიერი პირუტყვი კვადროციკლებს ამაყად უწევს კონკურენციას: აქ ცხენით ორწუთიან გასეირნებას ზუსტად ისეთივე ფასი აქვს, როგორიც ამავე დროით კვადროციკლებით გაქროლებას — 10 ლარი*



ახალი პროექტი იწყება!
15 წიგნი 15 წლის შემდეგ.

15 წლის წინ დაიწყო ყველასთვის საყვარელი პროექტი **„50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“**. 15 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის შეიცვალა მკითხველის გემოვნება, მოთხოვნები, ინტერესები. სწორედ ამიტომ თქვენთან ერთად ვიწყებთ ახალ პროექტს **„კიდევ 15 წიგნი, რომელიც ერთხელ მაინც უნდა წაიკითხო“.**

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 2000-ზე მეტმა ადამიანმა.
გიზიარებთ შუალედური შედეგების პირველ ხუთეულს:

- **ჯორჯ მარტინი - ცეცხლი და სისხლი**
- **ნაირა გელაშვილი - დედის ოთახი**
- **ანა ფრანკი - ანა ფრანკის დღიური**
- **ალექსანდრე დიუმა - დედოფალი მარგო**
- **კაზუო იშიგურო - არასოდეს გამიშვა**

შენი აზრის დასაფიქსირებლად დაასკანერე QR კოდი ან დაგვიკავშირდი ნომერზე: 2 47 00 45

პალიტრა L

ბრენდი

# „არ ვიცოდი, თუ საქართველოში 350 000-ზე მეტი დევნილი იყო. როცა ეს გავიგე, მინდა ეს ფაქტი გავაპროტესტო!“

*1946 წელს ლონდონში მსახიობისა და სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ლეიტენანტის ოჯახში დაიბადა გოგონა, სახელად ჯეინ მელონი ბირკინი, რომელსაც მოგვიანებით მსოფლიო გაიცნობს როგორც ჯეინ ბირკინს. სცენისა და კინოს ლეგენდა, სტილის ეტალონად აღიარებული ჯეინ ბირკინი ცნობილია არა მარტო კინოროლებით, არამედ მოდაში გამორჩეული სტილის დამკვიდრებითაც. მისი სახელი მომღერალ სერჟ გენსბურთან ერთად კი იმ ჰიტებს შორისაა, რომლებიც 1960-იანი წლებიდან დღემდე პოპულარულია. ჯეინ ბირკინმა სახელი გაითქვა როგორც მსახიობმა და მომღერალმა, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ 2010 წელს ის საქართველოში ჩამოვიდა და ზუგდიდში კონცერტი გამართა. როგორი იყო ჯეინ ბირკინის შთამბეჭდავი ცხოვრება და რა აკავშირებს მას მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ ჩანთასთან? — ამ კითხვებზე პასუხებს მედიაში სხვადასხვა პერიოდში გაშუქებული ჯეინ ბირკინის ინტერვიუებიდან გთავაზობთ.*

## ჯეინ ბირკინი ლეგენდად აღიარებული მსახიობი და საქართველო



**„ბირკინის“, ფასი 10.000 დოლარიდან იწყება, ზოგიერთი მოდელის ღირებულება 500.000 დოლარს აღემატება. 2015 წელს ჯეინმა ოფიციალურად მისწერა „ჰერმესის“ წარმომადგენლობას, რომ მისი სახელი მოეშორებინათ ცნობილი ჩანთებიდან ცხოველის ტყავის გამოყენების გამო“**



### „რომ არა ჩემი ინგლისური აქცენტი, ალბათ, ასეთ წარმატებას ვერ მივაღწევდი“

1968 წელს ინგლისელი მსახიობი ჯეინ ბირკინი პარიზში რომანტიკული კომედია „სლოგანის“ კინოსინჯებზე მიიწვიეს. 22 წლის ბირკინს მაშინ ვერ წარმოედგინა, რომ ეს ფილმი მის ცხოვრებას შეცვლიდა. სწორედ „სლოგანის“ გადაღებაზე გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე სერჟ გენსბური, რომლის მუზაც გახდა და რომელთანაც თანამშრომლობამ მსოფლიოს მრავალი ჰიტი აჩუქა, თუმცა მანამდე იყო ქარტეხილებითა და სკანდალებით სავსე 13-წლიანი თანაცხოვრება. ფილმის გადაღების დასასრულისთვის წყვილს უკვე იმდენად უყვარდა ერთმანეთი, რომ ჯეინი პარიზში სამუდამოდ დარჩა. 1969 წელს გენსბურმა ბირკინთან ერთად შეასრულა სიმღერა „მე მიყვარხარ... მეც — არა“, რომლის სექსუალური შინაარსის გამო იმხელა სკანდალი დატრიალდა, რომ იტალიის, ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს რადიოსადგურებმა აკრძალეს. 1975 წელს სერჟ გენსბურმა ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო, მთავარ როლში ჯეინ ბირკინის მონაწილეობით, და ფილმსაც იგივე ბედი ერგო, მრავალ ქვეყანაში ფილმის ჩვენება აიკრძალა. რუსეთში კი პირველად 2004 წელს სერჟ გენსბურისადმი მიძღვნილ ფესტივალზე აჩვენეს. ფილმში შესრულებული როლისთვის ჯეინ ბირკინი წარდგენილი იყო „სეზარის“ ჯილდოზე, კატეგორიაში საუკეთესო მსახიობი ქალი. ჯეინ ბირკინს შესრულებული აქვს 70-ზე მეტი კინოროლი და ჩაწერილი აქვს 10-ზე მეტი მუსიკალური ალბომი.

### ჩანთა „ბირკინი“

ჯეინ ბირკინის სტილის განუყოფელი ნაწილი იყო ჩალის ჩანთა, რომელიც მას ყველგან დაჰქონდა. ერთხელაც, 1983 წელს, ლონდონი-პარიზის რეისზე ჯეინმა ჩანთა თავისი ადგილის ზედა ნაწილში შემოდო, თუმცა ჩანთა გადმოგორდა და მისი ნივთებიც მიმოიფანტა, მაშინ დაიწუწუნა მეზობელ მგზავრთან, რომ ჯერ ვერ იპოვა სასურველი ფორმის ჩანთა, რომელიც მის განუყრელ ჩალის აქსესუარს ჩაანაცვლებდა. ის მგზავრი კომპანია „ჰერმესის“ მთავარი დიზაინერი ჟან-ლუი დიუმა იყო. მაშინ „ჰერმესს“ უკვე შექმნილი ჰქონდა ჩანთა გრეის კელის შთაგონებით, სახელწოდებით „კელი“. ჯეინთან საუბრის შემდეგ, თვითმფრინავში გულისრევისთვის განკუთვნილ პარკზე, ჯეინმა ჩანთის ესკიზი დახატა, მომდევნო წელს კი ამ ესკიზის მიხედვით ჟან-ლუი დიუმამ შექმნა ჩანთა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულია. ბირკინის ჩანთების რეკორდულად დიდი რაოდენობა გაიყიდა პანდემიის პერიოდში. „ქრისტის“ აუქციონის წარმომადგენლობის განცხადებით, აუქციონის ისტორიაში ყველაზე მაღალ ფასად გაყიდულ ჩანთებს შორისაა ნიანგის ტყავის „ბირკინი“, რომელიც — 390.000 დოლარად, ხოლო კელის ჩანთა — 450.000 დოლარად გაიყიდა. ხბოს, ან ნიანგის ტყავისგან შექმნილ ამ მდიდრულ ჩანთაზე, სახელად „ბირკინი“, 40 წლის შემდეგაც დიდი მოთხოვნაა. მისი ფასი 10.000 დოლარიდან იწყება, ზოგიერთი მოდელის ღირებულება 500.000 დოლარს აღემატება. 2015 წელს ჯეინმა ოფიციალურად მისწერა „ერმესის“ წარმომადგენლობას, რომ მისი სახელი მოეშორებინათ ცნობილი ჩანთებიდან ცხოველის ტყავის გამოყენების გამო.

### ჯეინ ბირკინი ქართველებს – „მე თქვენ არასდროს დამავიწყდებით!“

2010 წლის მაისში გამოცემა „ტაბულა“ წერდა: „დამოუკიდებლობის დღეზე, ზუგდიდს ჯეინ ბირკინი ესტუმრა და რამდენიმე სიმღერა საყვარლად უღიღინა. ბირკინი არასდროს დაავიწყდება დაცვის პოლიციის ერთ თანამშრომელს, რომელსაც ჯეინმა სიმღერის ბოლოს ლოყაზე აკოცა“.

ლეგენდად აღიარებული მსახიობი საქართველოში „ალტერვიჟენ გრუპისა“ და კოალიცია „სამართლიანობის“ ორგანიზებულ აქციაზე მივიდა. ქართველი დევნილების მხარდასაჭერ აქციაზე, ჯეინ ბირკინის გარდა, სხვა შემსრულებლებიც მონაწილეობდნენ. ცნობილია, რომ კონცერტამდე ენგურის ხიდზე საპროტესტო მსვლელობა გაიმართა, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების გარდა, დევნილები, თბილისიდან ჩასული სტუმრები და ჯეინ ბირკინიც მონაწილეობდნენ, მათ ერთად გააპროტესტეს რუსეთის ოკუპაციური პოლიტიკა. კონცერტის ბოლოს კი ჯეინ ბირკინმა საზოგადოებას მიმართა: „აქა ვარ იმიტომ, რომ გავაგონო ჩვენი სიტყვები მათ — ჩემს მთავრობას ვგულისხმობ, ვისაც საქართველოს პრობლემის გადაჭრა შეუძლია. მე არ ვიცოდი, თუ საქართველოში 350 000-ზე მეტი დევნილი იყო. როცა ეს გავიგე, საშინლად აღვშფოთდი და მინდა ეს ფაქტი გავაპროტესტო! მჯერა, რომ ერთად ყველაფერს შევცვლით, თქვენ მე არასდროს დამავიწყდებით!“

ჯეინ ბირკინი 16 ივლისს პარიზში 76 წლის ასაკში გარდაიცვალა, მსოფლიოს კი დაუტოვა უკვდავი ჰიტები, განსახიერებული როლები, განსაკუთრებული სტილი, რომელმაც ის მოდის ეტალონად აქცია, და ჩანთა, სახელად „ბირკინი“.

***ნინო წიფურია***

XXI საუკუნის ოჯახს ახალი ბიბლიოთეკა სჭირდება!




სპეციალური ფასი 16₾

24 ივლისიდან

ჯეინ ოსტინი

ორტომეული

ტომი I

ამპარტავნობა და ამორჩემება; გონება და გრძნობა

1. წიგნის შესაძენად ეწვიეთ ბიბლუსის ფილიალებსა და პრესის გავრცელების წერტილებს.
წიგნის შეძენას გამოსვლიდან ერთი კვირის განმავლობაში სპეციალურ ფასად შეძლებთ!
ან გახდით გამომწერი:
2. დაგვიკავშირდით ნომერზე: **322 47 00 45**, გამოიწერეთ 2 ტომეული და ჩვენ თითოეულ ტომს ყოველთვიურად სასურველ დროსა და ადგილზე მოგიტანთ.
3. გამოიწერეთ ონლაინ, საიტიდან **www.palitral.ge**. აირჩიეთ თქვენთვის სასურველი გადახდის თარიღი და პირობები და მიიღეთ თქვენი რჩეული წიგნები ყოველთვიურად.
სატელეფონო და ონლაინ გამოწერის შემთხვევაში, საკურიერო მომსახურების ფასი მთელი საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 2 ლარია.

პალიტრა L

# „ბრუკლინში პატარა საქართველო გვაქვს, ჩემ თვალწინ ქართველების ერთი თაობა გაიზარდა“

*ამერიკაში, ქალაქ ბრუკლინში, ამერიკელმა კაცმა ქართველებისთვის ნამდვილი სამოთხე შექმნა ქართული კულტურის ცენტრის სახით — ჯერ ამერიკელები აცეკვა და ამღერა ქართულად, მერე ემიგრანტი ქართველებისთვის შექმნა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები, საბალეტო სკოლები, თეატრები — დიდებისა და პატარებისთვის, სამხატვრო წრეები, საკვირაო სკოლა... ეს კაცი ვიქტორ სირელსონია, რომელსაც ქართველი მეუღლე ჰყავს. როგორც მისი მეუღლე ლიკა ბახტურიძე ამბობს, ქართული ფოლკლორი მისთვის ყოველთვის ძვირფასი იყო, მაგრამ ვიქტორზე დაქორწინების შემდეგ უფრო მეტად დააფასა მშობლიური კულტურა. მათ ოჯახში დილა ქართული ჰანგებით იწყება, დღე გრძელდება ქართველებთან ურთიერთობით და საღამო სრულდება ქართველებზე საუბრით. როდესაც ახალდაქორწინებული ლიკა მეუღლის სახლში პირველად მივიდა, ცხრა ქართველი მოცეკვავე დახვდა. ისინი ბატონ ვიქტორთან სრულიად უსასყიდლოდ ცხოვრობდნენ. ვიქტორ სირელსონი და ლიკა ბახტურიძე დღემდე ეხმარებიან და გულშემატკივრობენ ამერიკაში ჩასულ ქართველებს, განსაკუთრებით კი ხელოვანებს. როგორ შეხვდა ეს წყვილი ერთმანეთს, რით არის განპირობებული ამერიკელი კაცის ქართული კულტურისადმი უსაზღვრო სიყვარული, ამ და სხვა საინტერესო ამბებზე ლიკა ბახტურიძე გვესაუბრება:*



**„ერთხელ ჩვენს სტუდიაში ბავშვებს ვკითხე, მიზანს რომ მიაღწევთ და ვისაც რა გინდათ, ის რომ გამოხვალთ, მერე რას აპირებთ-მეთქი? როგორც გაირკვა, ყველა საქართველოში გეგმავს საკუთარი ცოდნის და შესაძლებლობების გამოყენებას. რამდენიმე დღე ბედნიერი დავდიოდი...“**

— ძალიან უცნაურად გავიცანი ვიქტორი, ნიუ-იორკში ვიყავი ჩემს მეგობარ ეკასთან. ვიქტორი მისი მეგობარია. მითხრა, აქ ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლია და წამოხვალო? ისე უცნაურად მომეჩვენა, რამდენჯერმე გავამეორებინე. კი მაგრამ, აქ ქართველები არ არიან და ვინ ცეკვავს-მეთქი?! ერთი სიტყვით, წავყევი და იქ გავიცანი ვიქტორი. სცენაზე ერთადერთი ქართველი იყო, დარბაზში — მხოლოდ მე და ეკა. კონცერტი რომ დასრულდა, მაყურებელი ადგა და ისე დაუკრა ტაში. 26 წლის წინ ამერიკელების შესრულებული ქართული ხალხური ცეკვა საოცარი სანახავი იყო. ამერიკელებმა სიხარულის ცრემლებით მატირეს.

— **როგორ მოახერხა ამერიკელმა ვიქტორ სირელსონმა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის შექმნა, ან რის საფუძველზე გაუჩნდა ასეთი სურვილი?**

— ვიქტორმა საქართველოში 1964 წელს იმოგზაურა. ერთ-ერთი პირველი სტუდენტი იყო, რომელიც ქვეყნებს შორის საერთაშორისო გაცვლის მონაწილე გახდა. დიახ, ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა სტუდენტები გაცვალეს. 20 ამერიკელი სტუდენტი გაემგზავრა საბჭოთა კავშირში. ვიქტორმა მოიარა მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ერევანი, თბილისში მატარებლით წამოსულა. მგზავრობისას, როგორც ამბობს, უცნაური სიმღერა შემოესმა. გაჰყვა ამ ხმას და ერთ კუპესთან მივიდა. ჯერ გარედან მიაყურადა, შემდეგ კარი გამოაღო, შეიხედა... მომღერლებმა, რომლებიც ქართველები აღმოჩნდნენ, ვიქტორი მიიპატიჟეს და გამოელაპარაკნენ. თავად ამ ამბავს ასე ჰყვება: ბიჭები რაღაც უცხო საჭმელს ჭამდნენ. მეც დამპატიჟეს, გავსინჯე და მომეწონა, ძალიან გემრიელი იყო, ხორცისა და ბადრიჯნის კერძი. მერე მათთან ერთად ღვინოც დავლიე და სადღეგრძელოც ვთქვი. როგორც აღმოჩნდა, სიმღერა, რომელმაც ვიქტორი მოაჯადოვა, „ჩაკრულო“ იყო, ახალგაზრდები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. მე, რა თქმა უნდა, ისედაც მიყვარდა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკელზე დავქორწინდი, მეტად დავაფასე ჩვენი კულტურა. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ყოველდღიურობა გახდა, ყოველი დილა ქართული ხალხური სიმღერით იწყებოდა.

— **ამერიკაში ქართული ცეკვების დადგმა როგორ შეძლო, ან ცეკვისთვის საჭირო ფორმები როგორ ჩაიტანა?**

— საქართველოში მოგზაურობის შემდეგ გადაწყვიტა, რაც შეიძლება მეტი გაეგო ქართულ კულტურის შესახებ. ამერიკაში არანაირი ინფორმაცია არ არსებობდა. ქართულ სათვისტომოსაც ძალიან მწირი მასალა ჰქონდა. დიდხანს ეძება და, როგორც იქნა, მიაგნო ნიუ-იორკში ქართველ ქორეოგრაფს. ვიქტორს ძალიან დიდი წრე ჰყავს, უმრავლესობა ხელოვნებითაა დაინტერესებული. შესაბამისად, როდესაც ვიქტორმა ანსამბლის შექმნის იდეა გაახმოვანა, ძალიან ბევრი მსურველი გამოჩნდა. სხვათა შორის, ვიქტორის ჩამოყალიბებულ ქართულ ანსამბლში მეტროპოლიტენ-ოპერის სამი სოლისტი ცეკვავდა. ამერიკელები ძალიან ინტერესიანები არიან, მოსწონთ და აფასებენ უცხო კულტურას, ქართული ცეკვა და სიმღერა კი მათთვის განსაკუთრებულად საინტერესო აღმოჩნდა. პირველი კონცერტი კოსტიუმების გარეშე ჩაატარეს, მოგვიანებით კი ბატონი გელოდი ფოცხიშვილის დახმარებით შეიძინეს კოსტიუმები.

— **ბატონი ვიქტორი რა პროფესიის წარმომადგენელია?**

— მათემატიკოსია და ლექციებსაც კითხულობს. ეს მისი ძირითადი პროფესიაა, თუმცა ფოლკლორისტიც არის.

— **როგორც ჩანს, საქმეში თქვენც ჩაერთეთ და საკმაოდ წარმატებულადაც.**

— დიახ, 1998 წლის შემდეგ, როდესაც ამერიკაში ქართველი ემიგრანტების ჩამოსვლა მასობრივად დაიწყო, გადავწყვიტეთ, საკვირაო სკოლა შეგვექმნა. ამას ქართული თეატრი მოჰყვა, სიმღერის ანსამბლი და ა.შ. იმ პერიოდისთვის ჩვენ უკვე შექმნილი გვქონდა კორპორაცია და მისი სახელით ბატონმა ლექსო გოდერძიშვილმა პირველი ვოკალური ჯგუფი „მგზავრული“ ჩამოაყალიბა, მერე ტრიო „მაგნოლია“... დღეს უკვე გვყავს უფროსების პროფესიონალური ცეკვის ანსამბლი, ასევე საბავშვო ანსამბლი „დაკარგული ლეგენდები“, ვოკალური ჯგუფი „ზეკარი“, ნიუ-იორკის ქართული თეატრი. პირველი საბავშვო ანსამბლი „ფესვები“ დავაფრთიანეთ და გავუშვით. დღემდე ვგულშემატკივრობთ. მერე იყო „ჯორჯია“, რომელიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობს და დღემდე ჩვენი სიამაყისა და სიხარულის საგანია. „დაკარგულ ლეგენდებსაც“ რომ დავაფრთიანებთ, მერე არ ვიცი, რა იქნება. აქ უკვე იმდენი ქართველი ბავშვია, ერთი-ორი სტუდია ვერ აუვა. სხვათა შორის, საბავშვო ბალეტიც გვაქვს.

— **როგორც ვიცი, ცუცა კაპანაძეც თქვენთან მუშაობს.**

— დიახ, ცუცა ჩემი მეგობარია. ამ ყველაფერთან ერთად ორი მუსიკალური თეატრიც გვაქვს, სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის. გვაქვს მუსიკალური სკოლაც, ხატვის წრე, ფილმების სტუდია. ახლა საბავშვო ტელევიზიის გაკეთებასაც ვგეგმავთ.

შეიძლება ითქვას, ბრუკლინში პატარა საქართველო გვაქვს, ჩემ თვალწინ აქ ქართველების ერთი თაობა გაიზარდა. მე უკვე 26 წელია ამერიკაში ვცხოვრობ.

— **ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი ქართველი წამოვიდა ამერიკაში. როგორია თქვენი თვალით დანახული მათი ყოფა?**

— კი, ძალიან ბევრი ქართველი გამოჩნდა ბრუკლინში. შესაძლოა ქუჩაში რამდენჯერმე შეხვდე ქართველს. ადრე ეს ასე არ იყო, თვეები ისე გადიოდა, ვერ შეხვდებოდი. ამ რამდენიმე ხნის წინ ქუჩაში ორი ქართველის საუბარს შევესწარი, ერთი მეორეს ეუბნებოდა, ჩემთან მშენებლობაზე ავიყვანე ქართველი, კი არ მჭირდებოდა, მაგრამ რა მექნა, სამუშაო სჭირდებოდაო.

— **როგორ გგონიათ, ფიქრობს ეს ხალხი სამშობლოში დაბრუნებაზე?**

— ჩვენი ტრიოდან სამი მომღერალი უკვე დაბრუნდა საქართველოში. ბევრი ისეთიც ვიცი, ვინც გეგმავს დაბრუნებას. მშობლები ყველაფერს აკეთებენ, რომ შვილები ზაფხულში საქართველოში გამოუშვან. ერთხელ ჩვენს სტუდიაში ბავშვებს ვკითხე, მიზანს რომ მიაღწევთ და ვისაც რა გინდათ, ის რომ გამოხვალთ, მერე რას აპირებთ-მეთქი? როგორც გაირკვა, ყველა საქართველოში გეგმავს საკუთარი ცოდნის და შესაძლებლობების გამოყენებას. რამდენიმე დღე ბედნიერი დავდიოდი.

— **ემიგრანტების პრობლემები ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ საინტერესოა ქართველები, რომლებსაც ამერიკის მოქალაქეობა აქვთ, რა სირთულეებს აწყდებიან ამ ქვეყანაში?**

— ამერიკელები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტოლერანტულები არიან სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიმართ.

— **აქ გაზრდილი ქართველები ან თუნდაც ისინი, ვინც დიდი ხანია აქ ცხოვრობთ, რითი განსხვავდებით ამერიკელებისგან?**

— აქ ცხოვრების სხვანაირი ტემპია და ჩვენი დღის წესრიგიც ამაზეა აგებული. შესაბამისად, ჩვენც ვიცვლებით. ახლა 63 წლის ვარ და სხვანაირი გავხდი, სხვანაირად ვაზროვნებ. აქ დაბადებული ქართველები უფრო სხვანაირები არიან, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ამერიკელებისგან არ განსხვავდებიან. ჩვენს ბავშვებს ნამდვილად აქვთ თავიანთი იდენტობა შენარჩუნებული და ამაში მშობლებს დიდი წვლილი მიუძღვით. თავს იკლავენ იმისთვის, რომ შვილები ქართულ წრეებზე ატარონ. ჩვენც ამაზე ვართ ორიენტირებული. მერე ბავშვები ერთმანეთს უმეგობრდებიან, თავიანთ წრეებს აყალიბებენ, წვეულებებს ერთად მართავენ. ზოგიერთი ძლივს ლაპარაკობდა ქართულად, მერე კი სპექტაკლებშიც მონაწილეობდნენ. ბავშვები, რომლებსაც ხათუნა იოსელიანი და ცუცა კაპანაძე ასწავლიდნენ, ახლა ნიუ-იორკის თეატრის ახალგაზრდული დასის წევრები არიან. სხვათა შორის, ვიქტორს ასეთი პროექტიც ჰქონდა — რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენები ბრუკლინის სკოლებში ქართულ ცეკვას ასწავლიდნენ და საოცარი შედეგი მივიღეთ. ამერიკელმა ბავშვებმა ვიქტორს მადლობის წერილები მისწერეს და ნახატები გადმოსცეს, რომელზეც მათი პირველი ცეკვა იყო ასახული. გულის ამაჩუყებელია, სიყვარული, რომელსაც ქართველი და ამერიკელი ბავშვებისაგან ვიღებთ.



**როგორც ვიქტორი იხსენებს, მატარებლით მგზავრობისას, უცნაური სიმღერა შემოესმა. გაჰყვა ამ ხმას და ერთ კუპესთან მივიდა... მომღერლებმა, რომლებიც ქართველები აღმოჩნდნენ, ვიქტორი მიიპატიჟეს და გამოელაპარაკნენ. თავად ამ ამბავს ასე ჰყვება: ბიჭები რაღაც უცხო საჭმელს ჭამდნენ. მეც დამპატიჟეს, გავსინჯე და მომეწონა, მერე მათთან ერთად ღვინოც დავლიე და სადღეგრძელოც ვთქვი. როგორც აღმოჩნდა, სიმღერა, რომელმაც ვიქტორი მოაჯადოვა, „ჩაკრულო“ იყო, ახალგაზრდები კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები**

***ხათუნა ბახტურიძე***

სამხედრო თემაზე

# სომხეთ-აზერბაიჯანის ისტორიული სამშვიდობო შეთანხმების წინ რუსეთი ისევ ყარაბაღელი სომხების „აჯანყებას“ გეგმავს?

**ბაქოსა და ერევანს შორის 35-წლიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება შეიძლება ბრიუსელმა და ვაშინგტონმა შეძლონ, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება მოსკოვი...**



*სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე დღეს სანგრებია გათხრილი, ხოლო სომეხი და აზერბაიჯანელი სამხედროები ერთმანეთს ჯერ კიდევ სნაიპერული შაშხანების ოპტიკური სამიზნეებიდან უყურებენ, მაგრამ თუკი მოლაპარაკებები შედეგიანად დამთავრდა, სწორედ ამ საზღვარზევე შეიძლება მოეწეროს ხელი სომხეთ-აზერბაიჯანის ისტორიულ სამშვიდობო შეთანხმებას...*

15 ივლისს, ბრიუსელში აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერების მორიგი მოლაპარაკება გაიმართა, ალიევსა და ფაშინიანს ევროსაბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელი მასპინძლობდა, თუმცა ეს სამმხრივი შეხვედრა 21 ივლისს იყო დაგეგმილი.

რამ გამოიწვია ამ მოლაპარაკებების დაჩქარება? ეტყობა, იმ სიტუაციამ, რაც ყარაბაღში ადგილობრივი სომხური მოსახლეობის პროტესტის გააქტიურებას მოჰყვა — ყარაბაღელი სომხები კატეგორიულად მოითხოვენ არავითარ შემთხვევაში არ მოეწეროს ხელი სომხეთ-აზერბაიჯანის ისტორიულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომელმაც შეიძლება წერტილი დაუსვას საქართველოს ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის ბოლო 35 წლის განმავლობაში მიმდინარე შეიარაღებულ დაპირისპირებას.

1994 წლის შემდეგ დამყარებული ერთგვარი სტატუს-კვო, რაც განპირობებული იყო ყარაბაღის პირველ ომში სომხეთის გამარჯვებით რუსეთის აშკარა თუ ფარული სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წყალობით, კარდინალურად შეიცვალა 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომის შედეგებით, რომელშიც გამარჯვებას უკვე აზერბაიჯანის არმიამ მიაღწია დიდწილად იმით, რომ ამჯერად რუსეთის ხელისუფლებამ თავის სტრატეგიულ პარტნიორს, სომხეთს, ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური დახმარება აღარ გაუწია.

ყარაბაღის მეორე ომიდან სამი წლის განმავლობაში ოფიციალურმა ბაქომ უფრო განამტკიცა თავისი პოზიციები მანამდე სომხეთის მიერ დაკავებულ აზერბაიჯანულ რაიონებზე და ბოლოს ლაჩინი-სტეფანაკერტის (ჰანკენდის) გზაც სრულ კონტროლზე აიყვანა, რითაც ყარაბაღელი სომხები ფაქტობრივად ბლოკადაში მოაქცია, რაც თითქმის გამორიცხავს სომხეთიდან ყარაბაღელი სომხების სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებითა და ცოცხალი ძალით დამატებით დახმარებას.

ბოლო ომის დროს აზერბაიჯანის არმიას ყარაბაღსა და მის მიმდებარე რაიონებში ადგილობრივი სომხური შეიარაღებული რაზმების გარდა, სომხეთის რეგულარული არმიის შენაერთებიც უპირისპირდებოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და ადვილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან ერევნისგან სამხედრო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი სტეფანაკერტელი სომხების საბრძოლო რაზმები, თუკი მათკენ მთელი აზერბაიჯანის არმია დაიძვრება.

სიტუაციის უპერსპექტივობას აცნობიერებს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ფაშინიანი, რომელიც აღარც ახსენებს „მეორე სომხეთის“ — „არცახის რესპუბლიკის“ არსებობის შესაძლებლობას, რადგან ყარაბაღის მეორე ომში წაგებამ უდიდესი პრობლემები გაუჩინა სომხეთის რესპუბლიკას აზერბაიჯანთან სახელმწიფო საზღვრის საკამათო მონაკვეთებისა და ზანგეზურის დერეფნის სახით. თუკი სამი ათეული წლის განმავლობაში სომხები იქით აქტიურობდნენ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ყარაბაღის სომხური ანკლავის შექმნის სახით, ახლა პირიქით, ბოლო ომში გამარჯვების შედეგად მომძლავრებული აზერბაიჯანი სახელმწიფო საზღვრის სომხეთის მხარეს მიწებს მოითხოვს და ნახიჭევანისკენ საგზაო დერეფნის გაჭრაც სურს...

ერევანში ხვდებიან, რომ არც სომხეთის არმიას და არც მთლიანად ქვეყანას ამ ეტაპზე არ შესწევს იმის უნარი აზერბაიჯანს სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოს, თუკი ბაქომ მთელი თავისი სამხედრო პოტენციალი სომხეთის წინააღმდეგ დაძრა — აზერბაიჯანის არმიას შესწევს იმის უნარი, რომ შეიჭრას სომხეთის ტერიტორიის სიღრმეში და ძალით გაჭრას გზა ნახიჭევანამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ ყარაბაღში დარჩენილი სომხური ფორმირებების განაიარაღება-განადგურებაზე. წესით, ერევანს დიდი იმედი უნდა ჰქონდეს სომხეთში ათწლეულობით დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების, მაგრამ ყარაბაღის ბოლო ომში კრემლისგან „გაყიდულ“ ერევანს „მოსკოვის ცრემლების“ ნაკლებად სჯერა. სწორედ ამიტომაცაა, რომ პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი თანხმდება ევროკავშირისა და აშშ-ის ჩართვას სომხეთის აზერბაიჯანთან საბოლოო დაზავებისთვის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებში.



*ყარაბაღში ჩამდგარი რუსეთის 2-ათასკაციანი ე.წ. სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტი კრემლის სწორედ ის „ძალისმიერი ბერკეტია“, რომელსაც, სავარაუდოდ, გამოიყენებს იმისთვის, რომ ყარაბაღელი სომხები „ააჯანყოს“ და არაფრით არ დაუშვას სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სამშვიდობო შეთანხმება...*



*აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის მიერ ამ ორ დაპირისპირებულ მეზობელ ქვეყანას შორის დაზავებაზე ხელშეკრულების ხელმოწერაში შუამავლობა ევროსაბჭოს თავმჯდომარე შარლ მიშელს დიდ გამარჯვებად ჩაეთვლება...*

და მართლაც, ეს მოლაპარაკებები როგორც ბრიუსელში, ისე ვაშინგტონში საოცარი სისწრაფით იძლევა შედეგს — სომხეთი და აზერბაიჯანი ისტორიული სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის ზღურბლზე დგანან, რომელიც შეიძლება... ვერ გადალახონ. ვერ გადალახონ იმიტომ, რომ რუსეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან თავის თავს ისტორიულად მიიჩნევს სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების „მომგვარებლად“, რეალურად კი თავისივე ძალებით სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების მთავარი დამგეგმავ-ინიციატორი გახლდათ, „გაყავი და იბატონეს“ პრინციპით მართავდა ბოლო სამი ათეული წელი პროცესებს სამხრეთ კავკასიაში და რაში აწყობს სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მშვიდობის დამყარება და თანაც ეს დამსახურება ევროპელებს და ამერიკელებს ჩაეწეროთ? ამიტომაც, დიდი ალბათობით, მოსალოდნელია სომხეთ-აზერბაიჯანს შორის ისტორიული სამშვიდობო შეთანხმების ჩასაშლელად რუსეთმა ხელახლა სცადოს ყარაბაღელი სომხების „აფეთქება“ და მათი გააქტიურება შეიარაღების გამოყენებით, რასაც აუცილებლად მოჰყვება ოფიციალური ბაქოს საპასუხო ძალოვანი მოქმედება, შემდეგ კი სომხეთის მოსახლეობაში სწრაფად აგორდება მოწოდება, ყარაბაღში თანამოძმეებს გვიხოცავენ, დავირაზმოთო, რაც აუცილებლად გადაიზრდება პრემიერ-მინისტრ ფაშინიანის ხელისუფლების ძალისმიერი გზით დამხობის ცდასა და ქვეყნის სათავეში პრორუსული ძალების მოყვანით.

ყარაბაღის მეორე ომში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაში კრემლის დაჟინებული მოთხოვნა ყარაბაღში რუსული „სამშვიდობო ძალების“ ჩაყენების თაობაზე შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ზემოხსენებული მოვლენების შესაძლო განვითარების გეგმა კონფლიქტის ზონაში ჩაყვანილი რუსი სამხედროების გარეშე ვერ შესრულდება, როგორც ეს უკვე მოხდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, სადაც დისლოცირებულმა ე.წ. რუსულმა სამშვიდობო ძალებმა ერთგვარი პლაცდარმის ფუნქცია შეასრულეს რუსეთის სამხედრო აგრესიის დაწყებისას საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში.

მაგრამ ყარაბაღში რუს „მშვიდობისმყოფელებს“ მანდატი 2025 წლის ნოემბერში უმთავრდებათ და ძნელად წარმოსადგენია, აზერბაიჯანის მხარე მის გაგრძელებას დათანხმდეს. ეტყობა, ბაქო სამხედრო ძალას მანამდე არ გამოიყენებს ყარაბაღელი სომხების შეიარაღებული ფორმირებების სალიკვიდაციოდ, რადგან ძალაუნებურად რუსულ ე.წ. სამშვიდობო ძალებს დაუპირისპირდება.

ბაქო ყარაბაღის გასათავისუფლებელ სამხედრო ოპერაციის დაწყებას ჯერ კიდევ 2009 წელს აპირებდა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შემხედვარე ალიევმა მოცდა და რაც მთავარია, თვით პუტინთან ურთიერთობის დალაგება ამჯობინა, სანამ 2020 წელს გადამწყვეტ შეტევას დაიწყებდა და მოგებულიც დარჩა. ასე რომ, ყარაბაღელი სომხური რაზმების განაიარაღება გარდაუვალია, რაც შეიძლება ბაქომ „ანტიტერორისტული ოპერაციის“ დაწყების აუცილებლობითაც კი შენიღბოს. თუმცა მანამდე ალიევი ყარაბაღელ სომხებს დაჟინებით უმეორებს, დაყარეთ იარაღი, გააუქმეთ სეპარატისტული მართვის ორგანოები და გახდით აზერბაიჯანის სრულუფლებიანი მოქალაქეები. თუ ეს არ გსურთ, მაშინ სასწრაფოდ დატოვეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაო.

მართალია, ყარაბაღელ სომხებს ოფიციალური ერევნისა და მთლიანად სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების იმედი ნაკლებადღა აქვთ, მაგრამ ებღაუჭებიან აზრს, რომ ყარაბაღში დისლოცირებული რუსული ე.წ. სამშვიდობო ძალები აზერბაიჯანის არმიასთნ შესაძლო მომავალ ომში მათ მხარდამხარ იბრძოლებს.

2025 წლამდე, როდესაც რუს „მშვიდობისმყოფელებს“ ყარაბაღში ოფიციალურად ყოფნის დრო გასდით, არავინ იცის, რა მოხდება რუსეთ-უკრაინის ომში. დღესაც, ამ ფართომასშტაბიანი ომის დაწყებიდან მე-17 თვის თავზე, რუსეთის სამხედრო პოტენციალი უკრაინის ფრონტმა სერიოზულად „შეფერთხა“ და ერთ-ორი წლის შემდეგ ექნება კი რუსეთს იმის თავი ან სულაც სურვილი ყარაბაღელ სომხებზე იზრუნოს? არ უნდა გამოვრიცხოთ თურქეთის ფაქტორიც, რომლის პრეზიდენტის პოსტზე მოსახლეობამ ისევ ერდოღანს გამოუცხადა ნდობა. იმ ერდოღანს, რომლის ფარულ თუ აშკარა გეგმაში „ოსმალეთის იმპერიის“ აღდგენაა, რისთვისაც აუცილებელია თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის უფრო გაზრდა შუა აზიის თურქულეროვან პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების სივრცეში, ეს კი ნახიჭევანიდან აზერბაიჯანისკენ სომხეთის ტერიტორიის გავლით არზრუმის დერეფნის გაჭრას მოითხოვს. მოკლედ, უახლოეს მომავალში სომხეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობაში დიდი მოვლენების მომსწრენი შეიძლება გავხდეთ — ან მართლაც დაიდება ისტორიული სამშვიდობო შეთანხმება, ან კიდევ მოლაპარაკებები კრემლის დესტრუქციული ქმედებების შედეგად ჩაიშლება, ყარაბაღელი სომხების „აჯანყებისა“ და ერევანში სამხედრო გადატრიალების ცდებით, რასაც შეიძლება მოჰყვეს სომხეთ-აზერბაიჯანის დიდი ომი, რომელშიც აქტიურ მხარედ ოფიციალური ბაქო მოგვევლინება.

რა გავლენა შეიძლება მოახდინოს საქართველოზე ჩვენს უშუალო სამეზობლოში მიმდინარე ამ რთულმა სამხედრო-პოლიტიკურმა პროცესებმა?

საქართველოს ხელისუფლება ოფიციალურად მიესალმება სომხეთ-აზერბაიჯანის დაზავების პერსპექტივას და თავადაც შეაქვს წვლილი შუამავლის სტატუსით. თუმცა თბილისი ბრიუსელივითა და ვაშინგტონივით მთავარი მომრიგებლის როლს, ბუნებრივია, ვერ „გაქაჩავს“.

სამაგიეროდ, დასავლეთი, თუკი მართლაც მოაგვარებს ათწლეულების განმავლობაში დაპირისპირებული მეზობლების, სომხეთ-აზერბაიჯანის პრობლემებს, მაშინ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური გავლენის დონე სამხრეთ კავკასიაში შემცირდება, უპირველესად თავად სომხეთში, სადაც საბოლოოდ დარწმუნდებიან, რომ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების დარჩენა უაზრობა ხდება, რადგან სომხეთი საზღვრებს გახსნის არა მარტო აზერბაიჯანთან, არამედ თურქეთთანაც.

სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლისა და სომხეთ-აზერბაიჯანს შორის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ სავარაუდო ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემთხვევაში, ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად შეეხება საქართველოსაც სხვადასხვა პოტენციური საფრთხეების სახით. ეს საფრთხეები შეიძლება გამოიხატოს ამ ომში სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების კომბატანტებად ჩართვით, საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების შემთხვევით (ან მიზანმიმართულადაც) გადმოტანით თუ საჰაერო შეტევების შეცდომით მოყენებით.

***მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# შიმშილით შანტაჟი

## „რა გავლენა ექნება საქართველოზე რუსეთის გასვლას „მარცვლეულის შეთანხმებიდან“

*17 ივლისს მოსკოვმა უარი თქვა განახლებულიყო რუსეთს, უკრაინას, თურქეთსა და გაეროს შორის არსებული ე.წ. მარცვლეულის შეთანხმება. შეგახსენებთ, რომ ის შარშან გაფორმდა თურქეთის დიდი ძალისხმევითა და გაეროს მონაწილეობით, შეიქმნა უსაფრთხო საზღვაო დერეფანი უკრაინის პორტებიდან საექსპორტო მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული გემების გასასვლელად. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება არაერთხელ დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ, ხორბლის გატანა მაინც ხერხდებოდა. ახლა კი რუსეთმა განაცხადა, რომ „მარცვლეულის შეთანხმებამ“ ჰუმანიტარული დანიშნულება ვერ გაამართლა და აშკარაა „საბოტაჟიც“, რომლის გამოც ინიციატივა აზრს კარგავს, ამიტომ მის გაგრძელებას ეწინააღმდეგებიან. რუსეთის თანახმად, ეს ნიშნავს ნაოსნობის უსაფრთხოების გარანტიათა უკან გაწვევას, შავ ზღვაში ჰუმანიტარული დერეფნის გაუქმებას, ჩრდილო-აღმოსავლეთ აკვატორიაში დროებით საშიში რაიონის რეჟიმის აღდგენას და სტამბოლში მოქმედი საკოორდინაციო ცენტრის დაშლას.*

*გარიგების შენარჩუნების სანაცვლოდ რუსეთი მოითხოვდა ტოლიატი-ოდესის ამიაკის მილსადენის ამუშავებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მისი ნაწილების მიწოდების აღდგენას, უცხოეთის პორტებში რუსული გემების შესვლას, სატრანსპორტო ლოგისტიკის განბლოკვას და „როსსელხოზბანკის“ დაბრუნებას საერთაშორისო საგადასახადო სისტემა SWIFT-ში, რაც, ფაქტობრივად, მისთვის დაწესებული სანქციების ნაწილია და რეალურად სანქციების გაუქმების მოთხოვნას ნიშნავს.*

*აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა მკვეთრად გააკრიტიკეს რუსეთის უარი მარცვლეულის შეთანხმების გაგრძელებაზე და უკრაინის ნავსადგურების ბლოკადას „სამხედრო აგრესიის აქტი“ უწოდეს. ასეთივე პოზიცია აქვთ ევროკავშირსა და ევროკავშირის ქვეყნებს. უკრაინამ შუამავალ გაეროსა და თურქეთს მიმართა, რუსეთის გარეშე უზრუნველყონ შავი ზღვის საექსპორტო დერეფნის მუშაობა, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო კი აცხადებს, რომ უკრაინის ნავსადგურებისკენ მიმავალი ყველა გემი განიხილება სამხედრო ტვირთის პოტენციურ გადამზიდავად. ამის გამო კი აშშ-ის ეროვნული უშიშროების საბჭო მიიჩნევს, რომ რუსეთი შესაძლოა ემზადებოდეს შავ ზღვაში სამოქალაქო გემებზე თავდასხმისთვის.*

*რას მოასწავებს რუსეთის გასვლა „მარცვლეულის შეთანხმებიდან“, რა გავლენა ექნება საქართველოზე, ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის პროფესორი **ვახტანგ ჭარაია** გვესაუბრება.*



„რუსეთის შემდგომი ნაბიჯი, არ არის გამორიცხული, იყოს ხორბლის ან ფქვილის გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესურსი, რომ ოპერატიულად შემოიტანოს სხვა ქვეყნებიდან ეს პროდუქტი, გარანტირებულად ვერ ვიტყვი, რომ ადვილი იქნება, ხოლო თუ ადგილობრივი გვექნება, სულ ცოტა, ბალანსისა და უწყვეტობისთვის ეს კარგი ინსტრუმენტი იქნება, ნაკლებად მოწყვლადს გაგვხდის თუნდაც რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიმართ“

— რუსეთი ცდილობს რამდენიმე კურდღელი ერთდროულად დაიჭიროს ან მოკლას. შეთანხმებიდან გასვლით მსოფლიოს კიდევ უფრო დამოკიდებულს ხდის მასზე, ხორბალი არ არის ასე მრავალფეროვნად სხვადასხვა ადგილიდან ხელმისაწვდომი და ამ ბაზარზე რუსეთი თავად არის ერთ-ერთი სოლიდური მოთამაშე; პლუს მეორე სოლიდურ მოთამაშეს, უკრაინას, მნიშვნელოვნად აზიანებს მის ინფრასტრუქტურასა და ხორბლის საცავებზე დარტყმებით. რუსეთმა შესაძლოა ჩათვალა, რომ ამით ეკონომიკურად უფრო მეტი მოგების მიღება შეუძლია, რასაც გამოიყენებს სამხედრო დანიშნულებით თუ ცალკეული ქვეყნებით მანიპულირებისთვის. შესაბამისად, ამას შეიძლება მოჰყვეს გლობალურად ძალიან რთული შედეგები, შესაძლოა ისედაც შიმშილობის ზღვარზე მყოფი მილიონობით ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდეს. სწორედ რუსეთია ამაზე პირდაპირი პასუხისმგებელი.

შევხედოთ ვითარებას საქართველოს განზომილებაშიც. ეს, ერთი მხრივ, გამოწვევა იქნება, რადგან შესაძლოა მსოფლიოში ფასები გაიზარდოს, რაც, ცხადია, ჩვენს მომხმარებელზეც უარყოფითად იმოქმედებს, მით უმეტეს, თუ ფასები ჩვენთვისაც გაიზრდება. მეორე მხრივ, შესაძლოა ეს იყოს შესაძლებლობების ფანჯარაც — ჩვენი ხორბლის მწარმოებლები უჩივიან რუსეთთან არაკონკურენტული პირობების არსებობას და შესაძლოა ადგილობრივი ხორბლის წარმოებისა და გადამუშავების საჭიროება რეალურად გაჩნდეს. თუმცა ადგილობრივი წარმოება წახალისდება თუ კვლავ რუსეთიდან გავაგრძელებთ ხორბლის შემოტანას, მომხმარებლისთვის ფასები მაინც გაიზრდება, მაგრამ ხაზს ვუსვამ — ყველა შემთხვევაში ფასების ზრდის მოლოდინში შეგვიძლია ხეირიც ვნახოთ — ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერით, ადგილობრივების დასაქმებით, რაკი ხორბლის წარმოება-გადამუშავება-გაყიდვით სარგებელს ნახავენ, გაჩნდება ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობა, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთისთვის გვაქვს ამ დარგში „ნაჩუქარი“, რადგან ხორბალსა და ფქვილს მისგან ვყიდულობთ.

**— მუდმივად არის ლაპარაკი, რომ მარცვლეულის ადგილობრივი წარმოება საკმარისი არა გვაქვს. დღეს რა მდგომარეობა გვაქვს თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით?**

— რთული საქმეა თვითუზრუნველყოფა, თუმცა საჭირო ხორბლის ნახევარი მაინც რომ ადგილობრივი გვქონდეს, შემდეგ უკვე რუსეთი ჩაკეტავდა ბაზარს თუ სხვა რამეს მოიფიქრებდა, ჩვენთვის არ იქნებოდა ისეთი დარტყმა, რამაც შესაძლოა საერთოდ ხორბლის გარეშე დაგვტოვოს.

რუსეთი გავიდა შეთანხმებიდან და არ არის გამორიცხული, მისი შემდგომი ნაბიჯი იყოს ხორბლის ან ფქვილის გაყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადება. ასეთ შემთხვევაში საქართველოს რესურსი, რომ ოპერატიულად შემოიტანოს სხვა ქვეყნებიდან ეს პროდუქტი, გარანტირებულად ვერ ვიტყვი, რომ ადვილი იქნება, ხოლო თუ ადგილობრივი გვექნება, სულ ცოტა, ბალანსისა და უწყვეტობისთვის ეს კარგი ინსტრუმენტი იქნება, ნაკლებად მოწყვლადს გაგვხდის თუნდაც რუსეთის ცალმხრივი გადაწყვეტილებების მიმართ. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ თუნდაც 20-25%-დან დავიწყოთ ადგილობრივი ბიზნესის სრულფასოვანი მხარდაჭერა, რათა ისინი არ იყვნენ რუსეთსა და რუსულ წარმოებასთან დისკრიმინაციულ პოზიციაში, ხოლო შემდეგ უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში, მიზანშეწონილია ხორბლის, როგორც სტრატეგიული პროდუქტის, დაბალანსებისთვის, უწყვეტობისთვის და ა.შ. გვქონდეს ადგილობრივი წარმოება, თუნდაც შედარებით უფრო ძვირი, ვიდრე ყველაზე იაფი მომწოდებლის შეიძლება იყოს.

**— შარშან ამბობდნენ, რომ ხორბლის ნათესები გაიზარდა, დააწესეს ექსპორტზე მორატორიუმი და გაზაფხულზე კი ამ ხორბალს ვერ ყიდდნენ. ამ საქმეზე ჩვენი მთავრობის პოლიტიკა რამდენად სწორია.**

— ყველაფერს სახელმწიფოს ვერ ავკიდებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ხორბლის პროდუქციის დასაბალანსებლად მთავრობის უზარმაზარი მხარდაჭერაა წარმოების ნებისმიერ ეტაპზე და შეღავათებიც აქვთ. თუმცა რეალიზაციაში სახელმწიფო უკვე აღარ ერევა. ერთი მხრივ, ეს სწორია, რადგან თავისუფალი ბაზარია და თავად უნდა დაარეგულიროს ფასები, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ წარმოებაში სახელმწიფო ფულს დებს და ამ დროს პროდუქტს შესაძლოა უზარმაზარი საფრთხე შეექმნას, მაგალითად, არ გაიყიდოს — ეს წინასწარ ხომ ვიცით და მაშინ რატომღა ვდებთ ფულს? თუ ვდებთ ამ ფულს, მაშინ ისეთი სტრატეგიული პროდუქტის შემთხვევაში, როგორიც არის ხორბალი, შესაძლოა სახელმწიფოს მეტი პასუხისმგებლობა უნდა მართებდეს, მინიმალური ფასით იქნება თუ მინიმალური ოდენობით დაუჭიროს მხარი ადგილობრივი ხორბლის რეალიზაციას. თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურებისთვის (ჯარი, სკოლები, ბაღები), სადაც კვებას სახელმწიფო უზრუნველყოფს და პურს ყიდულობს, პრიორიტეტი ადგილობრივ მწარმოებელს მიენიჭოს. შესაძლოა ეს არ იყოს „უკიდეგანო“ პრიორიტეტი, მაგრამ რაღაც პრიორიტეტის მინიჭება ნამდვილად შეიძლება, რათა რეალურად შეეწყოს წარმოებას ხელი. ადგილობრივში თუნდაც ცოტათი ძვირის გადახდა ჯობს, თუკი ხარისხის მინიმალურ პირობებს აკმაყოფილებს, რადგან იმპორტირებული პროდუქტი, საბოლოოდ ეკონომიკაში ვერ დააგენერირებს იმდენ ფინანსურ რესურსს თუ ეკონომიკურ წარმოებას, ვიდრე ეს ადგილობრივ წარმოებას შეუძლია — ანუ ადგილობრივი ხორბლისთვის თუნდაც 20%-იანი საფასო უპირატესობა შესაძლოა მეტ ეკონომიკურ შედეგს იძლეოდეს, ვიდრე ამ ხორბლის 20%-ით უფრო იაფად უცხოეთში შეძენა. ამას სჭირდება კვლევების ჩატარება. შესაძლებელია თუ არა სახელმწიფომ თუნდაც უფრო ძვირად იყიდოს, საბოლოოდ კი ეკონომიკურად უფრო მომგებიანი აღმოჩნდეს. ასევე შეიძლება მექანიზმის შემუშავება, რომ თუ სახელმწიფომ არა, რომელიმე კონკრეტულმა სეგმენტმა იყიდოს ადგილობრივი შედარებით ძვირად — იმის ხარჯზე, რომ სხვა შეღავათებით დაუკომპენსირებენ. რთულია, დასათვლელია, მაგრამ აუცილებლად არის გასაკეთებელი. ასეთი პრობლემები სისტემურია და პასუხებიც სისტემური სჭირდება, მით უმეტეს რომ ვიცით, ასეთ საკითხებს რუსეთი იარაღად იყენებს. ისეთი მდიდარი ქვეყანა არა ვართ, რომ ყველა პროდუქტი ადგილობრივი წარმოებით ჩავანაცვლოთ, მაგრამ ხორბალი სტრატეგიული დანიშნულების პროდუქტია და ეს გასაკეთებელია.

„ადგილობრივი ხორბლისთვის თუნდაც 20%-იანი საფასო უპირატესობა შესაძლოა მეტ ეკონომიკურ შედეგს იძლეოდეს, ვიდრე ამ ხორბლის 20%-ით უფრო იაფად უცხოეთში შეძენა“

**— დავუშვათ, ამ ეტაპზე რუსეთმა ხორბალზე არ შეგვიქმნა პრობლემები, მაგრამ თუ „ხორბლის შეთანხმება“ არ აღდგა, მაშინ კრიზისი როგორ განვითარდება და რა გავლენა ექნება საქართველოზე?**

— ასეთ ვითარებაში შესაძლებელია რუსეთმა პოლიტიკურად ისიც კი გააკეთოს, რომ თუნდაც დემპინგური ფასით გაგვიგრძელოს ხორბლის მიწოდება — ამით დასავლეთის თვალში საქართველო კიდევ ერთხელ დააკნინოს და ისე წარმოაჩინოს, რომ აი, საქართველო რუსეთთან რომ „მეგობრობს“, იმიტომ იღებს ხორბალსა და ფქვილს უფრო იაფად, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო; ამით შესაძლოა კიდევ ერთხელ ჩაგვარტყას ზურგში დანა, უარყოფით კონტექსტში წარმოგვაჩინოს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, მაშინ როცა ამ პარტნიორობას არავითარ შემთხვევაში არ ვღალატობთ და დასავლეთია ჩვენი პრიორიტეტი. ცხადია, საქართველოს არა აქვს იმის ინსტრუმენტი, რომ უფრო იაფად შემოთავაზებული ხორბალი არ იყიდოს. ამიტომ თავის დასაზღვევად რაღაც მომენტში შეიძლება ისე გააკეთო, რომ ადგილობრივი იყიდო უფრო ძვირად, რათა ჩვენს პარტნიორებს სალაპარაკო არ დავუტოვოთ. როცა რაღაც რესურსი გაქვს და გაძლევს ერთხანს ბაზრის შევსების შესაძლებლობას, შეიძლება ადგილობრივი მწარმოებლების წახალისება; ამ რესურსის გამოყენება შესაძლოა უფრო გამართლებული იყოს და არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურად უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდეს.

რაც შეეხება მსოფლიო მასშტაბს, ამ საკითხის დაურეგულირებლობა ერთმნიშვნელოვნად დიდ ჰუმანიტარულ ზიანს მოიტანს. ბევრი ქვეყნის მოსახლეობა დაბალშემოსავლიანია, მათთვის ხორბალი და ხორბლის პროდუქტები პირველადი მნიშვნელობისაა, მისი ჩანაცვლება ძალიან რთული იქნება და შეიძლება დაიწყოს დიდი ჰუმანიტარული კრიზისი. პლუს ამას ხორბალსა და ხორბლის პროდუქციაზე ფასების ზრდამ, შესაძლოა სხვა პროდუქტებზე ფასების ზრდაც წაახალისოს.

**— აქვს მსოფლიოს შანსი, რომ ეს პრობლემა რუსეთის გარეშე მოაგვაროს?**

— სამწუხაროდ, ეს არ არის ის კომპონენტი, სადაც რუსეთი დომინანტი მოთამაშე არ არის.

**— დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?**

— შეიძლება რამდენიმე სცენარით წავიდეს პროცესები: პირველი — ამან შესაძლოა უკიდურესად დაძაბოს ვითარება მსოფლიო მასშტაბით ჰუმანიტარულად, პოლიტიკურად და შესაძლოა სამხედრო კონტექსტშიც უფრო მეტად. მაგრამ შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ამ საკითხის დაძაბვამ და დუღილის ტემპერატურამდე ასვლამ მსოფლიო ლიდერები რაღაც დათმობაზე წაიყვანოს, ან მსოფლიო უკიდურეს ულტიმატუმამდე მიიყვანოს, რათა რუსეთი აიძულოს შეწყვიტოს ეს მოქმედება. ეს შესაძლოა იყოს სანაცვლოდ რაღაცის მიცემის გზა, ან უფრო მეტი სანქციის მუქარით ამ ნაბიჯისკენ იძულება.

*რუსა მაჩაიძე*

თვალსაზრისი

# სუპერორპოლუსიანობის მოლოდინში ანუ ვინ უთხრის ძირს მესამე პოლიტიკური ცენტრის იდეას?!



**ამომრჩეველმა თუ არ დაინახა, რომ ამა თუ იმ პარტიას ნამდვილად აქვს თავი გაარღვიოს ორპოლუსიანობა, არ შეიწუხებს თავს საარჩევნო უბანზე მისვლით. ჰოდა, „ლელომაც“ და გახარიას პარტიამაც აგრესიული საარჩევნო კამპანიით ეს უნდა დაანახონ ამომრჩეველს. ამ აგრესიულ კამპანიაში თანაბარი ადგილი უნდა ეკავოს როგორც „ოცნების“ კრიტიკას, ისე იმაზე ლაპარაკს, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება კატასტროფა იქნება. თუ ამას შეძლებენ, დიდია შანსი, რომ ორპოლუსიანობა გაირღვეს. თუ არადა, წავალთ კიდევ ერთ „მოჯადოებულ წრეზე“ და მომდევნო ოთხი წელი, კვლავ ვიოცნებებთ მითიურ მესამე პოლიტიკურ ცენტრზე, რომელიც არ გვაქვს...**

*„რა ქნას, მოშივდა საბრალოს. რა იყო ფულის კეთების ყველაზე ადვილი პოროშენკოს უკრაინაში? სააკაშვილის ლანძღვა. იგივეა ივანიშვილის საქართველოშიც“.*
*მიხეილ სააკაშვილი გიორგი ვაშაძეზე. 2021 წელი.*

*„გიორგი ვაშაძე იყო „ვარდების რევოლუციის“ პირველ ხელისუფლებაში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური რეფორმატორი. შემდეგ ის აღმოჩნდა კიევში, სადაც დიდი ავტორიტეტი მოიპოვა უკრაინელ დეპუტატებს და სამოქალაქო აქტივისტებს შორის, ასევე, საერთაშორისო არენაზე. მის სიტყვას ნამდვილად აქვს წონა მთელ უკრაინაში“.*
*მიხეილ სააკაშვილი გიორგი ვაშაძეზე, 2023 წელი.*

*„ენმ-ს პერსპექტივა არ აქვს, რადგან სააკაშვილი არ აძლევს გასაქანს ახალი თაობის მიდგომებს პარტიაში... საქართველო კარგავს პერსპექტივას მიშას და ბიძინას ბრძოლის გამო. ეს არის ის ორპოლუსიანობა, რომელიც გვართმევს ჩვენ განვითარების პერსპექტივას. მე ვემსახურები საქართველოს იდეას, ეს ადამიანები მხოლოდ თავის პერსონალურ იდეებს ემსახურებიან. ამაშია ჩემსა და მიშას შორის სხვაობა და ამაში ვერ გავასწორე ვერაფრით მიხეილ სააკაშვილი“.*
*გიორგი ვაშაძე მიხეილ სააკაშვილზე, 2021 წელი.*

*„მიხეილ სააკაშვილი დასავლური ცივილიზაციის ბრძოლას განასახიერებს და მისი გათავისუფლება, საქართველოს ევროპული ინტეგრაციის თვალსაზრისით, დიდი ზეიმი იქნება“.*
*გიორგი ვაშაძე მიხეილ სააკაშვილზე, 2023 წელი.*

გიორგი ვაშაძისა და მიხეილ სააკაშვილის სიტყვიერი დუელი ნიშნის მოგების მიზნით ნამდვილად არ შეგვიხსენებია მკითხველისთვის. უბრალოდ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული პოლიტიკის ერთ-ერთ პრინციპს: „არ გვახსოვს ის, რასაც ვამბობდით გუშინ და თუ გამახსენებთ, ინტრიგანები და ქვეყნის მტრები ხართ“. თუმცა ვაშაძე შეეცადა აეხსნა, რატომ დაუბრუნდა სამწლიანი გაბუტვის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ წიაღს — თურმე ახლა ქვეყანაში სხვა გარემოა, ადრე ოპოზიცია უბრალოდ ცუდ ხელისუფლებას უპირისპირდება, დღეს კი რუსულს. ანუ, ვაშაძის არგუმენტით, სააკაშვილი კი არ გაკეთილშობილდა, არამედ ხელისუფლება გახდა უფრო ცუდი. ანუ ეს ნიშნავს თუ არა, რომ სჯობს სააკაშვილი, კეზერაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი დაბრუნდნენ ხელისუფლებაში, ვიდრე „ოცნება“ დარჩეს?! ასე დგას საკითხი?! საკითხის ასე დასმით სჯობს „ოცნებას“ პირდაპირ გაუგზავნოს ბანტიანი ღია ბარათი წარწერით: „გილოცავთ 2024 წლის არჩევნებში გამარჯვებას“.

პოლიტიკაში არის ლამაზად შეფუთული ფორმა და რეალური შინაარსი. „ძალა ერთობაშიამ“ (რომელიც ვაშაძემ სკანდალით დატოვა 2020 წლის არჩევნების წინ) ფორმა შეიცვალა და „გამარჯვების პლატფორმა“ გახდა. შინაარსი კი ის არის, რომ ორივე მხარე თავისი კერძო ინტერესების მიღწევას ცდილობს. ვაშაძეს „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებით გარანტირებული აქვს მომდევნო პარლამენტში ადგილი და ალბათ, კეზერაშვილი სიაში პაატა მანჯგალაძესა და სერგი ჩიხლაძესაც ჩაუსვამს (წინააღმდეგ შემთხვევაში ელოდებოდა 5%-იანი საარჩევნო ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის საეჭვო პერსპექტივა. 2024 წლის არჩევნებისთვის 2%-იანი ბარიერი რომ ყოფილიყო, როგორც თავის დროზე „ოცნებამ“ დააანონსა და მერე გადაიფიქრა, რატომღაც გვგონია, რომ „ნაცმოძრაობა“-ვაშაძის ალიანსს ვერ ვნახავდით). „ნაცმოძრაობა“ კი შეიფუთება და გაკეთილშობილდება „დიდი ოპოზიციური გაერთიანებით“ და შემდეგი ეტაპი იქნება კეზერაშვილის ლეგალიზაცია და გათეთრება. დიახ, მისი კონტროლირებადი ექსპერტები და მედიის წარმომადგენლები ამ ბოლო დროს „კეზერას“ მოიხსენიებენ, როგორც „მეცენატ დავით კეზერაშვილს“. ეს ყურს ისევე ჭრის, როგორც მაგალითად, „ჰუმანისტი ალ კაპონე“, მაგრამ კეზერას გარემოცვას იმედი აქვს, რომ ამ ტერმინს დაამკვიდრებენ...

სხვათა შორის, ვაშაძე და მისი თანაგუნდელები ამტკიცებენ, რომ არანაირი კომუნიკაცია არა აქვთ არც კეზერაშვილთან და მით უმეტეს, არც მერაბიშვილთან. თურმე გაერთიანების შესახებ შეთანხმებას მათ წერილობით მიაღწიეს სააკაშვილთან, კეზერა კი თვალით არ უნახავთ. მაშინ ჰკითხონ აბა ნიკა მელიას, ელანდებოდა, კეზერაშვილი წლების მანძილზე რომ ცდილობდა პარტიაზე კონტროლის დამყარებას, პირველ რიგში, თავისი ცოლისძმის დიმა ჩიქოვანის მეშვეობით? მერაბიშვილიც მოელანდა მელიას? ჰკითხონ აბა გიგი უგულავასა და ელენე ხოშტარიას, რამდენიმე დღის წინ კვიპროსზე კეზერაშვილს რატომ შეხვდნენ? მოენატრათ? თუმცა ამაზე მოგვიანებით...

რაც შეეხება „გამარჯვების პლატფორმას“ — როგორც ზემოთ ვთქვით, ვაშაძისთვის ეს მომავალ პარლამენტში ადგილის შენარჩუნების პლატფორმაა, „ნაცმოძრაობისთვის“ გაკეთილშობილების პლატფორმა, კეზერაშვილისთვის კი უფრო მეტ ოპოზიციურ ძალაზე კონტროლის დამყარების ფორმულა და ამის გამოყენება სათავისოდ — „გათეთრება“ იქნება ეს თუ „ოცნებასთან“ მომავალი ვაჭრობა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს აქვს სააკაშვილის კურთხევა, რომელიც ელოდება, რომ „რაღაც მოხდება“ არჩევნებამდე და დაბრუნდება ხელისუფლებაში.

საუბარი იმაზე, რომ ძველი-ახალი გაერთიანება 2024 წლის არჩევნების მოგებას შეძლებს, პოლიტიკური მიამიტობაა. კერძოდ, „ოცნების“ პროპაგანდა რომ დაიქოქება, იმაზე ააწყობენ სტრატეგიას, არიქა, პროგრესული ვაშაძე მოდისო?! რა თქმა უნდა, არა, იქნება ძველი სიმღერა ცოტა ახალი მოტივებით, დაახლოებით ასეთი: „მოდის სააკაშვილი, რომელსაც მოჰყვებიან კეზერაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ვაშაძე და ხაბეიშვილი მხოლოდ ფასადია“. ამომრჩევლის ის ნაწილი, რომელსაც „ოცნება“ არ მოსწონდა, მაგრამ სააკაშვილის პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნება მისთვის უფრო მიუღებელი იყო, ვაშაძის გამო გადაიფიქრებს?! არჩევნებამდე რაც არ უნდა დაიმალონ კეზერაშვილი და მერაბიშვილი, არის ჩვენი ამომრჩეველი ისეთი გულუბრყვილო, რომ გადაწყვიტოს, რომ არიქა, ეს „ნაცმოძრაობა“ ის ძველი „ნაცმოძრაობა“ აღარ არის?! ძნელი წარმოსადგენია. ვისაც არ სჯერა, შეუძლია გავიდეს ქუჩაში და ბლიცგამოკითხვა ჩაატაროს.

„ნაცმოძრაობის“ დიდ ოპოზიციურ გაერთიანებად და ახალ პლატფორმად შეფუთვა ზრდის იმის რისკებს, რომ 2024 წლის საარჩევნო გარემო სუპერორპოლუსიანი იყო (რასაც ვაშაძე იწუნებდა 2021 წელს). შესაბამისად, უფრო მეტად იზრდება იმის რისკები, რომ 2024 წელს ვიხილოთ ორპარტიული პარლამენტი „ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ შემადგენლობით, რაც ქართული დემოკრატიის განვითარების კუთხით უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. იმაზე აღარაფერს ვიტყვით, რომ „მესამე პოლიტიკური ცენტრის“ იდეა შეირყა და უფრო ძნელი გახდა მისი განხორციელება.

სხვათა შორის, სიურპრიზი იყო ის, რომ ვაშაძესთან ერთად „ნაცმოძრაობას“ არ შეუერთდნენ ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია. ზემოთ ვახსენეთ, რომ ხოშტარია გიგი უგულავასთან ერთად კვიპროსზე იყო კეზერაშვილთან შესახვედრად. სავარაუდოდ, ვერ შეთანხმდნენ პირობებზე და ხოშტარია დარჩა ახალი პლატფორმის მიღმა. რაც შეეხება ზურაბ გირჩ ჯაფარიძეს, ჩვენ ნამდვილად არ ვიცით, მას ჰქონდა თუ არა კონტაქტი კეზერაშვილთან, თუმცა ფაქტია — „გამარჯვების პლატფორმას“ არც ის შეუერთდა.

არსებულ ვითარებაში, ძალიან დიდი როლი ენიჭებათ იმ პარტიებს, რომლებსაც მიზნად გაცხადებული აქვთ — „ოცნება“ ისე უნდა დამარცხდეს, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნდეს. ამ ფლანგზე ძირითადი მოთამაშეები არიან მამუკა ხაზარაძის „ლელო“, გიორგი გახარიას „საქართველოსთვის“, ალეკო ელისაშვილის „მოქალაქეები“ და საპარლამენტო „გირჩები“. გამომდინარე იქიდან, რომ მოსალოდნელია მწვავე ორპოლუსიანობა, ყველაზე იდეალური ვარიანტი იქნებოდა ყველა ზემოხსენებული პარტია დაჯგუფებულიყო დაახლოებით ასეთი სლოგანით: „არა „ოცნებას“, არა „ნაცმოძრაობას“. თუმცა ამ პარტიების ლიდერებს შორის ისეთი პიროვნული წინააღმდეგობებია (განსაკუთრებით ხაზარაძესა და გახარიას შორის), რომ ასეთი გაერთიანება ცოტა ძნელი წარმოსადგენია. თუმცა არის ვერსიები, რომ მაგალითად, „ლელოს“ შეუერთდებიან ნიკა მელია, ხატია დეკანოიძე, რომან გოცირიძე და სხვები. გარდა ამისა, არის მოლოდინი, რომ 2024 წლის არჩევნებში „ლელოს“ ქოლგის ქვეშ გამოვლენ ელენე ხოშტარია და ზურაბ გირჩი ჯაფარიძე (თუ, რა თქმა უნდა, ბოლო მომენტში ისევ „ნაცმოძრაობისკენ“ არ აიღეს გეზი), გახარიას პარტია კი, სავარაუდოდ, „ოცნების“ ყოფილი წევრების ხარჯზე გაძლიერდება, რომელთა შორის დავით სერგეენკო ალბათ, ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იქნება. საბოლოო ჯამში, შესაძლოა, მივიღოთ ორი პარტია, რომლებიც მესამე პოლიტიკური ცენტრის როლზე განაცხადებენ — „ლელო“ და „საქართველოსთვის“.

თუმცა მარტო გამსხვილება და ძველი-ახალი სახეების პრეზენტაცია გამოსავალი არ არის. მთავარია, როგორ დაიგეგმება საარჩევნო კამპანია. ჰიპერაქტიური სააკაშვილისა და „ოცნების“ ჰიპერპროპაგანდის ფონზე, კლასიკური, წყნარი და ღიმილიანი საარჩევნო კამპანია დასრულდება იმით, რომ „ლელო“ და გახარიას პარტია 5%-იან საარჩევნო ბარიერს ვერ გადალახავენ. ორპოლუსიანობის გასარღვევად მათ აგრესიული (კარგი გაგებით) საარჩევნო კამპანია სჭირდებათ. მათი სამიზნე ის ამომრჩეველია, რომელსაც არ მოსწონს „ოცნება“ და კატეგორიულად არ უნდა მიშას დაბრუნება. თუმცა ამ ამომრჩეველმა თუ არ დაინახა, რომ ამა თუ იმ პარტიას ნამდვილად აქვს თავი გაარღვიოს ორპოლუსიანობა, ის არ შეიწუხებს თავს საარჩევნო უბანზე მისვლით.

ჰოდა, „ლელომაც“ და გახარიას პარტიამაც აგრესიული საარჩევნო კამპანიით ეს უნდა დაანახონ ამომრჩეველს. ამ აგრესიულ კამპანიაში დაახლოებით თანაბარი ადგილი უნდა ეკავოს როგორც „ოცნების“ კრიტიკას, ისე იმაზე ლაპარაკს, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება კატასტროფა იქნება. თუ ამას შეძლებენ, დიდია იმის შანსი, რომ ორპოლუსიანობა გაირღვეს. თუ არადა, წავალთ კიდევ ერთ „მოჯადოებულ წრეზე“ და მომდევნო ოთხი წელი, კვლავ ვიოცნებებთ მითიურ მესამე პოლიტიკურ ცენტრზე, რომელიც არ გვაქვს...

***გიორგი კვიტაშვილი***

# რას ნიშნავს რუსეთ-ჩინეთის ერთობლივი სამხედრო-საზღვაო სწავლება

*რუსეთმა ჩინეთთან ერთად იაპონიის ზღვაში სამხედრო-საზღვაო სწავლება ჩაატარა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სწავლების მიზანია სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის განმტკიცება ორ ქვეყანას შორის და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის შენარჩუნება. ივნისში ჩინეთმა და რუსეთმა ერთობლივი საჰაერო პატრულირება ჩაატარეს იაპონიის და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვების თავზე, რის გამოც სამხრეთ კორეამ გაფრთხილების მიზნით იქ თავისი გამანადგურებლები გაგზავნა. უკრაინასთან ომის დროს ამ წვრთნების ჩატარება, სამხედრო კომპონენტზე აქცენტირება რას ცვლის თუნდაც ჩინეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში, ამ საკითხებზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტს* ***გიორგი ბილანიშვილს*** *ვესაუბრეთ.*



**„რუსეთი და ჩინეთი ერთობლივ წვრთნებს ყოველთვის ისეთ ადგილებში ატარებენ, რომლებიც სადავოა, კონფრონტაციაშია დასავლეთთან და ამით ხაზს უსვამენ ერთმანეთთან თანამშრომლობას“**

— ერთობლივი წვრთნები რუსეთსა და ჩინეთს ადრეც ჩაუტარებიათ სამხრეთ ჩინეთისა და ბალტიის ზღვებშიც რუსეთის ინიციატივით, სადაც ჩინეთიც მონაწილეობდა — ანუ ერთობლივ წვრთნებს ყოველთვის ისეთ ადგილებში ატარებენ, რომლებიც სადავოა, კონფრონტაციაშია დასავლეთთან და ამით ხაზს უსვამენ ერთმანეთთან თანამშრომლობას. ეს ქვეყნები დიდი ხანია მჭიდრო პარტნიორები არიან, ისინი ერთობლივად მოქმედებენ და ხშირად დასავლეთთან წინააღმდეგობის კონტექსტში. ეს დღის წესრიგი არ იცვლება, მიუხედავად უკრაინაში რუსეთის ინტერვენციისა. რეგიონულ დონეზე რუსეთს და ჩინეთს განსხვავებული ინტერესები აქვთ, მაგრამ საერთაშორისო დონეზე ისინი დასავლეთს თავის მთავარ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ, თვლიან, რომ დასავლეთის დასუსტება ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია.

**— ეს გასაგებია, მაგრამ ახლა ჩინეთს დასავლეთის ისე დასუსტება, რომ რუსეთი გამარჯვებული გამოვიდეს, რამდენად აწყობს?**

— ეს უფრო იდეოლოგიური კონტექსტია — რუსეთსა და ჩინეთს რაც არ უნდა განსხვავებული ინტერესები ჰქონდეთ, ორივე თვლის, რომ მათი მთავარი საფრთხე დასავლეთის ლიბერალური წესრიგია. დასავლეთის დასუსტება ავტომატურად რუსეთის გაძლიერებას ხომ არ ნიშნავს? როდესაც დასავლეთის დასუსტებაზე ვსაუბრობთ, ეს მის გაქრობას არ ნიშნავს საერთაშორისო არენიდან.

**— გაქრობა არა, მაგრამ უკრაინის ომში რუსეთის გამარჯვება ხომ რუსეთის განუზომლად გაძლიერებას ნიშნავს.**

— ჩინეთი ამას მთავარ საფრთხედ არ აღიქვამს, რადგან თვლის, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას მოახერხებს. თურქეთი და ირანიც ასე ფიქრობენ, რომ ჩინეთი და რუსეთი, ირანი და რუსეთი, თურქეთი და რუსეთი მოახერხებენ შეთანხმებას და ერთმანეთს უმთავრეს საფრთხედ არ აღიქვამენ.

**— რუსეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, მათი ასეთი მოლოდინი რამდენად სწორად მიგაჩნიათ, როცა რუსეთი არ არის სანდო?**

— რუსეთი თავის საგარეო პოლიტიკას როდესაც გეგმავს, ის მოკლე და საშუალოვადიან გათვლებს აკეთებს და ამ გათვლებში ის მთავარ მოწინააღმდეგედ დასავლეთს თვლის. ამიტომ არჩევს პარტნიორობას სხვა ქვეყნებთან, ჩინეთი იქნება, ირანი თუ სხვა, რომლებიც მას დასავლეთთან ბრძოლაში სჭირდება. ამიტომ მათი პოლიტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე ეს სწორია, ხოლო რამდენად სიკეთის მომტანია, ცხადია, სადავოა.

**— ჩინეთი ხომ თავისი პოლიტიკის გათვლისას აქცენტს ყოველთვის გრძელვადიან პერსპექტივაზე აკეთებს? ძლიერი რუსეთი არ არის მისთვის იმაზე მეტი საფრთხე, ვიდრე ძლიერი დასავლეთი? თუნდაც ეკონომიკური ინტერესებით ხელმძღვანელობდეს, რუსეთის ბაზარი ხომ არ არის საკმარისი, მას ამერიკული ბაზარიც სჭირდება და ევროპულიც.**

— თუ ვინმე არის შესული ერთმანეთის გავლენის სფეროში, ჩინეთია ეკონომიკურად შესული ცენტრალურ აზიაში, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში და არა რუსეთი ჩინეთის გავლენის სფეროში. ამიტომ რუსეთისგან დიდ კონკურენციას არ გრძნობს.

**„ჩინეთი რუსეთს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სამხედრო დახმარებასაც უწევს, თუმცა, არ აწვდის ისეთ შეიარაღებას, რაც რუსეთისთვის ამ ომში განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნებოდა“**

**— უკრაინაში ომის დაწყებამდე ჩინეთს ჰქონდა პრეტენზია, რომ ევროპას ჩინეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების საწინააღმდეგო არაფერი აქვს და ამერიკა ევროპას არ აძლევს ამის საშუალებას. როდესაც ჩინეთი მხარს უჭერს რუსეთს, ეს ხომ ნიშნავს, რომ ჩინეთი თავად უწყობს ხელს ევროპამ მასზე წნეხი გააძლიეროს.**

— რა თქმა უნდა, ამიტომაც არის, რომ აქტიურად არ ერევა ამ ომში. არ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ჩინეთმა რუსეთს მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწია. მიუხედავად იდეოლოგიური დაპირისპირებისა ჩინეთსა და დასავლეთს შორის, აშკარა კონფრონტაცია არც ერთ მხარეს არ აწყობს. ამის დამადასტურებელია ბოლო პერიოდში ამერიკასა და ჩინეთს შორის გააქტიურებული დიპლომატიური ურთიერთობები. ეს იმისკენ არის მიმართული, რომ საერთო ენა გამოინახოს და ის პრობლემები, რაც მათ ურთიერთობებში წარმოიშვა, როგორმე გადაილახოს.

**— საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინეთი რუსეთს ამარაგებს არალეტალური დანიშნულების სამხედრო აღჭურვილობით. რა რეაგირება შეიძლება მოჰყვეს ამას დასავლეთისგან?**

— ჩინეთი რუსეთს რაღაც დოზით არა მარტო ეკონომიკურ, არამედ სამხედრო დახმარებასაც უწევს, თუმცა, არ აწვდის ისეთ შეიარაღებას, რაც რუსეთისთვის ამ ომში განსაკუთრებული მნიშვნელობის იქნებოდა, ირანისგან განსხვავებით.

**— იმის გათვალისწინებით, რაც ახლა ხდება, დასავლეთის და ჩინეთის ურთიერთობა როგორ შეიძლება განვითარდეს?**

— არსებობს უამრავი მდგენელი, რომლებმაც მათ ურთიერთობაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს, დაწყებული, როგორ დამთავრდება უკრაინაში ომი და ტაივანის საკითხით გაგრძელებული. უახლოეს პერსპექტივაში ისე ჩანს, რომ მათ ურთიერთობაში გამწვავებას არ უნდა ველოდოთ, რადგან ამერიკაც, ევროპის ქვეყნებიც და ჩინეთიც ერთმანეთთან დაპირისპირებას ერიდებიან.

***რუსა მაჩაიძე***

## მიმართვა, აუქციონი

საჯარო შეტყობინება ირაკლი ნაკაშიძის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება არტაკ მანუკიანი საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც გამოვითხოვთ ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელს და მოვახდენთ აღსრულებას.

საჯარო შეტყობინება თინა მოფინაძის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია, თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება კახაბერ კარანაძის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია, თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება იაზაგიულ იაკუბოვას საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც გამოვითხოვთ ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელს და მოვახდენთ აღსრულებას.

საჯარო შეტყობინება გიორგი ჟვანიას საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია, თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

საჯარო შეტყობინება თინათინ ქათამაძის საყურადღებოდ! შპს მისო „რიკო ექსპრესი“ გატყობინებთ, რომ ჩვენს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თქვენი ვალდებულება დარღვეულია. თუ არ გადაიხდით დავალიანებას არაუგვიანეს 07.08.2023 წლისა, ჩვენ ცალმხრივად შევწყვეტთ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რისთვისაც მივმართავთ სათანადო ორგანოებს თანხის დაკისრებისა ან/და იპოთეკის საგნის აუქციონზე იძულებით რეალიზაციის შესახებ.

დამგირავებელს მერაბი ჯიქიას პ/ნ: 39001007587/ ფაქტ. მის: თბილისი, გლდანი 3ა კორპ. ბ 53. იურიდ. მის: სენაკის მუნიციპალიტეტი, ქალაქი სენაკი, მშვიდობის ქუჩა, N 277. შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „კრისტალსა“ და თქვენს შორის გაფორმებული RSC.0033651.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობები დარღვევის გამო, „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: RSC.0033651.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება RSC.0033651.001/01).გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: მარკა მოდელი: Volkswagen JETTA, სახელმწიფო ნომერი: NO222ES გამოშვების წელი 2010; საიდენტიფიკაციო ნომერი 3VWDZ7AJXBM302688, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJ2270610; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის „კრისტალისათვის“ გადმოცემის შემდეგ, გირავნობის ხელშეკრულების და სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი

დამგირავებელს შახინ ალიევს პ/ნ: 28001105783. მის: მარნეული, ს. სოფელი მოლაოღლი. შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და თქვენს შორის გაფორმებული RSC.2462845.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: RSC.2462845.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება RSC.2462845.001/01). გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია- მარკა მოდელი: Toyota PRIUS, სახელმწიფო ნომერი: თთ278თღ გამოშვების წელი 2013; საიდენტიფიკაციო ნომერი JTDKN3DUXD1656716, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: J3010701; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია„კრისტალისათვის“ გადმოცემის შემდეგ, გირავნობის ხელშეკრულების და სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

ჯულიეტა ყალაბეგაშვილი (პ/ნ 13001023496) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი“, საარბიტრაჟო მოპასუხე — ჯულიეტა ყალაბეგაშვილი. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი“ გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 2 აგვისტოს, 16:15 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

დამგირავებელს ზურაბ მარანელს პ/ნ: 01010016525 . მის: თბილისი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი II, კორპუსი 9, ბინა 49.შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა“ და თქვენს შორის გაფორმებული თ 1.1997795.001-001 სესხის ხელშეკრულების პირობები დარღვევის გამო, „კრისტალი“ ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: TBL1.1997795.001-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება NTBL1.1997795.001/01).გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: — მარკა მოდელი: Jeep COMPASS LATITUDE, სახელმწიფო ნომერი: NN216PN გამოშვების წელი 2011; საიდენტიფიკაციო ნომერი 1C4NJDEB5CD572862, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJ1406324; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალისათვის“ გადმოცემის შემდეგ, გირავნობის ხელშეკრულების და სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. სს მისო „კრისტალის“ წარმომადგენელი.

*გაგრძელება იხ. გვ. 28*

# მიმართვა, აუქციონი

დასაწყისი იხ. გვ. 27

დამგირავებელს ვასილ ყარყარაშვილს პ/ნ: 12001060259/ მის: თბილისი, სოფ. პატარა ლილო, დ. აღმაშენებლის II ჩიხი, N 3. შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა" და თქვენს შორის გაფორმებული 2599850-2893874 სესხის ხელშეკრულების პირობები დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: 2599850-2893874 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება 2599850-1721549).გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: - მარკა მოდელი: Hyundai ELANTRA, სახელმწიფო ნომერი: QQ589HH, გამოშვების წელი 2012; საიდენტიფიკაციო ნომერი 5NPDH4AE0DH221702, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJ0024557. თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „კრისტალისათვის" გადმოცემის შემდეგ, გირავნობის ხელშეკრულების და სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება. სს მისო „კრისტალის" წარმომადგენელი.

დამგირავებელს ფუად ფარუხოვს პ/ნ: 01001058248. მის: თბილისი, გოგაშენის ქუჩა, N 12 შეტყობინება: გირავნობით დატვირთული საგნის მოგირავნისათვის ნებაყოფლობით გადაცემის თაობაზე. სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალსა" და თქვენს შორის გაფორმებული RSC.3048935.003-001 სესხის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" ითხოვს აღნიშნული სესხის უზრუნველსაყოფად, გირავნობით დატვირთული გირავნობის საგნ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის" მფლობელობაში გადმოცემას (საფუძველი: RSC.3048935.003-001 სესხის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულება RSC.3048935.003/01). გირავნობის საგნ(ებ)ის მახასიათებლებია: მარკა მოდელი: Mercedes-Benz CLS 500, სახელმწიფო ნომერი: MH-011MD გამოშვების წელი 2012; საიდენტიფიკაციო ნომერი WDD2183731A055326, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი: AJ2821376; თქვენ ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოთ კომპანიის მოთხოვნა გირავნობის საგნის მფლობელობაში გადმოცემის თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად. მოთხოვნის ორი კვირის ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 პრიმა მუხლის მიხედვით, მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. აქვე განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც მოგირავნეს უფლება აქვს უფლებამოსილ ორგანოს მოსთხოვოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა.ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „კრისტალისათვის" გადმოცემის შემდეგ, გირავნობის ხელშეკრულების და სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, კომპანიის მიერ განხორციელდება სატრანსპორტო საშუალების რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 260 პრიმა მუხლის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალება გადმოვა სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, „კრისტალის" საკუთრებაში ან კომპანიის მხრიდან გამოყენებული იქნება ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ღონისძიება ან/და უფლება.სს მისო "კრისტალის" წარმომადგენელი.

ნინო გოგალაძე (პ/ნ 35001106850) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – გიორგი მუკნიაშვილი, ნინო გოგალაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 13:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

გიორგი მუკნიაშვილი (პ/ნ 35001112336) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – გიორგი მუკნიაშვილი, ნინო გოგალაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 13:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

შპს „მარიამი" (ს/ნ 443570208) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – ნათია ბუხნიკაშვილი, შპს „მარიამი". შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 12:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

აბულფათ ჯალილოვი (პ/ნ 36001006010) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხე – აბულფათ ჯალილოვი. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 13:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

ნაირა უსუფაშვილი (პ/ნ 40001033528) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხე – ნაირა უსუფაშვილი. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 15:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

შალვა ოსაძე (პ/ნ 43001000362) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხე - შალვა ოსაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 14:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

ნათია ბუხნიკაშვილი (პ/ნ 56001006934) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – ნათია ბუხნიკაშვილი, შპს „მარიამი". შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 12:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

ოთარი ალექსაშვილი (პ/ნ 3600100015) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხე – ოთარი ალექსაშვილი. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს, 15:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

გაფრთხილების წერილი. გიუმრახ ალიევი 12001014967. გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება - ბმვ 535 I, გამოშვების წელი 2012, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი XF385XF, საიდენტიფიკაციო ნომერი WBAFR7C57CC811469: დაგირავებულია სს ლიბერთი ბანკის" სასარგებლოდ ელმან იბადოვის (12004000168) სესხის უზრუნველსაყოფად. ბანკსა და ელმან იბადოვის შორის გაფორმებულია საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 0127.5376476.001, რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვოთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაკოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

გაფრთხილების წერილი. ტარიელ ტატიშვილი 16001032111. გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება ბმვ 528 XI, გამოშვების წელი 2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერი HX393XH, საიდენტიფიკაციო ნომერი WBA5A7C50ED618662: დაგირავებულია სს ლიბერთი ბანკის სასარგებლოდ მარია ცევრენიდის (60001154384) სესხის უზრუნველსაყოფად. ბანკსა და მარია ცევრენიდს შორის გაფორმებულია საკრედიტო და გირავნობის ხელშეკრულება 0127.5207330.001, რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში არ დაფარავს მიმდინარე დავალიანებას, იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედიტო ხელშეკრულება და მოვითხოვოთ სესხის სრულად გადახდა. აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258 -ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ, რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაკოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გირავნობის საგნის სს ლიბერთი ბანკზე გადმოცემის შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს ლიბერთი ბანკის საკუთრებაში.

გაფრთხილების წერილი ხათუა პაპიძეს 38001041313 გვსურს შეგახსენოთ, რომ თქვენს სახელზე არსებული მოძრავი ქონება LEXUS NX 300 წელი. 2015 საიდენტიფიკაციო: JTJBJRBZ2G2030277 დაგირავებულია სს „ტერაბანკის" სასარგებლოდ გოგა შუკაკიძეს 54001018101 სესხის უზრუნველსაყოფად ბანკსა და გოგა შუკაკიძეს შორის გაფორმებული საკრედიტო N34.0701609.001-001 და გირავნობის ხელშეკრულება N 34.0701609.001/01 რომელზეც დარღვეულია თანდართული გრაფიკით დადგენილი თანხების გადახდა. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი 14 კალენდარული დღის ვადაში სრულად არ დაფარავს დავლაინებას იძულებულნი ვიქნებით შევწყვიტოთ საკრედითო ხელშეკრულება, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის შესაბამისად მივმართავთ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გირავნობის მოწმობის გასაცემად. განგიმარტავთ რომ გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი რომლითაც კანონმდებლობით დადგენილი გარემოებების არსებობისას მოგირავნეს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მის მფლობელობაში გადაცემა. აქვე გატყობინებთ რომ საქართველოს სამოქალალაქო კოდექსის 282-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გირავნობის საგნის სს „ტერაბანკზე" გადმოცემის შემდგომ საქარველოს სამოქალაქო კოდესის 283-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოხდება დაგირავებული ნივთის რეალიზაცია პირდაპირი მიყიდვის გზით ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 2601 მუხლის შესაბამისად გირავნობის საგანი გადმოვა სს „ტერაბანკის" საკუთრებაში.

ავთანდილ ბარბაქაძე (პ/ნ 25001003243) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – შპს „ალფა ვიტა", ავთანდილ ბარბაქაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 14:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

გიორგი ნათენაძე (პ/ნ 01001057277) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე - სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები - თამილა ნათენაძე, გიორგი ნათენაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 12:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

გრიშა ჭკადუა (პ/ნ 62007012139) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – შმაგი ჭკადუა, გრიშა ჭკადუა, გვანცა ჭკადუა, ი/მ მაია. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 11:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

აკაკი კვირკველია (პ/ნ 39001035944) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – შპს „ხეირი ნახე", აკაკი კვირკველია, ნინო ზერაგია. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 11:00 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

თამილა ნათენაძე (პ/ნ 01001069385) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები - თამილა ნათენაძე, გიორგი ნათენაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 12:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

შპს „ალფა ვიტა" (ს/ნ 433105784) შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გატყობინებთ, რომ თქვენს წინააღმდეგ მიმდინარეობს საარბიტრაჟო წარმოება, საარბიტრაჟო მოსარჩელე სს „თიბისი ბანკი", საარბიტრაჟო მოპასუხეები – შპს „ალფა ვიტა", ავთანდილ ბარბაქაძე. შპს „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტი" გაძლევთ წინადადებას, 2023 წლის 02 აგვისტოს 14:30 საათზე გამოცხადდეთ საარბიტრაჟო სხდომაზე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას 40, მეათე სართული.

# განცხადებები

## მადლობის წერილი

დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ, გრ.ფერაძის N 2, მე-10 კორპუსში სანტექნიკა ავარიულ მდგომარეობაში იყო. სარდაფი წყლით ივსებოდა. კორპუსი აშენებულია 1969-70 წ-ში. ამის შემდეგ კორპუსისთვის არაფერი გაკეთებულა. კორპუსში მცხოვრებმა ავირჩიეთ კორპუსის თავმჯდომარე, ამავე კორპუსში მცხოვრები ნანა ანანიძოვა. გაამართლა. ავკრიბეთ თანხა, გამგეობაც მხარში დაგვიდგა. გამოიცვალა მთლიანად სანტექნიკა. კიდევ ბევრია გასაკეთებელი, იმედი გვაქვს ნანა თავს გაართმევს სხვა პრობლემებსაც. კორპუსის ეზოზეც იზრუნა. გვპირდება კორპუსის შემოგარენსაც მიხედავს, რომელიც გამგეობის დახმარების გარეშე ვერ მოხერხდება, სადაც არანაკლები პრობლემებია. მადლობა მას კორპუსის მცხოვრებთაგან.

*ჯულიეტა კამკამიძე*

## გთავაზობთ

სადისტრიბუციო კომპანია შპს „ელიტ ფუდი" აცხადებს ვაკანსიას მძღოლ-დისტრიბუტორის (დასტავკა) პოზიციაზე. მოთხოვნები: მამაკაცი 21 წლიდან, მანქანის მართვის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება; ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, სტაბილურობა და დისციპლინა; გუნდში მუშაობის უნარი; უძრავი ან მოძრავი ქონების უზრუნველყოფა; პირობები: ხელფასი 1200 ლარი. სამუშაო გრაფიკი: ყოველდღე (კვირის გარდა) 09:00-დან 18:00-მდე. მისამართი: ქ. თბილისი მექანიზაციის ჩიხი №1 (ნახალოვკა). დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ ნომრებზე ყოველდღე (კვირის გარდა) 09:00-დან 18:00-მდე: 551969990; 551506045.

სადისტრიბუციო კომპანია შპს „ელიტ ფუდი" აცხადებს ვაკანსიას გაყიდვების აგენტის (პრისეილერი) პოზიციაზე. მოთხოვნები: მამაკაცი 20 წლიდან. სამუშაო გამოცდილება მინიმუმ 2 წელი, ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, სტაბილურობა და დისციპლინა; გუნდში მუშაობის უნარი; საკუთარი ავტომობილი; უძრავი ან მოძრავი ქონების უზრუნველყოფა; პირობები: ხელფასი 2000 ლარიდან. სამუშაო გრაფიკი: ყოველდღე (კვირის გარდა) 09:00-დან 18:00-მდე. მისამართი: ქ. თბილისი, მექანიზაციის ჩიხი №1 (ნახალოვკა). დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ქვემოთ მითითებულ ნომრებზე ყოველდღე (კვირის გარდა) 09:00-დან 18:00-მდე: 551969990; 551506045.

## მკურნალობა

სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) ფირმა „Simens" და „Widex"-ის მნიშვნელოვნად დაბალ ფასებში 1-წლიანი გარანტიით, შერჩევა და კონსულტაცია უფასოა, ასევე წარმოებს აპარატების სარემონტო სერვისი და სათადარიგო ნაწილების, ელემენტების მიწოდება ნებისმიერ მისამართზე. ტელ: 272-95-11, 597 99-15-19.

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს, ნაოჭებს, ლაქებს, სუფთა ბუნებრივი მალამოებით, ნილბებით. მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს – ერთი პროცედურით. მოგირჩენთ ჰაიმორიტს თუნდაც ქრონიკულს. მოვარჩენ დამწვრობას სწრაფად, ლაქებისა და ნაოჭების გარეშე, მოგაშორებთ დარჩენილ ლაქებს და ნაწიბურებს. მოგირჩენთ ნაწოლებს და დაჩირქებულ ჭრილობებს. სოკოვან დაავადებებს, გასქელებულ ფრჩხილებს, დახეთქილ ქუსლებს, არასასიამოვნო სუნს და ოფლიანობას ფეხიდან. ბუასილს, დისბაქტერიოზს. მის: ო. ჭილაძის 166, კორპ 10. ტელ: 599 16 10 82, 593 99 62 52 ლამარა თოლუა.

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება: დამოკიდებულების მოხსნა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციების აღდგენა, კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, წონის მომატება, იმუნიტეტის გაძლიერება, ქოლესტერინისგან გაწმენდა და გონებრივი შესაძლებლობების აღდგენა. შიშები, აგრესია, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, მოუსვენრობა, მუდმივი შფოთვა, უძილობა, იმპოტენცია. გაჯანსაღება გარანტირებულად, ანონიმურობით. საჭირო კვლევები უფასოა. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 577293741, 2340238

სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად 3-დან 25 წლამდე მოზარდებისთვის. 3-6 სმ-ის მომატების კურსით. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის და ქონდროზის დროსაც, მცენარეული ვიტამინებისა და ძვლის მკვებავი მინერალების ნაკრებით, +ვარჯიშებით, ინდივიდუალური პროგრამა-დანიშნულებებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებულად. მრავალწლიანი გამოცდილებით შედეგები იდეალურია, კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მისაღებად. მის: თბილისი. წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 599913765, ტელ. 2340238.

მამაკაცებისთვის: მხოლოდ ჩვენთან ისარგებლეთ უფასო კვლევებით და მოიგვარეთ ნებისმიერი მამაკაცური პრობლემა სწრაფად და ეფექტურად: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი (წინამდებარე ჯირკვლის ანთება), ადენომა (ავთვისებიანიც), და მისგან გამოწვეული გართულებები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, სუსტი და გაორებული ნაკადი), ენურეზი (ბავშვებსა და მოზარდებში), ვირუსული, ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ტკივილი, ქავილი). რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა, შენარჩუნება. კენჭის დადნობა თირკმელებში უმტკივნეულოდ – წარმომქმნელი მიზეზების აღმოფხვრით. უკუჩვენების გარეშე, გარანტირებულად. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: მარიამი. მობ. 599722148, 2475883.

ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის პროფილაქტიკა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში. ტკივილების, დაჭიმულობების, დაბუჟების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრებისა. წონის დაკლებით თვეში 5-20 კგ-მდე. წნევების დარეგულირებით. მრავალწლიანი გამოცდილებით. გარანტირებულად. მის: თბილისი, წერეთლის გამზირი 142. I სართული, კაბინეტი 6. ქ-ნი: ქეთევანი. მობ. 599722138, ტელ: 2475883.

## იყიდება

1000 კვმ მიწის ნაკვეთი სოფ. გლდანში, ნატუსების ქუჩაზე (ტრასიდან ორბელიანის ქუჩის შესახვევში). შეყვანილია ყველა კომუნიკაცია. ახმეტელის მეტროდან მანქანით დაახლ. 7-10 წუთის სავალზე. იყიდება მთლიანად. ფასი შეთანხმებით. ტელ: 593-17-93-98. ლერი.

## შევიძენ

შევიძენ ნახატებს! შევიძენ საქართველოში მოღვაწე და ცნობილი ქართველი მხატვრების ნახატებს! მობ.: 591719900 / 31 ივლისის ჩათვლით.

## სხვადასხვა

მათ, ვისაც შეიძლება ეხებოდეს . ჩემს, საქართველოს ნოტარიუსის იულია არდემანაშვილის სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი გორი, აკაკი წერეთლის ქუჩა N 42ა, ორი ათას ოცდასამი წლის ჩვიდმეტ ივლისს შემოსულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადება ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაერთ აპრილს გარდაცვლილი ნიკოლოზ ტიმიაშოვის (პ/ნ 59001100371) სამკვიდროს მიღების/სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ. ზ/აღნიშნული განცხადებით სააგენტო ითხოვს ნიკოლოზ ტიმიაშოვის (პ/ნ 59001100371) დანაშთი ქონების უმკვიდრო ქონებად ცნობას და სახელმწიფოზე გადასვლას. ორი ათას ოცდაორი წლის ოცდაერთ აპრილს გარდაცვლილი ნიკოლოზ ტიმიაშოვის (პ/ნ 59001100371) სამკვიდრო ქონებით სამართლებრივად დაინტერესებულ პირებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გთხოვთ, გამოცხადდეთ ჩემს, ნოტარიუსის იულია არდემანაშვილის სანოტარო ბიუროში, მისამართზე: საქართველო, ქალაქი გორი, აკაკი წერეთლის ქუჩა N 42ა. ნოტარიუსი: იულია არდემანაშვილი. ტელ: 598 11 99 76/




# „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორი 2023“-ის გამარჯვებულებსა და „პალიტრა L“-ის წარმომადგენლებს შორის პირველი შეხვედრა გაიმართა

*„პალიტრა L“ საბავშვო ავტორების აღმოჩენას აგრძელებს. კონკურსი „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორი“ უკვე მეორედ ჩატარდა და პროფესიონალი ჟიურის შერჩეული გამარჯვებულებიც საზოგადოებისთვის ცოტა ხნის წინ გახდნენ ცნობილი.*

*6 გამარჯვებულს, რომელთა ტექსტებიც ჟიურიმ ყველაზე საინტერესოდ, ორიგინალურად და აქტუალურად მიიჩნია, პატარა მკითხველი რამდენიმე თვეში გაეცნობა.*

*გამარჯვებულები: ულიანა მესხი, თამარ შალუაშვილი, ქეთევან დეკანოსიძე, ნინო ქადაგიძე, გვანცა ასათიანი და სოფია ბარშოვა „პალიტრა L“-ის დირექტორს, თინა ასათიანს, მთავარ რედაქტორს, მაია ალუდაურს, საბავშვო პროექტების მენეჯერსა და მარკეტინგის ჯგუფს პირველად შეხვდნენ. მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები ნამუშევრების შესახებ, შეთანხმდნენ მუშაობის ფორმატზე და გაეცნენ გასულ წელს გამარჯვებული ავტორების წიგნებს, რომელთა ილუსტრაციებმაც გამარჯვებულებზე შთაბეჭდილება მოახდინა.*




„პალიტრა L“-ის მთავარმა რედაქტორმა მაია ალუდაურმა გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები და სიგელები გადასცა და ინიციატივისთვის მადლობა გადაუხადა. როგორც მაია ალუდაურმა აღნიშნა, 2022 წელს ჩატარებული „გახდი საბავშვო ბესტსელერის ავტორის“ შედეგებით გამოიკვეთა, რომ კონკურსი ლიტერატურის აღნიშნული მიმართულების განვითარებაში მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.

შეხვედრის დასრულების შემდეგ კონკურსსა და თავიანთ ტექსტებზე ისაუბრეს გამარჯვებულებმა. რამდენიმე მათგანის თქმით, ნამუშევრების სიუჟეტები წლების განმავლობაში იქმნებოდა, იხვეწებოდა, მათ ისმენდნენ პატარა ოჯახის წევრები, საბოლოოდ კი გასცდა სახლის კედლებს და მალე მკითხველთა ფართო წრემდე მიაღწევს.

კონკურსის გამარჯვებულები თავიანთი ნამუშევრების შესახებ:

**ქეთევან დეკანოსიძე:** „ერთ-ერთ ზღაპარს ბავშვობაში ჩემს შვილებს ვუამბობდი. დღეს უკვე ზრდასრულები არიან, თუმცა, რა თქმა უნდა, ახსოვთ. მისი მთავარი გმირი ჩემი შვილი იყო და ამბავიც მის გარშემო ტრიალებდა. ამ სიუჟეტის ფურცელზე გადატანა და გამოგზავნა სპონტანურად გადაწყდა. ეს წარმატება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზღაპრები მოგვითხრობს ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის გრძნობების გააზრების, გაზიარების, თანადგომის შესახებ. ვფიქრობ, მათი წაკითხვა ბავშვებს ჰუმანურობის მნიშვნელობაზე დააფიქრებს, რაც დღეს ძალიან გვჭირდება“.

**თამარ შალუაშვილი:** „ჩემს ზღაპარში ძველი ზღაპრის ჯადოქარი უცებ თანამედროვე რეალობაში ხვდება და მოვლენები მოულოდნელად და საინტერესოდ ვითარდება. ჩემმა პატარა შვილიშვილმა მთხოვა: „შენ როცა აღარ იქნები, მინდა მქონდეს შენი ზღაპრები“ და მის გასახარებლად დავიწყე წერა, ბევრი ვიფიქრე და ზღაპრები კონკურსშიც სულ ბოლო დღეს გამოვგზავნე. მასში გამარჯვება ძალიან სასიხარულოა“.

**ულიანა მესხი:** „მე ვარ მხატვარი, ილუსტრატორი, დავიბადე ქალაქ სოხუმში. ჩემი ჩანახატების საშუალებით პატარებს ვუყვები აფხაზეთში გატარებულ ადრეულ ბავშვობაზე, უზრუნველ დღეებსა და ბედნიერ წუთებზე. ნაწარმოები აგებულია მცირე ილუსტრაციებით. ყველაფერი ავტობიოგრაფიულია. მინდა ჩვენი დროის ბავშვებს მოვუყვე, რომ ჩვენ ყველა ერთი მიწის შვილები ვართ და ერთად დგომითა და კეთილგონიერებით აუცილებლად დავბრუნდებით“.

**ჟიურის წევრები:** ნატო ინგოროყვა, დიანა ანფიმიადი და პაატა პაპავა აღნიშნავენ, რომ კონკურსი მნიშვნელოვანია თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის გაცოცხლებისა და განვითარებისთვის. მწერლის, განათლების ციფრული სახლისა და საინფორმაციო-საგანმანათლებლო რესურსების პროგრამის მენეჯერის (TPDC), სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის ნატო ინგოროყვას შეფასებით, საკონკურსოდ შემოსული ნამუშევრები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა:

„ჩვენ ხშირად საბავშვო ლიტერატურას მხოლოდ შემეცნებით და აღმზრდელობით დატვირთვას ვაძლევთ. ცხადია, არც უმაგისობაა, მაგრამ ასევე აუცილებელია ტექსტმა ბავშვი გააცინოს, სახალისო იყოს, ინტერესი გაუღვივოს და ახალ ცოდნასთან ერთად, მრავალფეროვანი ემოციები გაუჩინოს.

თანამედროვე საბავშვო ავტორებს და წიგნებს სჭირდება მეტი ყურადღება, მეტი რეკლამა, მეტი საჯარო წაკითხვა, რეცენზიები და ა.შ. ქართველმა საბავშვო ავტორებმა უნდა იფიქრონ თემატიკის თანამედროვეობასა და თანამედროვე ბავშვის ენის სტილის თავისებურებებზე. სინამდვილე და გამონაგონიც 21-ე საუკუნის ბავშვის მსოფლმხედველობას უნდა მოერგოს. ხშირად უნდა იმართებოდეს საბავშვო ლიტერატურის კონკურსები, მათ შორის თემატურიც, რომლებიც მოტივაციას ზრდიან ავტორებში და მოლოდინს მკითხველში“, — აღნიშნა მან.

აღსანიშნავია, რომ კონკურსი სხვადასხვა ასაკობრივი ტექსტისთვის ჩატარდა და გამოვლენილი 6 გამარჯვებულის ნამუშევრებმა თითქმის ყველა მათგანი მოიცვა. საინტერესო და აქტუალურ ტექსტებთან ერთად უნიკალური ილუსტრაციები მათ კიდევ უფრო დასამახსოვრებელს გახდის.



ტრანსნაციონალური დანაშაული

# კაბიანი „პაბლო ესკობარი“ ანუ ვინ არის ბორჯომელი ხათუნა?!

***გასულ კვირას სამართალდამცავებმა ტრანსნაციონალური დანაშაული გახსნეს — ნარკოკარტელის სქემაში მონაწილე პირები სამი წელი ისე ასაღებდნენ ნარკოტიკებს, რომ მათ კვალს ძალოვნებმა ვერ მიაგნეს. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ბორჯომელი ნარი კაჯაევა, მეტსახელად ხათუნა, რომელმაც თურქ და ბულგარელ თანამზრახველებთან ერთად საერთაშორისო ნარკოქსელი შექმნა. სავარაუდოდ, ის ჯგუფს თურქეთიდან მართავდა და საქართველოდან ნარკოტიკების გაყიდვით მიღებული მილიონობით ლარი უპრობლემოდ გაიტანეს — ფული თურქეთში ირიცხებოდა. ამ პერიოდში სხვადასხვა ვალუტაში 20 მილიონ ლარზე მეტი გადაირიცხა. როგორც ირკვევა, ჯგუფი შავ ფულს დაუბრკოლებლად ათეთრებდა, თურქეთსა და კვიპროსშიც ყიდულობდნენ ძვირად ღირებულ უძრავ ქონებასა და ავტომობილებს. ნარკოტიკული ნივთიერებები, ძირითადად, ტრაილერით შემოჰქონდათ და აქ აფასოებდნენ. ბოლო წლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პრაქტიკულად ყველა სახეობის ნარკოტიკულ საშუალებას სხვადასხვა დათქმულ ადგილზე ათავსებდნენ. გაიშიფრა ასევე ნარკოტიკების რეალიზაციიდან შემოსული განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ქვეყნიდან გატანის გზებიც.***





ექსპერტი **ვახტანგ მაისაია:** — ნარკოკარტერული დანაშაული რთული გამოსავლენია, რადგან მაღალ დონეზეა ორგანიზებული. ის ელიტური ტიპის ორგანიზაციულ დანაშაულად მიიჩნევა. პირველ ადგილზეა იარაღის უკანონო ვაჭრობა, მაგრამ იარაღის ვაჭრობის ტრასებისგან განსხვავებით ნარკოტრასებს მაღალი მობილობა აქვს და შეიძლება იცვლებოდეს გარკვეული პირობებიდან და ფაქტორებიდან გამომდინარე. თუ ადრე ავღანეთი იყო ნარკოტიკების წარმოების მექა და მასზე მოდიოდა მთელი მსოფლიო ნარკოწარმოების 70%, ეს მოცემულობა შეიცვალა. გაეროს მონაცემებით სხვა არეალებში გადავიდა, კერძოდ, ცენტრალური აზიის მიმართულებაზე. ეს იწვევს ნარკოტრასების შეცვლასაც. ნარკოვაჭრობიდან შემოსავალი ძალიან მაღალია და ეს იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა სქემამ იმუშაოს. კერძოდ, კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირი, კორუფციული სქემების ამუშავება, სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკოსებისა და ძალოვნების მფარველობა. შემოსავალს წელიწადში სამჯერ იღებენ, ნარკოტიკული მცენარეული სეზონურად მოჰყავთ და ეს ზრდის უკანონო ბიზნესის რენტაბელურობას.

კიდევ ერთი ფაქტორია გეოპოლიტიკური ვითარება. არსებობს ორი ძირითადი გეოსტრატეგიული ნარკოტრაფიკული ბუდე: ე.წ. ოქროს ნახევარმთვარე და ოქროს სამკუთხედი. „ოქროს სამკუთხედი“ მოიცავს აზიურ ნარკოტრაფიკს, ხოლო ავღანეთში არის ავღანური ჰეროინი და ოპიუმი. საქართველომდე აზიური „ოქროს სამკუთხედიდან“ წამოსული ნარკოტრაფიკი ნაკლებად მოდის, ჩვენთან უმეტესად ავღანური, პაკისტანური და ცენტრალური აზიის ჰეროინი შემოდის. სააკაშვილის პერიოდში ვითომ ძალიან მკაცრი ნარკოპოლიტიკა იყო, მაგრამ ამის მიღმა იმალებოდა სერიოზული ნარკოხაზები, რომელთაც პოლიტიკური ელიტა მფარველობდა და დიდ თანხებსაც იღებდნენ. 2012 წლიდან სიტუაცია შეიცვალა.

ახლა უკრაინაში ომის პერიოდში ძალზე იოლია ნარკოტრასების გაყვანა და ფიქსირდება კიდეც აღმოსავლეთი და ევროპის მიმართულება. ასეთი ჯგუფები შეიძლება არაერთი იყოს საქართველოში. თუ გახსოვთ, როცა „თალიბანმა“ თხევადი ოპიუმი გამოუშვა, მაშინ სწორედ „კვირის პალიტრამ“ გაახმაურა ეს ფაქტი და გამოააშკარავა „თალიბანის“ ტვირთი, შემდეგ ოფიციალურადაც დაადასტურეს „კვირის პალიტრის“ ინფორმაცია. ეტყობა, ახლაც ახალი სინდიკატის ჩამოყალიბება იწყება. ეს ჯგუფი შეიძლება ამ სინდიკატის წევრი იყოს და ახლა იწყებდეს ამ სქემების აწყობას.

**— როგორც ირკვევა, სამი წელი უპრობლემოდ ასაღებდნენ ნარკოტიკებს, მათ მფარველები ეყოლებოდათ?**

— ასეთ დანაშაულებს თან სდევს ხოლმე კორუფციული სქემები, არც ეს არის გამორიცხული. ნარკოტრასის შექმნას 5 ეტაპი აქვს. პირველი ეტაპია, როცა ხდება გზების მოსინჯვა, მეორე ეტაპია ორგანიზებული სქემის შექმნა და ნაწილდება, ვინ რას გააკეთებს, მესამე ეტაპზე გადიან კავშირებზე და ხდება კორუფციული გარიგებები სახელმწიფო მოხელეებთან, რომლებიც მათ მფარველობენ. მეოთხე საფეხურზე საერთაშორისო დონეზე ვითარდება მათი საქმიანობა და ამაში ერთვება რამდენიმე ქვეყანა. მეხუთე ეტაპზე ხდება ნარკოტიკების დიდი პარტიების გატარება და მუდმივი ტრასის ჩამოყალიბება, რასაც 5-დან 7 წელი სჭირდება. ასე რომ, ნარკოვაჭრობა უმსხვილესი მსხვილი ბიზნესია და მოითხოვს გონივრულად ორგანიზებას, გამოირჩევა სპეციფიკური კორუფციული გარიგებებით.

იმ ბორჯომელ ქალზე არაფერი მსმენია, ალბათ, საშუალო რგოლზე დაბალი რგოლის წევრია. კარგია, რომ დროული გააუვნებლეს ეს ქსელი. სამი წელი არც ისე დიდი დროა ასეთი ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის. ეს ჩანასახის პერიოდია. ჩამოყალიბებას მინიმუმ 5 წელი სჭირდება. კარგია, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა ეს ქსელი ლოკალურ დონეზე, ჩანასახშივე გაანადგურეს და არ მისცეს საშუალება გადასულიყო სხვა დონეზე.

„სხვადასხვა დროსა და ადგილზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული არიან ჯგუფის სამი ხელმძღვანელი, ჯგუფის ორი წევრი და ე.წ. 16 „დამდები“, რომელთა შორის როგორც საქართველოს, ასევე ბულგარეთისა და თურქეთის მოქალაქეები არიან. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულ პირებს საქართველოში შემოჰქონდათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები და ყიდდნენ: ჰეროინს, კოკაინს, „ბუპრენორფინს“, „მეტადონს“, „მეტამფეტამინს“, „ამფეტამინსა“ და „მდმას“. ბრალდებულები ნარკოტიკულ საშუალებებს სხვადასხვა ადგილას ე.წ. დადების მეთოდით ასაღებდნენ, ხოლო რეალიზაციით მიღებულ თანხებს ათეთრებდნენ. სამართალდამცავებმა დაკავებულების პირადი სახლებისა და ავტომობილების ჩხრეკის შედეგად დიდი ოდენობით სხვადასხვა ნარკოტიკული საშუალება, ავტომობილები, საბრძოლო მასალა და ცეცხლსასროლი იარაღები ნივთმტკიცებად ამოიღეს. ამოღებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალება — კომპიუტერული ტექნიკა და მობილური ტელეფონები, რისი საშუალებითაც ბრალდებულები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ამ სისხლის სამართლის საქმეზე დაიგეგმა და ჩატარდა ყველა საჭირო საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება, რამაც პროკურატურას შესაძლებლობა მისცა ორგანიზებული ჯგუფის სრული დანაშაულებრივი ინფრასტრუქტურა გამოევლინა. იდენტიფიცირებულია ყველა ის საბანკო ანგარიში, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობის შედეგად მიღებული თანხები ირიცხებოდა და მათი წარმომავლობის შესანიღბავად ტრანზაქციები კეთდებოდა. დადგენილია, რომ 2021-2023 წლებში სპეციალურად გახსნილ ქართულ საბანკო ანგარიშებზე, ძირითადად სწრაფი გადახდის აპარატების საშუალებით ათასობით ტრანზაქციად ნარკოტიკული საშუალების შემძენებმა ჯამში 15.233.071 ლარი, 2.577.004 აშშ დოლარი და 10.210 ევრო ჩარიცხეს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რამდენიმე ხერხით ხდებოდა. კერძოდ, თანხის ნაწილი პერიოდულობით პირადი გადარიცხვის დანიშნულებით ირიცხებოდა ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უშუალოდ გამავრცელებელ პირებთან დაკავშირებულ საბანკო და ონლაინტოტალიზატორის ანგარიშებზე. თურქეთის 3 და საქართველოს 13 მოქალაქის, ე.წ. დამდების ანგარიშებზე, ჯამში, 1.251.125 ლარი და 329.750 აშშ დოლარი გადაირიცხა; დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული თანხის დიდი ნაწილი, გარკვეული პერიოდულობით, წარმოშობის წყაროსა და წარმომავლობის შენიღბვის მიზნით, უცხოურ ვალუტაში კონვერტირდებოდა, დროის უმცირეს ინტერვალში ირიცხებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა ანგარიშებზე და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ ორგანიზებულ ჯგუფთან დაკავშირებულ, მათ შორის, ხელმძღვანელ პირთა თურქულ საბანკო დაწესებულებებში გახსნილ ანგარიშებზე. ზემოაღწერილი სქემით საზღვარგარეთ გადარიცხულია ჯამში 2.039.542 აშშ დოლარი და 531.986 გირვანქა სტერლინგი; თანხის ნაწილი კონვერტირდებოდა უცხოურ ვალუტაში, რომელსაც ანაღდებდნენ ბანკომატით ან გაჰქონდათ ანგარიშიდან როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 2021-2023 წლებში ამ თანხის ოდენობამ ჯამში 740.502 ლარი, 560.173 აშშ დოლარი და 162.124 ევრო შეადგინა. საქართველოში თანხის განაღდებას და შეგროვებას ზემოაღნიშნული დაკავებული საქართველოს 2 მოქალაქე უზრუნველყოფდა. ბრალდებულები თანხის ნაწილს სწრაფი ფულადი გზავნილების მეშვეობით საზღვარგარეთ გზავნიდნენ; პარალელურად, ორგანიზებულმა ჯგუფმა დაიწყო საზღვარგარეთ უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა... პერიოდულად ხდებოდა ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული თანხების კონვერტირება უცხოურ ვალუტაში და გადარიცხვა/გადახდა იმ იურიდიულ პირთა ანგარიშებზე, რომლებიც კვიპროსში უძრავი ქონებითა და ავტომანქანებით ვაჭრობენ. ხსენებული ფორმითა და დანიშნულებით, ჯამში 5.126.491 თურქული ლირა, 67.257 გირვანქა სტერლინგი და 14.289 აშშ დოლარი გადაირიცხა. გარდა ამისა, ორგანიზებულმა ჯგუფმა საქართველოში დააფუძნა რამდენიმე იურიდიული პირი და განაღდებული თანხის ნაწილი თავსდებოდა ერთ-ერთი შპს-ს ანგარიშზე, როგორც „დამფუძნებლის შენატანი და უძრავი ქონების შესაძენად წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით სამშენებლო კომპანიის ანგარიშზე ირიცხებოდა. ქ. ბათუმში მდებარე სამი მშენებარე საცხოვრებელი ბინის შესაძენად ჯამში 110.314 ლარი გადაირიცხა. ასევე დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა პირადი სარგებლობისთვის საქართველოში 2 ავტომანქანა შეიძინეს. საზღვარგარეთ მყოფ დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელ და საქართველოში დაკავებულ პირებს უკვე წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე (ორგანიზებული ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა, შენახვა, გასაღება) და სსკ-ის 194-ე (ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება) მუხლებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდების მხარემ სასამართლოს ყველა მათგანისთვის აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის თაობაზე შუამდგომლობით მიმართა. გამოძიება ჩაატარებს შესაბამის პროცედურებს საზღვარგარეთ მყოფი ბრალდებულების ზუსტი ადგილსამყოფლის დადგენისა და მართლმსაჯულების წინაშე მათი წარდგენის მიზნით. იმავდროულად, სასამართლოს განჩინებით ყადაღა დაედო ორგანიზებული ჯგუფის საბანკო ანგარიშებს საქართველოში, ასევე უძრავ-მოძრავ ქონებას“, — ნათქვამია პროკურატურის ინფორმაციაში.

როგორც დადგინდა, ჯგუფმა მოქმედება 2021 წლის იანვარში დაიწყო. ამ დრომდე გასაღებული აქვთ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკები. სასამართლომ ნარი კაჯიევას, მის ბულგარელ და თურქ თანამზრახველს პატიმრობა დაუსწრებლად შეუფარდა. 22 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ამ საკითხზე იმსჯელა. პროკურატურა სულ 6 პირისთვის ითხოვდა პატიმრობის შეფარდებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯგუფის ხელმძღვანელი სამივე პირი იძებნება, ხოლო განსასჯელის სკამზე ამჟამად სამი პირი ზის. ბრალდებულებს შორის ორი მოქმედი ადვოკატია, ხოლო ერთი თურქეთის მოქალაქეა. სასამართლო პროცესზე არც ერთმა მათგანმა დანაშაული არ აღიარა, თუმცა სამივეს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა. მათი ადვოკატები აცხადებენ, რომ ამ მაქინაციასთან მათ კავშირი არ ჰქონიათ, თუმცა საპირისპიროს ამბობს პროკურატურა.

ბრალდებულები მანუჩარ ზოიძე და ასლან ფუტკარაძე ადვოკატები არიან, ისინი აჭარაში მუშაობდნენ. „ბრალდებული ადვოკატები ჩართული იყვნენ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეში... ისინი ახდენდნენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასა და ასაღებდნენ ნარკოტიკებს, განკარგავდნენ ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებულ თანხებს და უზრუნველყოფდნენ ხელმძღვანელ პირთან მიტანას. ასევე უზრუნველყოფდნენ ფულის კონვერტაციას, გადარიცხვებს საქართველოსა და თურქეთში უძრავ-მოძრავი ქონების შეძენისთვის. 3 წლის განმავლობაში 16 პირზე დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა“, — განაცხადა პროკურორმა შმაგი გობეჯიშვილმა. მანუჩარ ზოიძის ადვოკატის გიორგი ბერიძის განცხადებით, მისი დაცვის პირს ირიბი შემხებლობაც კი არა აქვს ნარკოტიკების გასაღებასა და სხვა დანაშაულებთან. „ეს არის პროკურატურის ფანტაზიის ნაყოფი, აბსოლუტურად სუბიექტური შეხედულება და პრაგმატული პოზიციისგან დაცლილი. მტკიცებულებითი ხასიათის მიდგომები საერთოდ არ არის. საქმეში წარმოდგენილია მხოლოდ ვარაუდები. ბრალდების მხარე საუბრობდა მხოლოდ „მგონიათი“ და „მიმაჩნიათი“. ჩემი დაცვის პირი მოქმედი ადვოკატია, ხალხს უწევდა იურიდიულ დახმარებას და ეს ბუნებრივიც არის. ბრალდების მხარე ცდილობს დამიმტკიცოს, რომ ის ფულს ათეთრებდა, ნარკოტიკს ასაღებდა და მაფიასთან ურთიერთობდა. მითხრან ერთი მტკიცებულება მაინც, რომლის მიხედვითაც მან იცოდა, რომ ეს იყო „შავი ფული“. მისი მოვალეობა იყო ბანკში იურიდიული საკითხების გარკვევა და მოგვარება. ბანკში იმიტომ მივიდა, რომ ფულის გატანის პრობლემა იყო. იურიდიული მომსახურება გაუწია, ბანკში მოაგვარა საკითხები და ფულიც გადაურიცხა. ამ საქმეში მისთვის ხელის დადება არასწორია“, — განაცხადა ზოიძის ადვოკატმა გიორგი ბერიძემ. არადა, ძალოვნების გავრცელებულ ფარულ ჩანაწერებში ისმის, როგორ ატყობინებს ადვოკატი ზოიძე კაჯიევას ზუგდიდში ერთ-ერთი დილერის დაკავების ამბავს და ის როგორ აძლევს მითითებებს.

მესამე დაკავებული მეჰმედ ჩითლაქი თურქეთის მოქალაქეა. ის აცხადებს, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს.

არსებული ინფორმაციით, ნარი კაჯიევა, მეტსახელად ხათუნა, ბორჯომელია. როგორც მეზობლები ამბობენ, დიდი ხანია მათი ოჯახი საქართველოდან თურქეთში საცხოვრებლად არის გადასული და ამიტომ ბორჯომში მის საქმიანობაზე არაფერი იციან. ქართველ ძალოვნებს იმედი აქვთ, რომ თურქი სამართალდამცავები დაეხმარებიან და გადმოსცემენ საქართველოს ნარი კაჯიევას. თუმცა არც ის არის გამორიცხული ამ სკანდალის გახმაურების შემდეგ ქალს თურქეთიც დატოვებული ჰქონდეს. ტრანსნაციონალური დანაშაულის ორგანიზატორებს გამოძიება ფულის გათეთრებასაც ედავება.

***თეა ხურცილავა***

# ყველაფერი დონაციის შესახებ

*დღეს მსოფლიოში, ძირითადად, ექვსი ორგანოს გადანერგვის ოპერაცია ტარდება. შედეგად პაციენტები ახალ, ჯანმრთელ, ბედნიერ ცხოვრებას იწყებენ. ტრანსპლანტაციის, ამ კეთილშობილური საქმის ერთ-ერთი საშიში გვერდითი მოვლენაა ორგანოთა ტრეფიკინგი. ამის მიზეზი, როგორც ჩვენი რესპონდენტი, ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელი, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი გია თომაძე ამბობს, ისაა, რომ ოპერაციების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია იმასთან შედარებით, თუ რამდენია გადანერგვის საჭიროების მქონე. ვინ შეიძლება იყვნენ დონორები, რას ითვალისწინებს „ტრანსპლანტაციის შესახებ“ კანონი, რა ღირს ორგანოს გადანერგვა, ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე პასუხს ჩვენი სტატიიდან შეიტყობთ:*



**„დღეს საქართველოში ცხოვრობს 535 ორგანოგადანერგილი პაციენტი. მათგან 300-ზე მეტი თირკმელგადანერგილია, 150-მდე – ღვიძლგადანერგილი, 10 კი გულგადანერგილი პაციენტი“**

— პირველი შედეგიანი ორგანოს გადანერგვის ოპერაცია 1954 წელს ჩატარდა — ამერიკელმა ქირურგმა ჯოზეფ მიურეიმ თირკმელი გადანერგა. თუმცა მაშინ წესიერად არც იცოდნენ ტრანსპლანტაციის ერთ-ერთი მთავარი პრობლემის, მოცილების რეაქციის მკურნალობა — გადანერგვის შემდეგ პაციენტის ორგანიზმი ცდილობს მოიცილოს ახალი ორგანო, როგორც უცხო სხეული. ძალიან პოპულარულად რომ ვთქვათ, თითში რომ ხიჭვი შეგვერჭობა, გვიჩირქდება და ორგანიზმი ცდილობს გამოდევნოს. ასეთი გამოდევნის რეაქციას ვუწოდებთ სამედიცინო ენაზე მოცილების რეაქციას, რაც, რომ არ განვითარდეს, პაციენტს სპეციალური იმუნიტეტის დამთრგუნავი მედიკამენტები ეძლევა. უამისოდ გადანერგილი ორგანო მოსცილდება და აღარ იმუშავებს. ეს რომ არ ან ნაკლები ინტენსივობით მოხდეს, დონორი და რეციპიენტი მაქსიმალურად შეთავსებადი უნდა იყვნენ. როგორც ყველა ჯგუფის სისხლის გადასხმა არ შეიძლება ყველასთვის, ანალოგიურადაა საჭირო დონორისა და რეციპიენტის სელექცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია გართულება.

**— ვის შეუძლია იყოს დონორი?**

— დონორი შეიძლება იყოს როგორც ცოცხალი ადამიანი, ისე გარდაცვლილი. ცოცხალი რომ იყოს, საჭიროა დონორ-რეციპიენტს შორის არსებობდეს ნათესაური კავშირი ან სხვა სახის ემოციური სიახლოვე. იშვიათ და გამონაკლის შემთხვევებში უცნობიც იძლევა ორგანოს, ოღონდ არა კონკრეტული, არამედ ორგანოს მოლოდინის რეჟიმში მყოფი პაციენტებისთვის. თუმცა ასეთი ფორმა საქართველოსა და ბევრ ქვეყანაში აკრძალულია, რათა თავიდან იყოს აცილებული ორგანოებით ვაჭრობა, რაც ორგანოების ტრეფიკინგია. ის ადამიანის ტრეფიკინგთან არის გატოლებული.

**— ვთქვათ, გავიგე, რომ მჭირდება ორგანოს გადანერგვა, როგორ ვიქცევი ქართული კანონმდებლობის მიხედვით?**

— ქართული კანონი „ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ 23 წლის წინ, 2000 წელს იქნა მიღებული. წელს ხდება ამ კანონმდებლობის რევიზია, რათა მოხდეს მისი შესაბამისობის დადგენა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ კანონის თანახმად, თავდაპირველად დონორი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ახლო გენეტიკური ნათესავი ან მეუღლე. შემდგომში გაიზარდა დონორთა ჩამონათვალი და 2015 წლიდან უკვე შესაძლებელია ახლო ემოციური სიახლოვის მქონე ადამიანმა, ანუ მეგობარმაც მისცეს მეგობარს გადასანერგად ორგანო.

**— ტრეფიკინგის ფაქტებზე ვისაუბროთ...**

— ტრეფიკინგი საშიში გვერდითი მოვლენაა ამ კეთილშობილური საქმისა. რეალურად, მოლოდინის სიაში უფრო მეტი ხალხია, ვიდრე დონორებული ორგანოების რაოდენობაა. ამიტომ არსებობს შეუსაბამობა მოთხოვნასა და რეალურად არსებულ საშუალებებს შორის, რაც წარმოშობს შავ ბაზარს. სწორედ ეს შავი ბაზარი არის საფუძველი იმ იატაკქვეშა ბიზნესისა, რომელიც მთელ მსოფლიოში არსებობს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადგინა, რომ მსოფლიოში გადანერგვების 10% არალეგალურია — ანუ თუ მსოფლიოში საშუალოდ 150 000 ახალი ორგანო ინერგება წელიწადში, გამოდის, მინიმუმ 15 000 გადანერგვა არალეგალურია. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ეს რაოდენობა 10%-ია იმ საჭიროებისა, რაც მსოფლიოშია.

**— კონკრეტული საქმეები თუ არის ცნობილი არაკანონიერი ოპერაციების შესახებ?**

— არაერთი. მაგალითად, 90-იან წლებში მოსკოვის მეტროში ქალმა განაცხადა, რომ ჩანთიდან 25.000 დოლარი მოჰპარეს. როცა ჰკითხეს, ამხელა ფული თუ გქონდა, მეტროთი რატომ მგზავრობდიო, უპასუხა, ეს დონორებისთვის მისაცემი თანხააო. ამის შემდეგ დაიწყო გამოძიება და იატაკქვეშა საქმიანობის კვალი მოლდოვამდე მივიდა. გაჭირვებული მოლდოველები მიჰყავდათ სხვადასხვა ქვეყანაში და იქ მდიდარ ადამიანებს უნერგავდნენ მათ ორგანოებს. როცა ინტერპოლმა დაიწყო საქმის შესწავლა, აქცენტი საქართველოზეც კეთდებოდა. სწორედ ამიტომ, მე, როგორც ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის ხელმძღვანელს დამჭირდა პოლიციაში სიარული, რათა წარმვედგინა შესრულებული ოპერაციების შესახებ მონაცემები — გვარები, იყვნენ თუ არა მათ შორის უცხოელები და ა.შ.

ხანგრძლივი საგამოძიებო პროცესი მიმდინარეობდა და საბოლოოდ მივიღეთ წერილი მოლდოვის შს სამინისტროდან, რომ საქართველოს მონაწილეობა ორგანოთა ტრეფიკინგის საქმეში არ დასტურდებოდა. როგორც გაირკვა, პაციენტებს ეუბნებოდნენ, რომ საქართველოში უკეთებდნენ ოპერაციას, სინამდვილეში კი თურქეთში აკეთებდნენ. მოლდოველი დონორებისგან ამოღებულ თირკმლებს ისრაელიდან ჩამოყვანილ პაციენტებს უნერგავდნენ.

**„ჯანმო-მ დაადგინა, რომ მსოფლიოში გადანერგვების 10% არალეგალურია – ანუ თუ მსოფლიოში საშუალოდ 150 000 ახალი ორგანო ინერგება წელიწადში, გამოდის, მინიმუმ 15 000 გადანერგვა არალეგალურია“**

ორგანოთა ტრეფიკინგის შემთხვევები მრავლადაა მსოფლიოში. არსებობს 2008 წლის „სტამბოლის დეკლარაცია“, რომელიც მიმართულია ორგანოთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ. მასში კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდია ამ უკანონო საქმიანობის მასშტაბი. დეკლარაციის მიხედვით განასხვავებენ 2 ტერმინს: ტრანსპლანტაციური ტურიზმი და მგზავრობა ორგანოთა გადანერგვისათვის. ტრანსპლანტაციურ ტურიზმში იგულისხმება გადანერგვები, როცა დონორს იძულებით ან ფინანსური დაინტერესების გამო ამოაცალეს ორგანო. 2015 წელს ევროსაბჭომ მიიღო კონვენცია ორგანოთა ტრეფიკინგის წინაღმდეგ, რომელზეც საქართველო ჯერ მიერთებული არ არის. ამ კონვენციის მიზანია, ყველა ევროპული ქვეყანა გაერთიანდეს ორგანოთა კომერციული გადანერგვის წინააღმდეგ.

**— კომერციული გადანერგვა რომელ ქვეყნებში ხდება?**

— კომერციულ გადანერგვას ვუწოდებთ ორგანოს გაყიდვას. ეს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის ნებადართული. ერთადერთი ქვეყანა იყო ირანი, სადაც 5.000 დოლარი ღირდა თირკმელი, მაგრამ 2000-იან წლებში იქაც აიკრძალა. საქართველოს კანონმდებლობით ორგანოს გაყიდვა ან მასში მონაწილეობა სისხლის სამართლის დანაშაულია და 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ისეთ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა არ არის, ან ცუდად მუშაობს, ან არეულობაა, ვთქვათ, ომია, ასეთი შემთხვევები არის. კოსოვოს ომის დროს ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე ექიმი დააკავა არალეგალური ტრანსპლანტაციის გამო.

**— ამჟამად მსოფლიოში რომელი ორგანოების გადანერგვა ხდება?**

— თირკმლის, ღვიძლის, გულის, ფილტვის, პანკრეასის და წვრილი ნაწლავის. ბოლო დროს დაიწყო საშვილოსნოს გადანერგვაც, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში. ქალს, რომელსაც საშვილოსნო არა აქვს, უნერგავენ და როცა იმშობიარებს, გადანერგილ საშვილოსნოს ამოუღებენ, რათა მთელი ცხოვრება ტყუილად არ მიიღოს იმუნიტეტის დამთრგუნავი პრეპარატები.

**— რომელი ორგანოების გადანერგვა ხდება საქართველოში?**

— თირკმლისა და ღვიძლის. ჩვენთან ყველა გადანერგვა ცოცხალი დონორიდან წარმოებს, გვამური გადანერგვა, ანუ გარდაცვლილი ადამიანის ორგანოების გადანერგვა, ჯერ არ არის. გარდაცვლილი დონორი ორგვარი სახის შეიძლება იყოს: ერთია, როცა გულისცემა და სუნთქვა შეწყვეტილია, მეორე — როცა თავის ტვინის სიკვდილი უკვე დადასტურებულია, მაგრამ მას ჯერ გულისცემა შენარჩუნებული აქვს ავტომატურ რეჟიმში და ამიტომ მისი ორგანოები დათრომბილი არ არის, სისხლის მიმოქცევა ჯერ კიდევ მიდის. იმისათვის, რომ ტვინის სიკვდილის დიაგნოზი დაისვას, სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა კრიტერიუმი არსებობს.

საქართველოში მიღებული კრიტერიუმების თანახმად, ეს უნდა მოხდეს კლინიკურად, ფიზიკური გასინჯვის საფუძველზე, რაც უნდა დადასტურდეს შემდგომ ინსტრუმენტულად. ასეთი პროცედურა ორჯერ 12-საათიანი ინტერვალით ტარდება. თუ ორივეჯერ დადასტურდება, რომ თავის ტვინი მკვდარია, ე.ი. ადამიანი გარდაცვლილია და უკვე შეიძლება მისი ორგანოების გამოყენება, თუ ამის შესახებ არსებობს მის სიცოცხლეში გაცხადებული თანხმობა, ან მისი ოჯახის წევრების თანხმობა.

**— ტყუპისცალი ყველაზე კარგი დონორია?**

— დიახ, რადგან ტყუპს შორის იმუნოლოგიური კონფლიქტი არ არის, ანტიგენურად ერთნაირები არიან. პირველი გადანერგვა, 1954 წელს, სწორედ ტყუპისცალებს შორის ჩატარდა.

**— რა ღირს საქართველოში ორგანოთა გადანერგვა?**

— 20.000 ლარი ღირს თირკმლის გადანერგვა, 120.000 ლარი — ღვიძლის გადანერგვა. თირკმლის გადანერგვას აქამდეც აფინანსებდა სახელმწიფო, რამდენიმე კვირის წინ კი ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ღვიძლის გადანერგვასაც მთლიანად დააფინანსებს.

**— დონორი რა ასაკის შეიძლება იყოს?**

— ნებისმიერი. ბავშვის დონორის ორგანო შეიძლება გადაენერგოს ბავშვს, დიდის — დიდს.

**„საქართველოში 20.000 ლარი ღირს თირკმლის გადანერგვა, 120.000 ლარი – ღვიძლის გადანერგვა. თირკმლის გადანერგვას აქამდეც აფინანსებდა სახელმწიფო, რამდენიმე კვირის წინ კი ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ღვიძლის გადანერგვასაც მთლიანად დააფინანსებს... ჩვენთან ყველა გადანერგვა ცოცხალი დონორიდან წარმოებს, გვამური გადანერგვა ჯერ არ არის“**

**— ცოცხალი დონორის ჯანმრთელობის მდგომარეობა რამდენად შეიძლება შეიცვალოს დონაციის შემდეგ?**

— ცოცხალი დონაცია იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ დონორი სრულყოფილად გამოკვლეულია და დადგენილია, რომ ამ ორგანოს წამოღება არ არის დონორისთვის მნიშვნელოვან რისკთან დაკავშირებული. დონორი პრაქტიკულად ჯანმრთელი უნდა დარჩეს ოპერაციის შემდეგ.

**— საზღვარგარეთ რატომ მიდიან გადასანერგად?**

— ორი მიზეზის გამო: პირველი — რაც სჭირდებათ, იმ ორგანოების გადანერგვა საქართველოში ტექნიკურად შეუძლებელია, მეორე — იმ ორგანოების გადანერგვის გამო, რომელთაც ცოცხალი დონორი ვერ გასცემს და მხოლოდ გარდაცვლილი დონორი ესაჭიროება.

საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციაში ფუნქციონირებს ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ცენტრი, რომლის მონაცემების მიხედვითაც, დღეს საქართველოში ცხოვრობს 535 ორგანოგადანერგილი პაციენტი. მათგან 300-ზე მეტი თირკმელგადანერგილია, 150-მდე — ღვიძლგადანერგილი. აღრიცხვაზე გვყავს 10 გულგადანერგილი პაციენტი. დაახლოებით 25%-ია უცხოეთში ნაოპერაციევი. ბევრია ისეთი, რომელთაც შესაფერისი ცოცხალი დონორი არ ჰყავდა და ამიტომ საზღვარგარეთ წავიდნენ, რათა გარდაცვლილის ორგანო გადაენერგათ.

**— როგორც გავიგე, თავადაც ბრძანდებით დონორი.**

— კი ბატონო, მაქვს დონორის ბარათი. მე გაცხადებული მაქვს თანხმობა, რომ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ჩემი ორგანოები შეიძლება გამოიყენონ გადასანერგად. ჩვენი ასოციაციის ვებგვერდზე არის დასახელება: „გახდი დონორი“, თუ მასში შეხვალთ, 2 არჩევანი გაქვთ: შეგიძლიათ განაცხადოთ „მე მინდა ვიყო დონორი“. ასეთ შემთხვევაში მოგვიანებით დაგირეკავენ, მიბრძანდებით ტრანსპლანტაციის საინფორმაციო ცენტრში, დარეგისტრირდებით და მიიღებთ დონორის ბარათს. ასევე შეგიძლიათ დაადასტუროთ თქვენი სურვილი „არ მინდა ვიყო დონორი“. ასეთ შემთხვევაში თქვენი გარდაცვალების შემდგომ არავინ დააყენებს საკითხს თქვენი ორგანოების შესაძლო გადანერგვის შესახებ. შეგიძლიათ ნებისმიერ დროს შეცვალოთ გადაწყვეტილება.

**— როგორია დონაციის ხვალინდელი დღე?**

— საქართველოში უნდა დაიწყოს გვამური გადანერგვა და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება გადანერგვათა რაოდენობის გაზრდა. თუ ახლა თირკმელსა და ღვიძლს ვნერგავთ, ამას შემდეგ დაემატება გულის, ფილტვისა და სხვა ორგანოების გადანერგვა. უკვე ბევრი რამ კეთდება ქსენოტრანსპლანტაციის განვითარებისთვისაც.

**— რას ნიშნავს ქსენოტრანსპლანტაცია?**

— როცა ერთი სახეობის ორგანიზმიდან მეორე სახეობის ორგანიზმში ხდება გადანერგვა. მაგალითად, ღორის თირკმელი შეიძლება გადაენერგოს ადამიანს. 2022 წელს აშშ-ში პირველად გადანერგეს ღორის თირკმელი ადამიანში და ღორის გული — ადამიანში. ღორები გენმოდიფიცირებული იყვნენ — ანუ მათგან ამოიღეს ის გენები, რომლებიც მონაწილეობენ მოცილების რეაქციის განვითარებაში. ამიტომ ერთ-ერთი მიმართულება დღეისთვის არის ქსენოტრანსპლანტაციის განვითარება გენმოდიფიცირებული ორგანოების გამოყენებით. მეორე კიდევ უფრო საინტერესო პერსპექტივაა საკუთარი ორგანოების შექმნა ღეროვანი უჯრედებისგან — ღეროვანი უჯრედებით წარმოიქმნას თირკმელი, ღვიძლი, სხვა ორგანოები, ამ შემთხვევაში უკვე მოცილების რეაქცია აღარ განვითარდება.

*ეკა სალაღაია*

# მიქცევა-მოქცევის უმძლავრესი გენერატორი



*74 მეტრი სიგრძის გენერატორი 680 ტონას იწონის*

***შოტლანდიის ჩრდილოეთში ორკნის არქიპელაგის 70-ზე მეტი კუნძულიდან მხოლოდ 20-ია დასახლებული. უდიდესი ქალაქია კირკვოლი. აქ განლაგებულია „ევროპის საზღვაო ენერგიის ცენტრის" შტაბბინა, სადაც მიქცევა-მოქცევის ენერგიის გამოყენებას სწავლობენ. საზოგადოდ, დიდი ბრიტანეთი მიქცევა-მოქცევის ენერგიის ტექნოლოგიებში მსოფლიო ლიდერად ითვლება. კირკვოლიდან 17 კმ-ში, სადაც ერთმანეთს ხვდება ატლანტის ოკეანე და ჩრდილოეთის ზღვა, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მიქცევა-მოქცევის ტალღებია. სწორედ აქ ფსკერზე 4 ღუზითაა დამაგრებული მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მიქცევა-მოქცევის ენერგიის გენერატორი Orbital Marine Power O2.***

„ორბიტალ მარინ პაუერი" ინოვაციური შოტლანდიური საინჟინრო კომპანიაა სათავო ოფისით კირკვოლში, რომელიც მიქცევა-მოქცევის ენერგიის ტურბინების ტექნოლოგიებზე მუშაობს. 680-ტონიანი ყვითლად შეღებილი ორფრთიანი მცურავი გენერატორ O2-ის სიგრძე 74 მეტრია. მისი მოძრავი ფრთები მიქცევა-მოქცევის ნაკადში სხვადასხვა კუთხით იძირება — იმის მიხედვით, მოცემულ მომენტში რა სიღრმეზეა ჭავლი ყველაზე უფრო მძლავრი. წყლის ნაკადი ფრთებზე დამაგრებულ მბრუნავ კონსტრუქციებს, 20 მეტრის დიამეტრის მქონე როტორებს ატრიალებს. გამომუშავებული ელექტროენერგია გენერატორიდან მოძრავი კაბელის მეშვეობით ზღვის ფსკერზე გადადის, საიდანაც უძრავი კაბელის მეშვეობით ხმელეთზე ელექტროქსელს გადაეცემა.

„მიქცევა-მოქცევის ენერგია ერთადერთია განახლებადი ენერგიის წყაროებიდან, რომელსაც მთვარის მიზიდულობის ძალა წარმოქმნის. რაც მთავარია, ქარის ან მზის ენერგიისგან განსხვავებით, მისი რესურსი მუდმივია და აბსოლუტური სიზუსტით პროგნოზირებადი", — განმარტავენ კომპანია „ორბიტალ მარინ პაუერში". მათი გენერატორის გამომუშავებული ენერგია 2000 სახლის წლიურად მოთხოვნილებას სრულად აკმაყოფილებს.



*გენერატორი ადგილზე ნახევრად ჩაძირული სატვირთო გემით მიიტანეს ♦ გენერატორის მუშაობის სქემა*



განვითარებული ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენონ ენერგიის ეკოლოგიური და ალტერნატიული წყაროები — ჰიდროელექტროსადგურები, ქარის ტურბინები, მიქცევა-მოქცევის გენერატორები, მზის ბატარეების სადგურები. ბოლო ათწლეულებში ამან ნელ-ნელა არაოფიციალური შეჯიბრების სახე მიიღო, ოღონდ ეს არ ეხება მზის ბატარეებს სადგურებს, რადგან ისინი იმდენად მრავალფეროვანია და განსხვავებული, რომ მათი შედარება შეუძლებელია.

მსოფლიოს უდიდესი ჰიდროელექტროსადგურია ჩინეთში მდებარე „სამი ხეობა" (იხ. „კვირის პალიტრა", 27 ივნისი, 2022). ასევე ჩინეთშია მსოფლიოს უდიდესი ქარის ტურბინაც — წლეულს აგებული MySE-242-ის როტორის დიამეტრი 242 მეტრია, რომელმაც პირველობა ჩამოართვა დანიურ Vestas-236-ს (როტორის დიამეტრია 236 მ). ჩინელები ამაზე არ ჩერდებიან და სურთ წლეულსვე დაასრულონ კიდევ უფრო დიდი, 260 მ დიამეტრის მქონე გიგანტური ქარის ტურბინაც. სამაგიეროდ, არაფერი ემუქრება შოტლანდიაში მდებარე უმძლავრეს გენერატორს, რადგან ამ ადგილებში უძლიერესი მიქცევა-მოქცევა ენერგიის გამომუშავებისთვის საუკეთესო პირობებს ქმნის.

***რამაზ გურგენიძე***

სკანვორდი ჟურნალ „კარუსელისგან"
უფრო მეტი სკანვორდი, კროსვორდი, თავსატეხი და საინტერესო ამბები იხილეთ შემეცნებით - გასართობ ჟურნალში



**თარაზულად:** 1. „რაც იყო სუფრაზე — ერთიან მოხოცა, დათვიც კი დააფრთხო ... ხორხოცმა" (შ. ნიშნიანიძე); 5. „სალამურას თავგადასავალი" — ... დაუდე; 8. ახლად დაყენებული, დუღილდაუმთავრებელი ღვინო; 9. სინათლის სიკაშკაშის საერთაშორისო ერთეული; 10. ზოროასტრის სარწმუნოების წმინდა წიგნების კრებული; 11. გარეული ვირი; 12. არჩევანის საპასუხო სიტყვა თამაშში; 16. „ვკისკისებდით მალხაზები, დარდი გვქონდა ...?! თურმე დასასრული იყო, მე ვთქვი დასაწყისია" (მ. ფოცხიშვილი); 17. ნ. დუმბაძე „მე, ..., ილიკო და ილარიონი"; 18. ქორწილში ნეფის მეჯვარე; 19. ფიზიკოსი ... იოფე; 21. ინგლისელი მომღერალი ქალი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მფლობელი; 24. ყვავილების დედოფალი; 27. მხ. ფ. „არაჩვეულებრივი გამოფენა" — აგული ერისთავის მამა; 29. ქართველი პიანისტი, საქართველოს სახალხო არტისტი ... დოიჯაშვილი; 30. „სადაც ეყარა მოწინებით თვალსატყუარი: სათი, ..., ამეთვისტო, ძოწი, გუარი" (ი. გრიშაშვილი); 31. იტალიელი მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი რობერტო ...; 32. დაუმუშავებელი ბრილიანტი; 33. პატარა ფლეიტა; 34. საკურორტო ქალაქი თურქეთში.

**შვეულად:** 2. ფერმწერი; 3. ღირსმოწამე ვატა ... (IV)სპარსეთის ერთ-ერთ მონასტერში მოღვაწე ბერი; 4. პურის ჭამა ფსონით; 5. სამყარო, როგორც მთლიანობა; 6. საპორტო ქალაქი ესპანეთში; 7. უზურგო სკამი; 13. პატივისცემის გადაჭარბებული გამოხატვა, ზედმეტი მოწიწება; 14. სიურრეალისტი მხატვარი სალვადორ ...; 15. პირი, რომელიც აგროვებს ძველ მონეტებს და მედლებს; 20. ლეგა, ნაცრისფერი; 22. კამათი, პაექრობა; 23. ქართველი მსახიობი ... ქავჟარაძე; 25. ადამიანის ბიოველი; 26. სტომატოლოგი; 27. კლავიშებიანი ინსტრუმენტი; 28. აშშ-ის შტატი.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. აფაზია; 5. კაპოტე; 8. ანურია; 9. რულეტი; 10. საკურა; 11. ედმონდ; 12. იაპონია; 16. ქილია; 17. ხატია; 18. ომალო; 19. აგუტი; 21. სქემა; 24. ბრასი; 27. კასაცია; 29. რაბინი; 30. დიარეა; 31. თავაძე; 32. ნუტრია; 33. მილანი; 34. ემისია.

**შვეულად:** 2. ფანტასტი; 3. ზურმუხტი; 4. ამანათი; 5. კარიერა; 6. პოლემიკა; 7. ტიტანიკი; 13. აპრობაცია; 14. ოტია; 15. ისტორიანი; 20. ურვა; 22. ქალამანი; 23. მური; 25. რომა; 26. სატელიტი; 27. კლივერი; 28. ანდანტე.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი
გიორგი თევდორაშვილი

გამომშვები რედაქტორი
გიორგი კვიტაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ლია იაკობაშვილი; ნათია გორდელაძე
სარედაქციო კოლეგია

მის.: იოსებიძის ქ. №49
ტელ.: რედაქცია: 238-98-88 რეკლამა: 237-78-07
ფაქსი: 238-98-88

contact@kvirispalitra.ge
www.kvirispalitra.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".

კოლორ ჯგუფი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: (+995 32) 2 38 26 73; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

„პალიტრამედიის" ცხელი ხაზი
2 19 60 13; 2 19 60 53
ან მოგვწერეთ: 91110